# კვირის პალიტრა

№ 34 (394) ◆ 26 აგვისტო – 1 სექტემბერი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## 28 აგვისტო „მარიამობა“



ღვთისმშობლის მიძინება

## პოლიგონი, სახელად საქართველო!

### როგორ ჩამოვაგდოთ რუსული აგრესორები?!

„კვირის პალიტრის“ სამხედრო ექსპერტის ანალიზი



Стрела-თი ჩასაფრებულმა მეზენიტეებმა შეიძლება პირველი მოულოდნელი საჰაერო თავდასხმა ვერ მოიგერიონ, მაგრამ როდესაც 40 წთ-ის განმავლობაში გბომბავენ რუსული Су-ები, შენი ქვეყანა უნდა გძულდეს, რომ ერთხელ მაინც არ ესროლო!..

ერთადერთ იმედად ისევ შემთხვევითობა რჩება – იქნებ რომელიმე რუსულ ბომბდამშენს თუ მოიერიშეს მოტორმა „დაუსტუკოს“ და ქართულ მიწას თავის ბომბებიანად დაენარცხოს. გვ.8,9



გვ.2

### კახეთში სამხედრო წვრთნები დაიწყო...

## „1000 დოლარი ციხეში შემოიტანე და შენი მანქანა ადგილზე დაგხვდება!“



გვ.5

უწყება არ დარჩენილა თბილისში, რომლის ერთი ან ორი წევრისთვის არ მოეპაროთ მანქანა და მათი დაბრუნება მოხდა საპყრობილის ბინადართა მეშვეობით. იცით, რა სიტუაციაა?! პატიმრებს ციხის თანამშრომლები „დაჩმორებულები“ ჰყავთ.

ეს არის ერთ-ერთი დაჯგუფება, რომელიც კარგად არის ცნობილი შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

– პატიმრების „სარფიან ბიზნესს“ პოლიცია ვერაფერს უხერხებს...

## რას წერენ ჩვენზე:

გვ.14

### კავკასიაში ხერხემალგადამსხვრეული რუსეთი

**რფ-ის უშიშროების კომიტეტის მდივანი:** – უსამართლობაა, როცა ჩვენ ყველაფერს საქართველოს ვაბრალებთ. ეს მშვენივრად იცოდა ელცინმა და წესით, პუტინმაც უნდა იცოდეს. ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ 5 წლის წინ გვთავაზობდა ამ სიტუაციიდან გამოსასვლელ ვარიანტებს. ახლა ვხვდები: უსამართლობაა, ასე მოექცე საქართველოს და შევარდნაძეს.

**ნოვაია გაზეტა**

## მე, ხიზრი ალდამოვი, ერთხელ მაინც ვესვრი რუსს...



– ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ, ჩამოსვამენ 20-30 რუსს, პანკისში თავიანთ დროშას ჩაარჭობენ და... მორჩა!

– მომეცით, ხალხო, ერთი „სტრელა“ ან „იგლა“... სხვა ნურავინ ჩაერევა, მე, ხიზრი ალდამოვი, ერთხელ მაინც ვესვრი რუსს...

– მე ასეთ დამცირებულ ყოფაში დიდხანს ვერ ვიქნები. დავტოვებ საქართველოს მოქალაქეობას და ჩეჩნეთში წავალ. მირჩევნია იქ მოვკვდე, ვიდრე აქ რუსმა თავში მიბრახუნოს. გვ.13

## ქართველებისთვის დღეს ყველაზე ფასეული მშვიდობა, ოჯახური ბედნიერება და ეროვნებაა

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი გვ.35



– თუ დაუყოვნებლივ არ იქნა გლობალურად გააზრებული შექმნილი ვითარება და კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული, ალბათ გამართლდება საქართველოს ერაყში გაცვლის პროგნოზი.

– 5 ათას დოლარად ესვრიან რომელიმე მიტინგს, ან თავყრილობას, მეორე 5 ათასად კი მოკლავენ ისეთ ლიდერს, გია ჭანტურიას მეათედი დონის პოლიტიკოსიც რომ არ არის და მორჩა, 10 ათასად დესტაბილიზაციაც გარანტირებული გვაქვს. გვ.3

## კიბეებზე რომ ჩამოვრბოდი, ვარდის მოწყვეტილი კოკრები მხვდებოდა თავში



ერთი გიჟი შეყვარებული მოგვადგა, – გოგო ვერაფრით დავიყოლიე, არც მისი მშობლები მიყურებენ კარგი თვალით. საბურთალოზე ავიდეთ, 300 ცალი ვარდი წამოიღეთ, ჩაქუჩი და ლურსმანი, რომ ყვავილი ყველა ხეზე სათითაოდ მიამაგროთო. 150 ვარდი გზის ერთ მხარეს მივამაგრეთ, 150 – მეორე მხარეს. მაგრამ იმ დღეს გოგომ არ გამოიარა იმ გზაზე, 3 დღის შემდეგ იგივე გავიმეორეთ... გვ.13

ხშირად შემოდიოდა ბადრი პატარკაციშვილი, ანდა დაცვას აგზავნის ხოლმე, ძირითადად ვარდებს ყიდულობდა. თავს არ „იგოიმებდა“. რასაც ვუფასებდით, იმდენს იხდიდა...

## ბნიდან ჰოემდე – ყველაფერზე, რაც გაინტერესებთ

*** გავიგეთ, რომ ახალგაზრდა მომღერლის, ქრისტინეს მამიდა მსახიობი ია ფარულავა ყოფილა.

*** გთხოვთ გვაცნობოთ, დღეისათვის სად იმყოფება ქართველი მწყემსი, რომელმაც რუსი მესაზღვრეები შეიარაღებული ჩეჩნების ჯგუფის შესახებ გააფრთხილა? ღირსების ორდენის გარდა თუ მიიღო მან გაწეული დახმარებისთვის რუსეთის მთავრობისაგან გასამრჯელო? მართალია თუ არა, რომ ჩეჩნები მას მოკვლით ემუქრებიან? გვ.29

# მარიამობის მადლი გვფარავდეს!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## დაბომბვის ექო და მსოფლიოს თანადგომა

რუსეთის ავიაციამ რუსეთის ხელისუფლების ხელდასხმით მორიგი ბარბაროსული აქტი განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ და „ტერორისტებთან ბრძოლის“ საბაბით, ახმეტისა და თიანეთის რაიონების დასახლებული პუნქტების შემოგარენი დაბომბა 500-კგ-იანი ავიაბომბებით. დაიღუპა ერთი და დაიჭრა შვიდი ადამიანი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ნოტით დაგმო რუსეთის საქციელი და მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას მოსკოვზე მძლავრი პოლიტიკური ზეწოლისკენ. რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა ყოვლად უსირცხვილოდ უარყო ოფიციალურმა მოსკოვმა. ხოლო საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მყოფ ეუთოს დამკვირვებლებს, რომლებმაც ოფიციალურად დააფიქსირეს რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, მოსკოვმა... არაკომპეტენტურობაში დასდო ბრალი(!). მაგრამ ეუთოს დამკვირვებლებმა თავისი საქმე მაინც გააკეთეს და შესაბამის ევროპულ სტრუქტურებსა და სახელმწიფოებს მიაწოდეს ობიექტური ინფორმაცია.

ამასობაში საქართველოს სალიდარობა გამოუცხადა საერთაშორისო თანამეგობრობამ, ხოლო ოფიციალურმა ვაშინგტონმა საგანგებო განცხადებაში უპრეცედენტოდ სასტიკად დაგმო რუსეთის ეს ვანდალური აქცია. „პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია, ნათქვამია განცხადებაში, ღრმადაა შეშფოთებული იმ სარწმუნო ცნობებით, რომ 23 აგვისტოს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა უაზროდ დაბომბეს სოფლები ჩრდილოეთ საქართველოში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. აშშ-ის მთავრობა მიიჩნევს, რომ რუსეთის აგრესია ორ ქვეყანას შორის ერთიერთობების ესკალაციას ემსახურება და ეს მით უფრო გაუგებარია მაშინ, როცა აშშ-ის სამხედრო დახმარებით ხორციელდება რეგიონალური უსაფრთხოების ოპერაცია“. ეს განცხადება მსოფლიო მასმედიამ გადასცა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ აშშ-ის ასეთი თანადგომის შემდეგ მისი ნაბიჯები გაცილებით რადიკალური იქნება! და დასძინა, რომ ვაშინგტონის ამჟამინდელი პოზიცია გამორჩეულია თავისი პრინციპულობით, შეფასებების სიმკაცრით და მოთხოვნების კატეგორიულობით! ვაშინგტონის ამავე განცხადებაში ხაზგასმულია კიდევ ერთი მოთხოვნა რუსეთისადმი — ჩეჩნეთში მშვიდობის პოლიტიკური საშუალებითა და გზებით დამყარების შესახებ!

## „კახეთი-2002“ მოქმედებაში!..

25 აგვისტოს ახმეტის რაიონში, სოფელ ფიჩხვანთან საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამეთაურო-საშტაბო სწავლება „კახეთი-2002“.

ფიჩხვანთან განთავსდა საველე ბანაკი, მძიმე საბრძოლო ტექნიკითა და რაც მთავარია, საჰაერო თავდაცვის საშუალებებით. სწავლებას ხელმძღვანელობს გვარდიის სარდალი, გენერალ-მაიორი კობა კობალაძე. სწავლებაში მონაწილეობს სახმელეთო ჯარებისა და გვარდიის რამდენიმე ბატალიონი და ასეული. ბანაკში მოწყობილია საველე ჰოსპიტალიც. საჭიროების შემთხვევაში ამ ბანაკიდან დროის მცირე მონაკვეთში შესაძლებელია დამატებითი ძალების გადასროლა უშუალოდ პანკისის ხეობაში, სადაც უკვე შესულია საქართველოს შინაგანი ჯარი. სწავლება იმის მიხედვით გაგრძელედება, თუ რამდენად უმტკივნეულოდ განხორციელდება საქართველოს იურისდიქციის აღდგენა პანკისის ხეობაში. რაც მთავარია, ქართული ჯარი გამოსულია საველე წვრთნებზე, რის გარეშეც ვერც ერთი არმია ბრძოლისუნარიანი ვერ გახდება.

## ვინ განაღმავს მარუხის უღელტეხილს?

ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე განიხილეს მარუხის უღელტეხილზე დანაღმული ტერიტორიების განაღმვის დეტალები. სოხუმის რეჟიმი მოითხოვდა, რომ განაღმვა მხოლოდ აფხაზებს განეხორციელებინათ, ქართული მხარე კი აცხადებდა, რომ თვითონაც შესანიშნავად შეძლებს განაღმვითი ოპერაციის შესრულებას. მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ერთადერთი, რაზეც მოილაპარაკეს, არის ის, რომ განაღმვას გაეროს დამკვირვებლები გააკონტროლებენ. უნდა გაიმართოს კონსულტაციები, თუ ვინ და როდის განაღმავს მარუხის უღელტეხილს. ილაპარაკეს გალის რაიონში რუსულ-აფხაზური სამხედრო ძალების თავმოყრასთან დაკავშირებით, მაგრამ რუსებმა და აფხაზებმა უარყვეს ეს ინფორმაცია და განაცხადეს, — იქ მხოლოდ მძიმე სატვირთო ავტომანქანები დადიან, რომლებსაც ენგურჰესის სარემონტო სამუშაოებზე სამშენებლო მასალა გადააქვთო(!). ქართულმა მხარემ ეს, ბუნებრივია, არ დაიჯერა და გაეროს დამკვირვებლებს მოსთხოვა, გააკონტროლონ აფხაზთა და რუსთა ქმედებები!

## აფხაზები ისევ ჯიუტობენ

სოხუმში, ანრი ჯერგენიასთან მოლაპარაკება გამართა საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილზმა, რომელმაც მოუწოდა სეპარატისტებს, ქართველებთან ერთად შეუდგნენ ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვას თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. მაილზმა ასევე ცალსახად განუმარტა სოხუმის რეჟიმს, რომ აფხაზეთის პრობლემა გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და სხვა რამის ილუზია ნუ გექნებათო... ამასობაში კი, ლტოლვილებმა განაახლეს საპროტესტო აქცია ენგურთან და იმავდროულად გავრცელდა ინფორმაციაც, რომ აფხაზეთში კვლავ გამოჩნდნენ ქართველი პარტიზანები!

## 1,3 თეთრს საქართველო გადაგვიხდის თუ ამერიკა?

საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისის მოსახლეობა ელექტროენერგიის გაზრდილ ტარიფში კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე 1,3 თეთრს არ გადაიხდის. ამ თანხას სახელმწიფო დაფარავს. წინასწარი ანგარიშით, სუბსიდიის ოდენობა 16-18 მლნ ლარია. „ეი-ი-ეს თელასის“ საგადასახადო ქვითრებში კვლავ დაფიქსირებული იქნება ძველი ტარიფი — 12,4 თეთრი. სახელმწიფოს აღნიშნული სუბსიდიის გაცემაში დაეხმარება აშშ-ის საერთაშორისო განვითარბის სააგენტოს მიერ გამოყოფილი 9 მლნ დოლარის გრანტი. ამ 9 მლნ-ს სახელმწიფო „ეი-ი-ეს თელასს“ გადაუხდის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და გაჭირვებული ოჯახების ძველი დავალიანებების დასაფარავად. მიღებულ თანხას „ეი-ეს თელასი“ თბილისის გამრიცხველიანების დასრულებისთვის გაიღებს. ამის შედეგად, ხელისუფალთა მტკიცებით, გამოთავისუფლდება საბიუჯეტო სახსრები, რომელიც მოხმარდება სწორედ ტარიფში გაზრდილი 1,3 თეთრის დაფარვას... იმავდროულად, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო წელსაც, ზამთრის სეზონისთვის, საქართველოს კვლავ გამოუყოფს 5 მლნ დოლარის გრანტს, რომლის წყალობითაც 120 ათასამდე ოჯახი ოთხი თვის მანძილზე უფასოდ 800 კვტ/სთ ელექტროენერგიას მიიღებს!

## ლევსლი ქართველებს არ ენდობა

ხმაურიანი განცხადებები გააკეთა თბილისში საგანგებოდ ჩამოსულმა ამერიკული კორპორაცია „ეი-ი-ეს-ის“ ვიცე-პრეზიდენტმა გარი ლევსლიმ, „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, დატრიალებულ ტრაგედიას, ერთ-ერთი ვერსიით, „ეი-ი-ეს თელასში“ ნიკა ლომინაძის საქმიანობას უკავშირებენ. ვიცე-პრეზიდენტი ქართველ სამართალდამცავებს არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს და უნდობლობას უცხადებს მათ. ქართველმა სამართალდამცავებმა ვერ ააწყვეს თანამშრომლობა ამ საქმის გამოსაძიებლად სპეციალურად მოწვეულ აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებთან. აშკარაა, საქართველოში დანაშაულის მიჩქმალვის ტენდენცია მძლავრობს, მაგრამ ჩვენ ამის უფლებას არავის მივცემთო, — ბრძანა ვიცე-პრეზიდენტმა... სახელმწიფო მინისტრმა კორპორაციის ხელმძღვანელობას მაქსიმალური დახმარება აღუთქვა. „ეი-ი-ეს თელასში“ კი მკვლელობის ვერსიებს თავადვე ამუშავებენ და აცხადებენ: „ნიკა ლომინაძეს „ეი-ი-ეს თელასში“ დიდი თანამდებობა ეკავა და თუ იმასაც გავითვალიწინებთ, რომ საქართველოში ენერგეტიკის სფეროთი უამრავი მაფიოზური დაჯგუფებაა დაინტერესებული, მკვლელობის მხოლოდ ერთი ვერსია შეგვიძლია განვიხილოთ — „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური დოკუმენტაციის ხელში ჩაგდებაო. სხვათა შორის, გამოძიებაც ძირითად ვერსიად ამასვე ამუშავებს... ამასობაში კი პირადი დაცვა გააძლიერა „ეი-ეს თელასის“ მენეჯერმა იგნასიო ირიბარენმა.

## რა პატარა ყოფილა პანკისის ხეობაო!

საქართველოში ვიზიტით მყოფმა გავლენიანმა ამერიკელმა სენატორებმა: ჯონ მაკ-ქეინმა და ფრედ თომფსონმა შვეულმფრენიდან დაათვალიერეს პანკისის ხეობა. სტუმრები გააოცა ხეობის სიმცირემ (შეგახსენებთ, პანკისის ხეობა თავიდან ბოლომდე 18 კმ-ია), შემდეგ კი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ეუთოს დამკვირვებლები მოინახულეს, უშუალოდ მათგანაც მიიღეს ინფორმაცია საზღვარზე შექმნილი ვითარების შესახებ. სენატორებმა საქართველოსა და რუსეთს დიალოგისკენ მოუწოდეს და ამ მოლაპარაკებებში, როგორც შუამავლის, ამერიკული მხარის ჩართვის პირობაც დადეს. სენატორებმა თქვეს, რომ ეს პროცესი შეიძლება ვაშინგტონის ინიციატივით დაიწყოსო... ვიზიტის დასასრულს სენატორებმა იაღლუჯის პოლიგონზე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მიმდინარეობის შესახებაც მიიღეს ინფორმაცია ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთაგან. შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძესთან გამართეს დასკვნითი მოლაპარაკება და კმაყოფილებმა დატოვეს მათივე თქმით „აშშ-ის მეგობარი საქართველო, რომლის ჯარსაც უკვე შეუძლია სხვადასხვა ამოცანის შესრულება“!

## ნატო გვაიმედებს...

თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე დიტერ შტოკმანი, რომელმაც დავით თევზაძესთან ერთად ორი დღის მანძილზე განიხილა ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრებისთვის აუცილებელი პირობების შესრულება. დიტერ შტოკმანმა ცალსახად დააფიქსირა, რომ საქართველო მსოფლიო უსაფრთხოების კონტექსტში განიხილება, როგორც კავკასიის საკვანძო ქვეყანა და, შესაბამისად, ნატოსგან ყველა სახის დახმარებას მიიღებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების დასაჩქარებლადო! მეტიც, ბატონმა შტოკმანმა ღიმილით მიგვანიშნა: „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა იმის დამადასტურებელია, რომ ნატოში საქართველოზე სერიოზულად ფიქრობენ და ახლა ბევრი რამ ქართველებზეღაა დამოკიდებული, რათა ქვეყანა და არმია მიუახლოონ ნატოს სტანდარტებსო! შტოკმანის თქმითვე, ნატოს სარდლობა გეგმავს კოსოვოში მყოფი ქართველი სამშვიდობო ქვედანაყოფის (ოცეულის) გაფართოებას!

## ლტოლვილებს სადავო ბინებს სთავაზობენ!

ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ევროსასამართლოს ქართველი მოსამართლის მინდია უგრეხელიძის წყნეთის კუთვნილი აგარაკიდან აფხაზეთიდან ლტოლვილები უნდა გამოასახლონ და სანაცვლოდ ორი ოჯახი ორი სამოთახიანი ბინით დააკმაყოფილონ. ორივე ბინა უკვე გამოძებნილია ვარკეთილში. მაგრამ ლტოლვილები ირწმუნებიან, სადავო ბინებს გვთავაზობენ და უგრეხელიძის აგარაკიდან ფეხს მანამ არ მოვიცვლით, ვიდრე გარანტირებულ ბინებში არ შეგვასახლებთო...

## ამ იაპონელს რაღა უნდოდა!

ქართველმა მესაზღვრეებმა შატილთან ჩეჩნეთიდან გადმოსული კიდევ ორი ბოევიკი დააკავეს, ჩეჩენი საიდ ალიიატევი და... იაპონელი მინამი ჰიროში(!). მათ უკვე შეუფარდეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა. ეს იაპონელი ჯეელი ყოფილი სამხედრო გახლდათ, რომელიც სპეციალურად ამოვიდა პანკისის ხეობაში, მიიღო ისლამი და შემდეგ ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ იბრძოდა. საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს და ინფორმაცია უკვე მიაწოდეს რუსულ მხარეს. ქართველ ძალოვანთა განცხადებით, ამ ორი ბოევიკის რუსეთში ექსტრადიციის საკითხი სიტუაციის სრულად შესწავლის შემდეგ გაირკვევა... ამასობაში კი რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ 700-გვერდიანი „არზა“ გამოუგზავნა ქართველ კოლეგებს 3 და 4 აგვისტოს საქართველოს საზღვრის დარღვევისას დაკავებული 13 ჩეჩენი ბოევიკის „დანაშაულებრივი“ საქმიანობის შესახებ და კიდევ ერთხელ მოითხოვა მათი რუსეთში ექსტრადიცია.

უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას თქმით, ქართული მხარე საფუძვლიანად გაეცნობა რუსების მიერ გამოგზავნილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს და გადაწყვეტილებას ჩეჩენ ბოევიკთა მიმართ იმის მიხედვით მიიღებს, თუ სად უფრო მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი მათ, რუსეთში, თუ საქართველოს საზღვრის დარღვევისას! რაც შეეხება იაპონელს, მას უკვე შეხვდა ბაქოდან ჩამოსული აზერბაიჯანში იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები. ჰიროში ტელეფონით ოჯახის წევრებსაც ელაპარაკა...

## გამოსასყიდი თანხის სანაცვლოდ — გემი

სომალიში მეკობრეების მიერ გატაცებულ ბერძნულ გემზე მომუშავე 6 ქართველი მეზღვაური ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში გადამალეს. მეკობრეებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ გემთმფლობელის ადვოკატები. შედეგად მეკობრეებმა მეზღვაურთა გამოსასყიდი თანხა 600 ათასიდან 300 ათას დოლარამდე შეამცირეს, მაგრამ საუბედუროდ, ბერძნები აცხადებენ, რომ ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა არა აქვთ(!). ამასობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროში საქართველოს ელჩს რევაზ ადამიას მიმართა თხოვნით, რათა იქნებ გაეროს მეშვეობითაც როგორმე მოხერხდეს მეზღვაურთა გამოხსნა... მეკობრეებთან მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში არ არის გამორიცხული იქ მყოფი დასავლეთის ქვედანაყოფების მონაწილეობით ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც... ბოლო ინფორმაციით, ქართველი მეზღვაურების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამასთან, ბერძნები მზად არიან გამოსასყიდი თანხის სანაცვლოდ გემი გადასცენ მეკობრეებს!

## მართლა სცემა გიორგი გამსახურდიამ მამედ-ზადე?

ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე, რომელიც პრეზიდენტის ტრასაა და სამთავრობო დაცვა აკონტროლებს, ოთხშაბათს, გვიან ღამით, დიდი ჩხუბი და ცემა-ტყეპა გაიმართა, გაისმა გასროლაც... მოხდა კი შემდეგი: რესტორან „ხარფუხში“ შესულ გორგასლის ქუჩაზე მცხოვრებ ელდარ მამედ-ზადესა და მის სამ ნათესავს შელაპარაკება მოუვიდათ იქ მყოფ ცოლ-ქმარ ჩაჩუებთან. ხმაურზე რესტორანთან მივიდნენ სამთავრობო დაცვის სპეცსამსახურის წარმომადგენლები. ელდარ მამედ-ზადემ, თუ მისმა ერთ-ერთმა ნათესავმა პისტოლეტიდან გაისროლა. სპეცსამსახურის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. იქ მისულ პოლიციელებს წინააღმდეგობა მამედ-ზადეს დასახმარებლად მოსულმა მეზობლებმაც გაუწიეს. ატყდა ჯგუფური ჩხუბი, რომლის დროსაც ორივე მხარის წარმომადგენლები დაშავდნენ. ნაცემი ელდარ მამედ-ზადე გაიქცა. პოლიციამ კი მხოლოდ მისი ბიძაშვილის ემზარ მამედ-ზადეს დაკავება შეძლო. ამოღებულია პისტოლეტი „ვალტერი“, რომლიდანაც სპეცსამსახურის თანამშრომლებს ესროლეს.

ამ ინციდენტში მონაწილე პოლიციელებთან ერთად იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი, ზვიად გამსახურდიას ვაჟი გიორგი გამსახურდია, რომელსაც მამედ-ზადე ადანაშაულებს: მცემაო და აზერბაიჯანის საელჩოში ჩივილით ემუქრება. გიორგი გამსახურდია კი აცხადებს, მამედ-ზადე უშვერად ლანძღავდა კონსტანტინე გამსახურდიასაც, ზვიად გამსახურდიასაც და პირადად მეო... მაგრამ გამსახურდია და მისი თანამშრომლები გამორიცხავენ ეროვნული დაპირისპირების ნებისმიერ შესაძლებლობას.

## ჯაშუშებს გაათავისუფლებენ...

სამი სტავროპოლელი მილიციელი (კულუარული ინფორმაციით კი რუსეთის ჯაშუშ-დივერსანტები), რომლებიც პანკისის ხეობაში სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით დაიჭირეს და ამჟამად წინასწარ სამთვიან პატიმრობაში იმყოფებიან მე-5 იზოლატორში, შეიძლება გაათავისუფლონ პატიმრობიდან საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ შესაბამისი თავდებობის ვალდებულების აღების შემთხვევაში, — განაცხადა უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ. მიხაილ პტიჩკოვი, ვლადიმირ ბლინოვი და იური უგრიუმოვი საპატიმროში შიმშილობენ და ამით ამტკიცებენ თავიანთ „უცოდველობას“ — პანკისში დანჯღრეული „ჯიპის“ საყიდლად და ხაჭაპურის საჭმელად მივდიოდითო(!). იმავდროულად, მოსკოვი მათი გათავისუფლების „თხოვნა-ულტიმატუმებით“ ბომბავს თბილისს. დაკავებულები თბილისში გამოძიების დასრულებამდე დარჩებიან თუ არა, ამის გარანტიას ვერავინ იძლევა. ალბათ მათ უმალვე გაამგზავრებენ რუსეთში „დიპლომატიური ფოსტით...“

## გამოთხოვება

გასულ კვირას ქართული საზოგადოება დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა უსაყვარლეს პოეტს მურმან ლებანიძეს, რომლის დაბადების 80 წლის იუბილე მალე უნდა გამართულიყო. მურმან ლებანიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.




## ფილიპინებზე იელოველებს თავი მოჰკვეთეს

ფილიპინებზე ისლამური ტერორისტული დაჯგუფების აბუ-საიაფის ბოევიკებმა ახლახან აყვანილი ექვსი მძევლიდან (ოთხი ქალი, ორი მამაკაცი) ორივე მამაკაცს... თავი მოჰკვეთეს. მოჭრილ თავებზე ბარათი მიამაგრეს წარწერით „ასეთ ხვედრს გაიზიარებს ყველა, ვისაც ალაჰის არ სწამს“. ახლა მათ ხელთ ოთხი ქალია და გავრცელდა ინფორმაცია, რომ მძევლები იეღოვას მოწმეთა სექტის წევრები არიან და მოსახლეობაში ქადაგებდნენ. ეს გატაცება პირველია მას შემდეგ, რაც ფილიპინებზე ამერიკელი ინსტრუქტორები ჩავიდნენ ფილიპინელი ჯარისკაცების აბუ-საიაფის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსამზადებლად. ამერიკელებმა ფილიპინები ერთი თვის წინ დატოვეს... ახლა ხელისუფლება მოლაპარაკებას აწარმოებს ტერორისტებთან ქალების გასათავისუფლებლად.

## თუ სპირტით ხელ-პირს არ დაიბან, ნუ შემხვდები!

რუსეთს ჯავშნიანი მატარებლით ეწვია ჩრდილოეთ კორეის „ბელადი“, კორეელი ხალხის მასწავლებელი და მამა-მარჩენალი კიმ ჩენ ირი, ოღონდ ამჯერად ბელადი შორეული აღმოსავლეთის ქალაქების და რუსეთის რამდენიმე სამხედრო ქარხნის დათვალიერებით დაკმაყოფილდა. მისი მოგზაურობის მარშრუტის ტრასაზე დაცვის უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული. რუსი გუბერნატორები და ჩინოვნიკები საგონებელში ჩააგდო ვიზიტამდე მოსულმა ინფორმაციამ და თხოვნამ, რომ ბოლო დროს კიმ ჩენ ირის ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე 500-მდე სპეციალისტი ზრუნავს; თურმე, სანამ ვინმეს შეუშვებენ ბელადთან კაბინეტში, ყველას სპირტით უწმენდენ სახეს და ხელებს(!) და ამიტომ რუსეთის ქალაქებსა და ქარხნებში მოგზაურობისას ბელადს რაც შეიძლება ნაკლები ხალხი დაახვედრეთო(!). რუსებმა ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს, თუმცა უცნობი დარჩა, იბანდნენ თუ არა სპირტით ხელ-პირს ბელადთან ახლოს ყოფნისას და საუბრისას.

კიმ ჩენ ირს ფიზიკური განადგურების შიშმა მას შემდეგ დარია ხელი, რაც ჯორჯ ბუშმა ჩრდილოეთ კორეა „ბოროტების ღერძის“ ერთ-ერთ წევრად გამოაცხადა და ლამის დაიფიცა, რომ სადამ ჰუსეინისა და ირანის ფუნდამენტალური რეჟიმების დამხობის შემდეგ მისთვისაც მოიცლიდა. მაგრამ კორეელ ბელადს ჯერჯერობით რეალურად არ ემუქრება დამხობა. იგი ფანატიკურად უყვართ ჩრდილოეთ კორეაში, მოკავშირედ კი მეზობელი დიდი რუსეთი ეგულება. პრეზიდენტი პუტინი საგანგებოდ ჩაფრინდა ვლადივოსტოკში კიმ ჩენ ირთან შესახვედრად, რასაც ალბათ არ მოუწონებენ ვაშინგტონში!

## ლომ-ვეფხვის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო

საოცარი ამბავი მოხდა კალინინგრადში და, როგორც ჩანს, ჩინოვნიკთათვის ჭკუის სასწავლებელი. ქალაქის მერიის უყურადღებობით და დაუფინანსებლობით გაბეზრებულ-განრისხებულმა ადგილობრივი ცირკის მსახიობ-მომთვინიერებელმა „მსახიობ“ ვეფხვს ლაგამი ამოსდო და მასთან ერთად ქალაქის მერიას მიაშურა(!). მას სხვა მსახიობებიც ახლდნენ. მერიის გაგიჟებულმა დაცვამ პისტოლეტები დააძრო და კინაღამ საიქიოს გაისტუმრა ვეფხვი პატრონიანად. კალინინგრადის მერმა „სტუმრები“ კაბინეტში მიიპატიჟა(!). გულაჩუყებულმა მოისმინა ცირკისა და მშიერი ვეფხვების ამბავი, ყველანაირ დახმარებას შეჰპირდა მსახიობებს და იმდენი თავხედობაც ეყო, რომ ხალიჩაზე მისვენებულ ვეფხვს... თავზე მიფერებოდა! ცირკის მსახიობებმა „ტკბილად“ მიანიშნეს მერს, თუ დაპირებებს არ შეგვისრულებთ, უკვე... ლომებითა და გორილით გესტუმრებითო!

# რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენ „აპრაკუნეების“ და „ლამაზისეულების“ თემით ვართ გართულნი

რა ლამაზი და რა პატარა ყოფილა პანკისის ხეობაო, — უთქვამს გავლენიან ამერიკელ სენატორს ჯონ მაკ-ქეინს, როცა შვეულმფრენიდან დაუთვალიერებია „საერთაშორისო ტერორისტთა ბუდედ“ გამოცხადებული ხეობა, რომელიც რუსეთის პროპაგანდის წყალობით, უზარმაზარი, ავღანეთის მთების მსგავსი და გამოქვაბულებით სავსე ტერიტორია ჰგონებია. ამ ფაქტმა ერთი ცნობილი ამბავი გამახსენა: რუსი გენერალი აუყვანიათ მცხეთის ჯვარზე. მას კი ულამაზესი გარემოსთვის არც კი მიუქცევია ყურადღება, გადმოუხედავს და უთქვამს, — მდაა, ხოროში ნაბლიუდატელნი პუნკტო! რუსეთი დღემდე კვლავაც იმ გენერლის აზროვნებით ჭრის და კერავს, და ბომბავს კიდეც ქართულ მიწა-წყალს. ახლახან, როცა რუსეთი ხანკალაში დაღუპული 116 სამხედროს გლოვობდა, ნტვ-თი უჩვენეს ერთ-ერთი დაღუპული მედესანტის ოჯახი და იცით, რა თქვეს მისმა მშობლებმა? — ჩვენ შვილს პატრიოტად ვზრდიდით, თავდადებით ებრძოდა ჩეჩენ ტერორისტებს, მანამდე კი აფხაზეთში ომობდაო! აფხაზეთში ის მედესანტე, რა თქმა უნდა, ქართველ „ტერორისტებს“ ებრძოდა და რა შედეგი მოუტანა ასეთმა „პატრიოტულმა აღზრდამ“ რუსეთს, როგორც ჩანს, მათი სოლდაფონური აზროვნება კიდევ დიდხანს ვერ გადახარშავს... ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ჩვენ კი ჩვენს სატკივარს მივხედოთ: სატკივარი სამწუხაროდ, ქართულ საინფორმაციო სივრცეშიც გვჭირს... სამაჩაბლოში გატაცებული ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში №1 სახელმწიფო საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანსაც და გორელ ჟურნალისტსაც პირზე ეკერათ გამოთქმა „ოფიციალური ცხინვალი“ და ამით ალბათ დიდად გაახარეს ოსი სეპარატისტები ქალაქ ცხინვალის დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქის რანგში მოხსენიებით!... „რუსთავი-2“-ის თიანურმა სიუჟეტმა კი, ნებსით თუ უნებლიეთ დაასხა წყალი რუსეთიდან მომდინარე ანტიქართული პროპაგანდის წისქვილზე, რაც დაბომბვით, მსხვერპლით და სერგეი ივანოვის და სხვა სოლდაფონთა კმაყოფილებით აღსავსე განცხადებებით დასრულდა — ქართველებმა თვითონ დაიბომბეს თავიო! ვესაუბრები ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ წევრს, პარლამენტარ **თედო პაატაშვილს**.

— რა თქმა უნდა, დასაგმობია, რომ საქართველოს უსუსური ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას, უპრინციპობას ამჟღავნებს რუსეთის აგრესიისადმი, მაგრამ ეს არ აძლევს არავის უფლებას, დაუფიქრებელი საქციელით მტრის ინტერესების განხორციელებას შეუწყოს ხელი. შინაგანი კონტროლის, თვითცენზურის უქონლობას რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, ქართული სისხლი ხომ უნდა გქონდეს?! ის, რომ „რუსთავი-2“ უშიშროების სტრუქტურებზე მდიდარია და შეუძლია ყველგან მოიპოვოს ინფორმაცია, არ აძლევს უფლებას, სახელმწიფოს ინტერესების შემლახველი და მოსახლეობისათვის რეალური საფრთხის შემცველი ინფორმაციები ხელაღებით გაავრცელოს. სენსაციის ძიებამ კი ის მოიტანა, რომ მათ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსეთის პროპაგანდამ ინტერნეტით მთელ მსოფლიოს მოსდო თიანეთში ტერორისტების ყოფნის ამბავი და უხერხულ სიტუაციაში ჩააგდო ქართული დიპლომატია (რაც რუსეთში ჩვენმა ელჩმაც აღნიშნა). გასაგებია, რომ შევარდნაძესაც და სხვა ხელისუფალთაც არაერთხელ უთქვამთ, პანკისში ჩეჩენი ბოევიკები არიანო, მაგრამ დღეს, ფაქტობრივად, უკვე აშკარა აგრესიასთან გვაქვს საქმე აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და პანკისში, ამ ბოევიკებს კი უსისხლოდ ვუშვებთ ჩვენი ტერიტორიიდან. ვაშინგტონი უკვე კატეგორიულად მოუწოდებს მოსკოვს, პოლიტიკური გზით გადაჭრას ჩეჩნეთის კონფლიქტი და რა, ჩვენ წამოვიწყოთ ის ომი ჩვენსავე მიწაზე, რომელიც რუსეთს ჩეჩნეთში 150-ათასიანი არმიით დღემდე ვერ მოუგია? უმძიმესი პროცესები მიდის საქართველოს ირგვლივ. უკვე სისხლი დაიღვარა. ხელისუფლებას საკუთარი ცოდვებიც ეყოფა, მაგრამ მატნელი კაცის სიკვდილი გარკვეულწილად მასმედიის კისერზეცაა! ვეთანხმები იმავე „რუსთავი-2“-ში გამოთქმულ გია ბარამიძის პოზიციას, რომ მსგავს ინფორმაციას შეიძლება დაბომბვა მოჰყვესო და აკი მოჰყვა კიდეც.

უნდა მოხდეს უმაღლესი დიპლომატიური დემარში და ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიწვიოთ, დროებით მაინც, რუსეთიდან ჩვენი ელჩი. უნდა დაიწყოს მასობრივი გამოსვლები რუსეთის ბაზებისა და ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით და კატეგორიულად მოვითხოვოთ სტამბოლის ეუთოს სამიტის გადაწყვეტილებების შესრულება. ამასთან, უნდა ვაიძულოთ რუსეთი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოახდინოს ამ დანაშაულებრივ ქმედებათა მატერიალურ-ფინანსური კომპენსაცია. რაც შეეხება შევარდნაძის დადანაშაულებას იმაში, რატომ უწოდა გელაევს განათლებული და ნორმალური ადამიანიო, არ არის სწორი. იქნებ გავბედოთ და ვთქვათ, რომ ყველა ჩეჩენი მეომარი ტერორისტი არ არის. 11 სექტემბრამდე მათ ცალსახად უწოდებდნენ ამბოხებულებს, ხოლო როცა აშშ-ს რუსეთი დასჭირდა ანტიტერორისტულ კამპანიაში, პირში წყალი ჩაიგუბეს.

თუ ჩეჩნები ტერორისტები არიან, რატომ არ მოიხსენიებენ არძინბას დანაშაულებრივ სეპარატისტულ კლანს, რომელმაც ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა მოაწყო, ამავე სახელით? ან, ჩვენ რატომ არ ვითხოვთ არძინბას გადმოცემას? რაც შეეხება გელაევს, იგი მისაღებია არა მარტო ჩვენთვის, არამედ აჰმედ კადიროვისთვისაც კი. გელაევი საკუთარი სამშობლოსთვის იბრძოდა და არ გახლავთ ბანდიტი, კაცისმკვლელი, ნარკობიზნესსა და ადამიანთა გატაცებებში გარეული. ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად თვითონ რუსეთის კაცი და აგენტი კადიროვი სთავაზობს მოსკოვს რუსლან გელაევის, როგორც ჩეჩნეთში აღიარებული ავტორიტეტული პიროვნების, კანდიდატურას — შეიძლება მასთან ლაპარაკიო და ჩვენგან, ან შევარდნაძისგან რატომ უკვირთ მსგავსი განცხადებები? თუ ჩეჩნეთში მშვიდობა და სტაბილურობა სურთ, სწორედ ისეთ ჩეჩენ ლიდერებს უნდა ელაპარაკონ, რომლებსაც თავისი ხალხის წინაშე თავი არ შეურცხვენიათ. ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყროს ხელისუფლება დაკავებული ჩეჩენი მეომრების რუსეთისთვის გადაცემის საკითხს. საერთაშორისო ძებნილი იგორ გიორგაძე არ გადმოუციათ და რატომ უნდა გადავცეთ ჩეჩენი მეომრები? თუ ჩეჩნები ტერორისტები არიან, აფხაზები და ოსები არ არიან ტერორისტები? თუ რუსეთისთვის აგრესიული სეპარატიზმი ტერორიზმია, საქართველოსთვის რატომ არ არის აგრესიული სეპარატიზმი ტერორიზმი?

— **საქართველოში აშკარად მძლავრობს პოლიტიკური კორუფციაც, რაც განადგურებას უქადის ისედაც სუსტ სახელმწიფოებრიობას...**

— თუ დაუყოვნებლივ არ იქნა გლობალურად გააზრებული შექმნილი ვითარება და კონკრეტული გადაწყვეტილებები მიღებული, ალბათ გამართლდება საქართველოს ერაყში გაცვლის



5 ათას დოლარად ესვრიან რომელიმე მიტინგს, ან თავყრილობას, მეორე 5 ათასად კი მოკლავენ ისეთ ლიდერს, გია ჭანტურიას მეათედი დონის პოლიტიკოსიც რომ არ არის და მორჩა, 10 ათასად დესტაბილიზაციაც გარანტირებული გვაქვს.

პროგნოზი. ვხედავთ, რომ რუსეთი დაბომბვების პარალელურად, კვლავ ყველანაირად ხელს უწყობს კონფლიქტების ესკალაციას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. რუსულ-სომხურ-აფხაზური დესანტი მარუხიდან ფეხის მოცვლას არ აპირებს, ახალგორში რუსებთან ერთად, ჩემი ინფორმაციით, შეიჭრა ჩრდილოეთ ოსეთის „ომონი“. თან ჩვენდა სამარცხვინოდ, ქართული სამშვიდობო ბატალიონის წევრებს გზებზე აყენებენ მანქანების შესამოწმებლად, სცემენ კიდეც, თვითონ კი სანგრებს თხრიან და ხეობას იკავებენ. მხოლოდ საქართველოს უმწვავესი რეაქცია აიძულებს მათ, აიბარგონ იქიდან. ამიტომ რაც მთავარია, უნდა განისაზღვროს საქართველოს პოლიტიკა. ეს უწინარესად, პარლამენტის პრეროგატივაა. კერძოდ, საზოგადოებასთან თანხმობით, ცალსახად უნდა ჩამოყალიბდეს და დაფიქსირდეს, თუ როგორი სახელმწიფოა საქართველო, რა ფუნქციას ასრულებს კავკასიაში და საერთოდ, ევრაზიულ სივრცეში, რა პოლიტიკა უნდა გაატაროს შექმნილ ვითარებაში და ა.შ.

— **ქვეყანა ცაიტნოტშია. ეყოფა კი ხელისუფლებას დრო, ძალა, პოლიტიკური ნება, რათა გაძვრეს „სცილასა და ქარიბდას“ შორის?**

— უნდა ეყოს, რადგან თავად ცაიტნოტი გვაიძულებს და გვაძლევს ამის შანსს და თუნდაც იმის გათვალისწინებითაც, რომ ქართული საზოგადოება არის კულტურული, განათლებული, გაცილებით უფრო პატიოსანი, ვიდრე პოლიტიკური ისტებლიშმენტი და მით უმეტეს, ხელისუფლებაა. უკვე იქმნება სიტუაცია, როცა საზოგადოება კარნახობს და მომავალში უფრო დაბეჯითებით უკარნახებს ხელისუფლებას, რა გააკეთოს და რა არა. ყველამ იცის, ვინ რამდენს იპარავს და მათ თარეშს წერტილი უნდა დავუსვათ; უნდა შევთანხმდეთ, რომ არ ვეომოთ ერთმანეთს, ერთპიროვნული მმართველობა სამუდამოდ ჩავაბაროთ წარსულს და ა.შ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოშიც არსებობენ ჩამორჩენილი, კომუნისტურად მოაზროვნე, უეროვნებო და მოკოსმოპოლიტო ძალები და ყველა პირობა არსებობს, კვანძის გასახსნელად საბოლოო დაპირისპირება მოხდეს სწორედ საქართველოში. კერძოდ, რაც უფრო დიდ შეცდომებს დაუშვებენ რუსეთის იმპერიულ-სოლდაფონური ძალები საქართველოში სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურების სახით და რაც უფრო დაუჭერენ მხარს ამას ზემოთ ჩამოთვლილი ძალები, მით უფრო სწრაფად გათავისუფლდება ქართულ-რუსული ურთიერთობები კრეტინული პოლიტიკისა და საბინძურისაგან. ხოლო, რაც უფრო მობილიზებული და გაერთიანებული შეხვდება ამ შეჯახებას ქართველი ერი, მით ნაკლებმტკივნეული იქნება ჩვენთვის შიდაგანწმენდის და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოგვარების პროცესიც. არაფერი საბოდიშო რუსეთთან არა გვაქვს და არც არანაირი ვალი არ გვმართებს მისი. მარტო გატანილი იარაღისა და ბაზების ყოფნის გადასახდელი იმდენი ფული გვეკუთვნის მათგან, რომ მისი გაზი 10 წელი უფასოდ შეგვიძლია მივიღოთ, თუ პრინციპულად დავუდგებით.

— **და ამ მოსალოდნელი, იმედი ვიქონიოთ, საბოლოო კატაკლიზმების, ღირსეულად გადასატანად, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული პოლიტიკური სპექტრის პოზიციას და ქმედებებს, მათ გამსხვილება-გაერთიანებას და არა დაქსაქსვას.**

— დიახ, მიმდინარეობს პარტიათა გამსხვილების პროცესი და ვერავინ იტყვის, რომ ეს ცუდი მოვლენაა, მით უმეტეს, რომ გარკვეული ფორმით ერთიანდებიან გუშინ-გუშინწინ ერთმანეთთან პიროვნულად და პოლიტიკურად დაპირისპირებული ისეთი ლიდერები, როგორებიც ჟვანია და სარიშვილი-ჭანტურია არიან. მათი ერთმანეთთან დამაკავშირებელი არის აკაკი ასათიანი. როგორ განვითარდება ეს გაერთიანება, ამას უახლოესი მომავალი და ხელისუფლების ქმედება გვიჩვენებს. თუ ხელისუფლება არჩევნებამდე არ გამოასწორებს ვითარებას და კვლავ დაუშვებს უმძიმეს შეცდომებს, გარწმუნებთ, რომ ხალხი შეაზანზარებს ამ ხელისუფლებას. და კიდევ: სრულიად გამორიცხულია, რომ საქართველოში გაგრძელდეს ერთპარტიული უმრავლესობის მმართველობა პარლამენტსა და ხელისუფლებაში ერთი პიროვნების ლიდერობით. არათუ შევარდნაძის მსგავსი ერთპიროვნული მმართველი, არამედ კახა თარგამაძისნაირი „რკინის მინისტრიც“ არ გამოიზრდება დარჩენილ ორ-სამ წელიწადში. ყველა შემთხვევაში, ორი წლის შემდგომი საქართველო უნდა იყოს დემოკრატიული და ამის მანიშნებელი არის ისიც, რომ უკვე არავითარ შემთხვევაში აღარ მოხდება გაერთიანება პიროვნების, ან პარტიის გარშემო.

— **პროგრამა „ვრემიით“ გამოსვლისას ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტმა ნიკონოვმა, საქართველოს ლანძღვაგინების მერე ის 65 და 10 მილიონი დოლარი მოიკითხა, რომელიც ვაშინგტონმა საქართველოს გამოუყო კონტრტერორისტული ბატალიონების მოსამზადებლად და საქართველო-რუსეთის საზღვრის გასამაგრებლად. ამით დააკნინა პანკისის ხეობაში დაწყებული ოპერაცია და სწავლება და აშკარად გაამჟღავნა, რომ რუსები ამერიკელების ამ ფულს თვითონ ელოდნენ სწორედ პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელების „დასაფინანსებლად“...**

— რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რუს გენერლებს ჰქონოდათ იმის იმედი, რომ გაეროში მანდატის აღების შემდეგ უკვე მიიღებდნენ ამ ოპერაციის საზღაურს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ფულამდე მიდის, მაპატიეთ და, ამ გათახსირებულ პოლიტიკაში როგორც რუსეთში, ისე საქართველოში და საერთოდ, იმისდა მიხედვით, განვითარების როგორი დონის ქვეყანაა აშშ-ის ჩათვლით.

ისლამური ფანატიზმისა და რუსული იმპერიალიზმის მთელი ნაგავი მიმართულია კავკასიისკენ, უწინარესად საქართველოსკენ. მაგრამ თუ ისლამური ფუნდამენტალიზმის მიზნები ცნობილია, რუსეთი ძალიან ჭკვიანურ შიდა და საგარეო პოლიტიკას ატარებს. კერძოდ, საკმაოდ ეფექტურ და მისთვის მომგებიან თამაშს ეთამაშება დასავლეთს. და ისე, როგორც დღეს სჭირდება აშშ-ს რუსეთი ტერორიზმთან ბრძოლაში, არასოდეს არ დასჭირვებია მსოფლიო ომის შემდეგ. პუტინის მთავარი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ კგბ-ს ელიტარული წრიდანაა გამოსული, განათლებულია, ახალგაზრდაა, არ არის ლოთი და აზროვნების უნარი შესწევს. როგორც კი აშშ-მა საერთაშორისო ტერორიზმის დამფინანსებელ წყაროებს, ოფშორულ ზონებს დაარტყა და ანგარიშები გაყინა, რუსეთი სასტიკი გაძარცვის და ტრილიონობით დოლარის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. რუსეთში ხელისუფლებამ უმალ შეიმუშავა საგადასახადო კანონი და გამოაცხადა — რამდენი მილიარდიც უნდა გქონდეთ გატანილი, 14% გადაუხადეთ სახელმწიფოს და დანარჩენი თანხა ავტომატურად გათეთრდება. ამასთან, ამ გათეთრებული ფულიდან, თუ მაინც არ ენდობით სახელმწიფოს, 75% წაიღეთ შვეიცარიის ბანკებში, ან სადაც გინდათ და 25% შემოიტანეთ რუსულ ბანკებშიო. ეს მექანიზმი უკვე ეფექტურად მუშაობს რუსეთში, რაც „ოქროს შუალედის“ კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენთან კი 10 წელიწადია ვიბრძვით და ვერ მივაღწიეთ წარმოების გასაცოცხლებლად გადასახადების დაწევას. მაღალი გადასახადები სჭირდებათ ჩინოვნიკებს, როგორც კორუფციის შესანიშნავი წინაპირობა. 40%-იანი გადასახადების პირობებში ჩინოსანი და მეწარმე ამ ფულს შუაზე იყოფენ. მეტიც, რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენ „აპრაკუნეების“ და „ლამაზისეულების“ თემით ვართ გართული და გვაინტერესებს, სააკაშვილი დაიჭერს ყველა ჩინოვნიკს, თუ ხელისუფლება დაიჭერს სააკაშვილს.

— **როგორ შეაფასებდით მთავრობის ბოლო სხდომაზე მომხდარ ამბებს და დაპირისპირების მორიგ აზვირთებას ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის? ფაქტია, რომ სააკაშვილი ლამის №1 კორუფციონერად გამოაცხადეს.**

— მთავრობის სხდომაზე მოხდა მნიშვნელოვანი რამ: ქართული ისტებლიშმენტის ორმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან სულხან მოლაშვილმა და პოლიტიკური სპექტრიდან — მიხეილ სააკაშვილმა „ეპითეტებით“ შეამკეს ერთმანეთი, რაც იმის მაუწყებელიცაა, რომ შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო ხელისუფლებისთვის ბრძოლის ბოლო ფაზა. ეს ყველაფერი მაგონებს „ვერის უბნის მელოდიებში“ დოდო აბაშიძის გმირის ნამღერს, ერთი მხრივ, „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი“ და მეორე მხრივ, „ყველა დასაჭერია, ყველა დასახვრეტიაო“, ანუ ანეკდოტურ სიტუაციაში ვართ უკვე. ამიტომ, თუ სასწრაფოდ არ დავარეგულირეთ სიტუაცია და ერთი მხრივ, ხელისუფლებამ გაუთავებლად იძახა — ნუ იქნება ოღონდ ბუნტიო და საამისოდ უპრინციპოდ დათმო ყველაფერი, ვთქვათ, იმავე რუსეთთან ურთიერთობებში „იტერასთან“ დაკავშირებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მიმართულებით, შეეგუა დაბომბვებსა და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ღირსების ხელყოფას და ა.შ. მეორე მხრივ კი, თუ გავაგრძელეთ შიდაგარჩევები იმის გასარკვევად, ვინ — ცოდვილია და ვინ უცოდველი, „ყველა დასაჭერია, ყველა დასახვრეტია“-ს პრინციპით და ქართველებმა ერთმანეთი მივაყენეთ კუთხეში, ეს ორივე გზა დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის.

დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია „ოქროს შუალედის“ მოძებნა აღნიშნულ ორ პოზიციას შორის.

— **სად ხედავთ გამოსავალს, ანუ „ოქროს შუალედს“ და რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამგვარი პერსპექტივა დაპირისპირებულ მხარეთა მიერ პოლიტიკური ნების გამოხატვის თვალსაზრისით.**

— რაც არ უნდა თქვან, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მიშა სააკაშვილი გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და აქტიური მინისტრი და დააბრალო მას ქურდობა, ყოვლად უსაფუძვლო და დაუშვებელია. მაგრამ თვითონ მინისტრად ნამუშევარი სააკაშვილის მუქარა, ყველას დაგიჭერთ და დაგსჯითო, მთავრობას ჩიხში ამწყვდევს და აიძულებს, რადიკალურად გაამწვავოს ვითარება, რაც არავინ იცის, სადამდე მიგვიყვანს. მსგავსმა დაპირისპირებამ შეიძლება კვლავ აზვირთოს ტერორიზმი, რომელიც გაცილებით „იაფია“ და „ეფექტურიც“. ტერორის გაღვივებას კი ხელს შეუწყობენ გარე ძალებიც.

ორ წელიწადში გარდაუვალია ამ ხელისუფლების შეცვლა და თუ მან ცალსახად გადაულოცა პოლიტიკური მემკვიდრეობა თავის რომელიმე კლანს, ეს დაგვღუპავს. ამ შემთხვევაში ვეთანხმები სააკაშვილს, რომ აუცილებელი გახდება სახალხო გამოსვლების დაწყება! ამიტომ, „ოქროს შუალედის“ მოსაძებნად აუცილებელია, სწორად გავიაზროთ და შევაჯეროთ თვითგაწმენდის პროცესიც და გარედან მომდინარე საფრთხის ფაქტორიც და მივიდეთ კონსენსუსამდე, რომ ყველანაირი პირადი და პოლიტიკური ამბიცია დაუშვებელია ქვეყნისთვის გადამწყვეტ ამ ისტორიულ ეტაპზე. კერძოდ, ვგულისხმობ შემდეგს: საქართველოს ხელისუფლება რომ გასაკრიტიკებელია ყველა მიმართულებით და ყველაფრის ღირსიცაა, უდავოა, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით ხდება უმნიშვნელოვანესი მოვლენა. შარშან დეკემბრიდან დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-საქართველოს შორის და დღეს გავლენიანი სენატორი ჯონ მაკ-ქეინი უკვე არ ფარავს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზების საკითხებს კურირებას გაუწევს ვაშინგტონი და ამ საქმეში შუამავლადაც დაგვიდგება. ანუ ხდება როგორც სამხედრო, ისე მაქსიმალური დონის პოლიტიკური უზრუნველყოფა ამ ურთიერთობების დასარეგულირებლად. მეტიც, ეს დარეგულირება საბოლოოდ მთელ კავკასიას უნდა შეეხოს, რომლის კულტურული, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ცენტრი საქართველოა. ამიტომ, თუ შეცდომები იქნა დაშვებული და ქვეყანაში სიტუაცია აირია, პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლება. ამიტომ ხელისუფლებამ იმ ილუზიაში კი არ უნდა გადაიგდოს საკუთარი თავი და აკეთოს განცხადებები, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავ და ხვალ მას დავიჭეროთ, არამედ უნდა მოძებნოს ის რამდენიმე მართლაც დასაჭერი პიროვნება, დააპატიმროს და დასაჯოს, რადგან უამისოდ შიდაპროცესებს ვერ დავალაგებთ. აი, ამის შემდეგ დაიწყება კორუფციასთან რეალური ბრძოლა. იმავდროულად, თუ ხელისუფლებამ არ გამოიჩინა სიმტკიცე რუსეთის მიმართ და არ მონახა თუნდაც იმავე აშშ-ის შუამავლობით მოსკოვთან ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელიც დააბალანსებს საქართველოში რუსეთისა და აშშ-ის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებს, ამ სიტუაციიდან ვერ გამოვალთ და 10 ათას დოლარად საქართველოში ააგორებენ დესტაბილიზაციას.

— **ანუ მიმართავენ პოლიტიკურ მკვლელობებს და ტერაქტებს.**

— რა თქმა უნდა. 5 ათას დოლარად ესვრიან რომელიმე მიტინგს, ან თავყრილობას, მეორე 5 ათასად კი მოკლავენ ისეთ ლიდერს, გია ჭანტურიას მეათედი დონის პოლიტიკოსიც რომ არ არის და მორჩა, 10 ათასად დესტაბილიზაციაც გარანტირებული გვაქვს.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# „დედაო ღვთისავ, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“...

მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — „მარიამობა“ ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც 28 აგვისტოს აღინიშნება (მას წინ უსწრებდა ორკვირიანი მარხვა).

ყოვლადწმიდა მარიამის მიძინება უფლის ცად ამაღლებიდან 15 წლის შემდეგ აღესრულა. გადმოცემის მიხედვით, მას გაბრიელ მთავარანგელოზმა სამი დღით ადრე აცნობა მიწიერი ცხოვრების დასასრულის თაობაზე.

ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილი მოციქულები სასწრაფოდ შეიკრიბნენ იერუსალიმში, ღვთისმშობლის ირგვლივ. საერთო ლოცვის შემდეგ, მესამე საათს, როცა მიძინების (გარდაცვალების) ჟამი მოახლოვდა, სახლი, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, ღვთაებრივი ნათელით გაბრწყინდა და ქრისტე ღმერთი თავისი სრული დიდებით, — მთავარანგელოზების, ანგელოზებისა და წინასწარმეტყველთა თანხლებით გამოეცხადათ. უფალმა იესო ქრისტემ დედის უბიწო სული მიირქვა და ზეცაში აამაღლა.



დედა ღვთისა გეთსიმანიის ბაღში დაკრძალეს.

ქრისტეს მოწაფეები სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ლოცულობდნენ და გალობდნენ სამარხთან. თომა მოციქული ვერ გახდა ღირსი წმ. ცხედართან გამოთხოვებისა, იგი მხოლოდ მესამე დღეს მივიდა და გულმდუღარედ ატირდა.

მოციქულებს შეებრალათ იგი და ლოდი, რომლითაც აკლდამა იყო დახშული, გადააგორეს — და ჰოი, საოცრებავ! — იქ ყოვლადწმიდა მარიამის სუდარაღა იპოვეს. ყველასათვის გაცხადდა — დედა ღვთისა ძე ღვთისამ არა მარტო სულით, არამედ სხეულითაც აიყვანა ზეციურ სასუფეველში.

შეიძლება ურწმუნო ადამიანმა იკითხოს, როდესაც ახლობელი ადამიანი გვიკვდება, ვგლოვობთ და ვწუხვართ, ღვთისმშობლის გარდაცვალებას რატომღაც ვდღესასწაულობთო.

იმიტომ, რომ ცად ამაღლების შემდეგ დედა ღვთისა მთელი კაცობრიობის მარადიული მფარველი, მეოხი და შუამდგომელი გახდა ღვთის წინაშე.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ერს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი; ღვთის განგებულებით ჩვენი ქვეყანა მფარველობისათვის წილად ხვდა თვით ზეციურ დედოფალს.

მაშ, ვევედროთ ჩვენ, ცოდვილი ქართველობა, ჩვენს მფარველსა და მცველს, რომ ამ ძნელბედობის ჟამს მოგვმადლოს სინანული ცოდვათა ჩვენთა გამო, იმედი და სიყვარული ღვთისა და მოყვასისა და დაიცვას ჩვენი სამკვიდრებელი ხილული და უხილავი მტრისაგან. ამინ!

# სკოლაში წასვლა 100 ლარი ღირს

## 2 სექტემბერს სწავლა დაიწყება



ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად მშობლებს ახალი პრობლემები უჩნდებათ. იმის გასაგებად, თუ რა უჯდებათ შვილების სკოლაში გაშვება, გადავწყვიტე, ბაზრობაზე შემევლო და სასკოლო სახელმძღვანელოებზე ე.წ. „ბაზრობის“ ფასები დამედგინა. თავდაპირველად სადგურის ტერიტორიაზე რიგ-რიგად ჩალაგებულ წიგნებთან მდგარ მცხუნვარე მზით გათანგულ გამყიდველებთან ვცადე გასაუბრება.

**— სახელმძღვანელოების ხალვათობაა, არადა, რამდენიმე დღეში სწავლა დაიწყება...**

— წელს ძალიან გაგვიჭირდა, ბოლო წლებია, სტამბებს, სადაც ეს წიგნები იბეჭდება, „დასდევენ“. რამდენიმე უკვე დახურეს. ჰოდა, თუ წიგნებს არ მოგვაწვდიან, რა უნდა გავყიდოთ.

— ვერ გამიგია, ჩვენ რას გვერჩიან, — საუბარში გამვლელი ჩაგვერთო. — გაჭირვებული ადამიანი არავის ადარდებს. შარშან პირველი კლასის სახელმძღვანელოების კომპლექტი აქ 30 ლარად შევიძინე, მაღაზიის ფასებს რომ შევადარე, მივხვდი, სწორად მოვიქეცი. ახლა ერთი საათია, დავბორიალობ და ორ წიგნზე მეტი ვერ ვიყიდე, ყველგან ერთსა და იმავეს მეუბნებიან, არ გვაქვს, როდის მოვიტანთ, არ ვიცითო.

მშობლებთან საუბრისას ერთი სურათი იკვეთება: ბავშვი რომ სკოლაში მომზადებული წავიდეს, საჭიროა 100 ლარი მაინც (ეს თანხა, მოსწავლის ასაკის მიხედვით იცვლება).

— მე რომ სკოლაში მივდიოდი, ახალი ტანსაცმლით ვიწონებდი თავს, ახლა კი, იძულებულნი ვართ, ძველით „გავიდეთ იოლას“ — შემომჩივლა პირველკლასელის დედამ.

— სახელმძღვანელოებს სკოლაში რომ შევიძენდეთ, უფრო იაფი დაგვიჯდებოდა, აღარც ბაზრობებზე მოგვიწევდა წანწალი, — მეუბნება ერთ-ერთი მშობელი.

განათლების მინისტრის პირველი მოადგილის ვლადიმერ სანაძის თქმით, გამომცემლები და განათლების სამინისტრო ყველა ღონეს ხმარობენ, ხელმისაწვდომი რომ იყოს ლეგალური სახელმძღვანელოები. „შავ“ ტირაჟსა და „თეთრ“ ტირაჟს შორის ფასში სხვაობა ძალიან მცირეა, ამიტომ მშობელი არჩევანს, რა თქმა უნდა, ხარისხიან სახელმძღვანელოზე შეაჩერებს.

თბილისში, მეტრო „დელისთან“ და სპორტის სასახლესთან სასკოლო ბაზრობები გაიხსნა.

**ცნობისთვის**: „ბაზრობაზე“ „დედაენის“ ფასი 5 ლარია, სასკოლო ბაზრობაზე კი 4,60 ლარი. სხვა სახელმძღვანელოების ფასებსაც თუ შევადარებთ, სურათი იდენტურია.

რაც შეეხება პირველი კლასის ფალსიფიცირებული წიგნების კომპლექტს, მისი ფასი 25 ლარამდეა, ხოლო ლეგალურისა — 18-დან 20 ლარამდე მერყეობს. როგორც ჩანს, წელს საერთო სურათი იცვლება და „შავი ბაზარი“ სერიოზული კონკურენციის წინაშე დგება.

მრავალშვილიანი დედების და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისთვის თბილისის განათლების განყოფილებამ სახელმძღვანელოების შეძენა დაიწყო. მათ სექტემბერში უფასოდ გადაეცემათ ახალი წიგნების კომპლექტი.

მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიით და პრესით რამდენჯერმე ითქვა, სწავლა თავის დროზე დაიწყებაო, ჭორი სწავლის გადადების შესახებ თბილისში მაინც ტრიალებს. ალბათ ჭორის საფუძველი ის არის, რომ მიწისძვრის შედეგად სასწავლო დაწესებულებების უმეტესობა (417 ობიექტი) ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამუშაოების ჩატარება ორ ეტაპად დაიყო და დღესდღეობით იმ 25 შენობის გამაგრება და შეკეთება მიმდინარეობს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზიანდა. ახალი სასწავლო წლის ზარი მხოლოდ მე-14 და პირველ დამხმარე სკოლაში არ დაირეკება.

თბილისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სწავლა 2 სექტემბერს დაიწყება!

***ლია იაკობაშვილი***

# 80 წლის წინ – «მარიამობა დღეს...»

მარიამობისთვე იწურება...

ამბობენ, საკრალურ დღეს დაბადებულთ განსაკუთრებულ მისიას აკისრებსო არსთაგანმრიგე. თუმცა, არა — ყველას, რადგან, როგორც უფალი ამბობს, — წვეული მრავალია, რჩეული — მცირე...

მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეს, 28 აგვისტოს, 80 წლის წინ, დავით ლორთქიფანიძის ოჯახში დაიბადა ქალიშვილი, რომელსაც მარიამი დაარქვეს...

და დაიწყო ქალბატონი მარიკას — ერის უანგარო მსახურის — ცხოვრების გზა...

ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო, ნათქვამია. ძნელია, დაიჯერო, რომ ეს მშვენიერი, სათნო, თმადათოვლილი, მუდამ ღიმილიანი და აკადემიურად გამოწყობილი მანდილოსანი რვა ათეული წლისაა, იმიტომ, რომ ჭეშმარიტ სილამაზეს ასაკი ვერას აკლებს...

მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმ მშიერ წლებში სამშობლოს გრძნობა განსაკუთრებით გამძაფრებული ჰქონდათ, სჯეროდათ საქართველოს მომავლისა. ამ რწმენას განუმტკიცებდნენ დიდი მეცნიერები — ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...

მეცნიერების მწვერვალებისკენ პირველი ნაბიჯი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გადადგა... მრავალი წელი ხელმძღვანელობდა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრას, იმ კათედრას, რომელსაც საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა.

ერთია, იყო ბრწყინვალე მეცნიერი, წარმატებით იკვლევდე სამშობლოს ისტორიას და მეორეა, გამორჩეულად უყვარდე მოწაფეებს. ქალბატონი მარიკასთვის ორატორული ხელოვნების ნიჭიც არ დაიშურა ღმერთმა. სულგანაბული აუდიტორია არაერთი წელია, უსმენს ათასწლეულების სიღრმეებიდან მომდინარე ამბებს, რომელიც შორეულ მომავალს უდევს საფუძვლად...

არა მარტო საქართველოს ისტორიას, ქართულ ტრადიციებსაც აზიარებს სტუდენტობას. ტრადიცია ხომ მთელ ყოფიერებას მოიცავს...

არ ყოფილა ჩვენი ერის ცხოვრებაში დიდი თუ მცირე მნიშვნელობის მოვლენა, რომლის გადაწყვეტაში ქალბატონ მარიკას არ მიეღოს მონაწილეობა. მეცნიერი იბრძვის კალმით — პირუთვნელად წერს აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს პრობლემებზე, სომეხ-ქართველთა ურთიერთობასა თუ თანამედროვეობის სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ქალბატონმა მარიკამ დიდი ღვაწლი დასდო ქართული საისტორიო ძეგლების უცხო ენაზე თარგმნის საქმეს.

უშურველი ენერგიით ემსახურება თავის სათაყვანო სამშობლოს აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე და ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველომ ღირსეულად გააგრძელოს გზა XX საუკუნეში.



დღეგრძელობას გისურვებთ, ქალბატონო მარიკა, დღეგრძელობას და ახალ წარმატებებს.

***ალექსანდრე დაუშვილი***
***თამაზ ჭყონია***

**„კვირის პალიტრის“ რედაქცია უერთდება მილოცვას — ქალბატონო მარიკა ღმერთმა შეგასწროთ მთლიან საქართველოს და ქართველის ქართველობას...**

# თბილისელების არაორდინარული ამბები

**წლის ყველაზე ხალისიანი და ლაღი სეზონი — ზაფხული უკვე მიიწურა. თუმცა, ქართველებს ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების გამო განსაკუთრებით უხალისო დღეების ნაკლებობა ამ ზაფხულსაც არ გვიგრძვნია. გადავწყვიტეთ ცოტათი მაინც გაგიქარვოთ ნაღველი და ტრადიციული გამოკითხვის ნაცვლად ჩვენს თანამოქალაქეებს არაორდინარული სიტუაციების გახსენება ვთხოვეთ. მაშ ასე, თბილისელები იხსენებენ:**

## „ევასგან ნაცდუნები“ მეთევზე

**თემური** (45 წლის): — რაც მე ამ ზაფხულს შემემთხვა, მტერსაც არ ვუსურვებ. ძალიან მიყვარს თევზაობა. ერთი ადგილი მაქვს ამორჩეული მტკვარზე. მივდივარ, მოვიმარჯვებ ანკესს და დრო ისე გადის, ვერ ვგრძნობ. ქალებისგან ყოველთვის განებივრებული ვარ. ჰოდა, ამ უპირატესობამ კინაღამ ტარზანის თუ მაუგლის მდგომარეობაში ჩამაგდო. კაცი, დედიშობილა დავრბოდი ტყეში და სხეულის შესამოსად ევასგან ნაცდუნები ადამის მონდომებით ვეძებდი ფოთლებს. მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს, თევზაობით გატაცებულს მოულოდნელად გაბმული კივილი მომესმა — მიშველეთ!.. მიშველეთ!.. ვიღაც დახმარებას ითხოვდა. ვხედავ, მტკვარს „წყალწყალებულიც“ მოაქვს, სასწრაფოდ გავიხადე, სიჩქარეში რატომღაც საცვალიც მივაყოლე და წყალში გადავეშვი. ღრმად შევცურე თუ არა, კივილი შეწყდა და... მსხვერპლიც ვეღარსად დავლანდე. რაღას ვიზამდი. ამოვედი უკან და დახეთ ჩემს უბედურებას, — სადღაა ან ტანსაცმელი, ან ჩემი ნადავლი თევზი და უფრო მეტიც, აღარც მანქანა ჩანს. მე კი დედიშობილა ვდგავარ და ვეღარც ვაზროვნებ...



ბევრი რომ არ დაგღალოთ, კვანძს უცბად გავხსნი — ოინი იმ ლამაზმა გოგონებმა მომიწყვეს, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ იქვე საბანაოდ. გვიან საღამომდე მაყურყუტეს შიშველი ბუჩქებში. მერე კი, მანქანაც მომიყვანეს, ტანსაცმელიც მომცეს და ბოლოს რესტორანშიც მაქეიფებინეს თავი. აი, ასე: ქალი მტერს გადაეკიდა, მტერს!.. იმ ამბის მერე საბანაოში შესვლის დროსაც მეშინია საცვლის გახდის.

## რატომ არ მიეცი „პაკრიშკა“?

**ლევანი** (32 წლის) — ფოთიდან მოვდიოდი. გზაში ისეთი რამ დამემართა, რაც დაახლოებით ერთ ცნობილ ანეკდოტში — „რატომ არ მიეცი ნასოსი?“ თუმცა, ჩემი თავგადასავლის გმირები გურულები იყვნენ და არა სვანები. მოკლედ, ფოთს ახალი გამოცილებული ვიყავი, გზაზე გაფუჭებული მანქანა რომ დავინახე. მძღოლმა ხელი დამიქნია, გავუჩერე. საბურავი გამისკდა და თუ ძმა ხარ, მათხოვეო. არა მაქვს „ზაპასი“-მეთქი. — რაია, ძამა, იწვი? მეიტა ერთი „პაკრიშკაო“. არა მაქვს, ძმაო, იმის მეტი, რაც მანქანაზე მიგია-მეთქი, ვუთხარი და სანამ ჩხუბს დამიწყებდა, გამოვიქეცი. 20 კილომეტრი თუ მექნებოდა გავლილი, ახლა ჩემს მანქანას გაუსკდა საბურავი. დავდექი გზაზე და დავიწყე მხსნელის ლოდინი. გამოიარა ერთმა, გურული აღმოჩნდა. დამეხმარა. მოვუყევი, ასეთი ამბავი შემემთხვა ნახევარი საათის წინ-მეთქი. აუ, არ გადაირია! — რატომ არ მიეცი საბურავიო, მოკლედ, თბილისამდე, როგორც იქნა, ჩამოვაღწიე... პროფილაქტიკაში მივედი გაფუჭებული საბურავის შესაკეთებლად და იქაც გურულები დამხვდნენ ბედისწერასავით. ენა ვერ გავაჩერე, იქაც მოვყევი ეს ამბავი. იქაც გაგიჟდნენ(!) — რეიზა არ მიეცი „პაკრიშკა“, შე დამწვაროო, — გამლანძღეს. იმ დღეს კინაღამ ჭკუაზე გადავედი.

## ავარია და... ქორწილი

**ანა** (32 წლის): — ტელეფონით ერთმა ბიჭმა ამაწრიალა, გინდა თუ არა, შევხვდეთ, შენზე უზომოდ შეყვარებული ვარო. ყოველდღე იმნაირ საჩუქრებს მიგზავნიდა, აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი. დავთქვით შეხვედრა ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ერთ პატარა ბაღში. ცოცხალი თავით არ მითხრა, როგორი შესახედავი იქნებოდა. მე თვითონ გიცნობო. მივედი დათქმულ ადგილზე და ტელეფონზე დამირეკა, დამაგვიანდება, მოულოდნელი რაღაც გამოჩნდა და ბევრს არ გალოდინებ, მალე მოვალო. მივედი, შევხედე ერთ სკამზე კოცნაობენ წყვილები, მეორეზეც კოცნაობენ და მესამეზეც. ერთი მოხუცი კაცი იჯდა მარტოდმარტო. შემომცინა — მოხვედიო? ხმა ვერ გავეცი, ვიფიქრე, ვიღაცაში ვეშლები-მეთქი. ისე შემაწუხა, გასალანძღად მოვემზადე და სწორედ მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. რა იყო, არ მოგწონვარ, აბა ჩემი საჩუქრები დამიბრუნეო და სულ წვრილად ჩამომითვალა ჩემი ინკოგნიტო შეყვარებულისგან გამოგზავნილი „ფეშქაში“. უკან მოუხედავად გამოვიქეცი. თავგზაარეული და... მანქანა დამეჯახა. „ჩემი დამაქცევარი“ მძღოლი კი ახლა ჩემი ქმარია. უფრო მეტი არაორდინარული რაღა უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, არ ვიცი...

***ეკა ლომიძე***

# „1000 დოლარი ციხეში შემოიტანე და შენი მანქანა ბარნოვის ქუჩაზე დაგხვდება!“

## – პატიმრების „სარფიან ბიზნესს“ პოლიცია ვერაფერს უხერხებს...

— ალო, ბატონო ვახტანგ, ძალიან ნერვიულობთ თქვენს გატაცებულ „მერსედესზე“?

— ...ვინ ბრძანდებით?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, შენ ის თქვი, გინდა მანქანის დაბრუნება თუ არა?!

— ...სად არის ჩემი მანქანა?!

—...ჯერ თავანი უნდა მოიტანო, ძმაო, ციხეში და კაცურ სიტყვას გაძლევ, მანქანა ადგილზე დაგხვდება...

— რა თავანი?!

— ერთი სიტყვით, „ობშიაკისთვის“ ფული გვჭირდება. ხომ იცი, რომ კაი ბიჭები ციხეში ვზივართ. 1000 დოლარი შემოგვიტანე ციხეში, მანქანა წაილე; მორჩა ბაზარი?! იცოდე, პოლიციაში არ ჩაგვიშვა, თორემ... ხომ იცი! ისე, პოლიციაც და ფორმიანიც ფეხებზე გვკიდია, — დაახლოებით ასეთი შინაარსის სატელეფონო საუბარი შედგა ბატონ ვახტანგსა და ვიღაც უცნობს შორის. მან მართლაც შეუტანა ციხეში ავტორიტეტებს 1000 დოლარი და მანქანაც პირობისამებრ, დანიშნულ ადგილზე — ბარნოვის ქუჩაზე უვნებელი მიუყვანეს.

სხვათა შორის, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ამგვარი გარიგება კრიმინალებისთვის სარფიანად სრულდება. ძირითადად „ბმვ“-სა და „მერსედესის“ ტიპის მანქანებს იტაცებენ. როგორც ამბობენ, ამ მანქანების კარის გაღება დამნაშავეთა სამყაროსთვის არც ისე ძნელი ყოფილა და შედეგიც უკვე სახეზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფაქტები პოლიციისთვისაც ცნობილია, ისინი ჯერჯერობით ვერაფერს ახერხებენ, რადგან ერთი მხრივ მოგებული რჩება თავად დამკვეთი და შემსრულებელი, ხოლო მანქანის მფლობელი იმის შიშით, რომ კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს, ფულს იხდის და პოლიციას იქით ემალება.

თავად ციხეში „სარფიანი ბიზნესის“ წარმომადგენლები კი იმდენად ყოფილან გათამამებულნი, რომ სამართალდამცავებს პირდაპირ ეუბნებიან — ფეხებსაც ვერ მოგვჭამთო. ამის მიზეზიც უბრალოა — ძირითადად, ისინი სამუდამო პატიმრობამისჯილი ან სასამართლოს მიერ ამ განაჩენის მომლოდინე ტუსაღები არიან. სხვათა შორის, როდესაც ამის თაობაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ვკითხეთ, მან გულწრფელად გვთხოვა, რომ თუ მის ვინაობას არ გავამხელდით, დეტალურად გვიამბობდა ყველაფერს. ჩვენც მისი გვარის დაფიქსირებას ინფორმაციის მიღება ვამჯობინეთ და პირობებზე დავთანხმდით.

ამბავი საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა.

**ინკოგნიტო მაღალჩინოსანი:** — გასულ წელს ე.წ. კანონიერმა ქურდებმა და უვადო პატიმრებმა მოკლეს პატიმარი, ვინმე დიასამიძე. მას მოკლული ჰყავდა კანონიერი ქურდი და ამის გამო ქურდულმა სამყარომ მისი ლიკვიდაცია გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ახერხებდა დიასამიძის „შენახვას“. მას ხან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ათავსებდნენ, ხან — №5 საპყრობილეში. თუმცა, ბოლოს, №5 საპყრობილეში ის რატომღაც ქურდების კორპუსების გასწვრივ, დაახლოებით 5 მეტრში მოათავსეს. მათ შეანგრიეს დიასამიძის საკანი და სადისტურად გამოსჭრეს ყელი. ამის შემდეგ ამ კანონიერმა ქურდებმა, შეკვეთის და „სასჯელის“ აღმსრულებლებმა ჩათვალეს, რომ რადგან დაიმძიმეს მდგომარეობა (სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული განზრახ მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში), ემუქრებათ სამუდამო პატიმრობა, დამნაშავეთა სამყარო კი ვალში იყო მათ წინაშე. ამიტომაც ისარგებლეს საპყრობილის ადმინისტრაციის სწრაფი ცვალებადობით, მისი უუნარობით, ხშირ შემთხვევაში, დოყლაპიობით და შეეცადნენ თავიანთი გავლენა მოეხვიათ ადმინისტრაციისთვის, რაც შეძლეს კიდეც. ამ გზით მიაღწიეს უკანონო პაემნების, ნარკოტიკული ნივთიერების იძულებითი შეტანის საკითხების გადაწყვეტას, ფულადი „ობშიაკების“ შეგროვების მექანიზმების გამკაცრებას და გაზრდას. ამ დიქტატის შემდეგ ისინი უარს ამბობენ დაუწერელ კანონებზე, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს საპყრობილეში მყოფი პატიმარი და ე.წ. „ბეზპრედელის“ ჩამოყალიბებაზე ისინი უკვე ღიად აცხადებენ: „ამ სისხლით მოპოვებული თავისუფლების „პალაჟენიას“ სისხლით თუ დავთმობთ“. როგორც კი მცირედ შეეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაცია ამ ყველაფერს, ისინი პასუხობდნენ: „ჩვენ ყოველთვის ვიპოვით ერთ ტორპედოს, რომელსაც დიასამიძესავით ყელგამოჭრილს იპოვიან“. ეს მუქარა საკმაოდ სერიოზულია, რადგან დიასამიძის მკვლელობის შემდეგ დეპარტამენტის მთელ მაღალჩინოსნებს სკამები დაატოვებინეს და ამჯერადაც ამით ემუქრებოდნენ. იმის შიშით, რომ მათ მუქარა არ შეესრულებინათ, ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა.

— **გასაგებია, მაგრამ მათი შეზღუდვის არანაირი ფორმები არ არსებობს?**

— საბჭოთა დროს კი არ მივტირი, მაგრამ ადრე ადმინისტრირების გზით შევძელით ეს ხალხი გაგვეგზავნა ციმბირში, ყაზახეთში... ანუ დისციპლინური თვალსაზრისით მეტი სიმკაცრე იყო. დღეს ადმინისტრაციას აღარ ძალუძს ამ სამყაროს მართვა. ერთადერთი ის შეუძლიათ, რომ განსაკუთრებით დესტრუქციული პატიმარი სხვადასხვა დარღვევისთვის წარადგინონ სასამართლოზე, რაც ერთ წლამდე საპყრობილის რეჟიმს ითვალისწინებს და, როგორც წესი, მოსამართლე ხშირ შემთხვევაში სამ თვეს აძლევს. ანუ ამ თვალსაზრისით უკვე აღარანაირი შემაფერხებელი მექანიზმი აღარ არსებობს. აი, ამით ისარგებლეს: როგორც გითხარით, ბრალი წარდგენილი აქვთ განზრახ მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, გასამართლებულები არიან სხვა მძიმე დანაშაულისთვის, ელოდებიან სამუდამო პატიმრობას და რა აქვთ დასაკარგი?! გარეთ კი თანამზრახველთა ჯგუფი ჰყავთ, რომელთაც ავალებენ: „იმუშავე შენ და ყველაზე რთული, საპასუხისმგებლო საკითხი, რომელზეც შეიძლება „დაიწვა“, მომანდე მე“, ანუ ფულის აღება. იციან, რომ მანქანის გატაცებაზე რომც გაასამართლონ — თანამონაწილეობაზე ან ორგანიზატორობაზე, იმაზე შორს მათი სასჯელი ვერ წავა, რაც იგივე განზრახ მკვლელობაა. მოგეხსენებათ, სასამართლოზე უფრო მძიმე სასჯელი შთანთქავს მცირე სასჯელს და შესაბამისად, ამ მხრივ არაფერი ემუქრებათ. ამის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ამგვარი „ბეზპრედელი“.

— **ვინ არის ის ხალხი, ვინც გარეთ მუშაობს?**

— ეს არის ერთ-ერთი დაჯგუფება, რომელიც კარგად არის ცნობილი შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისთვის, დეპარტამენტიდან მიწოდებული ოფიციალური ინფორმაციით. მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა, ვინ არის გამკეთებელი, არაფერს ნიშნავს, თუ მტკიცებულება არ გაქვს. ეს არის ორგანიზებული მონოლითური ჯგუფი და მისი მხილება დღემდე ვერ ხერხდება.

— **რამდენი ხანია, რაც ეს ჯგუფი მუშაობს?**

— ნახევარი წელი იქნება.

— **გამოდის, რომ გამოსავალი არ არსებობს?**

— ერთადერთი, რაც სასჯელაღსრულების ადმინისტრაციას შეუძლია, არის ის, რომ გაამკაცროს სარეჟიმო მოთხოვნები და პატიმარს აუკრძალოს მობილური ტელეფონების გამოყენება. ამ მიზნით რამდენჯერმე ჩატარდა წმენდა, 40-მდე მობილური ტელეფონი იქნა ამოღებული, მაგრამ არ დაგიმალავთ, ცხრათავიან დევს ერთ თავს რომ მოაჭრი და ორი ამოუვა, ისე ხდება. შეტანას ვერ ვარეგულირებთ.

— **თქვენ გაქვთ ინფორმაცია, ვის მოჰპარეს მანქანა?**

— ვინაობა არ ვიცი, მაგრამ უწყება არ დარჩენილა თბილისში, რომლის ერთი ან ორი წევრისთვის არ მოეპაროთ მანქანა და მათი დაბრუნება მოხდა საპყრობილის ბინადართა მეშვეობით.



— **თქვენი ინფორმაციით, ამას მხოლოდ რამდენიმე კანონიერი ქურდი აკეთებს, თუ აქაც სხვადასხვა ჯგუფია?**

— ამას ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ იმ გამოკვეთილ ლიდერებზე, ვინც ორგანიზებას უკეთებს, უკვე მოგახსენეთ.

— **ფულის შეტანა როგორ ხდება? ჩემი ინფორმაციით, ბოლო „მერსედესის“ გატაცება რომ მოხდა, მის პატრონს 1000 დოლარი შეატანინეს... ასე ადვილია ამხელა თანხის შეტანა ციხეში?**

— არ უნდა იყოს ადვილი, რა თქმა უნდა, მაგრამ როდესაც მე ვლაპარაკობ დოყლაპიებზე და ანგარებით მოტივებზე, არასაიმედო და მოღალატე თანამშრომლებზე, ესეც შესაძლებელია. იცით, რა სიტუაციაა?! თანამშრომლები „დაჩმორებულები“ ჰყავთ. გაგიგიათ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციას პატიმარი დაესაჯოს?! ნეტავ პირიქით — არ შეჭამონ აქეთ, ისეთი დაბეჩავებულები არიან 70-ლარიანი გუშაგები.

— **სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისიც მითხრა, რომ ამ 70-ლარიან გუშაგებს თვითონ ქურდები „ობშიაკიდან“ უხდიან ფულს...**

— არ გამოვრიცხავ, შეიძლება დირექტორსაც და მოადგილესაც უხდიან, მაგრამ სანამ მტკიცებულება არ არის, ვერაფერს დავაკონკრეტებ.

ამ სკანდალური ინფორმაციის შემდეგ „კვირის პალიტრა“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, **პაატა მხეიძეს** დაუკავშირდა.

— **ბატონო პაატა, არსებობს ინფორმაცია, რომ ციხიდან იმართება გარეთ მანქანის გატაცებები. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მსგავს ინფორმაციას ფლობს ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური. ჩვენ სერიოზულად ვმუშაობთ ამ მიმართულებით; გამოიკვეთა უკვე იმ პირთა წრეც, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ ამგვარ დანაშაულებრივ ქმედებებში და სამართალდამცავი ორგანოები ჩვენ მიერ ოფიციალური წერილით არაერთხელ იქნენ ინფორმირებულები.

— **გარე სამყაროსთან დაკავშირება მობილური ტელეფონით ხდება. არადა, მობილური ტელეფონი ციხეში აკრძალულია...**

— ამ მხრივ არაერთი ღონისძიება ჩავატარეთ, მაგრამ შედეგი არ არის, ამიტომ, იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის №5 საპყრობილისა და ე.წ. „კრიტის“ ტერიტორიაზე დამონტაჟდეს მობილური ტელეფონების ჩამხშობი სისტემა.

— **ჩემი ინფორმაციით, მანქანის გატაცების და ციხიდან ფულის გამოძალვის არაერთი შემთხვევაა და ამ კუთხით რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ დაზარალებულმა ციხეში დიდი თანხის შეტანა ვერ შეძლოს?**

— ღიად გეტყვით, რომ იუსტიციის მინისტრმა ამიტომაც გაათავისუფლა სამსახურიდან საპყრობილის დირექტორი ალიოშა არახამია, მოადგილე სარეჟიმო დარგში გოჩა ბერუაშვილი, რეჟიმის სამსახურის უფროსი იროდი კაპანაძე, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ასევე მოადგილე დაცვის დარგში: ყველა ეს ხალხი ვალდებული იყო ემუშავა იმის ასაკვეთად, რომ პატიმართან არ მოხვედრილიყო აკრძალული ნივთები და მათ შორის, ფული.

— **ვინ არის ის კანონიერი ქურდი, ვინც ამ დანაშაულში შეამჩნიეთ?**

— მე იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არა მაქვს უფლება გვარები დავასახელო, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება სასამართლოს მიერ. ეს არის ფარული, არახილული დანაშაული, რომლის გახმაურება არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს. წარმოიდგინეთ, კაცს ჰპარავენ ძვირად ღირებულ მანქანას და სულ რაღაც 1000$-ად უბრუნებენ. ურჩევნია, საქმე მოაგვაროს ჩუმად. ასე რომ, ის არც ჩემთან მოდის ინფორმაციის გასაზიარებლად და არც ჩივის.

ციხეში გამეფებულ განუკითხაობასა და ქურდული ტრადიციების მქონე პირებისთვის შექმნილ განსაკუთრებულ, „სასათბურე“ პირობებზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე:**

— მათ გაცილებით მეტი უფლებები გააჩნიათ და ადმინისტრაცია ვერაფერს და არაფერს აკეთებს, რომ ისინი თანაბარ პირობებში ჩააყენოს ყველა დანარჩენ პატიმართან. ისინი კრიმინალურ სამყაროს გარეთაც მართავენ და ზეწოლა მათი მხრიდან იმ პატიმრებზეც ვრცელდება, მათ წრეში რომ არ მოიაზრებიან. ფულის გამოძალვა მანქანის გატაცების ფორმით ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ პატიმრები ფულზე რომ თამაშობენ, ეს ვიცი. ის კი არადა, გარედან შედიან მოთამაშეები ამ ავტორიტეტების მოთხოვნით და ხდება ფულის გამოძალვა. თუმცა, მიუხედავად სერიოზული რეკომენდაციებისა და მითითებებისა, რომ რაღაცნაირად ეს ხალხი იყოს იზოლირებული და მოქცეული დახურულ სისტემაში, ჯერჯერობით იუსტიციის სამინისტრომ ამას თავი ვერ მოაბა და ეს პროცესები გრძელდება.

— **ამას წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ციხიდან მობილურ ტელეფონებზე რეკავდნენ და „მაგთის“ აბონენტებს თორმეტნიშნა კოდის დასახელების შემდეგ პრიზებს „ჰპირდებოდნენ“. ამ აფერაზე არაერთი გულუბრყვილო მოქალაქე წამოეგო. გამორიცხავთ, რომ ამ გზით გატაცებული მანქანის მფლობელსაც დაუკავშირდნენ?**

— სადაც გარედან ციხეში სხვადასხვა აზარტული თამაშისთვის შედიან, როცა გარედან შესულმა ადამიანებმა პატიმარი სცემეს, დააზიანეს, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერი არ არის. რაც შეეხება მანქანის გამო ფულის გამოძალვას, პოლიცია უნდა დაინტერესდეს. არა აქვს მნიშვნელობა, ამას ადასტურებს თუ არა მანქანის მეპატრონე.

— **პრინციპში, პატიმრები იძულებულნი არიან ფულზე ითამაშონ, რადგან გროვდება ე.წ. „ობშიაკი“ და ეს თანხა მიდის ადმინისტრაციაში, ხომ?**

— ნაწილი ადმინისტრაციაში, ნაწილი — პატიმრების შენახვაში. ამ ფულით ეკლესიასაც აშენებენ, ანუ სხვადასხვა დანიშნულებისთვის გამოიყენება, მაგრამ, ძირითადად, გროვდება იმიტომ, რომ მათ ჰქონდეთ ციხეში, ჟარგონი რომ გამოვიყენოთ — „პალაჟენიე“. მთავარი ტრაგედია ის არის, რომ ამ ფულიდან დაცვასაც კი უხდიან ხელფასს. ხშირად აღუნიშნავთ, „ვიშკებსაც“ ჩვენ ვუხდით ფულსო. ის ადამიანი, რომელიც პატიმრისგან იღებს ხელფასს, და თითქოს აკონტროლებს, რომ ციხიდან არავინ გაიპაროს, მითხარით, თავის მოვალეობას შეასრულებს?!

— **რამდენს უხდიან?**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ეს შემთხვევები რომ მოხდა, დანამდვილებით შემიძლია ამის თქმა. ასე რომ, ციხეში ქაოსური სიტუაციაა შექმნილი და იმიტომაც არის, რომ რიგითი თანამშრომლების მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებულია პატიმრის ჯიბეზე. ვაჭრობა მიდის და ის რიგითი თანამშრომლები პატიმრების თანამზრახველები ხდებიან, ანუ ისინი ყველანი ერთნაირები არიან. ამიტომ პატიმრების დამოკიდებულება ადმინისტრაციის მიმართ არ არის მოკრძალებული, არც შიში აქვთ და არც რიდი.

***მარინა მამისაშვილი***

# ახალი პასპორტები 50$ ეღირება

## რას ერჩიან ძველ პასპორტებს?

ბოლო ხანს დედაქალაქში გავრცელებული ჭორის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უპასპორტოდ დარჩენის საფრთხე ემუქრებათ — ორგანიზაცია „ფრანსუა შარლ-ობერტურ ფიუდისერს“, რომელიც ხელშეკრულების თანახმად პასპორტების და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ბლანკებს უგზავნიდა საქართველოს, შეკვეთის შესრულებაზე უარი განუცხადებია. მიზეზად შემდეგს ასახელებენ: ქართულ მხარეს ან ძალიან დიდი ფინანსური დავალიანება აქვს, ან კიდევ, ახალი პასპორტების და პირადობის მოწმობების ბლანკების დასამზადებლად ახალი ინვესტორი იპოვა და ამით განაწყენებულ ფრანგულ ფირმას ძველი შეკვეთის შესრულებაზე უარი უთქვამს. ჭორად ისიც გავიგეთ, რომ ახალი პასპორტები ოფიციალურად 50 დოლარი ეღირება, პირადობის მოწმობის გამოცვლა კი თითოეულ მოქალაქეს 25 ლარი დაუჯდება. სიტუაციის გარკვევის მიზნით შს მინისტრის მოადგილეს ***დავით თოდუას*** ვესაუბრეთ.

— **ბატონო დავით, მართალია, რომ საპასპორტო ბიუროებში სულ 300-მდე პასპორტის და პირადობის მოწმობის ბლანკი მოიპოვება და პასპორტის აღების მსურველები შეიძლება ხელმოცარულნი დარჩნენ?**

— არა, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. 1994 წელს შსს-მ ფრანგულ ფირმა „ფრანსუა შარლ-ობერტურ ფიუდისერთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად პასპორტის და პირადობის მოწმობის მილიონი ბლანკი უნდა მოეწოდებინათ. ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და დეფიციტი მართლაც შეიქმნა, მაგრამ ამით ახალი პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გაცემას ხელი მაინც არ შეეშლება.

— **რატომ გაჩნდა პასპორტებისა და პირადობის მოწმობების გამოცვლის აუცილებლობა?**




— პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და პასპორტი სრულად არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას; ქვეყნის სახელწოდება „საქართველოს“ ნაცვლად საიდენტიფიკაციო ბარათებზე და პასპორტებში დაფიქსირებულია „საქართველოს რესპუბლიკა“; სახელმწიფო ჰერალდიკური ნიშნების ნაცვლად კი გამოსახულია „ბორჯღალი“.

— **ახალი ბლანკების წარმოება უკვე დაიწყეთ?**

— არა. ღია ტენდერი გამოცხადდება და ახალი ინვესტორი მოიძებნება. ესკიზები კი უკვე შექმნილია.

— **და რა იქნება მათი ფასი, 50 დოლარი?**

— ამის შესახებ იყო მსჯელობა. საერთოდ, არც ერთ ქვეყანაში არ ღირს პასპორტი 100$-ზე ნაკლები.

— **სხვა ქვეყნებში მოქალაქეებს ქართველებისგან განსხვავებული სოციალური პირობებიც აქვთ.**

— სწორედ მაგის გათვალისწინებით პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცემა, პასპორტები კი 50 დოლარამდე ეღირება, ანუ მისი ღირებულების საფუძველზე საქართველოს ყველა მოქალაქეს უფასოდ დაურიგდება პირადობის მოწმობა, პასპორტს კი აუცილებლობის შემთხვევაში აიღებენ.

***(გაგრძელება იხ. გვ.7)***

# აბა შენ, სიკვდილის რომ არ გეშინოდა, წინ გაგვიძეხი...

## ლუხუმ ჯახიას ოჯახი სასამართლოში ჩივილს აპირებს...



გასულ კვირას, მცხეთის ხიდზე 17-საათიანი სპეცოპერაცია 21 წლის ლუხუმ ჯახიას მკვლელობით დასრულდა. შეიძლება ითქვას, ბოლო წლების განმავლობაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციამ დამნაშავის წინააღმდეგ უკიდურესი ზომები გამოიყენა. დღეს უკვე სამართალდამცველებიც და ვაგზლის მოედანზე მდებარე „ოქროს ბირჟიდან“ აყვანილი მძევლებიც ამტკიცებენ, რომ პოლიციელთა ნაბიჯი გამართლებული იყო, რადგან მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და სხვა შანსი აღარ არსებობდა.

რამდენიმე წლის წინ დაახლოებით ანალოგიური შემთხვევა მოხდა გერმანიაში, როდესაც ტერორისტმა სუპერმარკეტიდან აიყვანა მძევლად ქალი და ბავშვი. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ ბავშვი გაათავისუფლა, შემდეგ ქალი წინ აიფარა და სუპერმარკეტიდან გამოვიდა. ტერორისტმა რაღაც მომენტში იარაღიანი ხელი მაღლა ასწია, სწორედ ამ დროს პოლიციელებმა იფიქრეს, რომ მძევალს კლავდა და ცეცხლი გაუხსნეს (მძევალი, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა)... სასამართლო ძიების შემდეგ დადგინდა, რომ ტერორისტი სროლას კი არა, დანებებას და შესაბამისად, ხელების მაღლა აწევას აპირებდა. ამ ფაქტის გამო პოლიციის მაღალჩინოსნებს პოსტები დაატოვებინეს.

დღეს ძნელი სათქმელია, მართლა ამოიწურა თუ არა ჯახიას შემთხვევაში მოლაპარაკების ყველა შანსი... სავარაუდოდ, პოლიციას რომ გზა გაეხსნა მისთვის, თუნდაც ადგილზე ჩაეტანა ოქროულობა, მძევლების მოკვლა მას არაფერში დასჭირდებოდა. ადგილზე ძვირფასეულობის ამოღება კი პოლიციისთვის საკმაოდ მარტივი ოპერაცია უნდა ყოფილიყო.

21 წლის ლუხუმ ჯახიას რამდენიმე თვის ფეხმძიმე მეუღლე დარჩა. მისი მშობლები სასამართლოში ჩივილს აპირებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლებსავარაუდოა, მათ თავიანთი შვილის რეაბილიტაცია შეძლონ. „კვირის პალიტრა“ ესაუბრა მძევალ მალხაზ აბრამიშვილს, რომელიც ჯახიამ იარაღის მუქარით სამარშრუტო ტაქსის საჭესთან დასვა და აიძულა, ზუგდიდის მიმართულებით წასულიყო. დღევანდელი გადასახედიდან ის თვლის, რომ სიკვდილს სასწაულად გადაურჩა.

**მალხაზ აბრამიშვილი:** „ოქროს ბირჟაზე“ შემთხვევით ვიყავი მისული მეგობართან, გელა გლუჩიძესთან. ის ოქრომჭედელია და იქ მუშაობს. მოულოდნელად შემოდის ვიღაც, ორჯერ ისვრის ჰაერში, ხსნის ხელყუმბარას და ყვირის: „ყველა დაწექით! არ გაინძრეთ!..“ უცებ ყველა პანიკაში ჩავარდა, ზოგი გარბოდა, ზოგი დაწვა; შოკი ძალიან დიდი იყო, ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა.

— **დაახლოებით რა რაოდენობის ხალხი იყო?**

— არ იყო ცოტა, ყოველ შემთხვევაში, ალბათ 30-ზე მეტი ადამიანი იქნებოდა... რა თქმა უნდა, დავიბენი: გონს რომ მოვეგე, ვიფიქრე, გავიპარები-მეთქი და ის იყო წამოვდექი, დახლებთან დამიჭირა და მიბრძანა, — დაწექიო. დავწექი. დამადო ხელყუმბარა, იარაღი მომიშვირა და ჩემს მეგობარს, გელას უყვირა: „ახლა ამას შუბლს გავუხვრეტ, დროზე ჩაყარე ჩანთაში ოქროულიო!“ მანაც დაიწყო ჩაყრა, მეტი რა გზა ჰქონდა?!

— **ჩანთა ტერორისტისა იყო?**

— არა, არა, იქ ეგდო. როგორც მერე გაირკვა, ვიღაცას დაუვარდა შიშისგან... მე ვეხვეწებოდი: „არ დამღუპო! არ ისროლო! ბავშვები მყავს! ნუ გამწირავ!“ ყველა სიტყვაზე მლანძღავდა. ერთი-ორჯერ იარაღიც ჩამარტყა სახეში. შემდეგ, პატარა სარდაფივით არის, ქალები იცვლიან ხოლმე ტანსაცმელს, იქით წავიდა. ვიცოდი, იქ გელას მეუღლე და კიდევ ერთი ქალი იყვნენ დამალული. ვუთხარი: — მანდ რა გინდა, გასასვლელი აქეთ არის-მეთქი. ამ დროს დახლის ქვეშ ყოფილა დამალული იქ მომუშავე ქალბატონი ნანა (რომელიც მერე ასევე მძევალი აღმოჩნდა), რომელმაც იფიქრა — გავიპარებიო და როგორც კი წამოდგა, თავდამსხმელმა დაინახა და გინებით დაუძახა, — აბა, ქალო, მოდი, შენც მიეხმარეო, მაგრამ იმას აღარაფრის თავი არ ჰქონდა — როგორც კი მოვიდა, სკამზე დაჯდა. შემდეგ შემოვიდა უცნობი პიროვნება (როგორც მერე გაირკვა, სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი) და დაუწყო ჩემზე ლაპარაკი: „ეს ბიჭი ჩემი ნათესავია. ბავშვები ჰყავს. ნუ დაღუპავ და ამათ მაგივრად მე წამოვალ!“ ოქროს გამტაცებელმა, — შენ ვინ ხარო. არავინ, ერთი ლოთი ბიჭი ვარ, არც ცოლი მყავს, არც ბავშვები, არც სიკვდილის მეშინიაო. აბა, მაიკა აიწიეო, — ააწევინა მაიკა, ალბათ, იფიქრა — იარაღი არ ჰქონდესო. მერე უყვირა — ჩვენთან წამოხვალ, არ გაინძრე ადგილიდანო. ამ დროს დაცვაც შემოვარდა მუქარით. ჩვენ ვიყვირეთ: „არ ესროლოთ, ხელყუმბარა აქვს გახსნილი!“ (იმ მომენტში ისიც ვიფიქრე, შეიძლება „ვარსკვლავის“ გულისთვის ვიღაცამ ესროლოს, ახალგაზრდა ბიჭები არიან-მეთქი). მართლაც, არ უსვრიათ. უყვიროდნენ — პოლიცია ვართ, გონს მოეგე, დაგვნებდი, გაგიშვებთო! მას მათთვის ყურადღება არც მიუქცევია; სანამ ოქროს შეაგროვებდა, მე მითხრა, ქამარი მოუშვი და უბეში ხელები ჩაიწყვეო. ბრძანება შევასრულე, თვალები დავხუჭე და ვიფიქრე — კეფაში უნდა მესროლოს-მეთქი. უკვე სიკვდილს ჩავხედე თვალებში. მოვეშვი... უცებ ხმამ გამომაფხიზლა: „შენი დედა... ესე კი არა, ღრმად ჩაიყავი!“ მეტი რა გზა მქონდა?! ამომიდო იღლიაში „ლიმონკა“, მეორე ხელით ყელთან იარაღი დამადო და ამიფარა წინ. საშინელი ოფლის და სასმლის სუნი ასდიოდა. ქალბატონს უბრძანა: „აბა, შენ უკან ქამარზე მაგრად მომკიდე ხელები, თორემ გესვრი!“ ჩემს მეგობარ გელას კი უთხრა, შენ ჩანთას მოკიდე ხელი... აბა, შენ კიდევ სიკვდილის რომ არ გეშინოდა და ჩვენთან გინდოდა წამოსვლა, წინ გაგვიძეხიო. გამოვდივართ გარეთ და გვიყვირის, — პანიკა ატეხეთო. გამოსვლის შემდეგ პოლიციას ვეძახით: „არ ესროლოთ! ხელყუმბარა აქვს გახსნილი!“ ზედ ჩემს გულთან ჰქონდა მოდებული ის ხელყუმბარა...

— **ეს რამდენი წუთი გრძელდებოდა?**

— დაიჯერებთ, არ ვიცი... ისე, ზოგმა თქვა, თხუთმეტი წუთიო, ზოგმა — ნახევარი საათიო... ერთი სიტყვით, გამოვედით. გარეთ ძალიან ბევრი ხალხი იყო. ამოსასვლელთან ვიღაცამ დაიძახა, — გაატარეთო. ზევით რომ ამოგვიყვანა, იქ იდგა 104 ნომერი სამარშრუტო ტაქსები. მივიდა ერთთან — დაკეტილი დახვდა, ვერ გააღო, მეორე ღია აღმოჩნდა. ვიღაც მამაკაცი იჯდა; ჩამოაგდო გინებით. მერე იკითხა, — რომელმა იცით ტარებაო. ორმა უპასუხა, არ ვიცითო. მე კი, — მსუბუქი მანქანა მიტარებია, მაგრამ სამარშრუტო ტაქსის ტარება არ ვიცი-მეთქი. დაჯექი, ისწავლიო! — შემაგდო გინებით. დავჯექი. გასაღები შიგნით იყო. ჩავრთე სიჩქარეები; წავედით. ვეკითხები, სად მივდივართ-მეთქი. ზუგდიდშიო, — მიპასუხა.

— **პოლიცია არ გამოგყვათ?**

— როგორ არა; ზოგი ტაქსიში ჩაჯდა, ვინც მანქანით იყო — მანქანაში...

— **მართალია, რომ მანქანებს დაეჯახეთ და იქ ცოტა კურიოზული სიტუაციაც მოხდა?**

— ვერ დავამუხრუჭე, არ ვიცოდი და ჯერ „რაფს“ დავეჯახე, მერე — მსუბუქ მანქანას. მძღოლი გადმოხტა, მღუპავო?! — ყვირილი დამიწყო, — გააჩერე მანქანაო. ამან კიდევ, იარაღი მიუშვირა და ის შიშისგან ჩაიკეცა... წამოვედით. ვეკითხები, საით მივდივართ-მეთქი, და რომ მიპასუხა — ზუგდიდის გზა არ იცი, შენი დედაო, მაშინ ვიცანი მეგრული აქცენტი. გავედით სანაპიროზე. გამოჩნდა მღებრიშვილიც, თავისი სპეცრაზმით. „ზაჰესის“ ხიდთან დაგვეწია პოლიციის მანქანა და ამას ეუბნებიან, მობილური თუ არა გაქვს, მოგცემთო. მანქანები ახლოს მივწიეთ, გამოვართვი მობილური და მივაწოდე. მაშინვე დაიწყო რეკვა, ყველას აგინებდა, ჩემი საქმე მე ვიციო... ნატახტართან რომ მივედით, გზა გადაგვიკეტეს. დამიწყო ყვირილი, — ჩქარა მოატრიალე მანქანაო. მოვატრიალე, — და ჩაქრა მანქანა. შენც ამათთან ხარ შეკრული, აღარ მჭირდებიო, — მომადო ისევ იარაღი. ვეხვეწები, მოიცა, იქნებ დაიქოქოს-მეთქი. ბედი იყო, რა, და დაიქოქა. წამოვედით. ისევ უკან მისატრიალებელს ეძებდა, მაგრამ მცხეთის ხიდთან კვლავ გადაგვიკეტეს გზა, როგორც წინა, ისე უკანა მხრიდან. ამ დროს გაისმა ზარი და ამან უკვე კულტურულად დაიწყო საუბარი. მივხვდი, რომ ნარჩემაშვილს ელაპარაკებოდა.

— **რას პასუხობდა?**

— ... დაახლოებით ასეთ სიტყვებს ამბობდა: „მე ჩემი საქმე ვიცი. ეს ადგილზე უნდა მივიტანო. არაფერი ისეთი არ იქნება. ეს ოქრო ჩამატანინეთ ადგილზე“... მერე ისევ გადაეკეტა ჭკუა, ახლა ჩემს მეგობარს დაადო იარაღი და დაიწყო ყვირილი — ახლავე გიგდებთ ერთ „ტრუპსო“. ავტეხეთ ხვეწნამუდარა: „არ გინდა, არ ესროლო“, მერე გელას მიაწოდა ყურმილი. ეს ჩემი მეგობარი ბავშვივით ყვიროდა, — არ დამღუპოთო. მერე გამოართვა ისევ ყურმილი და, როგორც ჩანს, იქიდან დაამშვიდეს... ეს კი დამშვიდდა, მაგრამ გელა გახდა ცუდად. წყალი მოითხოვა. დავიწყე წყლის ძებნა. ვიცი, რომ სამარშრუტო ტაქსიში უდევთ ხოლმე პლასტმასის ბოთლით. ვერსად ვერ ვიპოვე. მერე ვეუბნები, — ბიჭო, რა იყო, ქართველი არ ხარ, — სიგარეტს არ გვაწევინებ, არ გვაწევინებ, კაცი ისე გინდა მოკლა, წყალიც არ დაალევინო?! წავალ, წყალს და სიგარეტს მოვიტან-მეთქი. მიპასუხა — შენ აქ აღარ მოხვალო. როგორ არ მოვალ, ამან არ მიმატოვა და მე მივატოვებ, როგორ ფიქრობ-მეთქი?! წადიო. ეს რომ მითხრა, დავეჭვდი — მანქანიდან რომ გადავალ, მესვრის და პოლიციას ეტყვის, ერთი „ტრუპი“ უკვე გყავთ, გზა გახსენითო... შიშმა ამიტანა. მეორე მხარეს გავძახე: „სიგარეტი და წყალი მინდა, მოვიდე?“ მიპასუხეს, — მოდიო. ის ხიდი როგორ გადავიარე, არ მახსოვს. ორივე მხრიდან რატომღაც ტყვიას ველოდებოდი. მივედი თუ არა, მაშინვე მეცნენ. ვეუბნები, — მე თვითონ ვარ „ზალოჟნიკი“, ბიჭი ცუდად არის და წყალი გამატანეთ-მეთქი. მღებრიშვილმა — შენ იქ აღარ შეგიშვებთ, შვილო, ძლივს გამოხვედი, იქნებ სხვებიც გამოვიყვანოთ, წყალს ჩვენ მივუტანთო.

— **ისე, უკან წასვლას როგორღა რისკავდით?**

— ვრისკავდი, რა! ჩემმა მეგობარმა არ დამტოვა, ის ცუდად გახდა და მე მიმეტოვებინა?!

— **შემდეგ...**

— შემდეგ იქ კითხვები დამაყარეს: „რა მდგომარეობაში ისხედით, რომელ ხელში უჭირავს ხელყუმბარა, რომელ ხელში — იარაღი“... და ა.შ. 14-16 საათი ხელყუმბარისთვის ხელი არ გაუშვია.

— **თქვენ რომ წამოხვედით, მღებრიშვილმა წაუღო წყალი?**

— გადაუგდო, — იმან „მარშრუტკაში“ იპოვა რაღაც ტროსი, იმით აიღო. ქალბატონს დაალევინა, მერე ამათ და ბოლოს თვითონ დალია.

— **ჯენტლმენურად მოიქცა თუ შეეშინდა, მოწამლული არ ყოფილიყო?**

— ხო, რა, ჯენტლმენურადაც გამოუვიდა. მე იქ აღარ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც დანარჩენებმა მიამბეს, ვითომ იქ თავანი ჰქონდა ჩასატანი, მერე თუნდაც მოეკლათ. ასე უთქვამს, — 99% ვიცი, რომ მკვდარი ვარ, მხოლოდ ერთ პროცენტს ვიტოვებ სიცოცხლეს, სახელი ხომ მაინც დამრჩებაო.

— **სახელი რა, ტერორისტისო?**

— ხო, რა ვიცი, რა სასახელო ეგ იყო... დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კობა ნარჩემაშვილს და გთხოვთ, ეს დააფიქსიროთ... წვეთი არ დაუძინია. მთელი ღამე ტელეფონზე ელაპარაკებოდა, რომ არ ჩასძინებოდა. სთხოვდა, ქალი გამოეშვა, მანქანასაც მოგცემთო. მაგრამ უშედეგოდ.

— **თქვენ როგორ მიგაჩნიათ, პოლიცია სწორად მოიქცა, რომ მოკლეს? ანუ იქ არ არსებობდა სხვა შანსი?**



მალხაზ აბრამიშვილი

— სწორად მოიქცა. მღვდელიც მიიყვანეს, ალაპარაკეს, არაფერზე არ წავიდა.

— **ბეჭდებს მართლა იზომავდა თითებზე?**

— გზაში კი იღებდა სათითაოდ და ნანას ეკითხებოდა — ეს რა ეღირებაო.

— **ძალიან შეგეშინდათ?**

— შიში კი არა... გამოსვლისას ერთი მეუბნება — სამნი იყავით, ვერ განაიარაღეთო?! ვუპასუხე — გული „ნასკებში“ მქონდა, რას მეკითხები-მეთქი. იქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც იყო — მომენტში შეიძლება შემთხვევით გაეშვა ხელი ხელყუმბარისთვის.

— **თქვენ თქვით, რომ ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. ძალიან იყო ნასვამი თუ...**

— არა, არა. შეიძლება წინა ღამის ნასვამიც იყო... ერთიც მინდა ვთქვა, როგორც მძღოლს, ისე მასალებენ, ჩემზე არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, ამ დროს სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი ამ სიტუაციაში.

— **ყოველივე ამის შემდეგ, თუ შეხვდით ყოფილი მძევლები ერთმანეთს?**

— შევხვდით და გადარჩენაც მივულოცეთ.

ქართველი სამართალდამცავების მიერ კამიკაძე-ტერორისტად შერაცხული 21 წლის ლუხუმ ჯახია ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა გალში გადაასვენეს. სამართალდამცავების პროფესიონალიზმითა და გულადობით აღფრთოვანებული ხალხის გარდა, საზოგადოების დიდ ნაწილში სპეცოპერაციის ამგვარი ფინალით უკმაყოფილოც ბევრი აღმოჩნდა. ლიკვიდირებულის მეზობლები აღშფოთებას ვერ ფარავენ იმის გამო, რომ ლუხუმ ჯახიას ოჯახის წევრებმაც და მეზობლებმაც მომხდარის შესახებ მხოლოდ მისი მოკვლის შემდეგ გაიგეს. „კვირის პალიტრა“ გარდაცვლილის ოჯახს ესტუმრა.

მეზობლები ვერ იხსენებენ, მას თუნდაც ერთი სიტყვა ეთქვას რაიმე აზარტულ თამაშთან ან ფულის წაგებასთან დაკავშირებით.

**ნუგზარ გაბელია:** — ლუხუმს სამეზობლოში ძალიან კარგი სახელი ჰქონდა. 3 თვის ფეხმძიმე მეუღლე დარჩა. მიკვირს, ასეთ რისკზე როგორ წავიდა.

— **მაინც რა დასკვნას აკეთებთ — თუ წესიერ ცხოვრებას ეწეოდა, რამ აიძულა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა?**

— ალბათ, გაჭირვებამ. ადით ერთი, ნახეთ მაგისი საცხოვრებელი, სახლი თუ ჰქვია მაგას. ნახეთ, სად ცხოვრობდა! მერე, კარგად გამძლარი კაცი ერთი თვე აშიმშილეთ, მაგნაირ პირობებში აცხოვრეთ და თუ უარესი არ გააკეთოს, სულში ჩამაფურთხეთ! დანაშაული კი ჩაიდინა. მაგრამ არ უნდა მოეკლათ. რომ მოკლეს, იმის შემდეგაც არ მოსულა პოლიცია — ყველაფერი ტელევიზიით გავიგეთ.

— **მანამდე პოლიციამ არ შეგატყობინათ, ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ?**

— არავინ არაფერი იცოდა. მარტო მამამისი რომ მისულიყო, ის დაიყოლიებდა ლუხუმს. საწყალი კაცი მოთქვამდა, გაეგებინათ ჩემთვის ჩემი შვილის მდგომარეობა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, შემდეგ დანაშაულის გამო თუნდაც დაესაჯათ. ჩვენც მთელი სამეზობლო წავიდოდით. გადავაფიქრებინებდით, არ უნდა მოეკლათ. შეეძლოთ დასაძინებელი, გამთიშავი საშუალებები გამოეყენებინათ, ტყვიის გარეშეც შეიძლებოდა საქმის მოგვარება. ასე თუ გაგრძელდა, რაც დღეს ხდება საქართველოში, მომავალი არ ექნებათ ჩვენს ბავშვებს და ხვალ უფრო მეტი დამნაშავე გვეყოლება. ავდგეთ და დავხოცოთ ყველა, ეს იქნება გამოსავალი?

თბილფეხსაცმელვაჭრობის მთავარი ბაზის ყოფილ შენობაში შესახლებულმა ლტოლვილებმა ლუხუმ ჯახია და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი გვაჩვენეს. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — უზარმაზარ, ნაჭრებით შეკოწიწებული ფარდით გადატიხრულ ოთახში ნორმალური ადამიანისთვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობების არსებობაზე საუბარიც კი ზედმეტია.

**ციცო გვილავა:** — თითქმის ასეთივე სიტუაციაში ცხოვრობს 32 ოჯახი. აქედან გასახლებასაც გვიპირებენ და ჩვენც დამნაშავეებად ვიქცევით, ღია ცის ქვეშ დარჩენილებს სხვა გზა აღარ გვექნება. დანაშაული რომ მოხდება, მერე ყველა იწყებს ლაპარაკს და არავის აინტერესებს მიზეზი. ლუხუმი „ლიმონკის“ ამფეთქებელი არ იყო. მეუღლეს გვერდიდან არ შორდებოდა. იმ ღამეს რომ არ დაბრუნდა, შეშფოთდა საბრალო გოგო და მთელი ღამე სად არ ვეძებდით (ტელევიზიით გავრცელებულ ინფორმაციებში სხვა სახელი და გვარი ფიგურირებდა), მაგრამ რომ მოკლეს, მერე გავიგეთ, რაც მოხდა... დროზე რომ გაგვეგო, ვუშველიდით. არავინ იფიქრა იმაზე, რომ კაცს კლავდნენ და არა წიწილას.

***მარინა მამისაშვილი***
***ეკა ლომიძე***

— შიში კი არა... გამოსვლისას ერთი მეუბნება — სამნი იყავით, ვერ განაიარაღეთო?! ვუპასუხე — გული „ნასკებში“ მქონდა, რას მეკითხები-მეთქი. იქ ფსიქოლოგიური ფაქტორიც იყო — მომენტში შეიძლება შემთხვევით გაეშვა ხელი ხელყუმბარისთვის.

— არავინ არაფერი იცოდა. მარტო მამამისი რომ მოსულიყო, ის დაიყოლიებდა ლუხუმს. საწყალი კაცი მოთქვამდა, გაეგებინათ ჩემთვის ჩემი შვილის მდგომარეობა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, შემდეგ დანაშაულის გამო თუნდაც დაესაჯათ. ჩვენც მთელი სამეზობლო წავიდოდით. გადავაფიქრებინებდით, არ უნდა მოეკლათ.

# მეგობარი ქვეყნების შეძენა მეზობელი ქვეყნის მტრად გადაკიდებად დაგვიჯდა

### შესავალი

ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკამ გვარიანად მოისუსტა და არც ქვეყნის მეთაური ყოფილა ასე მოღლილ-მოქანცულიო... გვესვრიან, გვეომებიან, ხალხს გვიხოცავენ და საპასუხოდ არაფერს ვაკეთებთ. შევარდნაძეს ისევ არ სჯერა, რომ მოსკოვი მიზანმიმართულად გვაყრის თავზე ჭურვებს და გვიწიოკებს მოსახლეობას. ოდესღაც ათეისტი ჩვენი პრეზიდენტი რატომღაც ღრმა ღვთისმოსაობაში გადაეშვა და მხოლოდ სახარებისეული შეგონებებით მოქმედებს — როცა გაარტყამენ, მოძალადეს მეორე ლოყას უშვერს. ქრისტიანული დოგმების დაცვას პრეზიდენტს ვერ დავუწუნებთ, მაგრამ მამული დაიცავითო, ესეც ხომ გვიწერია საღვთო წიგნში?!

ამ დღეებში კიდევ ერთ საიდუმლოს აეხადა ფარდა — რაკი ქართველებს მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ჩამოგდება არ შეგვძლებია, ჩვენი თავდაცვის მინისტრი „რაგატკების“ შოვნაზე გახაზირებულა. როგორც ჩანს, დავით თევზაძე თავის ბიბლიურ სეხნიას ჰბაძავს და საქართველოს საბრძოლო არსენალში შურდულის დამკვიდრებას აპირებს. კაცი იმედით არისო... ვინ იცის, იქნებ დავით თევზაძემ ბიბლიური დავითივით „რაგატკით“ სძლიოს გოლიათს.

ვესაუბრებით თავდაცვის ყოფილ მინისტრს **გია ყარყარაშვილს:**

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია საქართველოსკენ რამდენიმე მხრიდან წამოსული შეტევა?**

— მიზეზი სახელმწიფოთა შორის ინტერესთა კონფლიქტია, აქ ყბადაღებულ თემად ისევ რჩება ორიენტაციის საკითხი...



**მე თუ გიორგაძეს ხელით შევეხე, „სხვამ“ სამჯერ ამაფეთქა და 27 წლის ასაკში ინვალიდის სკამს მიმაჯაჭვა...**

> **რამდენიმე გამაოგნებელი და პარადოქსული ფაქტიც აღმოვაჩინეთ. მაგალითად, რუსთავის კოლონიაში ზის პატიმარი, რომელსაც ერთი და იმავე მოქმედების გამო მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენიც და გამოტანილი აქვს 13-წლიანი განაჩენიც.**

**— ანუ დასავლურ ორიენტაციას არ გვპატიობენ?**

— არ გვპატიობენ ანტირუსულ ორიენტაციას, თორემ ჩვენი ქვეყნის დასავლურ ორიენტაციაშიც მეპარება უკვე ეჭვი. რუსეთის იმპერიული ზრახვები ისევ არ განელებულა და შედეგად გვაქვს ის, რომ დამოუკიდებლობის 11 წლის თავზე ჩვენი ქვეყანა ვერ არის მთლად დამოუკიდებელი.

**— პანკისის ხეობის დაბომბვის შემდეგ, გარკვეული საყვედურები გაისმა პრესის მიმართ. ითქვა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გასულმა ინფორმაციამ მისცა რუსებს საბაბი, დაებომბათ საქართველოს ტერიტორია. როცა ჟურნალისტი იღებს ინფორმაციას, არ უნდა გაახმაუროს, თუ მაინც სჯობს, სიმართლე ითქვას...**

— პრესის შეზღუდვა ბევრად დიდი უბედურებაა, ვიდრე ის, რომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში პრესა მოგვევლინოს სახელმწიფო საიდუმლოების გამომტანად. სახელმწიფო საიდუმლოება მოითხოვს დაცვას. პრესის მოვალეობა ინფორმაციის გავრცელებაა. ამ შემთხვევაში მედიამ შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ არ შეასრულეს იმ სახელმწიფო მოხელეებმა, რომელთაც გასცეს საიდუმლო ინფორმაცია.

**— ითქვა, რომ ბოლოდროინდელი გამწვავებული ვითარება კოდორში, პანკისსა და სამაჩაბლოში გარკვეულწილად ისევ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. კერძოდ, ამგვარი დაძაბულობის ფონზე სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნები უკანა პლანზე გადადის და ხალხი მომხდურის შიშით ძალაუნებურად არცთუ სასურველი ხელისუფლების გვერდით დგება.**

— სახელმწიფოს უსაფრთხოება და ჩვენი უმთავრესი მონაპოვარი — დამოუკიდებლობა საფრთხეშია. ვერ დავიჯერებ, რომ ხელისუფლება თვითგადარჩენის გამო ასეთ ნაბიჯზე მიდიოდეს. ქვეყნის დამოუკიდებლობა აზარტული თამაში არ არის, რომ ვიღაცამ ასეთი მონაპოვარი სასწორზე დადოს.

თუ ის გზა, რომელიც ქვეყანამ აირჩია, უალტერნატივოა, მაშინ მეტი ვალდებულებები ეკისრებათ ხელისუფლების შტოებს. მეგობარი ქვეყნების შეძენა მეზობელი ქვეყნის მტრად გადაკიდებად დაგვიჯდა. როცა უკვე გაკეთებულია ასეთი არჩევანი, ეკონომიკური უსაფრთხოება, საფინანსო, იდეოლოგიური და სამხედრო პოლიტიკა ამ მიზნის სამსახურში უნდა ჩადგეს. როგორ შეიძლება, ამდენი წელი ვქმნიდეთ ჯარს და ვერ შევქმნათ?! როგორ შეიძლება, ბიუჯეტის შესრულება გადაიქცეს დაუძლეველ პრობლემად?! განა რა ჯდება ერთი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის აპარატი, რომ დღემდე არ გვაქვს? ვისაც უნდა, შოულობს ამ აპარატს. ჩეჩნებს აქვთ ეს შეიარაღება და ჩვენ რა დაგვემართა?! სულ ახლახან ერთ-ერთი პიროვნების მძღოლის მანქანაში 4 ცალი ასეთი აპარატი იპოვეს, ე.ი. შესაძლებელი ყოფილა შოვნა... მაგრამ ყველაზე მთავარი — ღირსება და თავმოყვარეობა დავკარგეთ. ჩავთვალეთ, რომ თავად არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია და ყველაფერი ამერიკამ უნდა გაგვიკეთოს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ განგებ ერიდებიან ჩვენი სამხედროები პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასეც იყოს... რუსებმა, დღეს ასე შეწუხებულები რომ არიან გელაევის გამო, 10 წლის წინ ჩვენ არ შემოგვისიეს ჩეჩნები?! მაშინ ვეხვეწებოდით, არ გადმოუშვათ ჩრდილოკავკასიელები, დაქირავებულმა მებრძოლებმა ქართველები არ დაგვიხოცონო. ეს მასალები უნდა დავუდოთ რუსებს. საინფორმაციო საშუალებებშიც გამუდმებით უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი და ისიც უნდა ითქვას, იმ იარაღს, რომელიც კონტრაბანდის სახით შემოდის ქვეყანაში, თვითონ რუსები რომ ყიდიან ჩეჩნებზე. იარაღი, რომელიც ბოლო დროს დააკავეს საქართველოში, სოხუმის და ცხინვალის სამშვიდობო ბაზებიდან იყო გაყიდული. რუსი სამხედროები თვითონ არიან სისხლხორცეულად დაინტერესებულები, რომ მოწინააღმდეგეს იარაღი ჰქონდეს. ეს არის მთავარი; ჩვენს მედიაში კი აქცენტი იმაზე გაკეთდა, ვისი მძღოლი იჯდა იარაღით დატვირთულ მანქანაში. რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ ვისი მძღოლია. რუსეთს აწყობს საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს რუსეთის მრეწველობის 80% სამხედრო შეიარაღებაზე მუშაობდა. ომი მას აძლევს ბაზარს, ახალი იარაღის გამოცდის საშუალებას. ომის დამთავრება რუსეთისთვის ნიშნავს იმასაც, რომ ჩეჩნები, როგორც სუბიექტები, კვლავ დარჩებიან, ოღონდ უფრო გაბოროტებულები იქნებიან. თუ ისინი ამ ეტაპზე დამარცხდებიან, მომავალში მაინც არ შეწყვეტენ გამათავისუფლებელ ომს. როგორ მოხდა, რომ ამხელა სახელმწიფო ვერ მოერია ერთმუჭა ჩეჩნებს, ან კიდევ პანკისის ხეობაში გადასასვლელის ჩაკეტვა გაუჭირდა?! ხომ აბსურდია, რომ 2კმ-ის მონაკვეთი ვერ დაიცვას რუსეთმა, რომელსაც 1,5 მლნ არმია ჰყავს.

**— ითქვა, რომ ჩეჩნების გამოშვება პანკისისკენ ამ ომში საქართველოს ჩათრევას ისახავდა მიზნად.**

— ამ გზებით ვერ ჩაგვრთავენ სამხედრო კონფლიქტში, საქართველოს ტერიტორიების დაბომბვით კი რუსები მხოლოდ არსებული ხელისუფლების სკამს შეარყევენ.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სექტემბერში შეიწყალებენ ქართველ მეომრებს, რომლებიც სხვადასხვა საპატიმროში იხდიან სასჯელს.**

— ეს ჩემი ინიციატივა იყო... იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და შეწყალების კომისიას ვაწვდით მასალებს. დაახლოებით 600 კაცი იხდის სასჯელს ვეტერანთა და მებრძოლთა საბუთებით.

**— ძირითადად, რა ბრალდებები ფიგურირებს ყოფილი მეომრების მიმართ?**

— ბრალდება სხვადასხვაგვარია, მაგრამ რამდენიმე გამაოგნებელი და პარადოქსული ფაქტიც აღმოვაჩინეთ. მაგალითად, რუსთავის კოლონიაში ზის პატიმარი, რომელსაც ერთი და იმავე მოქმედების გამო მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენიც და გამოტანილი აქვს 13-წლიანი განაჩენიც.

**— კონკრეტულად, რა ფაქტს გულისხმობთ?**

— ეს 1993 წლის ამბებს უკავშირდება, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეების წინააღმდეგ ბალტინის ფლოტი ფოთში შევიდა. ის პატიმარი, რომელიც ამჟამად რუსეთში იხდის სასჯელს, ფოთის აღების დროს ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ქალაქში (თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ბატალიონის ოფიცერი იყო) და პიკეტზე მდგომი მოწინააღმდეგე (პოლიციელი) დაჭრა. ამის გამო მიენიჭა გორგასლის II ხარისხის ორდენი, მაგრამ მოგვიანებით, ეს ოფიცერი იმავე ქმედებისთვის გასამართლდა და პარადოქსი ის გახლდათ, რომ მოსამართლე პროცესზე სწორედ მის მიერ დაჭრილი მოპიკეტე გახლდათ. ოფიცრის დანაშაული 6-დან 13 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, მაგრამ დაზარალებულმა მოსამართლემ მისთვის სასჯელის მაქსიმუმი გაიმეტა... ზოგს სატვირთო მანქანის „ზილ-131“-ის ქურდობაზე აქვს სასჯელი გამოტანილი... სოხუმის დაცემის 9 წლის თავზე აუცილებლად მიმაჩნია მებრძოლი ბიჭების გამოშვება.

**— ხაჩიშვილისა და პაპუკაშვილის გათავისუფლების შემდეგ ამბობდნენ, რომ გარკვეული საფრთხე გემუქრებათ (თითქოს ისეთი რამ იცით, რაც ამ ადამიანებს ხელს არ აძლევთ)...**

— ამ სუბიექტებთან არავითარი საერთო არ მაქვს. იმაზე მეტი საფრთხე რა უნდა შემექმნას, რაც უკვე შემიქმნეს. რომელი საპატარძლო მე ვარ, რომ ტერაქტით შემაშინონ, პირველი ხომ არ იქნება... ისინი იგორ გიორგაძის მეგობრები არიან... დავიღალე ამდენი დაპირისპირებით. რაც უნდათ, ის ქნან... ჩამოიყვანონ იგორ გიორგაძე და თუ უნდათ, ისევ მინისტრად დასვან და უნდათ — პრეზიდენტად და უნდათ — შინ წაიყვანონ. რა თქმა უნდა, ვნანობ, რომ ჩემსა და გიორგაძეს შორის დაპირისპირებამ ასეთი ფორმა შეიძინა, მაგრამ მე იმას ვაკეთებდი, რაც სწორად მიმაჩნდა. თუ გიორგაძეს აეროპორტში ხელით შევეხე, „სხვამ“ სამჯერ ამაფეთქა და მეოთხედ იმას მიაღწია, რომ 27 წლის ასაკში ინვალიდის სავარძელს მიმაჯაჭვა.

***იზო რუკაძე***

# რატომღაც მიაჩნიათ, რომ ყველა შეიარაღებული კაცი ჩეჩენია...

## უკაცრავად, მაგრამ რას მიკეთებს საზოგადოება?

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანას პრობლემების მთელი კასკადი დაატყდა თავს. მოწინააღმდეგეები ყოველი მხრიდან გვიტევენ და ეს რომ უსაფუძვლო განცხადება არ არის, ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანაც იკმარებდა:

კოდორის ერთდღიანი ომი ჯერჯერობით უმსხვერპლოდ დამთავრდა, მაგრამ იქაური ცეცხლი ჯერ მხოლოდ მინავლებულია.

ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ დურგლიშვილი გაიტაცეს.

თიანეთის ხეობაში გელაევის კვალს ეძებენ, რასაც პანკისის დაბომბვა და მსხვერპლი მოსდევს.

მაინც რა ხდება ჩვენს თავს? ამ, ცოტა არ იყოს, რიტორიკულ კითხვაზე პასუხი ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის ლიდერს **ირაკლი შენგელაიას** ვთხოვეთ.

— არ შეიძლება ბრალდების ყველა ვექტორის ხელისუფლებისკენ მიმართვა. ხელისუფლებას ისედაც მრავალი უბედურება სჭირს, ყველაფერი მას დავაბრალოთ?! უკაცრავად, მაგრამ საზოგადოება რას მიკეთებს? საზოგადოებას ჯერ როდის უნდა ელაპარაკა ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე... სამაგიეროდ, დღეს ფედერალიზმი სახვეწნი გვაქვს აფხაზებთანაც და ოსებთანაც. ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს შემოგვთავაზეს ორპალატიანი პარლამენტი. ეს რომ მიგვეღო, ყველა ის პრობლემა მოიხსნებოდა, რაც მერე შეგვექმნა. რატომ ვლაპარაკობთ ხელისუფლებაზე, როდესაც საზოგადოებას აქვს უამრავი პრობლემა. სანამ საზოგადოება თავის თავში არ მოიგვარებს ყველაფერს, მანამ ხელისუფლებას არაფერი ეშველება.

**— მაგრამ ისიც საზოგადოების ბრალია, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ჩამოგდება არ შეგვძლებია?**

— ეს უკვე პარლამენტის ბრალია. რა პასუხი უნდა გაგვცენ იმ ოპოზიციონერებმა, რომელთაც თავდაცვის სამინისტროს ისეთი ბიუჯეტი დაუმტკიცეს, ჯარისკაცების საჭმელისთვისაც რომ არ ჰყოფნით. რომელ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შეძენაზეა ლაპარაკი, როცა ჯარისკაცი მშიერი და შეუმოსავია. მაშინ სად იყვნენ ეს დალოცვილი პარლამენტარები, როცა ამ ბიუჯეტს უჭერდნენ მხარს? რატომ მისცა საზოგადოებამ პოლიტიკოსებს იმის ნება, რომ ასეთი ბიუჯეტისთვის დაეჭირა მხარი. ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში თანაბრად არის დამნაშავე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებაც.

**— ამას წინათ, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ერთდროულად რამდენიმე, საკმაოდ შთამბეჭდავი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ფონდის ხელმძღვანელი ყოფილა. საუბარია 20 მლნ ლარზე. თუნდაც ამ თანხის ნაწილი რომ გაემეტებინა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისთვის, ასეთ უმწეო მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდებოდით?**

— მე სხვა რამეს ვიტყვი, — საერთოდ, რა საჭირო იყო ამ ფონდების შექმნა და რატომ უნდა მართავდეს ამ ფონდს პრეზიდენტი. ვინ დაამკვიდრა ეს საქართველოში და ვინ დაუჭირა მხარი ამ ყოვლად იდიოტურ კანონს? ამოვქექოთ ეს კანონები და ყველა პოლიტიკოსს მოვთხოვოთ პასუხი. სანამ ეს პრინციპი არ დამკვიდრდება, მანამ კიდევაც დაგვბომბავენ და ნაწილ-ნაწილაც გაგვიტანენ, ისე, რომ აზრზე ვერ მოვალთ. რატომღაც ყველა იცილებს პასუხისმგებლობას და განტევების ვაცი არის პრეზიდენტი. პრეზიდენტის დამცველი არ გახლავართ. ასე რომ იყოს, მისი მომხრე ვიქნებოდი, მაგრამ ობიექტურობა გვმართებს.

საქართველოში დღეს მენტორული ტონით გველაპარაკებიან პოლიტიკოსები, რომელთაც 1995 წლიდან დღემდე კარტ-ბლანში მისცეს მოქალაქეთა კავშირს. დაინგრა მოქალაქეთა კავშირი და დაინგრა მთელი სახელმწიფო, იმიტომ, რომ სახელმწიფო აგებული იყო მოქალაქეთა კავშირზე. ამ პოლიტიკოსებს უნდა მოეთხოვოთ პასუხი და არავის სჭირდება მათი დამრიგებლური ტონი.

**— ბოლო დროს პრეზიდენტის გარდა, მასმედიაც ბრალდებების ობიექტი გახდა.**

— ეს მართლაც საინტერესო თემაა. კატეგორიულად მიუღებელია პრესის შეზღუდვა, მაგრამ წამოვჭრი პრობლემას (ეს არ არის საყვედური) — ბოლო დროს რატომღაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში ყველა შეიარაღებული კაცი ჩეჩენია, ჩეჩენი თუა, აუცილებლად გელაევია და თუ გელაევია, მინიმუმ 10 ბატალიონი მაინც ჰყავს საქართველოში შემოყვანილი. ეს არის პრობლემა, თორემ ჟურნალისტმა რომ მასალა უნდა მოიძიოს და ქვეყანა უბედურებას ააცილოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ხანდახან ინფორმაციის ხარისხის პრობლემა დგება (არ უნდა მივცეთ მტერს ამ ინფორმაციის სათავისოდ გამოყენების საშუალება), ეს არის გამოსასწორებელი. თავი გაანებოს ჟურნალისტებს იმ ხალხმა, რომელსაც თავისი გაფუჭებული საქმეები აქვს მოსაგვარებელი.

***იზო რუკაძე***

# ახალი პასპორტები 50$ ეღირება

## რას ერჩიან ძველ პასპორტებს?

**(დასაწყისი იხ. გვ. 5)**

დღეს მოქმედი პასპორტების მფლობელებს კი კიდევ 5 წლის განმავლობაში შეეძლებათ ამჯერად არსებული პასპორტებით სარგებლობა. ფოტოიდენტიფიცირებაც უფასოდ მოხდება და პირადობის მოწმობის გაცემისას მაქსიმალურად იქნება დაცული მოსახლეობის სოციალურად ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენის ინტერესები.

**— დღეს საქართველოს მოქალაქის პასპორტისა და პირადობის მოწმობის გაყალბება სიძნელეს არ წარმოადგენს და ამიტომაც უამრავი „ფსევდოქართველი“, მაწანწალა უცხოელი თავისუფლად დასეირნობს ჩვენს საზღვრებზე. ახალ დოკუმენტებს ეს საფრთხე არ ემუქრება?**

— გეთანხმებით, ამის გამო უხერხულობა გვექმნება საერთაშორისო სივრცეშიც. ახლახან 7 ავღანელი მოქალაქე დააკავეს, ორჯონიკიძედან აპირებდნენ გასვლას; ვინმე აზერბაიჯანელი მურთაზაროვი გვყავს დაკავებული ყალბი პასპორტების გასაღების გამო, რუსთაველი ე. დოლელაშვილისგანაც ამოიღეს 14 ცალი ფოტოსურათშეცვლილი გაყალბებული პასპორტი — გოგონები უნდა წაეყვანა დუბაიში. აქ ტრეფიკინგის დანაშაულთან გვაქვს საქმე. სწორედ ამ გარემოების გამო დადგა დღის წესრიგში საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტების დამზადება-გაცემის თვისებრივად ახალ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობა. 11 სექტემბრის შემდეგ ქართველებს განსაკუთრებით უძნელდებათ აშშ-ში შესვლა, რადგან მოძველებული სისტემის გამო შეუძლებელი ხდება მათ შესახებ კომპიუტერში აუცილებელი ინფორმაციის სასწრაფოდ მიღება; მოქალაქეთა პირადობის მოწმობებისა და პასპორტების დამზადება-გაცემის თანამედროვე სისტემის დანერგვა კი შესაძლებელს გახდის მოსახლეობის შესახებ სრულყოფილ მონაცემთა ბაზის შექმნას, ქვეყანაში არჩევნების სრულყოფილად ჩატარებას და რაც მთავარია, ინფორმაციათა გაცვლით საქართველო უფრო აქტიურად ჩაერთვება მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

**— და მიუხედავად ამდენი სიკეთისა, საქართველოს მოქალაქის ახალი პასპორტისა და პირადობის მოწმობის ესკიზებში არ არის ეროვნების გრაფა.**

— თუ კონსტიტუციური ცვლილება მოხდება, ეს გრაფა უპრობლემოდ და დაუყოვნებლივ ჩაემატება საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში.

***ეკა ლომიძე***

# პოლიგონი, სახელად საქართველო!

## რუსებმა არაჰუმანური ბომბები დაგვაყარეს...

„Если россиийские самолёты действительно бомбят грузинские сёла, тогда почему нет жертв среди мирного населения?!“ — ნიშნისმოგებითა და ცუდად შენიღბული დაცინვით მიმართა წლის დასაწყისში, ერთ-ერთ სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა თავის ქართველ კოლეგას.

და, აი, 23 აგვისტოს რუსული საბრძოლო თვითმფრინავების მიერ ქართული მიწის ერთ-ერთ მორიგ დაბომბვას უკვე მსხვერპლიც მოჰყვა — რუსული ბომბის ნამსხვრევებს შეეწირა სოფელ მატნის მკვიდრი გურამ ოტიაშვილი, შვიდი ადამიანი კი დაიჭრა.



შპს „აერონავიგაციამ“ თავის რადიოლოკატორზე ასე დააფიქსირა (გამოყოფილია ოვალით) 23 აგვისტოს რუსული თვითმფრინავების შემოჭრა ქართულ საჰაერო სივრცეში .

ყველაფერი სწორედ ამისკენ მიდიოდა — ჯერ ცხვრები იმსხვერპლა რუსულმა ბომბებმა, შემდეგ ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცი, რომელსაც კრემლისთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოუცხადებელ ომს შეეწირა.

23 აგვისტოს დაბომბვა შეიძლება დიდად არაფრით განსხვავდებოდა წინა საჰაერო თავდასხმებისგან, რომლებსაც ჰაერიდან აბსოლუტურად დაუცველი მოსახლეობა სამწუხაროდ, უკვე შეეჩვია, ხოლო საქართველოს დღევანდელი უმწეო ხელისუფლების მორიგი საპროტესტო ნოტები მხოლოდ გაღიზიანებას თუ იწვევს.

დაბომბვა რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა, რომელთა რაოდენობა არანაკლებ ოთხი იყო, 23 აგვისტოს, დილის 5.20 სთ-ზე დაიწყეს. დროის ასეთი ზუსტი მითითება შეიძლება სულაც არ იყოს საჭირო, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — ჩვეულებრივ მაგიდის კალენდარში ერთი ჩახედვაც კმარა იმის გასარკვევად, რომ ამ დღეს მზე 5.16 სთ-ზე ამოდის, ანუ რუსმა პილოტებმა საჰაერო თავდასხმა ზუსტად გარიჟრაჟზე, მზის პირველი სხივების ამოსვლისთანავე დაიწყეს, თითქმის 40 წთ-ს გააგრძელეს, რაც მათ საშუალებას აძლევდა, დღის სინათლეზე უკეთესად დაებომბათ ქართული მიწა.

ალბათ ამითაც აიხსნება, რომ მათ მართვადი იარაღის გამოუყენებლად, ჩვეულებრივი უმართავი ბომბებით განახორციელეს მეტნაკლებად ზუსტი დაბომბვა.

ჩვენი მონაცემებით, დაბომბვაში Су-25 მოიერიშე თვითმფრინავების ერთი რგოლი


რუსული ბომბი ამ ავტომობილთან ახლოს აფეთქდა

(звено) მაინც მონაწილეობდა, რომელთა გამზადება საბრძოლო გაფრენისთვის მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე არა უგვიანეს დილის 3 სთ-ზე (მოსკოვის დროით) დაიწყეს.

დროის დაზუსტებას ამ შემთხვევაში ის აზრი აქვს, რომ დაბომბვამდე დაახლოებით 7 სთ-ით ადრე, ერთ-ერთმა პოპულარულმა ქართულმა სატელევიზიო არხმა თავის ექსკლუზიურ რეპორტაჟში აჩვენა საქართველოს მთიანეთის ის ადგილები, რომელიც ცოტა ხნით ადრე პანკისიდან გამოსული შეიარაღებული ჩეჩნების დიდმა ჯგუფმა გაიარა.

დღეს ბევრი ამ ორ ფაქტს — სატელევიზიო სიუჟეტსა და თავად დაბომბვას — ერთმანეთს უკავშირებს და თვლის, რომ სწორედ ეს სიუჟეტი გახდა რუსული დაბომბვის მაპროვოცირებელი.

სტატიის ავტორის აზრით კი, დაბომბვა მაინც მოხდებოდა, მიუხედავად იმისა, გავიდოდა ეთერში ის სატელევიზიო სიუჟეტი თუ არა. ამის ვარაუდის საფუძველს კი ორი, ერთი შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენა იძლევა — 12-13 აგვისტოს კოდორის ხეობის ზემო ზონისკენ აფხაზების 60-100-კაციანმა ჯგუფმა სცადა გადაადგილება, რომელთა მთავარი მიზანი იყო იმ შემოვლითი ბილიკების გაკონტროლება და დანაღმვა, რომლებითაც შარშან, შემოდგომაზე ჩეჩენთა ჯგუფებმა და ქართველმა პარტიზანებმა თითქმის სოხუმს მიაღწიეს (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წინა ნომერში დაწვრილებით წერდა).


რუსული Су-25 (საბორტე №47) ემზადება მოზდოკის აეროდრომიდან ასაფრენად და პანკისის დასაბომბად

მეორე საინტერესო ფაქტი კი 19 აგვისტოს მოხდა, როდესაც ცხინვალში მდგარი რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სარდალმა ყველასთან შეუთანხმებლად, 211-კაციანი დანაყოფი (ოთხი ჯავშანტრანსპორტიორითა და ათი სატვირთო ავტომობილით) კონფლიქტის ზონის გარეთ, ახალგორის რაიონში გადაისროლა და სანგრების თხრა დააწყებინა.

ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის დაზვერვის წინასწარი მონაცემებით, სოხუმშიც და ცხინვალშიც უკვე იცოდნენ, რომ ჩეჩნების შეიარაღებული ჯგუფი აპირებდა პანკისის ხეობის დატოვებას და რუსეთში გადასასვლელი გზების ძიებას.

რუსებსა და აფხაზებს არ უნდოდათ, შარშანდელი მოვლენები განმეორებულიყო და ამიტომაც დაიწყეს ზრუნვა გზების გადასაკეტად კოდორის ხეობის თავზე და ახალგორის რაიონში.

რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის 82-კმ-იანი მონაკვეთი რუსმა მესაზღვრეებმა, შეიძლება ითქვას, უკვე მთლიანად ჩაკეტეს. ეს დაადასტურა სამი კვირის წინანდელმა მოვლენებმა, როდესაც 60-კაციანმა ჩეჩნურმა ჯგუფმა ვერ შეძლო ამ მიმართულებიდან ჩეჩნეთში შეღწევა. არ არის გამორიცხული, ამ ჯგუფს ერთგვარი მზვერავის როლიც ჰქონდა დაკისრებული — თუკი ისინი შეაღწევდნენ ჩეჩნეთში, მათ სხვა, უფრო მსხვილი დანაყოფი შეჰყვებოდა.

შარშან ჩეჩნების გადასვლა რუსეთში ვერ მოხერხდა, რადგან მოსკოვმა მოასწრო საზღვრის მონაკვეთის გამაგრება ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის მიმართულებით და ეს ჩეჩნები „საახალწლო საჩუქრებივით“ შემორჩნენ საქართველოს.

ეტყობა, დღესაც იგივე განმეორდება, რადგან ამ ჩეჩნური ჯგუფის გადაადგილება ისე „გაბაზრდა“, რომ მათი „უჩუმრად“ შეღწევა რუსეთის ტერიტორიაზე თითქმის გამორიცხულია.

სამაგიეროდ, ჩნდება სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა — შეიძლება ხვალ რომელიმე სხვა ტელეკომპანიამ ან გაზეთმა გაავრცელოს ინფორმაცია ჩეჩნების თბილისის რომელიმე უბანში გამოჩენის შესახებ. მაშინ მორიგ საჰაერო თავდასხმას დედაქალაქზეც უნდა ველოდოთ?

ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ რუსული სპეცსამსახურები, შეიძლება წინასწარ სენსაციურ ინფორმაციას „უგდებენ“ ქართული მასმედიის ამა თუ იმ საშუალებას, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ სკანდალებისა და ექსკლუზივის „ნადირობაში“ ისინი ფართოდ გაავრცელებენ ამ ცნობებს. ამით რუსული სპეცსამსახურები ორმაგ მოგებას ნახულობენ — ჯერ ერთი, ისევ ქართული მასმედიის საშუალებებით ქმნიან ინფორმაციულ ნიადაგს თავიანთი შემდგომი ძალისმიერი მოქმედებებისთვის და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია — ერთმანეთს უპირისპირებენ მოსახლეობას და ჟურნალისტებს (სამწუხაროდ, ამის ნიშნები ახმეტის რაიონშიც გამოჩნდა).

დავუბრუნდეთ დაბომბვის დეტალებს. უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, თუშეთიდან შემოფრენილმა საბრძოლო თვითმფრინავებმა გადაუფრინეს პანკისის ხეობას და დაბომბეს ახმეტის რაიონის ილტოს ხეობისა და დაბა თიანეთის ტყის მასივები, აგრეთვე ტბათანის შემოგარენი, ხოლო შემდეგ გაფრინდნენ ივრის ხეობაში და მასიურად დაბომბეს ხევსურეთში გადასასვლელები და ჩეჩნეთ-ხევსურეთის საზღვრები.

ილტოს ხეობაში ე.წ. ბუხრების დასახლებაში ჩამოგდებულმა ბომბებმა, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ადამიანი იმსხვერპლა.

საყურადღებოა, რომ იქ მდგარმა ЗиЛ-131 ტიპის ორმა ავტომობილმა მეტად საინტერესო დაზიანება მიიღო — სხვათა შორის, შეიძლება სწორედ ეს ავტომობილებიც გახდნენ ერთგვარი მაპროვოცირებელი ფაქტორი — რუსმა პილოტებმა სამიზნედ ტყეში გაჩერებული სამხედრო ტიპის სატვირთო ავტომობილები აირჩიეს.

ავტომობილების კაბინები დაბრეცილია, მაგრამ სხვა დაზიანება არ გააჩნია. დეფორმირება გამოიწვია ბომბების აფეთქებით წარმოქმნილმა წნევამ. საკვირველია, რომ ავტომობილების საწვავის ბაკები, ისევე როგორც ძარებზე მოთავსებული „დრუჟბას“ ტიპის ხერხების ბაკები შიგნიდანაა გამომწვარი — ბენზინი აფეთქების გარეშე გამოიწვა.

ყოველივე ეს კი შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ რუსმა პილოტებმა კვლავ მოცულობით-დეტონირებადი, სხვანაირად კი, ვაკუუმური ბომბები დაგვაყარეს. საერთაშორისო კონვენციით მართალია, მათი გამოყენება არ არის აკრძალული, მაგრამ მაინც არაჰუმანურ იარაღად ითვლება.

Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავს რვა მოცულობით-დეტონირებადი ОДАБ-500ПМ საავიაციო ბომბის წაღება შეუძლია. თითოეულ მათგანში მოთავსებულია ტეტრანიტის ნარევი და მისი დაყოვნებული აფეთქების შემდეგ გაშლილ მინდორზე, 1700კვმ-ის ფართობზე, ყველა სულიერი ნადგურდება (აფეთქების ადგილზე „ბუხრებთან“ ხეები მოსხეპილია).

როგორც ჩანს, ეს დაბომბვა ბოლო არ იქნება, რადგან შეიარაღებული ჩეჩნები კვლავ შეიძლება გადაადგილდნენ ჩვენს ტერიტორიაზე. ისინი პანკისიდან, რა თქმა უნდა, ოფიციალურ თბილისთან შეთანხმებით გამოვიდნენ. ამით, ცხადია, ავიცილეთ ერთი საფრთხე — ამ ხეობაში რუსული დესანტის შესაძლო გადმოსხმა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაჩნდა სხვა საფრთხე — არ არის გამორიცხული, ბომბები დაუშინონ საქართველოს სხვა, ნებისმიერ ადგილს, სადაც კი მოსკოვს ჩეჩნები მოელანდება.

ამასთან, თავად ამ მობოდიალე შეიარაღებულ ჩეჩნებსაც შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გაუთავდეთ საკვები და, რაც მთავარია, მოთმინებაც. მაშინ კი მართლაც კრიტიკული მომენტი დადგება...

## ქართველ ოფიცერს ჯერ კიდევ ეძებენ

### პრეზიდენტის დავალება – სასწრაფოდ გაერკვიათ გატაცებული ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის ბედი, კვლავ შეუსრულებელია

15 აგვისტოს სამაჩაბლოში გატაცებული ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის ზურაბ დურგლიშვილის ბედი კვლავ გაურკვეველია.

ცხინვალის რეგიონში განთავსებული ოთხმხრივი სამშვიდობო ძალების ქართული შტაბის უფროსი ოფიცერი ზურაბ დურგლიშვილი შინ, სოფ. ავნევში მიდიოდა თავისი „ნივით“. გზაზე ორი ნიღბიანი შეიარაღებული სამხედრო გადაუდგა. ოფიცერი თავის მანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

მას შემდეგ ქართულ შტაბში მართალია, ერთხელ გაისმა უცნობის ზარი, რომელიც თითქოსდა გამოსასყიდს ითხოვდა, მაგრამ მორიგე ოფიცერმა უყურადღებოდ დატოვა ეს შეტყობინება.

ამის შემდგომ დურგლიშვილზე არაფერი ისმის, თუმცა მისი ახლობლები და თანასოფლელები ამ საქმის ასე დატოვებას არ აპირებენ.

სხვათა შორის, მოტაცების ფაქტის თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცადა კონფლიქტის ზონაში რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სარდალი ვასილ პრიზემლინი. მან ორი ასეული თვითნებურად გადაისროლა ახალგორის რაიონში — ვითომდა დურგლიშვილის მოსაძებნად სპეცოპერაციის ჩასატარებლად. თუმცა როგორც ქართული მხარე ამტკიცებს, ეს მხოლოდ შირმაა და რუსი გენერალი დურგლიშვილის მოძებნას მხოლოდ ფარად იყენებს.

ვიდრე ვიცე-პოლკოვნიკ დურგლიშვილის გატაცების საქმე არ გაიხსნება, შეუსრულებელი რჩება პრეზიდენტ შევარდნაძის მკაცრი მითითება სამართალდამცავების მიმართ — ქართველი ოფიცერი ორიოდ დღეში მოძებნეთო.

## პანკისში საქართველო... ბრუნდება,

### ოღონდ მას შემდეგ, რაც თბილისის თხოვნით აქაურობას შეიარაღებული ჩეჩნები ტოვებენ

თავდაცვის სამინისტროს მიერ 25 აგვისტოს ოფიციალურად დაწყებული სამეთაურო-საშტაბო სწავლებები „კახეთი-2002“, ისევე როგორც შინაგანი ჯარების ახალი საგუშაგოების უშუალოდ პანკისის ხეობის შიგნით გახსნა, ეტყობა, იმაზე მეტყველებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამ „თეთრ ლაქაზე“ აღდგება ქართული იურისდიქცია.

უსათუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქართული ძალოვანი, სამართალდამცავი და სპეციალური უწყებები პანკისში თამამად მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც ეს ხეობა იქ წლობით მყოფმა შეიარაღებულმა ჩეჩნებმა და შესაძლოა, არაბებმაც დატოვეს, ისიც საქართველოს ხელისუფლების დაჟინებული თხოვნის და მოთხოვნის შედეგად.

უშუალოდ ხეობაში საჭიროა ხანგრძლივი ანტიკრიმინალისტური ოპერაციის ჩატარება, რომელთა განმახორციელე-


ქართული საბრძოლო ტექნიკა პანკისისკენ დაიძრა

ბლებსაც ერთგვარი „ზურგის“ იმედი ექნებათ შინაგანი ჯარების საგუშაგოებისა თუ იქვე, ხეობასთან თავმოყრილი თავდაცვის სამინისტროს 1500-მდე სამხედრო მოსამსახურის სახით.

თავდაცვის სამინისტრომ პანკისის ხეობასთან, სწავლებაში მონაწილეობის საბაბით, ტანკები, ჯავშანმანქანები, ჰაუბიცები და თვით Град-ებიც კი გადაისროლა. საბედნიეროდ, ამ შეიარაღების გვერდით არის ის საზენიტო საშუალებებიც — ჯავშანგამწევებზე დამონტაჟებული ავტომატური საზენიტო ქვემეხები ЗУ-23-2-ები და გადასატანი Стрела-ები, რომლებმაც აუცილებლობის შემთხვევაში, ქართულ სამხედრო დანაყოფებს საჰაერო აგრესორი უნდა მოუგერიონ. არადა იმის საშიშროება, რომ რუსული თვითმფრინავები კვლავ დაბომბავენ პანკისის ხეობის ახლომახლო ტერიტორიებს, კვლავ არსებობს.

# რით? – «რაგატკით»!

## ქვეყნის საჰაერო თავდაცვა არასოდეს ყოფილა არც ხელისუფლების და არც გენერალიტეტის პრიორიტეტი

ორიოდ დღეში უკვე „პოპულარულად“ ქცეული თავდაცვის მინისტრის ეს სიტყვები, მიუხედავად მათი არასერიოზულობისა, ბევრ რამეზე მიანიშნებს.

ვინ და, დავით თევზაძე ხვდება, რომ ყოველი მორიგი საჰაერო თავდასხმა პირველ რიგში სწორედ მის ავტორიტეტს და კარიერას ავნებს. მას, ეტყობა, ყველაზე მეტად სწადია ერთი რუსული „ქორის“ ჩამოღება მაინც, მაგრამ იცის, რომ უძლურია.



დღეს, განუწყვეტელი დაბომბვების ფონზე, ძნელია ოპერატიულად და, რაც მთავარია, ეფექტიანად ებრძოლო საჰაერო თავდამსხმელს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, — ორიოდ კვირაში ვერ ააწყობ იმ საჰაერო თავდაცვის სისტემას, რომელსაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე, გენერალ-ლეიტენანტ თევზაძის მინისტრობის პერიოდში, ძალზე მცირე ყურადღება ექცეოდა.

ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემის მოშლას მარტო ამჟამინდელ თავდაცვის მინისტრს ვერ დააბრალებ, საჰაერო თავდაცვის ძალზე ძვირად ღირებული სისტემის შექმნა და უწყვეტი ეფექტური ექსპლუატაცია მეტისმეტად სცილდება თავდაცვის მინისტრის შესაძლებლობებს და მთლიანად სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების დიდ ხელშეწყობას მოითხოვს.

დღევანდელი ქართული გენერალიტეტის შეცდომა (თუ ბრალი არა) ის არის, რომ მათ არ მიაჩნდათ პრიორიტეტულად საჰაერო აგრესორების მოგერიება და მთავარი ყურადღება სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე გადაჰქონდათ.

რა სჯობს მობილური საბრძოლო ჯგუფების ყოლას, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ავიწყდებოდა, რომ ნებისმიერი სახმელეთო დანაყოფი, სულ ერთია, რომელი იქნება — სწრაფი რეაგირების რაზმი თუ სატანკო ასეული, მაშინ არის ეფექტური ბრძოლაში, როდესაც მზადაა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად. ამაში დასარწმუნებლად შორს წასვლა ნამდვილად არ დაგვჭირდება — ყველა ომი თუ შეიარაღებული კონფლიქტი ჯერ საავიაციო დარტყმით იწყება — ასე მოიმოქმედა ჰიტლერმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას, ასე იყო სპარსეთის ყურეში „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს, იგივე განმეორდა ჩეჩნეთის ორივე ომის დაწყების წინ, მხოლოდ ქართველი გვარდიელები შედიოდნენ ტანკებით აფხაზეთში.

ერთი ეგ იყო, რომ ნადიბაიძემ და თევზაძემ თავ-თავიანთი მინისტრობის პერიოდში ოთხ-ოთხი C-125 ტიპის საზენიტო რაკეტა გაისროლეს მალთაყვიდან ზღვის მიმართულებით და ისიც უმიზნოდ, რაც ქართული საჰაერო თავდაცვის ძლიერებაზე კი არა, უფრო სხვა რამეზე ლაპარაკობდა.

მაგრამ დაკარგულ დროსა და თანხებს უკან ვერ დავიბრუნებთ. სანამ უკრაინელები აღგვიდგენენ რადიოლოკატორებსა და საზენიტო რაკეტებს, დიდი დრო გაივლის (ან გამონახავს კი ხელისუფლება ამისთვის საჭირო 12 მლნ დოლარს?!).

საქართველოს მოქალაქეები გააოგნა გასულ კვირას თავდაცვის მინისტრის განცხადებამ. მან თითქმის ყოველგვარი იმედი გადაუწურა მისივე დასაცავ ხალხს, ხოლო უმაღლესმა მთავარსარდალმა — პრეზიდენტმა იხტიბარი არ გაიტეხა და ბრძანა, — ჩვენ გვაქვს საშუალებები, რითაც შევძლებთ საჰაერო აგრესორების მოგერიებას.

### რით შეგვიძლია დავიცვათ ქართული საჰაერო სივრცე?

მთლიანად საჰაერო სივრცის გაკონტროლებასა და მის სრულ დაცვაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ შესაძლოა იმ მიმართულებების მეტ-ნაკლებად გადაკეტვა, საიდანაც სისტემატურად თავს გვესხმიან რუსული მოიერიშე და ბომბდამშენი თვითმფრინავები და დამრტყმელი შვეულმფრენები.

დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი რუსი პილოტები თითქმის არ ცვლიან თავდასხმის მარშრუტს — მოზდოკიდან აფრენილები საქართველოს საზღვარს ძირითადად ცხინვალთან ან ყაზბეგთან კვეთენ და შემდეგ ფასანაურის გავლით პანკისისკენ მიფრინავენ.

ამ მიმართულებაზე შეიძლება განთავსდეს ის მობილური საზენიტო საშუალებები, რომლებიც ასე თუ ისე შეგვრჩა.

ეს გახლავთ: 12,7 მმ კალიბრის ДШК საზენიტო ტყვიამფრქვევები; ЗУ-23-2 ავტომატური საზენიტო ქვემეხები; ЗСУ-23-4 Шилка თვითმავალი საზენიტო დანადგარები; 57 მმ კალიბრის C-60 და 100 მმ კალიბრის KC-19 საზენიტო ქვემეხები და Стрела-2М ხელის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები.

ამ საზენიტო იარაღის ამოქმედება უახლოეს დღეებშიც შეიძლება, თუკი მათ გავარემონტებთ (განსაკუთრებით იმ რამდენიმე Шилка-ს), მაგრამ ეს საზენიტო საშუალება მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდეა ეფექტური. ДШК-ების გამოყენება ალბათ აჯობებდა იმ რუსული შვეულმფრენების წინააღმდეგ, რომლებიც განუწყვეტლივ არღვევენ საზღვრისპირა სივრცეს.

ЗУ-23-2-ისა და Шилка-ს მოქმედების ეფექტური სიმაღლე 1,5 კმ-ს აღწევს, C-60-ის სროლის მაქსიმალური სიმაღლე 8 კმ-ზე მეტია, ხოლო KC-19-ისა — 12 კმ-ს აღწევს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნახევარსაუკუნოვან სისტემებს ძალიან უჭირთ სწრაფი რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოგდება. სამაგიეროდ, ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია Стрела-ს, რომელიც 3,5 კმ სიმაღლეზე მისდევს რეაქტიულ მოიერიშეს, მაგრამ მათთვის საჭირო აკუმულატორების (თითოეული მხოლოდ 40-ოდე წმ-ს თუ ყოფნის) სიმცირისა და უქონლობის გამო, Стрела-ს ეფექტური გამოყენება ჭირს. სტატიის ავტორი, გასაგები მოსაზრების გამო, უფრო დაწვრილებით არ განიხილავს ამ საზენიტო საშუალებების რეალურ მდგომარეობას, მაგრამ მიაჩნია, რომ სულ არარაობას ესეც სჯობს.

**ქართველ ჯარისკაცებს წლების განმავლობაში სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების განადგურებას ასწავლიდნენ, იმის მაგივრად, რომ ეს C-60 ტიპის საზენიტო დანადგარები პირდაპირი დანიშნულებით გამოეყენებინათ**



მთის მწვერვალებზე დამონტაჟებულმა ЗУ-23-2-ებმა და იქვე, Стрела-თი ჩასაფრებულმა მეზენიტეებმა შეიძლება პირველი მოულოდნელი საჰაერო თავდასხმა ვერ მოიგერიონ, მაგრამ როდესაც 40 წთ-ის განმავლობაში გბომბავენ რუსული Су-ები, შენი ქვეყანა უნდა გძულდეს, რომ ერთხელ მაინც არ ესროლო!..

### ჩვენი დოსიე:

**რითი გვჯობს მოჯაჰედი, რომელმაც პირველი Су-25 ავღანეთში ჩვეულებრივი შაშხანით ჩამოაგდო (სულ 23 ცალი Су-25 დაკარგა ავღანეთის ცაში საბჭოთა კავშირმა, უფრო მეტი კი აეროდრომებზე მოჯაჰედებმა საარტილერიო ცეცხლითა და დივერსიების შედეგად გაანადგურეს), ან რაღა ასე შორს წავიდეთ — 1995 წლის 4 თებერვალს რუსული მოიერიშე Су-25 ჩეჩნებმა სწორედ Шилка-თი ჩამოაგდეს. მეორე მოიერიშე 1996 წლის 4 აპრილს ჩეჩნურმა ЗУ-23-2-მა „ჩამოიღო“, ხოლო იმავე წლის 5 მაისს კი Стрела-მ. 1999 წლის 9 სექტემბერს დაღესტნის დასახლება ყარამახთან შამილ ბასაევის მებრძოლმა Су-25 საზენიტო ტყვიამფრქვევით ДШК-თი „ჩამოხსნა“, ხოლო 3 ოქტომბერს უკვე გროზნოსთან, მორიგი რუსული მოიერიშე ჩამოაგდეს ჩეჩნებმა. 13 დეკემბერს კიდევ ერთი Су-25 გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით გაანადგურეს. 2000 წლის 2 იანვარს რუსულ მოიერიშეს კვლავ მოხვდა ჩეჩნების Игла, მაგრამ პილოტმა მოახერხა თვითმფრინავის დასმა მინდორში. გარდა ამისა, დღემდე კიდევ ათამდე მოიერიშე Су-25, ბომბდამშენი Су-24М, მზვერავი Су-24МР თვითმფრინავები და სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 და დამრტყმელი Ми-24 ტიპის შვეულმფრენები ჩამოუგდეს ჩეჩნებმა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს. სწორედ მათ, ვინც დღეს ჩვენ გვბომბავს. როგორც ჩანს, შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება.**

და კიდევ ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ჩვენთვის. ზუსტად 14 წლის წინ, 1988 წლის 4 აგვისტოს პაკისტანურმა F-16 ტიპის გამანადგურებელმა „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტით ჩამოაგდო ის საბჭოთა მოიერიშე Су-25, რომელმაც ავღანეთიდან გადალახა მეზობელი ქვეყნის საჰაერო სივრცე და ბომბავდა პაკისტანის ტერიტორიას. ჩამოგდებულ მოიერიშეს პოლკოვნიკი, შემდგომში კი რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ რუცკოი მართავდა.

სხვა საქმეა, თუ რა დაუჯდა მოსკოვს თავისი პოლკოვნიკის გამოხსნა პაკისტანელთა ტყვეობიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ამის შემდეგ საბჭოთა ავიაცია საერთოდ აღარ გაკარებია ავღანეთ-პაკისტანის საზღვარს და მალე დატოვა ავღანეთის აეროდრომები.

სანამ ერთი რუსული მფრინავი აპარატი მაინც არ ჩამოვარდება საქართველოს ტერიტორიაზე, მოსკოვი ვერ მოისვენებს, თუმცა ძნელია იმის დაჯერება, რომ ამას ქართველი სამხედროები გააკეთებენ (თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის ხელისუფლებას არ გააჩნია პოლიტიკური ნება, ასეთი ბრძანების გაცემისა), ერთადერთ იმედად ისევ შემთხვევითობა რჩება — იქნებ რომელიმე რუსულ ბომბდამშენს თუ მოიერიშეს მოტორმა „დაუსტუკოს“ და ქართულ მიწას თავის ბომბებიანად დაენარცხოს. აი, მაშინ კი არ დაიზარებს მხცოვანი პრეზიდენტი ტყეში გასვლას და ჯოხს მკაცრად მიუკაკუნებს რუსული მფრინავი აპარატის ნარჩენებს — აკი, მთელ მსოფლიოს ვეუბნებოდი, მოსკოვი გვბომბავსო!

ხომ გახსოვთ, 1993 წელს, სოხუმის მახლობლად ჩამოვარდნილ რუსული Су-27 გამანადგურებლის ნარჩენებს როგორ უჩვენებდა მთელ მსოფლიოს მაშინდელი სახელმწიფო მეთაური...

მაგრამ მთავარია, შენ თვითონ ჩამოაგდო შენი მიწის დამბომბველი და არ ელოდო ბედის წყალობას!

## ორი ხეობის დაძაბულობის ორი კერის პრინციპი

პანკისის ხეობის რუსეთის ავიაციის მიერ დაბომბვის პარალელურად, იძაბება სიტუაცია აფხაზეთიდან ლტოლვილებს შორისაც. მათმა წარმომადგენლებმა კვლავ გადაკეტეს ენგურის ხიდი და წამოყენებული მოთხოვნების შესრულებამდე გზის გახსნას არ აპირებენ.

მათი პრეტენზიები კი კვლავ საქართველოს ხელისუფლებისადმია მიმართული. — თუკი, ორსამ დღეში ხელისუფლება არ დაიწყებს აფხაზეთიდან იმ ქვეყნის, რომელიც ჩვენ გვბომბავს, ე.წ. სამშვიდობო ძალების გაყვანას, მაშინ პარტიზანები მკვეთრად გააქტიურებენ ქმედებებს ამ რეგიონშიო, — აცხადებენ.

ეს გზა ლტოლვილებმა რამდენიმე თვის წინაც გადაკეტეს, მაგრამ მაშინ მათ სახელმწიფო მინისტრი ეწვია და სთხოვა აქციის დაშლა. ხელისუფლების დაპირებით, 31 ივლისის გაეროს უშიშროების საბჭოზე დაისმებოდა საკითხი აფხაზეთში რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ფუნქციების შეცვლის თაობაზე; მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი ძველებურად აგრძელებენ იმ სამსახურს, რომელიც ნამდვილად არ შეესაბამება საქართველოს და აფხაზეთიდან იძულებით დევნილების ინტერესებს.

არ არის გამორიცხული, რომ პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გართულდეს სიტუაცია მთლიანად აფხაზეთში და კერძოდ, კოდორის ხეობაში. — ჩვენ ვხედავთ ლოგიკურ კავშირს პანკისისა და კოდორის ხეობებში მიმდინარე რთულ პროცესებს შორის. არსებობს ორი ხეობის პრინციპი — ორი დაძაბულობის კერა. როგორც კი ერთი სიტუაცია მოგვარდება, მეორეში ყველაფერი თავდაყირა დგება. ამ ორი ხეობით ხდება დესტაბილიზაციის მართვა საქართველოში და ისიც ერთი და იმავე უცხო ძალის მეშვეობით, — უთხრა „კვირის პალიტრას“ უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ბატონმა ნიკო ლალიაშვილმა.

რამდენად შეძლებს საქართველოს ხელისუფლება ერთდროულად ორ კრიზისულ რაიონში სიტუაციის მართვას, უახლესი მომავალი გვიჩვენებს.

## მოსკოვს ჩეჩნეთისთვის ვერ მიუხედავს და თვალი პანკისზე უჭირავს

რუსეთის ფედერალური ძალები მესამე წელია აგრძელებენ ე.წ. ანტიტერორისტულ ოპერაციას ჩეჩნეთში, როგორც ამას „მოკრძალებით“ ნათლავს კრემლი.

სინამდვილეში კი, ჩეჩნეთში გრძელდება ჩვეულებრივი პარტიზანული ომი. საბრძოლო მოქმედებები ხან მძაფრდება, ხანაც სუსტდება.

ბოლო კვირას ჩეჩენმა პარტიზანებმა 31 „ფუგასი“ (შენიღბული ასაფეთქებელი მოწყობილობა) ჩაუდეს ფედერალებს, ძირითადად საცხოვრებელ უბნებსა და შარაგზებზე. როგორც რუსი მენაღმეები ირწმუნებიან, მათ 31-დან 22 განაღმეს, მაგრამ 9 მაინც აფეთქდა. ამის გარდა, როგორც ოფიციალურად იუწყება რუსეთის ფედერალური ძალების ხელმძღვანელობა ჩეჩნეთში, მათ ამოიღეს 75 ცეცხლსასროლი იარაღი, 100 ათასამდე ვაზნა და 42 ცალი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა.

ჩეჩენმა პარტიზანებმა 30 ადამიანი დაკარგეს, ხოლო რუს ფედერალებს 22 კაცი დაეღუპათ და 49 — დაეჭრათ. რუსმა სამხედროებმა ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებიდან (1999 წლის შემოდგომა) დღემდე 4.302 კაცი დაკარგეს, დაიჭრა 12.417 კაცი.

დაღუპული ჩეჩნების ზუსტი რაოდენობის დადგენა კრემლსაც კი უჭირს. რუსული სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ შეიძლება 15-16 ათასი კაცი იყოს დაღუპული.

ყოველკვირეული 20-30-კაციანი დანაკარგი (თითოეული მხარიდან) უფრო იმაზე მეტყველებს, რომ ჩეჩნეთის ომს ჯერ ბოლო არ უჩანს. ზამთარში შეიძლება საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობამ მნიშვნელოვნად იკლოს, მაგრამ გაისად გაზაფხულიდან იგი ახალი ძალით გაჩაღდება...

## რით ჰგავს რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი წინამორბედ გრაჩოვს?!

მთელი საქართველო აღშფოთებულია მორიგი რუსული აგრესიით, რასაც მშვიდობიანი ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვა. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი კი თავხედურად აცხადებს — მივესალმებით, რომ საქართველომ ბოლოს და ბოლოს, დაიწყო ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისში და ეტყობა, ქართული საბრძოლო თვითმფრინავები ბომბავენ ხეობის მისადგომებსო!



სერგეი ივანოვი

ამ უტიფარი განცხადების შემდეგ უნებურად გვახსენდება კიდევ ერთი, საქართველოს ასევე არანაკლებ „მოყვარული“ რუსეთის თავდაცვის ექსმინისტრის პაველ გრაჩოვის აფხაზეთის ომისდროინდელი ნაბრძანები — სოხუმს ის ქართული თვითმფრინავები ბომბავენ, რომლებიც თბილისის სარემონტო ქარხანაში ჩვენი Су-25-ის მაგვარად გადაღებესო!



პაველ გრაჩოვი

როგორც ეტყობა, რუსეთის თავდაცვის მინისტრებს ვერაფერი შეცვლის, ამიტომაც ნერვები რომ არ დაგვაწყვიტოს აშკარა ტყუილმა და ურცხვობამ, საჭიროა თუნდაც ერთი ნივთმტკიცება — რუსული თვითმფრინავი ჩამოვაგდოთ.

ნეტა, მაშინ რას იტყვიან რუსი სოლდაფონი გენერლები თუ სამოქალაქო თავდაცვის მინისტრები. ალბათ გამოსავალს მაინც იპოვიან — შევარდნაძეზე გამწარებულმა პილოტმა მოიპარა თვითმფრინავი და საქართველოს დასაბომბად გამოფრინდაო!

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*




# გვამი ჩამოვარდა და თაბაშირის ქანდაკებასავით დაიმსხვრა...

**პატიმრებით გაჭედილ სატვირთო გემს ოკეანის ტალღები ნაფოტივით ათამაშებდა. იმდენი ტანჯვა-წამება ჰქონდათ გამოვლილი, თითქოს აღარაფერი უნდა გაჰკვირვებოდათ, მაგრამ მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ დაიჯერეს — აღსასრული დადგაო. ამ შეგრძნებას უფრო ამძაფრებდა გემის ეკიპაჟის დაბნეულობა და შეშფოთება. განწირულ ადამიანებს ნერვები ღალატობდა და დროდადრო გემბანიდან წყალში ცვიოდნენ... ბედს მართლა ზურგი ექცია უბედურთათვის — ჯერ იყო და, ტაიგაში ციმბირულმა კოღომ დაკბინა ხალხი და ისეთი ციება შეეყარათ, გემზე ასვლამდე ბარე სამასამდე კაცს გაუთხარეს სამარე. მერე ბევრი ზღვის ავადმყოფობამ იმსხვერპლა. ახლა ეს ჯოჯოხეთი დაატყდათ თავს, მაგრამ ხალვათობა მაინც არ იგრძნობოდა. პატიმრების უმეტესობა გემბანზე ეყარა, რადგან ტრიუმები ისე იყო გაჭედილი, თაგვი კუდს ვეღარ მოიქნევდა. ყველა მათგანს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში უნდა მოეხადა სასჯელი. ეს „სიახლე“ იმ წელს დანერგა საბჭოთა კავშირმა და ახლა „პირველი მერცხლები“ გადაჰყავდათ პატარა ჯოჯოხეთიდან დიდ ჯოჯოხეთში.**

— ესაა, ბიჭო, წყნარი ოკეანე? ეს თუ წყნარია, მაშინ მე პეტრე მოციქული ვყოფილვარ და დავეტოვებიეთ ჩემს საქართველოში, ვიცოდე მაინც, რას გვიპირებენ, — მორიგი ტალღის გადავლის შემდეგ წამიერი სიმშვიდით ისარგებლა თბილისელმა გელა ვეფხვაძემ და ცხინვალელ რაულ სანაკოევს გახედა, რომელსაც ამჯერადაც ეყლაპა ოკეანის მარილიანი წყალი და გამწარებით იგინებოდა. ვეებერთელა ტალღა კვლავ მოასკდა გემბანს და ისევ რამდენიმე კაცი გაიყოლა... გემბანზე თავის დამაგრება შეუძლებელი იყო, რაღაც უნდა ეღონათ. ქობულეთელმა საშა პანოვმა რამდენიმე მეტრი თოკი შეაჭრა დროშის მომცრო ტრალს. სისხლისფერმა დროშამ უკანასკნელად შეიფრიალა და თავის ნამგლიან-ჩაქუჩიანად მოუსავლეთში გააქანა ქარბორბალამ. სხვა დროს იქვე დახვრეტდნენ უბედურს, მაგრამ ახლა პატიმარიც და ზედამხედველიც თავის გადარჩენაზე ზრუნავდა და დროშისთვის არავის ეცალა. საქართველოდან ეტაპირებული ოთხეული ქუთაისელ ნიკოია მაღლაკელიძესთან ერთად ერთმანეთს გადაება და მერე გემბანზე გამავალ მსხვილ მილზე მიამაგრეს თოკი. ღამე ძლივს გაათენეს. დილით ფეხზე წამოდგომის თავი არ ჰქონდათ. მერე და მერე, როცა მზე საშუადღეოზე წამოიმართა, გემბანზე თევზებივით მიყრილთაგან თითო-ოროლა წამოიწია. ტრიუმებიდან უცნაური გუგუნი მოესმათ და სარქვლებისკენ გახოხდნენ, მაგრამ ვერ გააღეს. რყევას სარქვლები ჩაეჭედა და ახლა ნახევრად წყლით სავსე ტრიუმებში უჟანგბადობით სიკვდილი ემუქრებოდა ხუთასამდე კაცს. საშამ ძალაყინი იშოვა. რის ვაი-ვაგლახით გახსნეს სარქვლები. რამდენიმე სახედაკარგული კაცი ამოფოფხდა ზემოთ. თითოეული თავის ენაზე აგინებდა პარტიასა და მთავრობას, მაგრამ გელას მოეჩვენა, ზედამხედველები არაფრად აგდებდნენ ამას.

— შენ გგონია, მათრახს გადაგიჭერს ჩვენი მაიორი ამ გინებისთვის? — ირონიული ღიმილით გადაულაპარაკა ნიკოიამ გელას და მზეს მიფიცხებული მაიორისაკენ გააპარა მზერა.

— არ იცი, რომ ეგეც ჩვენნაირი პატიმარია და მე და შენ ბევრად მეტი შანსი გვაქვს მაგაზე ადრე დავბრუნდეთ შინ. პოლიცაია ეგ, გერმანელები ოკუპირებულ ქალაქებში რომ იყენებდნენ სლავური წარმომავლობის გამყიდველებს, იმათი მოდგმისა... ნამდვილ ფაშისტებს ის მაინც სწამდათ, თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის რომ იბრძოდნენ, ეს კი?..

— როგორ, კაცო? მთელი ცხოვრება ციხე-კოლონიებში გავატარე და ახლა პოლიცაის ჩააბარეს ჩემი თავი? — სიტყვა გააწყვეტინა გელამ და კვლავ მაიორს გახედა.

— მაგას რას მიშტერებიხარ, ყველა მაგნაირია. აბა, იმ მოუსავლეთში, სადაც ჩვენ მივყავართ, სამსახურს ვინ დათანხმდებოდა? ბადრაგიანმეზღვაურიანად ყველა ყოფილი პოლიცაია. შეიძლება გემის კაპიტანი და კიდევ რამდენიმე კაცი იყოს თავისუფალი. ბოლოს და ბოლოს, გემი ხომ უნდა დაბრუნდეს უკან, — მოჭრა ნიკოიამ და ხელი გემის კიჩოსაკენ გაიშვირა — აი, მგონი, „შინაც“ მოვედით! — ჰორიზონტზე ალაპლაპებული ყინულით დაფარული ნაპირი თვალს ჭრიდა.

## ციხეს რად უნდა... მავთულხლართები

გემი სანაპიროდან ორი კილომეტრის მოშორებით დადგა. 1200 პატიმარი ნავებით გადაიყვანეს ნაპირზე, თუმცა, ვინ გაარკვევდა, სად ნაპირი იყო და სად ოკეანე. ივნისი იდგა, მაგრამ ჩუკოტკის სანაპირო ზოლი, როგორც მერე გამოირკვა, ოკეანის სიღრმეში ორ-სამ კილომეტრზე გაყინულიყო. 6 მეტრი ექნება ამ ყინულს სისქეო, — უთხრა ერთმა მენავემ გელას, მაგრამ მანამდე არ დაიჯერა, ვიდრე ორიოდე დღის შემდეგ თავისი თვალით არ ნახა, როგორ დაჯდა ამ ყინულზე ვეებერთელა თვითმფრინავი, საიდანაც რამდენიმე ტრაქტორი, მარხილები და სამშენებლო მასალა გადმოტვირთეს. პატიმრები კი ამ უკაცრიელ ყინულეთში, ვიდრე უროებითა და რკინის სოლებით თვითონვე არ ამოთხარეს თავისი სადგომები, ღია ცისქვეშ ეყარნენ. რამდენიმე კაცი რვა-ათ დღეს ანდომებდა თავშესაფრის ამოთხრას. მერე ადმინისტრაციისთვისაც ასეთივე მიწურები გააკეთეს, ირგვლივ ეკლიანი მავთულღობე შემოავლეს, შიგადაშიგ სათვალთვალო კოშკები ჩადგეს და ბანაკიც მზად იყო. თუმცა ვერაფრით გაეგოთ, რა საჭირო იყო მავთულხლართები, როცა გასაქცევი არსაით ჩანდა... გასაქცევი კი იყო, მაგრამ საით უნდა გაქცეულიყვნენ, არავინ იცოდა, თანაც -50⁰-60⁰ ყინვა უჭერდა.

— როგორ გგონია, გელა, გავუძლებთ? — ნაღვლიანად ჩაეკითხა ერთ დილით ნიკოია ნახშირის მომცრო ღუმელს მიშტერებულ მეგობარს.

— მე, ჩემო ნიკო, სიკვდილს სულაც არ ვაპირებ. არცა მაქვს ამის უფლება — უმცროსი ძმა მყავს მისახედი. უდედმამოდ გაიზარდა. მე დედა მაინც მახსოვს. ციხეშიც მის გამო მოვხვდი. ძალიან გვიჭირდა. ვიფიქრე, ერთხელ „წავალ საქმეზე“, ბიჭს ობლობას არ ვაგრძნობინებ-მეთქი. დამიჭირეს და სულ მარტო დარჩა. მერე ციხიდან გაქცევა გადავწყვიტე. ვიფიქრე, ნუგზარს წავიყვან და სადმე, რუსეთში, სხვისი გვარით ვიცხოვრებთ-მეთქი, მაგრამ უარეს დღეში ჩავვარდი. კიდევ ხუთი წელი უნდა ვხეხო ეს ყინულები. როგორმე სული უნდა გავიტანო, ვინემ სამწლიან სამხედრო სამსახურს მოივლის ნუგზარი. იქნებ როგორმე ისე ვიმუშაო, რომ ერთი-ორად ჩამითვალონ, ადრე გავიდე, რომ შინ დავხვდე ჯარიდან დაბრუნებულს. აქ წამოსვლამდე მწერდა, სამხედრო კომისარიატში შინაგანი ჯარების შემადგენლობაში გამამწესესო.

— გშველებია და ეგ არი, — ხუმრობის გუნებაზე დადგა ნიკოია, — გუშინ ხომ გვითხრეს ბანაკგარე პერიმეტრს შინაგანი ჯარი დაიცავსო. ეგერ, ე, „ვიშკაზე“ წამოსკუპდება შენი ნუგზარა და საითაც გინდა, გაიქცევი... გამცილებლად თეთრი დათვები იახლე. ამბობენ, აქედან კანადაა ახლოსო, მაგრამ რომელ მხარესაა, ეგ ვერ გავარკვიე, თორემ...

> **— ტომატი ჰყვარებიათ ჩუქჩებს ძალიან. ერთი ქილა ტომატის გულისთვის თუნდაც ხუთ კაცს მოკლავენ თურმე. მე კი მაინც უნდა გავიქცე. თხუთმეტი ქილა ტომატი მოვიპარე სამზარეულოდან. ამით თხუთმეტ ჩუქჩას მოვქარგავ და თუ მოწმენდილი ღამე იქნა, გზასაც გავაგნებ ვარსკვლავების მიხედვით**

— შენ გეხუმრება, ჩემო ნიკოია და...

— არც მე მეხუმრება, ბიჭო, მაგრამ ასე იქნებ უფრო მალე გავიდეს ეს ოხერი დრო. შენ ხუთი წელი გაქვს დარჩენილი და რა დღეში ხარ. მე კი თხუთმეტი წელი უნდა ვეგდო აქ, — ჩაილაპარაკა ნიკოიამ. ნიჩაბი, რომლითაც ამ ყინვაში ბეტონს ურევდა, გვერდზე გადადო და ჰაერში ავისმაუწყებლად გაისისინა მაიორის მათრახმაც. მიუხედავად იმისა, რომ დაბამბული ტანსაცმელი ეცვა, ბეჭები აეწვა და სიმწრით შეჰკივლა. თუმცა, ტკივილის გამო არა, შეურაცხყოფას ამგვარად გამოუცხადა პროტესტი. მაიორმა მათრახი ახლა გელას გადააწნა. გელაც გამწარდა, თუმცა ხმა არ ამოუღია. დამნაშავესავით გადახედა ნიკოიას, თითქოს ეუბნებოდა, — ხომ გითხარი, დავიფიცე, ნუგზარის გულისათვის ყველაფერი უნდა ავიტანო-მეთქიო... ნიჩაბს წამოავლო ხელი და ბეტონის რევას შეუდგა. ნიკოიამაც მიჰბაძა. იცოდა, აქ ჩხუბით ვერაფერს გახდებოდა. ყოფილ პოლიცაის იმწამსვე გამოექომაგებოდნენ თავისიანები. პატიმრები მუშაობას განაგრძობდნენ, ორმოს სიღრმე, რომელშიც ბეტონს ასხამდნენ, ზუსტად თორმეტი მეტრი იყო. ოცი-ოცდაათი კაცი ერთ თვეს მაინც უნდებოდა ამ სიღრმეზე ყინულის ჩაჭრას.

> **მიუხედავად იმისა, რომ დაბამბული ტანსაცმელი ეცვა, ბეჭები აეწვა და სიმწრით შეჰკივლა. თუმცა, ტკივილის გამო არა, შეურაცხყოფას ამგვარად გამოუცხადა პროტესტი. მაიორმა მათრახი ახლა გელას გადააწნა. გელაც გამწარდა, თუმცა ხმა არ ამოუღია.**

იმ დღეს რაღაც აუტანლად ციოდა. წესით, პატიმრები 50⁰-იან ყინვაში სამუშაოდ არ უნდა გაეყვანათ, მაგრამ ესეც ამ მაიორის დამსახურება გახლდათ. ახლა თერმომეტრი -54⁰-ს აჩვენებდა, მაგრამ, აბა, ბიჭი იყავი და ხმა ამოგეღო. ბეტონს ცხელი წყლით ზელდნენ, შემდეგ ორმოში ასხამდნენ და მასში ჩარჭობილ არმატურას დენს უერთებდნენ. ამისათვის იქვე ვეებერთელა გენერატორი მუშაობდა. ამგვარად წარმოიქმნებოდა მაღალი ტემპერატურა და ბეტონი გაყინვის მაგივრად შრებოდა.

მაიორმა სიცოცხლე გაუმწარა პატიმრებს, თუმცა არც სხვები ინდობდნენ ამ უბედურებს. ბანაკის უფროსიც, ზედამხედველიც და კარისკაციც პატიმრები იყვნენ, მაგრამ ამ ადამიანებისადმი ზიზღს გამოხატავდნენ. პირველ რიგში ქურდებს არ ინდობდნენ. შეცვივდებოდნენ ღამით თავიანთი ნაგაზებით პატიმრების მიწურებში და ორას-სამას კაცს ნიფხავ-პერანგის ამარა გამოყრიდნენ გარეთ. მერე ქურდებს აიძულებდნენ, კოშკურაზე საგანგაშო ზარი დაერეკათ. ეს კი უკვე ქურდის „გაბოზებას“ ნიშნავდა და იგი „არიფებში“ უნდა გადაწერილიყო. ვინც ამაზე უარს იტყოდა, ფეხშიშველს უნდა ერბინა ყინულზე. თუ არ ირბენდა და რამდენიმე წამს გაჩერდებოდა, ფეხები ისე მიეყინებოდა, ნაჯახითაც ვეღარ ამოჩეხდი...

ჭკვიანი ბიჭი იყო რაულ სანაკოევი. დიდხანს აკვირდებოდა პოლიციელებს და ბოლოს, ასეთ დასკვნამდე მივიდა: — ესენი ცდილობენ, ხელისუფლების წინააღმდეგ აგვამხედრონ, თორემ სულ ფეხებზე ჰკიდიათ ქურდი ხარ თუ ყაჩაღი. უმჯობესია მოვითმინოთო.

მაგრამ ვეღარ მოითმინეს. ერთ დღეს, როცა მაიორი კვლავ მათრახით დაერია პატიმრებს, ისე უჩუმრად შემოარტყეს ალყა, თავისიანებს რომ არ შეემჩნიათ. ჯერ რკინის ნაჭერი ჩასცხეს თავში და გათიშეს, მერე იმ თორმეტმეტრიან ორმოში ჩაუძახეს და საღამომდე ზემოდან ოთხი მეტრი სისქის ბეტონი დაასხეს.

დიდხანს ეძებდნენ თავისიანები ძუ ნაგაზებით (ძუები უფრო კარგად იღებენ კვალს, — ვ.გ.) იმ ქოფაკ მაიორს, მაგრამ ვერ იპოვეს და ისიც ისევე ჩამოწერეს, როგორც მანამდე გარდაცვლილი ასობით პატიმარი.

ჩუკოტკის აღმოსავლეთ სანაპიროზე დღესაც ფუნქციონირებს ბუხტა „პრივადნენია“, რომელიც 50-იან წლებში პატიმრებმა ააგეს. მის საძირკველში განისვენებს კაციჭამია პოლიცაი-მაიორი. მშენებლობის დამთავრების შემდეგ პირველმოსახლენი ნახევარკუნძულის სიღრმეში უსლინის ბანაკში გადაიყვანეს.

— რა აზრი ჰქონდა ჩვენს აქეთ გადმოყვანას. ნეტავ, „დაგვაწინაურეს“ თუ „დაგვაქვეითეს“? — ჰკითხა თავისიანებს გელა ვეფხვაძემ და მიწურის კარის ღრიჭოდან მძვინვარე ქარბუქს გახედა.

— ის აზრი ჰქონდა, ჩემო გელა, რომ გამოცდას გვიწყობენ. პირდაპირ თუ ივლი, აქედან კანადამდე ყინულზე სამოცი კილომეტრია, მაგრამ გზაც რომ გააგნო და ნადირსაც თავი დააღწიო, მონადირე ჩუქჩები არ გაგიშვებენ თურმე ცოცხალს. ყველა მათგანი მოქრთამული ჰყავს ადმინისტრაციას — გუშინ მაფრთხილებდა ერთი ძველი პატიმარი. ტომატი ჰყვარებიათ ჩუქჩებს ძალიან. ერთი ქილა ტომატის გულისთვის თუნდაც ხუთ კაცს მოკლავენ თურმე. მე კი მაინც უნდა გავიქცე. თხუთმეტი ქილა ტომატი მოვიპარე სამზარეულოდან. ამით თხუთმეტ ჩუქჩას მოვქარგავ და თუ მოწმენდილი ღამე იქნა, გზასაც გავაგნებ ვარსკვლავების მიხედვით — ჩაილაპარაკა საშა პანოვმა და საწოლზე მხარი იცვალა.

— დაიღუპები, საშა, — შეეპასუხა გელა, — ის აღარ ჰკითხე იმ შენს ნაცნობს, თუ გაუღწევია ოდესმე ვინმეს აქედან-თქო?

— არა, ასეთი რამ არ მომხდარაო, — მითხრა, მაგრამ ახლა მოხდება ეს და ის კაცი მე ვიქნები.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო. ისე იმედიანად ლაპარაკობ, მეც გამიჩნდება გაქცევის სურვილი, მაგრამ ისევ ჩემი ძმის გამო უნდა მოვითმინო, თორემ ამგვარ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია... თუნდაც ჩუქჩის ხელით.

— წამოდი, გელა, წამოდი, ყველაფერი გათვალისწინებული მაქვს, უეჭველად გავაღწევთ. შენი ძმისთვისაც უკეთესი იქნება, თუ კარგად იქნები. ვითომ რაო, სასჯელს რომ პატიოსნად მოიხდი, ჯილდოს მოგცემენ? ჩახვალ შენს საქართველოში და ბორჯომის წყლის დასალევი ფული არ გექნება. სამსახურს არავინ მოგცემს პატიმრობაგამოვლილს და სამეგობროდ არავინ გაგიკარებს. შენი ძმა კი ჯარში სამსახურს რომ მოათავებს, უშენოდ უფრო გაიკვლევს გზას. წამოდი და მიეცი ბიჭს საშუალება, თვითონ მოიწყოს ცხოვრება. შენ კი, თუ გაგვიმართლა, იქიდან უფრო დაეხმარები. ბევრი ფიქრი არ უნდა ამას. ერთ კვირაში დავიძვრებით, — საშამ საწოლს ქვემოდან ტომატის ქილებით სავსე ტომარა გამოათრია.

— კარგი, მოვდივარ....

ყველაფრის მიუხედავად, სტალინის დროინდელ კოლონიებში იმ პატიმრებს, ვინც მუშაობდა, საჭმელი არ აკლდათ. მართალია, ამ შემთხვევაში იქაური ყინვების გამო ხორცის გარდა, ყველაფერი გამხმარი შეჰქონდათ, კომბოსტოც, ხახვიც, კარტოფილიც, მაგრამ ირმის ხორცი ყოველდღე ახალ-ახალი მიჰქონდათ პატიმრებთან მონადირე ჩუქჩებს. ყოველდღე თითო ჩუქჩას ქრთამავდნენ გელა და საშა სასადილოდან აწაპნილი ტომატის ქილებით. ორი კვირა მოანდომეს ამ საქმეს. ახლა კი ღამეულ ქარიშხალს ელოდებოდნენ, რომ მავთულხლართებში შეუმჩნევლად გამძვრალიყვნენ. ეს საქმე უფრო იოლად ეჩვენებოდათ, რადგან „პრივადნენიას“ სატუსაღო ბანაკისგან განსხვავებით, იქ სათვალთვალო კოშკებზე ყოფილი „პოლიცაები“ კი არა, პირტიტველა ჯარისკაცები იდგნენ და ნაკლები იყო შანსი, რომ მათ ესროლათ გაქცეულებისთვის. იმ ღამეს კი ის ოცეული მორიგეობდა, რომელიც წინა დღეს გადმოსხა შვეულმფრენმა.

## გაქცევა... მოუსავლეთში, ანუ ძმაო, ძმითა ხარ...

გრიგალი ერთბაშად ამოვარდა. სათვალთვალო კოშკურებზე მოდარაჯე ახალბედა სამხედროებს ძალიან გაუჭირდათ. მართალია, ყინვასაც შეჩვეულები იყვნენ და უამინდობასაც, მაგრამ ასეთ მკაცრ პირობებში პირველად მოხვდნენ და ცოტა დაიბნენ კიდეც. მათ სადარაჯოზე თვალით რომ არაფერი ჩანდა, ჯერ ეს კმაროდა შესაშფოთებლად, მაგრამ თვითონ კოშკურაზეც გაძლება იმდენად ჭირდა სიცივისა და ქარიშხლის გამო, რომ ნუგზარმა ერთი პირობა ისიც კი გაიფიქრა, დაბლა ჩავალ და ჩემს სათვალთვალო ზონას იქიდან გავაკონტროლებო, მაგრამ გაახსენდა, რომ ინსტრუქციით ეს სასტიკად აკრძალული იყო და ისევ კოშკურაზე დარჩა. იმასღა ნატრობდა, როგორმე დილამდე გავძლო. აპირებდა, ჩუმად გაეკითხა, — შემთხვევით მისი ძმა გელა, აქ ხომ არ იხდიდა სასჯელს. იცოდა, სადღაც ამ მხარეში უნდა ეძებნა... თუ იპოვიდა, რა თქმა უნდა, არ გაამხელდა, რადგან იმწუთსვე მოაშორებენ აქაურობას, ისე, ჩუმად ინახულებდა ხოლმე და უფროს ძმას მძიმე ხვედრს შეუმსუბუქებდა. მთავარია, ჯერ მიეგნო, მერე კი...

უცებ მავთულხლართებიდან რაღაც უცნაური ხმა მოესმა, რომელიც იმავე წამს დაფარა ქარიშხლის ღრიალმა. ცოტაც და, მის კოშკურაზე მექანიკური ზარი აწკრიალდა, რაც მავთულხლართებში ადამიანის ან ცხოველის გაბმას მოასწავებდა.

ამისთანა მეორედ მოსვლაში კაციშვილი გარეთ როგორ გამოვიდოდა, ალბათ ნადირი იქნებაო, — გაიფიქრა ნუგზარმა. ქარაშოტის წამიერ ჩაწყნარებასთან ერთად ზარის ხმა სხვა კოშკურებსაც მისწვდა და მათაც, თავის მხრივ, ზარებს შემოჰკრეს.

ნუგზარი გრძნობდა, რომ ამ განგაშზე პირველი ის აგებდა პასუხს, რადგან ზარი მის კოშკურაზე აწკრიალდა და მოქმედებაც მას უნდა დაეწყო. ავტომატი იქით მიმართა, სადაც ნადირი ეგულებოდა და სასხლეტს დააწვა...

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ბანაკის მორიგემ და მისმა მხლებლებმა ფარნებით გაანათეს საეჭვო ადგილი, მავთულებზე დაცხრილული გელას გვამი იყო გადაწოლილი.

P.S. საშას მავთულხლართებში კი გაეღწია, მაგრამ მეორე დღეს ყინულებში იმ ჩუქჩებს გადაჰყროდა, ვისი მოქრთამვაც ვეღარ შეძლო და შვიდი ტყვია დაუხლიათ უბედურისათვის. თუმცა მაინც გადარჩა და თუ არ ვცდები, ახლაც ფოთში უნდა ცხოვრობდეს.

...ნუგზარი იმ დღეს აგონიაში ყოფილა. საღამოს კი კოშკურაზე ჩამოუხრჩვია თავი. დილით, როცა ყულფი გადაჭრეს, ერთიანად გაყინული მისი გვამი ძირს ჩამოვარდნილა და თაბაშირის ქანდაკებასავით დამსხვრეულა...

***ვაჟა გავაშელი***

# „ᲑᲐᲠᲝ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲜᲔᲪ“ – ᲐᲜᲣ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲘᲛᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲙᲝᲨᲙᲡ




*„იტალიაში, გენუაში დაბადებულსა და გაზრდილს, რაღა დაგიმალოთ და, ძნელად თუ მაკვირვებდა რამე, მაგრამ თურქეთის ტერიტორიაზე ნანახმა თქვენმა დიდებულმა ოშკმა, ხახულმა, ბანამ და სხვებმა გამაოცეს. მერე ლეგენდები მოვისმინე საქართველოს შესახებ და მოჯადოებულივით შემიპყრო თქვენი ქვეყნის ნახვის სურვილმა. სასწრაფოდ შევწყვიტე მოგზაურობა თურქეთში და იტალიაში დავბრუნდი... — ასე დაიწყო საქართველოსთან დაკავშირებული თავგადასავლების თხრობა იტალიელმა მოგზაურმა, ჩემმა კოლეგამ მასიმომ, რომელმაც ცოცხალი თავით არ გამიმხილა გვარი, — სულ მალე იტალიურ პრესაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული სტატიებით ყველაფერს შეიტყობთ, ახლა კი, სიმართლე გითხრათ, მეშინია, საქართველოში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის მსხვერპლი მეც არ გავხდე და ამიტომ ზედმეტად გამოჩენას ვერიდები“.*

*საქართველოთი აღფრთოვანებული 34 წლის იტალიელი მოგზაურის თავგადასავლებით მოხიბლულმა, გადავწყვიტე, მისი ნაამბობი ფრაგმენტებად შემოგთავაზოთ: იქნებ გეცნოთ კიდეც მასიმოსთან შეხვედრის დეტალები. მაისის ბოლოს ჩამოსულ იტალიელს უკვე თითქმის მთელი საქართველო მოუვლია და დამტვრეული ინგლისურ-რუსულ-ქართულის წყალობით მეგობრებიც გაუჩენია.*



## სულეიმანმა გადამრია

ერთ-ერთი ქართული სიტყვა, რომელიც პირველად ვისწავლე, „გადამრიაა“. ქართველებმა ვერაფრით მითარგმნეს სხვა ენებზე, მერე ამიხსნეს, რომ „გადამრია“ „გადასარევი“-დან მოდის და თურმე ძალიან კარგს, საუკეთესოს, ყველაზე მაგარს ნიშნავს. ამიტომაც, საქართველოზე თუ ვინმე აზრს მეკითხება, ვპასუხობ — საქართველომ გადამრია-მეთქი. მანამდე სულეიმანმა გადამრია თურქეთში, ისიც ახალგაზრდა ბიჭია, დიასამიძეა გვარად, თუმცა, თურქულად სულ სხვა გვარი აქვს. ვერ დავიმახსოვრე. მისი წინაპრები საუკუნეების წინ ტყვედ წაუსხამთ თურქეთში. სულეიმანი ქრისტიანია, ბათუმში მონათლულა 6 წლის წინ. ჯვარი და ღვთისმშობლის ხატი ჰკიდია გულზე და დღე და ღამე საქართველოსა ლოცულობს. როგორც ამიხსნა, ოშკს უვლის და იქ მისულ ტურისტებს ისეთ რამეებს უამბობს საქართველოსა და თავის წინაპრებზე, უცხოელები ცხარე ცრემლით ტირიან. მეც იმან გადამრია. ვკითხე, — საქართველოში რატომ არ მიდიხარ საცხოვრებლად-მეთქი? აქ უფრო ვჭირდები საქართველოსო, — მიპასუხა. ძალიან უცნაური ადამიანია. მაშინ ვიფიქრე, მართლა სულეიმანის მონათხრობივით თუა საქართველო, ქართველები კი სულეიმანივით უცნაური ადამიანები თუ არიან, საკუთარი თავის წინაშე ცოდვას ჩავიდენ, ამ ეგზოტიკურ ქვეყანაში რომ არ ვიმოგზაურო-მეთქი; მიუხედავად იმისა, რომ სულეიმანმაც და სხვებმაც ბევრი მირჩიეს, დაძაბული სიტუაციის გამო საქართველოში მოგზაურობისგან თავი შემეკავებინა, მაინც ჩამოვედი. მართალი აღმოჩნდა სულეიმანი. საქართველო ზღაპარია, მაგრამ იცით, რა ვიგრძენი? — სულეიმანისთანა ქართველები აქ არ ცხოვრობენ. მაშინ, როცა ყველა ერი თავისარსებობის ისტორიას, უმცირეს მონაპოვარსაც კი თვალისჩინივით უფრთხილდება, თქვენ, უმდიდრესი ისტორიული წარსულით, უძველესი კულტურითა და ცოდნით მხოლოდ ამაყობთ. მაგრამ რაც გაქვთ, იმას არ უფრთხილდებით, არ უვლით. ეს უცნაური დაუდევრობაა ასეთი ერის შვილების მხრიდან.

## ქვეყანა, სადაც ყოველთვის გელიან

ერთგან სწორად ვერ გამიგეს, რას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი: საქართველო ერთი პატარა, საოცარი ქვეყანაა და კიდევ უფრო პატარ-პატარა და უცნაური საქართველოებისგან შედგება-მეთქი. ქართლი, კახეთი, გურია, იმერეთი და ა.შ. პატარა საქართველოებია, ამიტომაც ამ ქვეყანაში ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ და ამავე დროს სრულიად განსხვავდებით კიდეც. ერთმანეთს არ ეფერებით ისე, როგორც მოსულს, სტუმარს. უცნაური თვისებაა. მივდივარ აქედან და თან მიმდევს განცდა, რომ საქართველო, ეს არის ქვეყანა, სადაც ყოველთვის გელიან, ამიტომაც, ერთხელ აქ მოსულს, მერე გული სულ ამ ქვეყნისკენ მოუწევს. ქართველებმა საშუალება მომცეს, თავი სტუმრად კი არა, ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად მეგრძნო. მსოფლიოში ასე არავინ მოგექცევა, ყველა ერი გაგრძნობინებს, რომ მათი ქვეყნის ცა და მიწა მხოლოდ მათია და მათ ჰაერს რომ სუნთქავთ, ეს თქვენთვის დიდი პატივია. საქართველო ყველასთვის საყვარელი, მშობლიური, „შინ“ არის, სადაც დაბრუნების ნოსტალგია მოსვენებას გაკარგვინებს. აქ დაბრუნებამდე სიზმრებში ვნახავ სვანეთს, იტალიაშიც ლამაზი მთებია, მაგრამ აქ უცნაურ „ლილეს“ და „მირანგულას“ მღერიან; როცა შვილები მეყოლება, ამ სახელებს დავარქმევ. ჰო, მართლა, ძალიან მომეწონა სოფიას ქართული ვარიანტი — სოფიკო. ჩემს მეგობარ გოგონას ჰქვია სოფია, ამიერიდან სოფიკოს დავუძახებ. თუ საქართველოში არ წამომყვება, ჩემი ცოლი ვერ გახდება... ხევსურეთში ვიყავი. ერთ ოჯახში სამი ღამე გავათიე. პირველ დღეს ქართველი მეგობრები მეუბნებოდნენ, ამაღამ ტრადიციისამებრ მასპინძლები ულამაზეს გოგოს დაგიწვენენ გვერდით, შუაში ხმალს ჩაგიდებენ, თუ გოგოს ხელს შეახებ და დაიჭრები, დილით დანაშაულს მიგიხვდებიან და თავს მოგჭრიანო. გადავირიე. დაძინება აღარ მინდოდა, თან მასპინძლის ოჯახში შემოსულ ყველა გოგოს ვათვალიერებდი, ნეტავ, რომელს მომიწვენენ გვერდით, ნეტავ ვის შევეწირები-მეთქი? რამდენჯერაც მითხრა მასპინძელმა — მიბრძანდით, მოისვენეთო, იმდენჯერ ვიუარე. მერე, როცა ყველა დაწვა და სულ ორიოდე კაცი დავრჩით ფეხზე, მასპინძელს ვთხოვე — გოგოს და ხმალს ნუ მომიწვენ გვერდით-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა — რა ხმალი, რა გოგოო, და ჩემს მეგობარს გადახედა, ის კიდევ სულს ძლივს ითქვამდა სიცილით. მერე ამიხსნა ძველისძველი რიტუალის არსი. იმ ღამეს არ მეძინა, სულ წაწალ გოგოზე ვფიქრობდი და ვინატრე კიდეც, ნეტავ, რამდენიმე საუკუნის წინ გავჩენილიყავი და ხევსურეთში მემოგზაურა-მეთქი. გეფიცებით, გოგო მართლა რომ დაეწვინათ იმ ღამით ჩემ გვერდით, მისკენ არც გადავტრიალდებოდი. განცდა, განცდა იქნებოდა გადასარევი.

## სვანეთში კინაღამ ჯიხვს გადავყევი და კახეთში — მასპინძელს

დიდ პატივისცემად ითვლება თურმე ჯიხვზე სანადიროდ უცხოელის წაყვანა. კარგ სპორტულ ფორმაში ვარ და ცხენითაც კარგად ვჯირითობ, მაგრამ ჯიხვის ძებნისას კინაღამ გზაში დავვარდი. სვანები არ იმჩნევდნენ ჩემს გასაჭირს, ყოჩაღ, ყოჩაღო, — მეძახოდნენ. მერე ის დალოცვილი ჯიხვიც გამოჩნდა. ისე იდგა, რომ დავმუნჯდი. სვანებმა შემამჩნიეს, მაცალეს ცქერა და სროლა რომ დააპირეს, ისეთი ვიღრიალე, ჯიხვი თვალის დახამხამებაში გაქრა. გაბრაზდნენ მონადირეები, მაგრამ არც ეს შეიმჩნიეს. ერთი კი მითხრეს, შენ ჯიხვზე სანადიროდ რა გინდა, ლექსებს უნდა წერდეო. ჩემმა მეგობარმა რომ მითარგმნა, გამეცინა და ბოდიში მოვიხადე. იმათ კი ხელი ჩაიქნიეს — ალბათ დალი გაწყრა, უცხო კაცი რომ წამოვიყვანეთ და ხელიც იმიტომ მოგვეცარაო. დალის ვინაობით დავინტერესდი. ბევრი რამ მიამბეს ქალღმერთზე, მერე ღამე ოქროსდალალებიანი ღვთაება მესიზმრებოდა და დღისით სვანეთში მოგზაურობისას გაფაციცებით ვეძებდი კლდეებზე გაელვებულ ოქროს თმას. წამოსვლის წინ მეხუმრნენ სვანები, — მეორედ თუ ამოგიშვა დალიმ სვანეთში, თავადაც უთუოდ გეჩვენებაო. არ მჯერა... მერე კახეთში ვიყავი... ერთი ღამე გოგიასთან გავათიეთ. კარგად რომ მოილხინა, მითხრა, შენ კარგი ბიჭი ჩანხარ, უნდა გეჭიდაოო. მეც აზარტმა შემიპყრო, ჯერ სხვებმა იჭიდავეს. ისეთ მუსიკას უკრავდნენ, ბრძოლის ხასიათზე დადგებოდა კაცი. შევები ჩემს მასპინძელს და კინაღამ კისერი მოვიტეხე. ცუდად დავეცი. გოგია ბოდიშს მიხდიდა. არადა, ის რა შუაში იყო, მე თითონ მოვინდომე ჭიდაობა!.. ესპანელ ინფანტასავით ლამაზი გოგო ჰყავდა, ხათუნა, დაფეთებული მიყურებდა. ხათუნას თვალები რომ მახსენდება, გოგიას მადლობას ვუძღვნი... მაინც რამდენი ღვინო დამალევინა იმ კაცმა, ჩემს თავს ვერ ვცნობდი. კახეთში დიდხანს რომ დავრჩენილიყავი, გამალოთებდნენ. როგორც სტუმარს, ლამის საქორწინო სუფრებს მიშლიდნენ. ვიმეორებ, ასე არსად არ მოგექცევიან. ერთი დღე შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში თავს შემოგევლონ, მაგრამ მეორე დღეს ღიმილით გაგრძნობინებენ, რომ შენ სხვა ხარ, სხვა მოდგმის და ადგილს არავინ დაგითმობს, დასადგომადაც კი. აქ კიდევ, კახეთში, უთენია დილით შემხვედრია „სუფრის“ ნაცნობი — „ბარო, იტალიანეცო“, ღიმილით მომძახოდა.

## მეც ქართველი გავხდები

სვანებმა მასწავლეს — თბილისში მეტროში თუ ჩახვალ, ან ხალხმრავალ ადგილზე თუ დადგები, ზურგჩანთა წინ დაიკავე, თორემ ჯიბგირები გაგფცქვნიანო. მივეჩვიე და ჩანთას სულ გულზე ახუტებულს დავათრევ. ახლა საქართველოდან წასვლას ვჩქარობ — ძალიან დაძაბული სიტუაციაა. იქნებ მალე ყველაფერი დაწყნარდეს და მშვიდობა დამყარდეს თქვენთანაც. მერე ჩამოვალ, ჟურნალისტობას თავს დავანებებ. მამაჩემი მდიდარი კაცია, ფულს გამოვართმევ, სვანეთში კოშკს ვიყიდი, სახლს ავიშენებ და ქართველი „გავხდები“; ცხადია, სისხლი და ეროვნება არ შემეცვლება, მაგრამ ჩემს ცნობიერებას ძალიან იოლად იპყრობს ყველაფერი ქართული. ზოგჯერ ისიც კი მგონია, რომ ოდესღაც ამ ქვეყანაში ვცხოვრობდი. მოკლედ, აქ ჩამოვალ. თუ სოფია წამომყვება, ხომ კარგი, თუ არა და, თავს არ მოვიკლავ. აქ ისეთი ქალებია, არც ძილში მასვენებს თქვენზე ფიქრი და არც ცხადში. ერთ დღეს, თბილისში ღია ბარში ვისხედით მე და ბაჩო (ქართველი მეგობარი). 237 „მზეთუნახავი“ დავთვალე. ბაჩომ მითხრა — მასიმო, ავდგეთ ახლა და აქედან წავიდეთ, თორემ ერთ საათში უეჭველად გააფრენო. მართალი იყო ბაჩო. ისე, ძალიან კი ილებებიან ქართველი ქალები, არადა, აქაურებს ისეთი გამოკვეთილი სახის ნაკვთები და ისეთი ფერები გაქვთ, რომ მაკიაჟი გამძიმებთ.

## სოხუმში არძინბას ნახვა მინდოდა

სულაც არ მინდა პოლიტიკაზე საუბარი. აფხაზეთში ვიყავი, ერთმა გალელმა და ერთმაც სოხუმელმა, ნახევრად აფხაზმა წამიყვანეს, თან გზაში სულ არძინბას აგინებდნენ. მეც ავყევი. არძინბას ნახვაც კი მომინდა. ჩემს მეგზურებს გაეცინათ — უკაცრავად, ვერ მიგიღებთ, დაკავებულიაო. მინდოდა მეთქვა, რომ ყოველგვარი ომი და დაპირისპირება საზიზღრობაა და დიდი დანაშაულია ღმერთის წინაშე. როცა ღმერთმა საქართველოში გააჩინა აფხაზეთი, არძინბა კი არა, ვერავინ ვერ შეძლებს მათ დაშორებას. მე საქართველო აფხაზეთთან ერთად მინდა. სულ მალე დავბრუნდები, ბაჩოსთან ერთად ბიჭვინთაში ჩავალ და ზღვის პირას საქართველოს მზეს მივეფიცხები. თუ ზამთარში მომიწია ჩამოსვლა, გუდაურში ან ბაკურიანში წავალ დროებით. სვანეთშიც წავიდოდი, მაგრამ მითხრეს, ზამთარში გზები იკეტებაო. მე კი საქართველოში ერთ ადგილზე დიდხანს ჩაკეტილი ვერ გავძლებ, ისე მომწონს ეს ქვეყანა, რომ ყველა კუთხე-კუნჭული მინდა მოვიარო... იტალიაში მოუთმენლად ელიან ჩემს ჩასვლას. ტელეფონით უკვე იმდენი რამ ვუამბე ჩემიანებს, რომ მოთმინება აღარ ჰყოფნით...

*აქ შევწყვეტ მასიმოს თავგადასავლების თხრობას. იმედი მაქვს, მას მომავალ წელსაც შევხვდები საქართველოში, მანამდე კი, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენთან შემოსული ბევრი ვაისტუმრისა და უმადურისგან განსხვავებით, ახალგაზრდა იტალიელი იმავეს იტყვის თავის ქვეყანაში, რაც მე მიამბო და არავის შეაშინებს ცრუ განცხადებით, საქართველო კრიმინალების და კაციჭამიების ქვეყანააო. ამის იმედს კი გამომშვიდობების დროს მასიმოს ნათქვამი სიტყვებიც მაძლევს: „იყო დრო, როცა იტალიაშიც საშინელი სიტუაცია იყო, უცხოელს კი არა, იტალიელს ეშინოდა ქუჩაში გავლის. არც სხვა ქვეყნებში ყოფილა ყოველთვის დალხენილი ცხოვრება. საქართველოში ახლა „კრიმინალური გრიპის“ ვირუსი მძვინვარებს, რომელიც მალე გაივლის“. ალბათ, მართალია მასიმო, ყველაფერი ცუდი მალე გაივლის.*

***P.S.*** *მომხიბვლელმა იტალიელმა სასტიკი უარი მტკიცა სურათის გადაღებაზე. „ვინ იცის, შენმა გადაღებულმა და მერე თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა ფოტომ შეიძლება სიცოცხლე მომისწრაფოს. ვიცი, რომ შენ ეს არ გინდა. ახლა თავი დამანებე და მეორედ რომ ჩამოვალ, ერთად გადავიღოთ სამახსოვრო სურათი“, — მთხოვა მასიმომ და საგულდაგულოდ ჩაინიშნა ჩემი და „კვირის პალიტრის“ კოორდინატები.*

**ეკა ლომიძე**

**ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ**

✓ მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!
✓ საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!
✓ და საერთად, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!

**ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲘᲗ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ — ᲔᲖᲘᲐᲠᲔᲗ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲡ:**

**1. ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲠᲔᲑᲐ; 2. ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ; 3. ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘ.**

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ:
- *პროგრამირების შემსწავლელი* 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
- *ინგლისური ენის შემსწავლელი* ინტენსიური კურსი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით* (6 თვე).
- მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ: ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ №7, ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, V ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, №544. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 999911, (756073)
E-mail: kiber@www.com

**ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!**

- TOEFL/GMAT (ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲓᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ) ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ
- ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ, ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ, ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ.

განაცხადი მიიღება ყოველდღე 12-18 სთ-მდე
შაბათ-კვირის გარდა

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 50, II ᲡᲐᲓ, II ᲡᲐᲠᲗ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 22 19 72; 899 55 15 24

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ „ᲛᲗᲘᲔᲑᲘ“**

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*
◆ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ; ◆ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ; ◆ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ; ◆ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ; ◆ ᲡᲐᲑᲣᲚᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲓᲘᲢᲘ; ◆ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘ; ◆ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ; ◆ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲘ; ◆ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲙᲐ; ◆ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

საქრისტიანო მოამბე

## გადარჩენილი ხატები

11 სექტემბრის ტერაქტებამდე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენთა ჩრდილში პატარა თეთრ კუნძულად მოჩანდა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, რომლის მრევლსაც შეადგენდნენ ბერძნული წარმოშობის ამერიკელები. ტერაქტების შემდეგ ეს „კუნძული“ ერთბაშად გაიზარდა მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა თვალში. ეკლესიის ადგილზე იპოვეს რამდენიმე გადარჩენილი ხატი, რასაც ქრისტიანები ზეციურ ნიშნად, უფლისგან მოგვრილ ხილულ სასწაულად მიიჩნევენ. მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელ ალმსარებლებს განზრახული აქვთ 2 მილიონი დოლარის შეკრება ამ სიწმინდეთა აღსადგენად!

## ზელემაყურებელთა ზომბირება 25-ე კადრის მეშვეობით

რუსული მართლმადიდებლური ეკლესია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთის „ზოგიერთი ტელეარხი ფარულ ზემოქმედებას ეწევა ადამიანთა ფსიქიკაზე ე.წ. 25-ე კადრის ეფექტის საშუალებით“. კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვალერი სირაჟენკო ირწმუნება, რომ სულ მალე, ამ ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს. რას ნიშნავს 25-ე კადრი? იმისათვის, რომ კინოფილმის ან ტელეგადაცემის მსვლელობაში ადამიანის თვალმა ვერ შენიშნოს ერთი კადრიდან მეორეზე გადანაცვლება, წამში უნდა იცვლებოდეს 24 კადრი. ხოლო 25-ე კადრის თვალით დაჭერა — შეუძლებელია და ამავე დროს, მას აქვს უძლიერესი სუგესტიური (შთაგონებადი) ზემოქმედება, რის გამოც მისი გამოყენება აკრძალულია. სირაჟენკოს მტკიცებულებით, რიგი რუსული ტელეარხებისა იყენებს არასანქცირებული ზემოქმედების მეთოდს ადამიანის ფსიქიკის ქვეცნობიერ შრეებზე გავლენის მოსახდენად!

*„ლენტა რაუ“ 25.06.2002*

გულითადი განდობანი

## ზეციური მისაგებელი

კასპის რაიონის სოფელ ნოსტეს სამების ეკლესიაში, დაახლოებით 52-55 წლის წინათ, უჩვეულო ამბავი მოხდა. ვინც მე მის შესახებ მომითხრო, ქალბატონი ნორა დიდებაშვილი-კენჭოშვილი, იმ დროს სულ ბავშვი იყო, დაახლოებით 8 წლისა და მომხდარი ფაქტი მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარ მოგონებად ექცა. სამების ეკლესიაში მღვდელი ლოცვას კითხულობდა, როცა მოულოდნელად სოფლის ერთ-ერთი შექეიფიანებული ახალგაზრდა შემოვიდა და მღვდელს აგდებულად და დაცინვით მიმართა: — შეწყვიტე ყრანტალი და მოათავეო!

ეს სიტყვები ჯერ დამთავრებული არც ჰქონდა, თითქოს სარმა გამოჰკრესო, მოკვეთილივით დაეცა და ქვის იატაკზე აფართხალდა, თან სულ თავს ურაკუნებდა ქვის იატაკს. წარმოიდგინეთ, საოცარი ის იყო, რომ არც თავი გაუსკდა და სისხლის ნასახიც არსად უჩანდა. ამასობაში ხალხმა მოიყარა თავი საყდარში და ამ საოცრებას გაოცებულები შეჰყურებდნენ. აღელვებულმა მღვდელმა ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთს მიმართა:

— ვენაცვალე შენს სახელს და შენს სამართალს, ღმერთო! ურწმუნოვ, ხომ ხედავ, რა ძალა ჰქონია ღმერთს! ახლაც არ იწამებ? შეევედრე მოგიტევოს და რისხვა აგაცილოს.

შეშინებული და ნირწამხდარი ახალგაზრდა წამოაყენეს ფეხზე, მან კი დაიჩოქა და ასე მუხლის ჩოქვით შემოუარა ეკლესიას, თან ღმერთს ევედრებოდა, შეენდო მისთვის და მიეტევებინა. მასთან ერთად ხალხიც ევედრებოდა ღმერთს, დაეცხრო მისი გულისწყრომა. ახალგაზრდისთვის კი ის ამბავი ჭკუის სასწავლებლად იქცა. მას შემდეგ დიდ მართლმადიდებელ მორწმუნედ, ღვთის ერთგულ მსახურად გადაქცეული, სასმელსაც აღარ გაჰკარებია.

***ჟილდა გორდაძე***

სათნომყოფელნი უფლისა

## „ქრისტიანული მოთხრობები საქართველოს ისტორიული წარსულიდან“



[illegible]

### მადლის ქვა

წმინდა მამა დავით გარეჯელი იერუსალიმის სიწმინდეთა მოსალოცად პალესტინას გაემართა რამდენიმე ბერთან ერთად. როდესაც მადლის ქედად წოდებულ მთას მიაღწიეს, საიდანაც კარგად მოჩანდა ქალაქი ღრმთისა, ბერებმა ხელები აღაპყრეს მაღლა და ღმერთს მადლობა შესწირეს; ხოლო მამა დავითი ქვე დაემხო ქვითინით და შეჰღაღადა, რომ რაკი ღირს იქმნა ამ წმინდა ადგილის დანახვისა, კმაროდა ეს მისთვის და ვერ აკადრებდა თავის თავს საკუთარი ცოდვილი ფეხით სიარულს იქ, სადაც თვით უზიწოსა და ღმერთკაცობრივი უფლის ფერხთ ევლოთ. ბერებმა ვერაფრით დაითანხმეს მამა დავითი ქალაქში შესვლაზე. „თქვენ წადით და ჩემთვის, ცოდვილისათვის, ლოცვა ჰყავთ!“ — მათვე სთხოვა წმინდა მამამ, თავად კი დაელოდა და, როდესაც ისინი ქალაქიდან დაბრუნდნენ, მადლის ქედიდან სამი ქვა აიღო სამახსოვროდ და საქართველოს გზას დაადგნენ.

იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ მისი სამკვიდრებლიდან მონას ღვთისას დავითს საკუთარი სარწმუნოებით იერუსალიმის სამი ქვით მთელი მადლი მიჰქონდა თან: უბრძანა, სასწრაფოდ მალემსრბოლნი წარეგზავნა და ორი ქვა დაეთმობინა და მხოლოდ ერთი გაეტანებინა სიწმინდის სახით — რათა იმ ქვის შემხებელთ მიეღოთ კურნება სულითა და ხორცით.

პატრიარქის მალემსრბოლნი გზაში დაეწივნენ ბერს. პატრიარქის ჩვენების შესახებაც ამცნეს და მისი დანაბარებიც გადასცეს — იგი იერუსალიმში სტუმრობასა და ორი ქვის დაბრუნებას სთხოვდა. მამა დავითმა თავი არ ჩათვალა სტუმრობის პატივის ღირსად, ორი ქვა კი დაუბრუნა. ეს ამბავი მთელ იერუსალიმში გახმაურდა. ქვა, რომელიც წმინდა დავით გარეჯელმა საქართველოში ჩამოიტანა, დღემდე კურნების სასწავლებრივი მადლით არის აღვსილი და სიონის ტაძარში ინახება.

### წმინდა გიორგის დახმარება

გიორგი მთაწმინდელი ათონის წმინდა მთას მიემგზავრებოდა. დიდი მდინარე გადაეღობა გზად. ბერმა ადიდებული წყლის გადალახვა ვერ შეძლო — მღელვარე ტალღები დანთქმას უქადდა.

მაშინ გამოეცხადა მას თეთრ ცხენზე ამხედრებული მშვენიერი ჭაბუკი და უთხრა: „შემოდი მდინარეში, ნუ გეშინია!“ — მოჰკიდა ხელი და მშვიდობით გადაიყვანა მეორე ნაპირზე, თვითონ კი უმალ უჩინო იქმნა.

„რომელმან წყალთა შინა სიკვდილისაგან მიხსნა, დიდებული მთავარმოწამე გიორგი იყო“ — მადლიერებით იხსენებდა შემდგომ ღმრთის დიდი სათნომყოფელი ბერი, რომელზეც მომავალში იტყვის მთელი ქართველობა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმაც მოგვივლინა ესევითარი კაცი მაცხოვნებლად სულთა ჩვენთა“.



**მამა მამუკა და მისი ქართველი მრევლი**

გერმანიის ქალაქ ბონის წმინდა სამების სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია რამდენიმე წელია, რაც აქაურ ქართველთა სულიერი ნავსაყუდელია. მათი დიდი ხნის ოცნებას შეადგენდა, რომ ამავე ტაძარში წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე აღვლენილიყო. შობის ღამეს, ბერძენთა ლოცვის შემდეგ, დაცარიელებულ ტაძარში, ამ ნატვრით თვალებაცრემლებული გოგონები და ვაჟები ჩუმად გალობდნენ ქართულ „ალილოს“... და აი, უფლის შეწევნითა და კეთილშობილი ქრისტიანი ქართველის თამაზ ხორბალაძის მეცადინეობით, შედგა მოლაპარაკება ბერძნული ტაძრის წინამძღვარ მამა სოკრატესა და ქალაქ მიუნხენის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარს — მამა მამუკას (თავხელიძე) შორის, რასაც ძალზე სასიკეთო ნაბიჯი მოჰყვა: 25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წინადღით, პირველად აღევლინა წირვა-ლოცვა ქართულად! სამოცამდე მართლმადიდებელი ქართველის თავმოყრამ ჩასახა იმედი ბონში ქართველი მრევლის დადგენისა! სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა უთუოდ იმ ფაქტსაც, რომ ამ დღეს მამა მამუკამ 2 თვის თათული (თამარი) კიკვიძე მონათლა.

მამა მამუკას ეკლესიური ცხოვრება 1989 წლიდან დაიწყო. სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ საპატრიარქოს დავალებით სწავლა გააგრძელა მიუნხენის მაქსიმილიანეს სახელობის უნივერსიტეტში, ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე. პარალელურად იკვლევდა ქართველი სასულიერო მოღვაწის — გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და საღვთისმეტყველო შემოქმედებას. და, რადგან, ამავე პერიოდში, საჭიროებამ მოითხოვა, რომ ევროპაში მუდმივად ყოფილიყო ქართული ეკლესია წარმოდგენილი, მან მიიღო ხელდასხმა და ლოცვა-კურთხევა თბილისში ილია II-ისაგან და უკვე ამ დიდად საპასუხისმგებლო მისიით გამოემგზავრა გერმანიაში.

**მამა მამუკა:** — აღსრულდა ჩვენი ნალოლიავები ოცნება. აი, დღეს უკვე ბონის ეკლესიის თაღებქვეშ „შენ ხარ ვენახი“ აგუგუნდა. მგალობელთა შორის ორნი დანი იყვნენ, მარია და ნატალია ტანატაროვები. ისინი რუსები არიან — საქართველოზე შეყვარებულები, ხშირად გალობენ ქართულ საგალობლებს კიოლნის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. თვით მიუნხენში წირვა-ლოცვას კათოლიკეების ყოფილ სამლოცველო დარბაზში ვატარებთ, სადაც 70 კაცი გაჭირვებით ეტევა. მრევლის უმრავლესობა — ახალგაზრდები არიან. ყოველკვირა ახალ სახეებს ვხედავ. სააღდგომოდ 250-მდე მორწმუნე შეიკრიბა. ქართველები ჩამოდიან ასევე დიუსელდორფიდან და კიოლნიდან. მხარში გვიდგანან ბერძნული, რუსული და სერბიული ეკლესიები. ჩვენს ეკლესიას სტაბილური შემოსავალი არა აქვს — როგორც კი საპატრიარქოს რაიმეს შესწირავენ, პატრიარქი მაშინვე ჩვენ გვიგზავნის. უცხოეთში მყოფი მრევლი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს და ამდენად, მათი შემონაწირიც მცირეა. რა დასამალია, რომ უჭირთ ქართველ ემიგრანტებს: თავად უცხოეთში ყოფნაა პრობლემა. აქ, უცხო მიწაზე უფრო მეტი სულიერი და ფიზიკური ენერგიები გაედინება. ადამიანი მოკლებულია ოჯახს, სამშობლოს; ხშირად ნოსტალგია დეპრესიაში გადაეზრდებათ ხოლმე. მთავარი პრობლემა ორი განსხვავებული მენტალიტეტის — ქართულისა და გერმანულის — შეუთავსებლობიდან იწყება. ხდება ხოლმე, რომ სასოწარკვეთილი ახალგაზრდები სულიერ სიზარმაცეს ეძლევიან და ნელ-ნელა შორდებიან საეკლესიო ცხოვრებას. თუმცა ზოგჯერ პირიქითაც ხდება — ბევრი არაეკლესიური ქართველი მიუნხენში ჩამოსვლის შემდეგ დაუახლოვდა რელიგიას. ისინი ტაძარში, როგორც პატარა სამშობლოში, ისე მოიჩქარიან. ქართველების გვერდით უცხოელებიც მომრავლდნენ — ეს ჩვენი სიძეები არიან, რომელთაც სურთ, გაერკვნენ მართლმადიდებლობაში და ბევრი ინათლება კიდეც.

ქართველთა ერთი ნაწილი გარკვეული პერიოდის მანძილზე ფიქრობს დარჩენას, რათა საქართველოში დარჩენილ ახლობლებს დაეხმაროს, ან გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება შეიძინოს, რაც დაეხმარება მათ რაიმე საქმე წამოიწყონ სამშობლოში. ბევრი ქართველი ახალგაზრდა აქ დაოჯახდა. მე ყველა მათგანს დავლოცავ და მოვუწოდებ, რომ არ დაევიწყებინოთ თავიანთი სამშობლო. იგი დედაა ჩვენი და თუ ახლა ავადაა, ნუ შევაქცევთ ზურგს. პირიქით — უფრო მეტად ვიზრუნოთ და ვილოცით მასზე. ასევე დიდი საქმეა შინაგანად დარჩე ქართველი და იყო წესიერი მოქალაქე უცხო ქვეყანაში.

ერი საზეპურო

## ქართული მართლმადიდებლური კერა გერმანიაში

***მასალა მოამზადა ინგა გოგუაძემ***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— რამდენად მიზანშეწონილია მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ნათელმხილველის დახმარება, თუ ეს ნათელმხილველი მკითხაობს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.**

— თანამედროვე, ნათელმხილველად წოდებული მკითხავები, სრულიად მიუღებელი გახლავთ მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, რადგან როგორც წესი, ისინი შორს არიან სარწმუნოებისაგან, კიდეც რომ ქრისტიანულ საგნებს (ჯვრებს, ხატებს) იყენებდნენ თავიანთ საქმიანობაში. ისინი შორს დგანან წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული იმ მეუდაბნოე ბერებისა თუ სალოსებისაგან, რომელთაც ამ გამორჩეულ უნარს უფალი ანიჭებდა გამუდმებული ლოცვის, მარხვის, მღვიძარების, ვნებებისგან განთავისუფლების შედეგად სულიწმიდის მადლის მეოხებით.

**— რატომ არ ასაფლავებენ ქრისტიანები მიცვალებულს ორშაბათობით? ოთხშაბათი ვიცი — იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეა, პარასკევი — ჯვარცმის. ორშაბათს რაღა მოხდა?**

— ამ დღეებში მიცვალებულის არდაკრძალვა გახლავთ ჩვენი, ადგილობრივი საერო ტრადიცია. საეკლესიო წესით ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დაკრძალვა აკრძალული არ არის. წესითა და რიგით ქრისტიანი უნდა იკრძალებოდეს გარდაცვალებიდან მესამე დღეს.

**— ჩემი ქორწილის მეჯვარეებს ერთმანეთი შეუყვარდათ. არ ვიცი, ამ საქმეს რა ეშველება — ზოგი ეუბნება მათ, ნათესავები ხართო, ზოგი — ჯვარდაწერილთა მოღალატენიო. სინამდვილეში როგორ არის მათი საქმე, შეუძლიათ თუ არა გააგრძელონ ურთიერთობა და იქორწინონ?**

— ისინი ერთმანეთის ნათესავები კი არა, თქვენი ქორწინების მოწმენი არიან. მათ შეუძლიათ ქორწინებაც, თუ ბავშვს ერთად არ მონათლავენ.

## ღვთისმშობლის ძეგლი?!

გაზეთი „სობესედნიკი“ (№33) აქვეყნებს ინტერვიუს ცნობილ რუს მსახიობთან **ნატალია ანდრეიჩენკოსთან**. ვრცელი ინტერვიუდან მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის თარგმანს გთავაზობთ:

**ნ.ა.** — მალე შეიძლება დაიწყოს ომი საქართველოსთან და თუ ეს არ გვინდა, ამის თავიდან აცილება შეგვიძლია. საჭიროა რაღაც მოვიმოქმედოთ... ჩემის მხრივ, ვიტყვი, რომ სწორედ 11 სექტემბერს, ამერიკის ტრაგედიის წლისთავზე, მყინვარწვერზე დაიდგმება ღვთისმშობლის ქანდაკება, ნიშნად იმისა, რომ არ დავივიწყოთ გავლილი კოშმარი.

„კვირის პალიტრა“ საკითხის გასარკვევად დაუკავშირდა საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელს **მამა დავითს**: ვიმედოვნებთ, რომ ნატალია ანდრეიჩენკოსა და ცნობილ რუს მოქანდაკეს გრიგოლ პოტიცკის ამოძრავებთ კეთილშობილური სურვილი. მათ ნებართვისათვის ჩვენს საპატრიარქოს მომართეს.

უნდა მოგახსენოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციას არ წარმოადგენს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მონუმენტური ქანდაკებების დადგმა. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების საბჭომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ყაზბეგის მთაზე ღვთისმშობლის ქანდაკების აღმართვა, რის შესახებაც დასაბუთებულად მოახსენეს ამ ჩანაფიქრის ავტორებს.

ასე რომ, მყინვარწვერზე ღვთისმშობლის ქანდაკების აღმართვა განუხორციელებელ იდეად დარჩება.

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36**



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

გასულ კვირას რუსეთმა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და პანკისთან ახლოს, თიანეთში „გულუხვად“ ჩამოყარა რუსული ჭურვები. თუ აქამდე რუსები ძირითადად დაუსახლებელ ტერიტორიებსა და საძოვრებს ბომბავდნენ. როგორც ავიენები ამბობენ, პანკისის დაბომბვას შესაძლოა ჩეჩნებსა და ქართველებს შორის ურთიერთობების გამწვავება მოჰყვეს. „კვირის პალიტრა“ საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელს ხიზრი ალდამოვს გაესაუბრა.

# თუ მე პანკისში დედა მომიკლა, ახმეტაში მივალ და პასუხს ივანოვის დედას მოვთხოვ...

## (მირჩევნია ჩეჩნეთში მოვკვდე, ვიდრე აქ რუსმა თავში მიბრახუნოს)



— იმდენი ადვოკატი და გულშემატკივარი ჰყავთ რუსებს საქართველოში, რამე რომ წამოგცდეს, მაშინვე იარაღს მოგიშვერენ და გესვრიან... ხან მირეკავენ, ხან წერილებს მიგზავნიან — შენ არა ხარ ქართველი და რუსების წინააღმდეგ ნუ გვაქეზებო... რუსები ჩვენი მეზობლები და ძმები არიანო და ა.შ. აი, ასე გვაშინებენ და... ჩვენც ვშინდებით.

**— ე.ი. გემუქრებიან კიდეც?**

— დიახ... არ მიყვარს ხოლმე ამაზე ლაპარაკი, მაგრამ... არის სატელ;ეფონო ზარები და მუქარა. სანამ საქართველოს ასეთი გამყიდველები ეყოლება, და კიდევ, ისეთი გენერლები, რომლებიც მოსკოვში სხედან და იქიდან აქეზებენ რუსებს, საქართველოში ოპერაციები უნდა ჩავატაროთო, მანამ არაფერი გვეშველება.

**— კიტოვანზე ლაპარაკობთ?**

— კიტოვანზეც და გიორგაძეზეც. ეს რუსეთის ხალხია, რუსები აფინანსებენ, იმათი აგენტები არიან. დღეს, ვინც რუსის გვერდით დაჯდება და ქართველზე ასეთი ტონით დაიწყებს ლაპარაკს, ყველა ჩემი მტერი და საქართველოს მოღალატეა. თუმცა, ეს ჩემთვის უცხო არ გახლავთ. თვითონ ჩეჩნებშიც ამ ომის დროს იმდენი მოღალატე გამოჩნდა, ვერაფრით რომ ვერ წარმოვიდგენდით. ასეა, ჩეჩენს და ქართველს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მოღალატე მოღალატეა.

ჩვენ კიდევ, ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერი შესანიშნავად გვესმის, მაგრამ არ ვიმჩნევთ... რუსები ამას სხვა რაღაცას ეძახიან, მაგრამ... ვერ ვიტყვი... მავანსა და მავანს ეწყინება... დღეს მთელი აქცენტი მეცხვარეებზეა გადატანილი.

**— თქვენი აზრით, რატომ დაბომბა რუსეთმა პანკისის ხეობა სწორედ მაშინ, როცა იქ ანტიკრიმინალური ოპერაცია იგეგმებოდა?**

— დააკვირდით, როგორი სიტუაციაა — რამდენი ხანია, რუსეთი თხოულობს, რომ საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდეს. ქართული მხარე უარზეა, ამერიკელებმაც უარი თქვეს. უცებ კი, საქართველომ თავისი ძალებით გადაწყვიტა მოქმედება. სწორედ ეს ვერ აიტანეს რუსებმა. ისინი მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვიროდნენ — საქართველო ურუსეთოდ ვერაფერს გააკეთებსო და მოულოდნელად დაინახეს, რომ იქ უკვე რეალური ნაბიჯები გადაიდგა, ჯარი შევიდა... იფიქრეს, ვაიმე, ამათ რომ მართლა რამე გააკეთონ, ამდენი შრომა და საინფორმაციო პროპაგანდა წყალში ჩაგვეყრებაო... ამიტომაც ვიღაცას უნდა ესროლა!

**— ანუ რუსებმა პანკისის ხეობაში, ერთგვარად, საკუთარი კუნთების დემონსტრირება მოახდინეს?**

— დიახ. უფრო მეტიც, მათ გააკეთეს ის, რაც იუგოსლავიაში მოხდა. ყოველთვის ვამბობდი, მომეცით, ხალხო, ერთი „სტრელა“ ან „იგლა“... სხვა ნურავინ ჩაერევა, მე, ხიზრი ალდამოვი ერთხელ მაინც გავისვრი და რუსს ვაგრძნობინებ, რომ ამ ქვეყანას პატრონი ჰყავს.

**— აღნიშნული ფაქტი ქართველებსა და ჩეჩნებს შორის ურთიერთობას ხომ არ დაძაბავს?**

— არ არის გამორიცხული. დღეს მთელი საზოგადოება ჩეჩნებზე იქნება გამწარებული. ხალხი იტყვის — აი, ჩეჩნები რომ არ ყოფილიყვნენ, ეს მშვიდობიანი მოსახლეობა არ დაიღუპებოდაო. სწორედ ეს უნდა რუსეთსაც, რომ ქართველები და ჩეჩნები ერთმანეთს წაჰკიდოს.

ხედავთ, როგორ დაგვცინიან? ცოტა ხანში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი გამოვა და ბოდიშს მოიხდის... არადა ივანოვის დედა და ნათესავები ახმეტაში ცხოვრობენ. არ ვიცი, ეს რა ჯიშის ხალხია?! მაგან თუ მე პანკისის ხეობაში დედა და ახლობლები გამინადგურა, მივალ და პასუხს მაგის მშობლებს მოვთხოვ. დედამისს ვეტყვი — შენი გაჩენილია და ან გააჩერე შენი შვილი, მოაშორე აქედან, ან კიდევ, პასუხი გაგვეცითმეთქი. რატომ უნდა დაიხოცონ უდანაშაულო ქართველები? თავის დედას ესროლოს, რატომ არ ესვრის? თავის სახლს ესროლოს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, ხევსურებისგან რა უნდა?

**— საქართველოს ხელისუფლებიდან ხომ არ არის ვინმეს ინტერესებში პანკისში არეულობა?**

— აბა, რა ვიცი, რა გითხრათ, შვილო! ვერ გავიგე საერთოდ, რა ხდება! ეს აქტიური პოლიტიკოსები ახლა განგაშის ზარებს უნდა რეკდნენ. გაიხედეთ, ერთი ვინმე რამეს ამბობს? სროლას ვინღა ჩივის, ხმა მაინც ამოვიღოთ! ეს ვაჟბატონი რომ ზის აქა, რუსეთის ელჩი, მივიდეთ და პასუხი მოვთხოვოთ — რატომ იბომბება საქართველოს ტერიტორია. ხომ ამბობენ, ჩეჩნები ჩვენი მოქალაქეები არიანო, მოსთხოვონ მაშინ პასუხი, რატომ დაწანწალებენ აქეთ-იქით. ჩემთვის ჩეჩენი ის არის, ვინც პრეზიდენტის გვერდით დგას, შვეულმფრენებს ყრის და რუსებს ეომება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. საქართველოს მიწაზე ჩეჩნებს არაფერი ესაქმებათ. გეუბნებით, ესენი ჩეჩნები არ არიან-მეთქი და... არ ვიცი, ვინ ვისი ნათესავია. მე ასეთ დამცირებულ ყოფაში დიდხანს ვერ ვიქნები. დავტოვებ საქართველოს მოქალაქეობას და ჩეჩნეთში წავალ. მირჩევნია იქ მოვკვდე, ვიდრე აქ რუსმა თავში მიბრახუნოს.

**— გაჩნდა ეჭვი, რომ სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციის აფიშირების შედეგად ხეობა კრიმინალებისაგან დაიცლებოდა.**

— ეს ინფორმაცია მაინც გაჟონავდა... თუმცა თქვენ მართალი ბრძანდებით — ამ კრიმინალებმა სპეცოპერაციის შესახებ შეიტყვეს თუ არა, ხეობა დატოვეს. ოპერაციის ჩატარების საჭიროება უკვე აღარც არის, ყველა გაქცეულა, ვიღას უნდა ჩაუტარონ ოპერაცია? გეუბნებით, იმ კრიმინალებიდან ბევრი ქართველია. წამალი ხეობაში იყო, იარაღი, ჩასაცმელი და საჭმელ-სასმელი. იმათ ომის დარდი არა აქვთ. ხვალ, აგერ, გორში გადავლენ, ზეგ მარნეულში ან გარდაბანში, მაზეგ შეიძლება თბილისშიც შემოვიდნენ. რა ენაღვლებათ, ითარეშებენ, სადაც უნდათ.

**— თქვენი პროგნოზით, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყოველივეს?**

— მე მაინც მგონია, რომ რუსეთი პანკისში დესანტს გადმოსხამს. ვგრძნობ, რომ ეს გარდაუვალია. რუსი პანკისის ხეობას არ მოეშვება. ახლა რუსეთს ჩეჩნები აბსოლუტურად არაფერში სჭირდება, აქ მათთვის მთავარი საქართველოა. ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ, ჩამოსვამენ 20-30 რუსს, პანკისში თავიანთ დროშას ჩაარჭობენ და... მორჩა! იქიდან ის გამსვლელი აღარ არის. იტყვის, მე აქ უნდა ვიყო, ჩემი მოქალაქეების ინტერესები უნდა დავიცვაო. გახსნიან თავიანთ საგუშაგოს ახმეტაში, მერე ვიღაც რუსი „ბეტეერს“ გამოაქანებს, მერე ამ „ბეტეერს“ თელავში ჩამოიყვანენ, თელავიდან გურჯაანში ჩამოვლენ, გურჯაანიდან — საგარეჯოში და აგერ, ლილოსთან მოვლენ. აი, აქეთკენ მიდის ყველაფერი! ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ძალიან ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

**— ცხადდება ხოლმე თქვენი პროგნოზები?**

— მე მაინც ოპტიმისტი კაცი ვარ. იქნებ გაიღვიძონ, ბოლოს და ბოლოს, ამ მძინარე ქართველებმა. გაიგეთ, ხალხო, რომ რუსი თავის ტოლად და სწორად არ მიგიღებთ არასოდეს, იმას სულ სხვა ინტერესები აქვს.

**P.S.** ჩეჩენ ლტოლვილთა 350-კაციანმა ჯგუფმა საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას პანკისიდან შემდეგი შინაარსის პეტიცია გამოუგზავნა — ვიღებთ გარკვეულ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ამ დაბომბვის გამო და თუ ქართული მხარე გადაწყვეტს, მზად ვართ, საქართველოდან საერთოდ წავიდეთო. თუმცა ისინი იქვე დასძენენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადავლენ რუსეთში! ცნობისთვის: საქართველოს პრეზიდენტმა უკვე გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო აუცილებლად უნდა დატოვონ ჩეჩენმა მამაკაცებმა. რაც შეეხება ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს, ხელისუფლებას მათთან საპრეტენზიო არაფერი აქვს.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# კიბეებზე რომ ჩამოვრბოდი, ვარდის მოწყვეტილი კოკრები მხვდებოდა თავში

ფიროსმანმა კაფე „შანტანში“ იხილა „აქტრისა“ მარგარიტა. ქალის მშვენებით მოხიბლულმა რძის დუქანი გაყიდა, მთელი თბილისის ვარდები იყიდა და ფაეტონებით გაუგზავნა სასურველ ქალბატონს... ეს ლამაზი ამბავი ლეგენდასავით დადის ხალხში... ისე, ყვავილების ენაზე საუბარი ძველადაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ახლაც, მანდილოსანს ყვავილების მირთმევით უმხელენ მამაკაცები გულის ნადებს.

ვისთვის ყიდულობენ ყველაზე ხშირად ქართველი რაინდები თაიგულს და რომელი ყვავილია ყველაზე პოპულარული? — ამის გასარკვევად ყვავილების ყველაზე დიდ და ხალხმრავალ ბაზარს ვეწვიე კოლმეურნეობის მოედანზე...

მეყვავილეებს კლიენტი ვეგონე და თაიგულით ხელდამშვენებული ბარე 10 კაცი მაინც

ერთი გიჟი შეყვარებული მოგვადგა, – გოგო ვერაფრით დავიყოლიე, არც მისი მშობლები მიყურებენ კარგი თვალით. საბურთალოზე ავიდეთ, 300 ცალი ვარდი წამოიღეთ, ჩაქუჩი და ლურსმანი, რომ ყვავილი ყველა ხეზე სათითაოდ მიამაგროთო. 150 ვარდი გზის ერთ მხარეს მივამაგრეთ, 150 – მეორე მხარეს. მაგრამ იმ დღეს გოგომ არ გამოიარა იმ გზაზე, 3 დღის შემდეგ იგივე გავიმეორეთ...

შემომეგება... როცა შეიტყვეს, ინტერვიუსთვის ვიყავი მისული, საღამოს 8 საათისთვის დამიბარეს. ახლა ვმუშაობთ, დაიკო, კლიენტებს ნუ დაგვაკარგვინებო.

დაპირებულ დროს ორი მეყვავილე-რესპონდენტი მელოდა საგანგებოდ ჩემთვის შერჩეული თაიგულებით. იქვე, ღია კაფეში ყავაზეც მიმიწვიეს და საუბარი დავიწყეთ...

**ჯაგა (კახა მამულაშვილი)** — ქალს ყვავილზე უკეთესს ვერაფერს აჩუქებ, ნებისმიერ ბრილიანტს სჯობს. იმიტომ, რომ ყვავილი ცოცხალია... ყვავილთან ერთად ქალს ბედნიერებასაც ჩუქნი...

**— ყველაზე პოპულარული რომელი ვარდია?**

— თეთრი... „ვირჯინია“ ჰქვია, ჰოლანდიური ვარდია. მალე გვექნება. ამ სეზონზე ჯერჯერობით შავი ვარდია ფავორიტი.

**— თქვენ თავად მოგყავთ ყვავილები თუ უბრალოდ, ყიდით...**

— მოგვყავს კიდეც და სხვებისაგანაც ვყიდულობთ... ზაფხულში ტაბახმელიდან, წავკისიდან და დასავლეთ საქართველოდან შემოდის ყვავილები, ზამთარში კი ჰოლანდიიდან, ირანიდან და სომხეთიდან გვაწვდიან... ყვავილი 18 გრადუს ცელსიუსზე დაბალ ტემპერატურაზე ვერ ხარობს, ამიტომ ზამთარში მისი მოყვანა ძვირი ჯდება, სჯობს ვიყიდოთ და გავყიდოთ...

**— მამაკაცები ცოლებისთვის უკეთეს თაიგულს ყიდულობენ თუ საყვარლებისთვის?**

— ერთი კლიენტი გვყავს, ცნობილი ადამიანი — ყოფილი მინისტრი. ყოველ კვირას საყვარელთან ერთად მოდის, ამ გოგოსაც კარგად იცნობს ხალხი, მისთვის ყოველთვის ყვავილების ნაკრებს ვაკეთებთ — „კასანდრას“. ეს კაცი ცოლთან ერთად არასოდეს შემოსულა ყვავილის საყიდლად, საყვარლისთვის კი 50-ლარიანი თაიგული არ ენანება. ხშირად შემოდიოდა ბადრი პატარკაციშვილი, ანდა დაცვას აგზავნის ხოლმე, ძირითადად ვარდებს ყიდულობდა. თავს არ „იგოიმებდა“. რასაც ვუფასებდით, იმდენს იხდიდა, „ლიშნი“ თაიგული მოსწონებოდა.

**— გამოდის, ბევრი ცნობილი კლიენტი გყავთ?**

— საკმაოდ — ქართლოს ღარიბაშვილი, კობა კობალაძე, მურმან ომანიძე, „ქუჩის ბიჭები“, ლელა და მამულიჩა შემოდიან ხშირად. უკვე ვიცით ლელას გემოვნება, მისთვის თეთრი ჰოლანდიური ვარდები გვაქვს თავის ფასად. გუშინწინ ზურამ, ჟვანიამ იყიდა ჩვენთან კალები.

**— „ნისიად“ გაგიტანებიათ ყვავილი?**

— როცა ბიჭს გოგო ახლავს, უარს არ ვეუბნები. ბევრჯერ გამიტანებია, მაგრამ ერთმა არ მომიტანა ფული, არადა, მაყუთიანი ტიპია, ერთ-ერთ დეპარტამენტში მუშაობს.

**— ალბათ კურიოზებისა და საინტერესო ამბების მომსწრეებიც ხდებით.**

**ჯაგა** — ერთი გერმანელი ბიჭი მოვიდა, თომასი... წინასწარ შეგვიკვეთა ზეგისთვის 1000 ცალი ვარდი მინდაო.

**— ჰოლანდიური ვარდი?**

— არა, ქართული ვარდი. ეს 1000 ვარდი უნდა აგვეტანა ვერაზე, მის შეყვარებულთან „გაზიკით“, ღამის 12 სთ-ზე. ოღონდ მანქანას „პალატკა“ ახდილი უნდა ჰქონოდა და ორი ფარანიც უნდა აგვენთო. თვითონ წინ წავიდა „მერსედესით“, ჩვენ უკან გავყევით. მთელი რუსთაველი გავიარეთ, ყველა ჩვენს



ყვავილებიან მანქანას უყურებდა. ვხუმრობდით — მურტალო გაცოცხლდაო. მიგვიყვანა თომასმა შეყვარებულის კარამდე და თვითონ წავიდა, — ისედაც მიხვდება, ვინ გაუგზავნა ყვავილებიო. დავაკაკუნეთ კარზე: ხალათით გამოვიდა გოგო. ვარდები რომ დაინახა, ხმა არ ამოუღია, გულზე ხელი დაიკრიფა, კარებს მიეყრდნო და ცრემლები გადმოსცვივდა... ის 10 ვედრო ყვავილი მის საძინებელში დავდგით და წამოვედით. 500 ლარი დაუჯდა თომასს თავისი სატრფოსთვის განკუთვნილი ეს სიურპრიზი.

ვარდები რომ დაინახა, ხმა არ ამოუღია, გულზე ხელი დაიკრიფა, კარებს მიეყრდნო და ცრემლები გადმოსცვივდა... ის 10 ვედრო ყვავილი მის საძინებელში დავდგით და წამოვედით. 500 ლარი დაუჯდა თომასს თავისი სატრფოსთვის განკუთვნილი ეს სიურპრიზი.

**— ყოველთვის მხიარულად მთავრდება ასეთი „მიძღვნები“.**

— არა... ერთმა მეგრელმა ბიჭმა გამატანა თაიგული შეყვარებულთან. კარი ვიღაც გაბრაზებულმა ქალმა გამიღო. ის გოგო ვიკითხე, — აქ არ ცხოვრობსო. მეორე სადარბაზოში შევედი, — იქ მითხრეს, ისევ უკან ადიო. ძლივს გამიღეს კარი... იმ „გაბრაზებულმა“ ქალმა ხელი მტაცა და სახლში შემათრია. მის გარდა იქ კიდევ 5 ქალი დამხვდა. ისეთი წივილ-კივილი ამიტეხეს, ძლივს გამოვასწარი, კიბეებზე რომ ჩამოვრბოდი, ვარდის მოწყვეტილი კოკრები მხვდებოდა თავში. გარეთ რომ გავვარდი, ფანჯრიდან დამიძახა ერთმა: ეს კიდევ, იმ დეგენერატს მიუტანე, ვინც ეგ ყვავილები გამოგატანაო, და ყვავილის ღეროები მესროლა...

**გიო** — ერთი ბიჭი მოვიდა, შენი თაიგული არ მინდა. ვარდის ფურცლები აიტანე ჩემი შეყვარებულის სახლთან და მისი კარიდან მოყოლებული ეზომდე მოაბნიეო, კარზე კი მხოლოდ ერთი ვარდი მიამაგრეო. დილის 6 საათზე მივედი, ოთხი ცელოფანი ვარდის ფურცელი ავიტანე და მოვაბნიე სადარბაზოში...

**ჯაგა** — ერთი გიჟი შეყვარებული მოგვადგა, — გოგო ვერაფრით დავიყოლიე, არც მისი მშობლები მიყურებენ კარგი თვალით. საბურთალოზე ავიდეთ, 300 ცალი ვარდი წამოიღეთ, ჩაქუჩი და ლურსმანი, რომ ყვავილი ყველა ხეზე სათითაოდ მიამაგროთო. 150 ვარდი გზის ერთ მხარეს მივამაგრეთ, 150 — მეორე მხარეს. მაგრამ იმ დღეს გოგომ არ გამოიარა იმ გზაზე, 3 დღის შემდეგ იგივე გავიმეორეთ...

**— არ გინდა, ყვავილების მაღაზია გქონდეთ?**

— არა, მაღაზიაში ვერ ვიმუშავებ... აქ სხვანაირი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან, ერთი დიდი ოჯახივით, ლხინსა და გაჭირვებაში ერთად ვართ...

**— პროფესიით კმაყოფილი ხართ?**

— მაშ რა, ჩვენ ხომ ადამიანებს ბედნიერებას და სიყვარულს ვჩუქნით...

***იზო რიკაძე***

CMYK

# ეროვნული ინტერესი, ანუ რისთვის სჭირდებათ რუსებს ომი საქართველოში

*ზუსტად 10 წელი გავიდა ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან. მისი გამოძახილი დღემდე განსაზღვრავს სიტუაციას ამიერკავკასიაში და რუსულ-ქართულ ურთიერთობებს. განსაკუთრებით კი ახლა, როცა რუსეთი და საქართველო გარდაუვალი „ცხელი“ ომის წინაშე აღმოჩნდნენ, როცა უკვე გაჩაღებულია დიპლომატიური და ინფორმაციული ბრძოლა.*

***რას მოუტანს რუსეთის თითოეულ მოქალაქეს საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაცია, რას მისცემს რუსეთს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ახალი აფეთქება ან ქართულ-ოსური შეჯახება?***

ამ ათწლიანი ხოცვა-ჟლეტის მიზეზების შესახებ არაერთი ვერსია არსებობს, თუმცა პრობლემის გადასაჭრელად რუსეთმა ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაიწია. ზოგნი ყველაფერს კგბ-ს და ცსს-ს ხრიკებს




აბრალებენ, ზოგნი კი ტრასეკას პროექტს...

აფხაზეთის არმია უკვე მიუახლოვდა „პრობლემის გადაწყვეტას“ კოდორის ხეობაში. საქართველოს მეამბოხე ავტონომიები აცხადებენ ფარულ მობილიზაციას, მაღლობებზე განათავსებენ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს და ჩამოგდებით ემუქრებიან მათთან მიახლოებულ საფრენ აპარატებს. ქართული არმიის მეტ-ნაკლებად ბრძოლისუნარიანი ნაწილები პანკისსა და კოდორს შორის დარბიან. ჩეჩენი და არაბი ბოევიკები თავისუფლად მოძრაობენ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ორივე მხარეს. მოსკოვი და თბილისი ერთმანეთს კბენენ და არადიპლომატიურ მუქარაზეც გადადიან. ეს მომავალი ომის წინაპირობაა.

ჩვენთვის, რუსეთისთვის, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა სტრატეგიული ინტერესები გვაქვს კავკასიაში.

უმთავრესი მიზანი ერთია: ომის შედეგად ისეთი სიტუაცია უნდა შეიქმნას, რომ ჩრდილო კავკასიაში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგუროს, შეწყდეს ბოევიკების ხელშეწყობა და დაიწყოს ჩეჩნეთის დაბრუნება რუსეთის შემადგენლობაში. გარდა ამისა, რუსეთმა კავკასიაში ისეთი გარემო უნდა შექმნას, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება მისი ეკონომიკური ინტერესები. ეს არის ნედლეული, გადამამუშავებელი მრეწველობა, გასაღების ბაზარი, სატრანზიტო მარშრუტები, უსაფრთხო და ხარისხიანი ტურიზმი და ა.შ.

ხალხი უკვე დაიღალა ომით, თუნდაც ეს იყოს რუსეთის უსაფრთხოებისთვის წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციები.

აი, რის გამოა, რომ მოსკოვი დაბეჯითებით მოითხოვს თბილისისგან პანკისის ხეობის პრობლემის მოგვარებას.

პანკისში კი პრობლემის მოგვარება, რომელიც რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდითაა შესაძლებელი. თბილისის აზრით, ამის გაკეთება არ შეიძლება. საქართველოს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ აქვთ საკუთარი „მეთოდი“ და დამატებით დახმარებას არ საჭიროებენ.

რუსეთს ეს ხელს არ აძლევს. პანკისში ჩეჩენი ბოევიკების საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს.

საქართველოს მშვიდობიანობის და სტაბილურობის ძირითადი საკითხი მისი კონსტიტუციური მოწყობა, ანუ ცენტრისა და ყოფილი ავტონომიების ურთიერთდამოკიდებულებაა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშვიდობიანი მოწყობა (თუკი წარმოვიდგენთ, რომ აფხაზები და ოსები დათანხმდებიან თბილისთან ერთ სახელმწიფოდ ყოფნაზე) შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის გადაკეთების შემდეგ, ყველა სახელმწიფო წარმონაქმნის, ეროვნული უმცირესობის და რეგიონების ინტერესების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშვიდობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კონფლიქტი შესაძლოა გაჭიანურდეს ან გადაიზარდოს აშკარა ომში, რაც კატასტროფული აღმოჩნდება საქართველოსთვის.

უბედურება კი ის არის, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არაფერს დაუთმობს აფხაზეთს და ოსეთს (ნუ დავივიწყებთ აჭარას, ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას, მარნეულის აზერბაიჯანელებს, ნახევრად მოამბოხე სამეგრელოს, ღმერთისგან მიტოვებულ სვანეთს). თბილისის პოზიცია უკომპრომისოა: აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება და სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება. ამასთან, ამას არ მოჰყვება რეალური ნაბიჯები აფხაზ და ოს ხალხთა სასიკეთოდ. საქართველოს ხელმძღვანელობის ასეთი საქციელის მიზეზი კი ბევრია: გაუთავებელი წინასაარჩევნო კამპანიები, მრავალრიცხოვანი სამხედრო და დიპლომატიური მარცხი, ეკონომიკური ძალაუფლების დაკარგვის შიში და ა.შ. ნათელი მხოლოდ ერთია: თბილისისათვის ამ პრობლემის გადაჭრა დღევანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნებით — შეუძლებელია; ხოლო რუსეთის პოლიტიკის კურსის მკვეთრი შეცვლა საქართველოს სასარგებლოდ, გამოიწვევს ფართომასშტაბიან ომს, რომელშიც ძალაუნებურად ჩაერთვებიან რუსეთის ჩრდილო კავკასიის მშვიდობიანი რესპუბლიკებიც.

აი, ამიტომ მოითხოვს ასე მკაცრად რუსეთი საქართველოსგან თავისი შიდაპრობლემების მოგვარებას. და თუკი ეს მოთხოვნა ედუარდ შევარდნაძეს არ მოსწონს, — რუსეთი არაფერ შუაშია. ჩვენ გვსურს დავისვენოთ პლაჟებზე, მივირთვათ „ხვანჭკარა“, „ალექსანდროული“, მანდარინი და საზამთრო, ვივაჭროთ ირანთან და თურქეთთან და არ გვეშინოდეს ახლობლების გამო, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე ვაჰაბიტი ტერორისტები ემუქრებიან.

***ვერსია №32***

# „პანკისის ხეობა დიდი ხანია ჩეჩნებზეა გაყიდული!“ – *ლევან თილიძე*

## ამონარიდი ექსკლუზიური ინტერვიუდან:

**ლევან თილიძე — დაიბადა 1957 წელს ზემო ალვანში. ბოლო წლებში მუშაობდა მწყემსად რუსეთ-საქართველოს საზღვარზე (სოფ. გირევი).**

**ჰყავს ცოლი, სამი ვაჟი და ერთი გოგონა.**

**ამჟამად ლევან თილიძეს რუსეთის სპეცსამსახურები მალავენ ბოევიკებისაგან, რომლებმაც „საჩვენებელი“ სიკვდილი მიუსაჯეს.**

— **ლევან, ბოევიკები როგორ აღმოაჩინეთ?**

— ჩვენი ბრიგადირის ვაჟი კობა აზიკური და მიხეილ ბასხაჯაური ტყეში წავიდნენ შეშის მოსაჭრელად. იქ ნახეს წვერებიანი, სამხედროფორმიანი ხალხი, დაახლოებით ოცნი იყვნენ, შეიარაღებული „მუხებით“ და საზენიტო კომპლექსებით „იგლა“-თი. ბიჭებმა სიგარეტი სთხოვეს, წვერიანებმა კი გაუმხილეს — ტყეში იმიტომ ვსხედვართ, ეუთოს დამკვირვებლებმა რომ არ შეგვამჩნიონო (თორემ ჩვენს მესაზღვრეებთან კი იყვნენ მოლაპარაკებული). ისიც თქვეს, მეორე ჯგუფს ველოდებით და მერე ერთად ჩეჩნეთში გადავალთო. სხვათა შორის, ყველა რუსულად ლაპარაკობდა.




**ბოევიკების მარშრუტის ეს სქემა ლევან თილიძემ გადასცა მესაზღვრეებს**

მეორე დღეს, ზემო ომალოდან სამხედრო კომენდანტი ჩამოვიდა და ჩვენს ბრიგადირს უთხრა: მოხუცი ხარ, ხელს არავინ გახლებს, წადი და ჩეჩნებს უთხარი, მალე გაეცალონ აქაურობას, თორემ ეუთო შეამჩნევს და პრობლემები გაგიჩნდებათო. მეორე ღამეს ისინი მართლა წავიდნენ ჩეჩნეთისკენ უღელტეხილით. მე კი სოფელ გირევში წავედი ეუთოს პუნქტში და რუსეთის წარმომადგენელი მოვითხოვე. რუსი არ იყო, მგონი მოლდოველი იყო და ვუთხარი — თქვენ ცხვირწინ ბოევიკები ცხოვრობენ-მეთქი. მადლობა გადამიხადა. მაგრამ თურმე ჩვენს ლაპარაკს ეუთოს დაცვის უფროსი, ქართველი სპეცრაზმელი უსმენდა, დამიძახა და გამლანძღა — რას ტლიკინებ, ვინ რას გეკითხებაო. მას მესაზღვრეების უფროსიც, თემური ერქვა, შეუერთდა და დამემუქრნენ, სადაც საჭიროა, იქ გავარკვევთ შენს საქმესო. მკითხეს: ძალიან გინდა მტრის თვითმფრინავებმა ჩვენი ადგილები დაბომბონო?.. იქ რომ ბოევიკები არიან, კი იციან, მაგრამ ისიც იციან, რომ ვერაფერს გააწყობენ, ამიტომაც ფულის გულისთვის თვალის დახუჭვა უფრო ადვილია...

— **რატომ გადაწყვიტეთ საზღვრის გადალახვა, მუქარის შეგეშინდათ?**

— მინდოდა მესაზღვრეები გამეფრთხილებინა, რომ მათ დასახოცად ბოევიკები მოდიოდნენ. თანაც გავბრაზდი, ჩვენები რომ ბანდიტებს ეხმარებოდნენ. ჩემმა ბიჭმაც ჯარი გაიარა და რუსულ პოსტზეც ხომ ახალგაზრდა ბიჭები დგანან...

— **როგორ გადახვედით საზღვარზე?**

— ღამე ცხენი შევკაზმე, ჩვენი ბრიგადის პურის მცხობელს ვუთხარი, ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, ოჯახს გადაეცით რუსეთში წავიდა-თქო. ავიღე ავტომატი (რომლითაც ღამე მგლებს ვიგერიებდით), ნათურა, თეთრი მარლა და რუსეთის საზღვრამდე ცხენით წავედი, მერე ფეხით. როცა საგუშაგოდან შემნიშნეს, წელამდე გავშიშვლდი და თეთრი მარლის ფრიალი დავიწყე. მერე საგუშაგოს უფროსმა მითხრა, კიდევ კარგი ეგ ნაჭერი გქონდა, თორემ გესროდითო...

— **ახლა ცსს-ის ფრთის ქვეშ ხართ, რას იზამთ, როცა ისინი აღარ დაგმალავენ?**

— უკან დასახევი გზა არა მაქვს. თუ საქართველოს ხელისუფლებას ჩავუვარდები ხელთ, ან მომკლავენ, ან დამასახიჩრებენ. ჩემი თავი არ მადარდებს, ოჯახის დარდი მაქვს. ამიტომ ჯერ რუსეთში ვიცხოვრებ და თუ საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება — სიამოვნებით დავბრუნდები.

***კომსომოლსკაია პრავდა №149***

# კავკასიაში ხერხემალგადამსხვრეული რუსეთი

***ლიხტენშტეინში ჩატარდა ჩეჩნეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი საგანგებო კონფერენცია. განიხილეს პანკისის ხეობის სიტუაცია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.***

***რფ-ის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალისტი იური შჩეკოჩიხინი ესაუბრა ლიხტენშტეინში შეხვედრის მონაწილეებს:***

**ივან რიბკინი, რფ-ის უშიშროების კომიტეტის მდივანი:** — პანკისის პრობლემა ჩეჩნეთის ომის შედეგია. უსამართლობაა, როცა ჩვენ ყველაფერს საქართველოს ვაბრალებთ. ეს მშვენივრად იცოდა ელცინმა და წესით, პუტინმაც უნდა იცოდეს, მაშინ ის უშიშროების ფედერალური ბიუროს პოლკოვნიკი იყო. ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ 5 წლის წინ გამოთქვამდა შეშფოთებას იმ პრობლემებზე, რომელიც რუსეთის, ე.ი. ჩეჩნეთის გამო შეიქმნებოდა. ის მაშინვე გვთავაზობდა ამ სიტუაციიდან გამოსასვლელ ვარიანტებს. ახლა ვხვდები: უსამართლობაა, ასე მოექცე საქართველოს და შევარდნაძეს.

პანკისი — ჩეჩნეთის ტკივილის გაგრძელებაა. ბოევიკებიც არიან იქ, მაგრამ უმეტესობა ხომ მშვიდობიანი ხალხია, სადღაც ხომ უნდა გაქცეოდნენ ომს? ისინი ყველგან არიან, სადაც მათი დიასპორაა. ხალხი უბედურებას გაურბის და არ არის საჭირო რაკეტებით და სპეცრაზმებით მათი „აყვანა“.

სრული იდიოტი უნდა იყო, რომ საქართველოსთან დამოკიდებულება გააფუჭო, საქართველოსთან, რომელიც ყოველთვის რუსეთისკენ ილტვოდა. ჩვენ კი იმდენი ტყუილი ვჩმახეთ, სანამ ბინ ლადენსაც პანკისში არ ამოვაყოფინეთ თავი და კარგადაც გვიპასუხა შევარდნაძემ — კი ბატონო, ბინ ლადენის ძებნას იგორ ივანოვის დედის სახლიდან დავიწყებთო...

**ახმედ ზაკაევი, ასლან მასხადოვის სრულუფლებიანი წარმომადგენელი:**

— გელაევი პანკისის ხეობით არც ჩეჩნეთში და არც რუსეთში არ გასულა. ჩეჩნეთის მთიან რაიონებში ის ძალები იბრძოდნენ, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ჩვენ არ გვჭირდება მოლაშქრეები საქართველოდან თუ ამერიკიდან. რუსი სამხედროების ყველა ბრალდება საქართველოს მიმართ არის ჩეჩნეთის პრობლემაში საქართველოს ჩათრევის მცდელობა. რუსეთის საზოგადოებრიობისთვის ჩეჩნეთის ომმა ფასი დაკარგა, ამიტომაც ხელისუფლება ცდილობს, თავისი პრობლემები საქართველოს გადააბაროს.

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი ლტოლვილია, გამორიცხული არ არის, რომ მათ შორის ჩეჩნეთში ნაომარი ხალხიც იყოს, მაგრამ თუ მათ გადაკვეთეს საზღვარი და ლტოლვილის სტატუსი მიიღეს, ჩვენთვის ბოევიკები აღარ არიან. ბოევიკები ისინი არიან, ვინც ჩვენს ტერიტორიაზე ომობენ.

— **მაგრამ ჩვენი მესაზღვრეები რომ იტყობინებიან ჩეჩენი ბოევიკების მიერ საზღვრის გადალახვის შესახებ?**

— მე მესაზღვრეებს ვეკითხები: თქვენი თავდაცვის მინისტრი ივანოვი ყოველდღე ბაქიბუქობს — ჩვენს საზღვარზე ჩიტი ვერ გადაფრინდება და ჭიანჭველა ვერ გადაძვრებაო. არადა, 15-მა ჩეჩენმა ბოევიკმა გადალახა რუსეთის საზღვარი და საქართველოს ხელისუფლებას ჩაბარდა. თქვენ სად იყავით ამ დროს? ისინი ახლა პოლიტიკური ლტოლვილები გახდნენ. საქართველოში კი, რუსეთისგან განსხვავებით, სამართლის საერთაშორისო ნორმები მოქმედებს და დააკავეს იარაღიანი ხალხი, მაგრამ რუსეთს მანამ არ გადასცემენ, სანამ მათი ბრალეულობის დამამტკიცებელი საბუთი არ ექნებათ. საქართველო არ დაუშვებს სამართალდარღვევას თავის ტერიტორიაზე.

— **და მაინც, ემორჩილება თუ არა გელაევი მასხადოვს?**

— გელაევს არავითარი კავშირი არ აქვს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებთან. ის არ არის წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი. რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასვლისთანავე, ის ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს.



„ნატვრის ხე“ თუ „ვედრება“?

**რუსლან ხაზბულატოვი, აკადემიკოსი:**

— პანკისი, ჩეჩნეთის პრობლემიდან გამომდინარე, ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა. როგორც კი ჩეჩნეთის კონფლიქტი მოგვარდება, პანკისის პრობლემაც მაშინვე გაქრება.

— **ეს პრობლემა განსაკუთრებით ბოლო დროს რატომ გამწვავდა?**

— მგონია, რომ ვიღაცას დასჭირდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავება, რათა შემდგომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედების საშუალება მიეცეს — ეს ერთი ვარიანტი. მეორე: ამერიკა კავკასიაში თავისუფალი მოქმედების უფლებას აძლევს რუსეთს ერაყში გალაშქრების მხარდაჭერის სანაცვლოდ. მესამე — სამხედროების გაუმაძღრობა. მათი მიზანია ომის ახლო რეგიონებში გადატანა, რათა იქაც ძარცვა-გლეჯა გააჩაღონ...

— **იქნებ მეოთხე ვარიანტიც არის, პანკისის ხეობა არა მარტო ჩვენი, არამედ შევარდნაძის კარტიც ხომ არ არის?**

— შეიძლება. მაგრამ მგონია, ინიციატივა მაინც რუსეთის მხრიდან მოდის.

***ნოვაია გაზეტა №60***

გაერთიანებული ქართული ბანკი
UNITED GEORGIAN BANK

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] 12 | 999 271 |
| [illegible] | [illegible] 10 | 251 394 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] 2 | 956 862 |
| [illegible] | [illegible] 67 | 942 587 |

„გაერთიანებული ქართული ბანკი“
სათავო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 37
ტელ.: (+995 32) 942 702 / 995 736
ფაქსი: (+995 32) 999 139
E-mail: head@ugb.com.ge
www.ugb.com.ge



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

**3 წლის ნიტას** დედამ გათლილი ვაშლი მიაწოდა. უკმაყოფილო ნიტამ უთხრა: — რატომ გამოფცქვენი?! მე ქაღალდიანი (კანიანი) ვაშლი მინდოდა.

***

**3 წლის ბექა ბენაშვილს** გერმანულ ენაზე წაუკითხეს ლექსები და აუხსნეს, რომ მისი ავტორი ჰაინრიჰ ჰაინე იყო. ბავშვს, როგორც ეტყობა, მოეწონა ლექსები, რადგანაც ცოტა ხნის შემდეგ დედას ჰკითხა:

— დედიკო, კიდევ როდის წამიკითხავ ვაიმე ვაიმეს ლექსებს?

***

დედამ კარტოფილის ნახარში ქილაში ჩაასხა.

— დედიკო, ეს რა არის? — კითხულობს **წლინახევრის დაჩი კურცხალია**.

— ამით ყვავილებს მოვრწყავთ, — უპასუხა დედამ.

— რა, ყვავილების კომპოტია? — იკითხა ბიჭმა.

***

**4 წლის ტატო მოთიაშვილს** ეკითხებიან:

— ტატო, ამ ხელზე რამდენი თითი გაქვს?

— ხუთი.

— მეორეზე?

— ხუთი.

— ორივეზე ერთად?

— ხუთები, — მოკლედ პასუხობს პატარა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ ამერიკული თოჯინის სახელს.

II



## იპოვე 11 განსხვავება



III ანა, გამოიცანი

**1. რომელი მხატვრის ნამუშევარია „სიქსტის მადონა“?**

ა) ბოტიჩელის, ბ) რაფაელის, გ) ელ გრეკოს, დ) სალვადორ დალის.

**2. რომელ დღეს აღსდგა უფალი იესო ქრისტე?**

ა) სამშაბათს, ბ) პარასკევს, გ) კვირას, დ) ხუთშაბათს.

**3. რომელი მცენარის ფესვებისგან ამზადებენ ვალერიანის ნაყენს?**

ა) კუნელის, ბ) კატაბალახას, გ) მოცვის, დ) კოწახურის.

**4. რა ჰქვია ჩანთოსან დათვს?**

ა) კოალა, ბ) კენგურუ, გ) მურა დათვი, დ) თეთრი დათვი.

**5. რომელ ქართველ მეფეს ეჭირა ერთ ხელში წიგნი და მეორეში ხმალი?**

ა) დავით აღმაშენებელს, ბ) მირიან მეფეს, გ) ვახტანგ გორგასალს, დ) ერეკლე -ს.



მოძებნე ქვემოთ მოცემული ფრაგმენტები ნახატზე



მოუძებნე ყველას თავ-თავისი საკვები



დაეხმარე გორილას მივიდეს ხემდე

IV

რომელი ცხოველების ნაწილებისგან შედგება ეს არსება?






V

გამოიცანი რა თანამიმდევრობით არის დალაგებული ზოლები ნამცხვარზე.

## I რებუსი



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

## ქიავორდი

| ტაძარი ქუთაისში | პურის მცხობელი | „შატილის ასული“ ჯემალ ქჯუასელი (ანსამბლი) | იგივეა, რაც სიამოვნება | ქალის სახელი |
|---|---|---|---|---|

| მამაკაცის სახელი | კერამიკის მასალა | ქორ-შევარდენთა მომთვინიერებელი | სუსტი ნიავი | რაიმეს ყიდვა თანხის გადავადებით | ის, რასაც ორი მხარე აქვს |
|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# დადიანების ფრანგული დღიური



გაზეთ „კვირის პალიტრის“ მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი რუბრიკა, რომელშიც მათ დადიანების უნიკალური ფოტოკოლექციის შესახებ მოვუთხრობდით. ამჯერად მოგვეცა შესაძლებლობა, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უცხოეთში მოღვაწეობის წლებსაც გადავავლოთ თვალი და აქამდე უცნობი ბევრი საინტერესო ამბავი გაგაცნოთ. სამწუხაროდ, დღემდე შეუსწავლელია დადიანთა მოღვაწეობის პარიზული პერიოდი, ის მნიშვნელოვანი წლები, როცა ქართველმა დიდგვაროვნებმა შეძლეს დაახლოებოდნენ ევროპის ელიტარულ საზოგადოებას და მათთვის გაეცნოთ როგორც ქართული კულტურა, ისე თავისი სამშობლოს ჭირ-ვარამი. ისიც ცხადია, რომ დადიანების პარიზში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია. მსოფლიო კულტურის დედაქალაქში მათი მოღვაწეობის გასაცნობად საფრანგეთს ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ეწვია..

ჩვენს 5-კაციან ჯგუფს სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შთამომავალი, ფრანგი პრინცესა ვერონიკა დე შაბო დე ტრამკური-მიურატისა ხელმძღვანელობს. უნდა გავეცნოთ პრინცესას მიერ საფრანგეთის არქივებსა და სიძველეთსაცავებში მოძიებულ აქამდე უცნობ მასალებს, რომლებიც გვაუწყებენ დადიანებისა და საფრანგეთის სამეფო კარის ურთიერთობებზე.

შეგახსენებთ, თუ როგორ დაიწყო ეს ურთიერთობანი:

1856 წელს სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, ოჯახთან ერთად, რუსეთის იმპერიის დედაქალაქში მიიწვიეს ალექსანდრე II-ის ტახტზე ასვლის ცერემონიალში მონაწილეობისთვის. ქართველებს დიდი პატივი ხვდათ წილად — მათ პირადად იმპერატორმა უმასპინძლა. მისი უავგუსტესი ნებით, ეკატერინე წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოეს.

კორონაციას ესწრებოდა საფრანგეთის საკონსულოს საკანონმდებლო კრების მდივანი იოაჰიმ მიურატი, რომელიც მოხიბლა ქართველ დიდგვაროვანთა მშვენიერებამ და განსწავლულობამ.

ფრანგმა დიპლომატმა ქართველები პარიზში მიიპატიჟა. საფრანგეთის დედაქალაქში ეკატერინე და მისი ოჯახი ლუვრში დააბინავეს. მაშინდელი ფრანგული პრესა და საზოგადოება დიდი ინტერესით გამოეხმაურა უბრწყინვალესი ოჯახის სტუმრობას — „შევხედე ღირსეულ პრინცესა დადიანს, სამეგრელოს დედოფალს და მის ვაჟს, რომლებსაც ძველაზიურ კოსტიუმებში გამოწყობილი ბრწყინვალე ამალა ახლდა. აქ ვნახე პირველად ნორჩი პრინცესა, რომელიც სილამაზით ძალიან ჰგავს დედას“, — წერდა ერთ-ერთი აღფრთოვანებული ფრანგი ჟურნალისტი პარიზის ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთის პირველ გვერდზე.

დადიანების ოჯახს ლუვრში ალექსანდრე დიუმაც ეწვია.

მალე საფრანგეთის მთავარი სასახლე ქართული კულტურის თავისებურ ცენტრად იქცა. დადიანების აპარტამენტებში იმართებოდა შეხვედრები, სადაც შორეული საქართველოს აწმყოსა და მომავალზე მსჯელობდნენ...

ქართული ისტორიული წყაროები მწირ ცნობებს გვაწვდიან დადიანთა პარიზში მოღვაწეობის შესახებ.

დღემდე უცნობი იყო, თუ ლუვრის რომელ ნაწილში ცხოვრობდნენ ქართველები — პრინცესა ვერონიკას მიერ მოძიებულმა ფრანგულმა



ანა მიურატი

საარქივო მასალებმა სწორ გზაზე დაგვაყენა. დადიანების სამყოფი უნდა ყოფილიყო ლუვრის დასავლეთ ფლიგელი, რომლის მოვარაყებული ფანჯრები ტიულრის ბაღს გადაჰყურებს.

გვაინტერესებს მისი ნახვა.

პრინცესა თავის ძველ მეგობარს, ლუვრის დირექტორს დანიელ ალკუფს სთხოვს, ნება დაგვრთონ, ამ აპარტამენტებს შევავლოთ თვალი. ღვაწლმოსილი მეცნიერი კარგად იცნობს სამეგრელოს და მისი მმართველი დინასტიის ისტორიას, იცის, რა ენით აღუწერელი სილამაზისა და ჭკუის პატრონი იყო დედოფალი ეკატერინე დადიანი.

გაირკვა, რომ დადიანთა აპარტამენტები დამთვალიერებელთათვის დახურულია. აქ თავმოყრილია იმპერატორ ნაპოლეონ III-ის დროინდელი უამრავი უნიკალური ნივთი.

ნანატრი წუთიც დგება. ბატონი ალკუფი საგამოფენო დარბაზის რკინის კარს აღებს და თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ ეკატერინე, სალომე, ნიკო და ანდრია დადიანებისეული დარბაზები საქართველოდან ჩასულ სტუმრებს მასპინძლობს.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებმა მიიპყრო — ზუგდიდში დაცული შანდლებისა და გრავიურების ორეულები სწორედ ამ დარბაზებში ვიხილეთ. როგორც ჩანს, ცნობილი ფრანგი ოსტატების მიერ დამზადებული ბევრი ნივთი დადიანებმა სამშობლოში თან წამოიღეს.

აქვე, ლუვრში, 1867 წელს, სალომე დადიანმა გაიცნო საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის მამიდაშვილი, საფრანგეთის კავალერიის მთავარსარდლისა და ნეაპოლის მეფის შვილიშვილი, იმპერატორის პირადი ადიუტანტი, პრინცი აშილ შარლ ლუი ნაპოლეონ მიურატი, ძმა იოაჰიმ მიურატისა. მაშინ პრინცი 21 წლისა იყო, სალომე — 20 წლის. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და 1868 წლის 18 მაისს ქორწილიც გაიმართა.

„ვინ არის ეს სამეგრელოს თავადის ასული, რომელიც ახალგაზრდა მიურატს ცოლად გაჰყვა? იგი ხომ არაა ასული შამილის მიერ ერთ დროს ტყვედ წაყვანილი ქალისა, რომლის თავგადასავალი სადღაც წამიკითხავს?“ — ეკითხებოდა მშვენიერი სალომეს შესახებ პროსპერ მერიმე რუს მწერალ ივანე ტურგენევს.

მერიმეს მსგავსად, ევროპის მთელი მაღალი საზოგადოება ძალიან დაინტერესდა დადიანისა და მიურატის ქორწინებით. ჯვრისწერას ტიულრის კარის ეკლესიაში ესწრებოდნენ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და დედოფალი ევგენია მონტიხი. ახალჯვარდაწერილებს რუსეთის მონარქმა 20 ათასი ფრანკი დაუნიშნა, ხოლო საფრანგეთის იმპერატორმა — 1 მილიონი, თან მონსოს ბაღთან მდებარე პერეირასის მშვენიერი სასახლე უყიდა.

კათოლიკურ ეკლესიაში გადახდილი ჯვრისწერა ეკატერინე დადიანმა საკმარისად არ მიიჩნია და იმავე საღამოს რუსეთის საელჩოს მართლმადიდებლურ ტაძარში ხელმეორედ დასწერეს ჯვარი სალომესა და აშილს. ეკატერინეს თავი არ დაუზოგავს, რომ მართლმადიდებლურ ჯვრისწერას უფრო ბრწყინვალე ელფერი ჰქონოდა.

ჩვენც ამ ტაძრისკენ გავეშურეთ. იგი პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, რუ და რუს ქუჩაზე დგას. ტაძარი რუსული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ იგი ჩვენთვის უფრო ძვირფასი სხვა მხრივაა — ამ კიბის საფეხურები არაერთგზის აუვლიათ დადიანებს და ცრემლმორეულებს ივერიის ღვთისმშობლის ხატისთვის არაერთგზის შეუვედრებიათ სამშობლო...

პარიზის შუაგულში, ინვალიდების სასახლის წინ, თვალში გხვდებათ გამორჩეულად ლამაზი, დიდი შენობა. დღეს აქ კანადის საელჩოა, მანამდე კი იგი სალომეს შვილიშვილს, აშილ ლუკიანეს ძე მიურატს ეკუთვნოდა. ეს ის აშილია, რომელიც შორეულ საფრანგეთში ქართული ჩოხით დააბიჯებდა. მან გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იმოგზაურა. სალხინოში პრინცს სოფლის ყოველი კუთხე-კუნჭული დაუვლია, მერე კი ძალიან დიდხანს უსაუბრია თავის მასწავლებელთან, 80 წელს გადაცილებულ მარკოზთან. წინაპრების სასახლის ეზოში ერთბაშად ნაწვიმარ მიწაზე გაგორებულა, ტალახში ამოსვრილი ახალთახალი კოსტიუმი გაუხდია, სათუთად შეუხვევია და უთქვამს: — მე ალბათ პარიზში მოვკვდები. ჩემს



გრან რელ კურის სასახლე

შვილებს ანდერძად ვუტოვებ — ამ ქართულმიწიანი კოსტიუმით დამკრძალონ. მინდა, დედულეთის საფიცარი მიწა სამარეში თან ჩავიტანოო.

პრინცესა ვერონიკამ ერთი საინტერესო ამბავი გვითხრა და თან პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისკენ გაგვიძღვა: ჩვენში თითქმის არავინ, ხოლო საფრანგეთში კარგად იციან, რომ ამ სახელგანთქმული ტაძრის მშენებლობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს უკავშირდება. 1226 წელს საფრანგეთის ტახტზე ლუი IX ავიდა. იგი გულმოწყალებითა და კეთილგონიერებით გამორჩეული მონარქი იყო. 15 წლის ხელმწიფემ მთელ საფრანგეთში ქსენონებისა და ლაზარეთების მშენებლობა წამოიწყო. ღარიბულად გადაცმული პარიზის ქუჩებში დადიოდა და სნეულთ მკურნალობდა.



აშილ მიურატი

1249 წელს წმინდა ლუი ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობდა. მას თან ახლდა ოჯახი — მეუღლე და შვილები. ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად მიმავალმა ვენეციის ერთ-ერთ ტაძარში უმშვენიერესი, მომინანქრებული სანაწილე ნახა. მასპინძლებმა მეფეს მოახსენეს, — ეს ძვირფასი ნივთი კოლხი ოქრომჭედლების ნახელავი გახლავთო.

მეფემ გზა იერუსალიმისაკენ განაგრძო. მალე ის და მისი ამალა ეგვიპტეში, სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ტყვედ ჩაიგდეს.

მთელი საფრანგეთი ფეხზე დადგა. ხელმწიფის გამოსახსნელი თანხაც უმალ გაიგზავნა, მაგრამ ლუიმ სამშობლოში დაბრუნება საკმაოდ დიდი ხნის შემდეგღა შეძლო. ტყვეობაში ოჯახი დაეხოცა, მრავალი ტანჯვა-წამებაც გამოიარა.

სამშობლოში ხელმწიფემ თან ფასდაუდებელი განძი ჩაიტანა — იერუსალიმში შეძენილი ქრისტეს გვირგვინის ორი ეკალი. მან გადაწყვიტა, აეშენებინა ახალი ტაძარი და მის საკურთხეველში იერუსალიმიდან ჩამოტანილი სიწმინდეები დაესვენებინა.

ქრისტიანული სამყაროს ამ განძის ჩასვენების ღირსად ლუიმ მხოლოდ ქართველი ოქრომჭედლების ნახელავი ცნო და მინანქრიანი სანაწილეები კოლხეთში დაუკვეთა.

მას შემდეგ ათასმა ქარტეხილმა გადაიარა საფრანგეთის თავზე, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ქიმერებთან ერთად, ქართულმა სანაწილეებმაც გაიზიარეს ქვეყნის ბედი... ყოველდღე აქ, საკურთხევლის ბჭესთან, ათასობით ფრანგი ლოცულობს და ქართველთა ხელით გაპატიოსნებულ ტაძრის მთავარ სიწმინდეს ავედრებს სამშობლოს.

...ჩვენი მიზანია, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ბევრი უცნობი ფრანგული ნივთის წარმომავლობის გარკვევა. ამიტომ პრინცესა ვერონიკას ხელმძღვანელობით, ქალაქ კომპიენში, ნაპოლეონ III-ის პერიოდის ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, მივდივართ. კომპიენის სასახლე მე-18 საუკუნეში, ლუი XV-ის დროს აშენდა. მოგვიანებით ნაპოლეონ ბონაპარტეს ერთ-ერთი რეზიდენცია გახდა. იგი ოჯახთან და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად თითქმის ყოველ შემოდგომას აქ ატარებდა. აქაურობა ძალიან უყვარდა ნაპოლეონ III-საც. მან სასახლეში ბევრი რამ შეცვალა, ხელოვნების მრავალი ნიმუში შემატა აქაურობას; ამიტომ, ვფიქრობთ, ზუგდიდის მუზეუმში დაცული ბევრი ნივთის ორეული სწორედ აქ უნდა იყოს. მოლოდინი არ გაგვიცრუვდა — კედლებიდან და ვიტრინებიდან ნაცნობი ნივთები, ტილოები და მონოგრამები შემოგვყურებდნენ. ზუგდიდური ნივთების კომპიენის საგანძურთან იდენტიფიცირებასა და ამოცნობას დიდი დრო არ დასჭირვებია. მასპინძელთა ნაამბობიდან კი, ცხადი გახდა, რომ ნაპოლეონ III-სა და დედოფალ ევგენიას, სამშობლოში გამგზავრების წინ, ქართველი დიდებულებისთვის სამეფო საჭურჭლიდან ურიცხვი ძვირფასეულობა უბოძებიათ.

კომპიენის შემდეგ კიდევ ერთი ფერწერული ტილოს სანახავად მივეშურებით. მისი ფირზე აღბეჭდვა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, საქართველოში ამ სურათის არსებობაც კი არ იციან. ტილოზე სალომეს მული, პრინც აშილის და, ანა მიურატია დახატული. ანას ძალიან უყვარდა დადიანები, განსაკუთრებით სალომესთან მეგობრობდა. ფრანგი ქალბატონი შორეულ საქართველოზეც ზრუნავდა და დადიანებს სამეგრელოს გზების, სკოლების, აფთიაქებისა და საავადმყოფოების კეთილმოწყობაში ეხმარებოდა...

ფერწერული ტილო დღეს ბელგიაში, პრინცესა ვერონიკას ბიძის სასახლეში, ბელოეუშია დაცული. იგი შეუქმნია იმავე მხატვარს, ვინც თავის დროზე ეკატერინე ჭავჭავაძე დახატა.

ბელოეუს სასახლე კერძო საკუთრებაა, მისი ნაწილი მუზეუმს უკავია, ნაწილი კი პატრონების სამყოფელია. აქაურობას ეტყობა მზრუნველი ხელი. დროის სიმცირის გამო ბელოეუს სასახლის დარბაზებს სწრაფად ვათვალიერებთ და ჩვენთვის საინტერესო პორტრეტთან მივდივართ. უმშვენიერესი ყოფილა ეს კეთილშობილი ქალბატონი ანა მიურატი...

ჩვენი მიზანი, დადიანების ნივთების მოძიებასთან ერთად, საფრანგეთში დღესდღეობით შემორჩენილ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ნათესავებთან ურთიერთობის დამყარებაცაა. ამიტომ სოფელ ლინდროიში მივეშურებით, სადაც პრინცესა ვერონიკას მშობლები ცხოვრობენ.

პრინცესას მამა რენო დე შაბო დე ტრამკური საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო გვარის წარმომადგენელი გახლავთ. ტრამკურები პირველი ჯვაროსნული ომის სათავეებთან იდგნენ და ვინ იცის, იქნებ მათი გვარის კაცი იმ 200 ფრანგ მეომართან ერთად დავითის მხარდამხარაც ებრძოდა თურქს დიდგორის ველზე...

პრინც რენოს მეუღლე, ვიკონტესა კლოტილდა, უაღრესად განათლებული ქალბატონი, მთელ ცოდნას და გამოცდილებას შვილიშვილების აღზრდას ახმარს.

ტრამკურების უბრწყინვალესი ოჯახი ამ სასახლეში 1760 წლიდან ცხოვრობს, იგი მათი საგვარეულო რეზიდენციაა. კარის ეკლესიას, საზაფხულო ქოხს, საჯინიბოს ულამაზეს ბუნებას წამით შუა საუკუნეებში გადავყავართ. დე შაბო ტრამკურებს აქ პირველად საბრძოლო კოშკი უკვე მე-13 საუკუნეში აღუმართავთ. მაშინდელია ის უზარმაზარი მამულები და ტყეები, რომლებიც დღესაც მათი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

პრინცი რენო დღემდე ურყევად იცავს უძველეს ტრადიციებს, საგვარეულო პრინციპებსა და ოჯახის ეტიკეტს. თავისუფალ დროს კი თავისი ხელით გამართულ სადურგლოში ახარატებს სხვადასხვა ნივთს. ჩვენი სტუმრობის დროს თავისი 12 შვილიშვილისთვის პატარა მაგიდებს ამზადებდა.

საშუალება მოგვეცა დადიანთა ნათესავების — ტრამკურების — საძვალეც გვენახა. აქ ამ გვარის საუკეთესო წარმომადგენლები — გენერლები, მარშლები და საზოგადო მოღვაწეები არიან დაკრძალულნი.

ბოლო დღეს პრინცესა ვერონიკას დასთან,



აშილ ლუკიანეს ძე მიურატის სასახლე პარიზში

ვიკონტესა შანტალ ოატრის დე სოლიოს სასახლეში, გრან ლურ კურში მიგვიწვიეს. ეს უძველესი სასახლე კერძო საკუთრებაა. მის ათეულობით ოთახში უნიკალურ ნივთებია გამოფენილი, ბიბლიოთეკაში დაცულია დადიანებისა და მიურატების ურთიერთობის ამსახველი უამრავი საინტერესო დოკუმენტი, მათი პორტრეტები და გრავიურები. საშუალება გვეძლევა, აქ რამდენიმე საათი ვიმუშაოთ და ჩვენთვის საჭირო მასალებს გავეცნოთ.

მუშაობაში გართულებს თავზე ღამე წამოგვადგა... ეზოში გავდივართ. გვინდა ვნახოთ, როგორია ღამით ცოცხალი სასახლე, სადაც ოდესღაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები დააბიჯებდნენ. ვუყურებთ განათებულ ფანჯრებს და ვგრძნობთ, აქ მათი სული ცოცხლობს...

***გიორგი კალანდია***
***ისტორიკოსი, „დადიანების სასახლეთა დაცვის კავშირის“ თავმჯდომარე***

**გოდერძი ჩოხელი**



# გოგრის ტელევიზორი

ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, იმ დროს მოხდა, როცა გუდამაყარში ჯერ კიდევ არ იცოდა ხალხმა, რა იყო ტელევიზორი და ვიღაცას რომ უცებ შემთხვევით ენახა, რომ ყუთში ჩვეულებრივი ადამიანები სხედან და ვინ იცის, რაღას არ აკეთებენ, დარწმუნებული ვარ, ვინც იმათ შემხედვარე არ დამუნჯდებოდა, აუცილებლად მთელი სიცოცხლე აღარ გაეკარებოდა ახლოს, სანამ არ აუხსნიდნენ, რომ ესეც ჩვეულებრივი მთავრობის მოგონილი რადიოა, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ეს ყუთი გამოსახულებას აჩვენებს, რადიო კი მარტო ლაპარაკობს, ეგ არის და ეგა.

— როგორ თუ ეგ არის და ეგა?! — ძალიან გასწყრომია პელო შვილებს, რომელთაც გამოსაზამთრებლად დედ-მამა თბილისში ჩამოიყვანეს.

— ხო, დედი, ეგ არის და ეგა, რადიო ხო გვქონდა სოფელში?

— მერე სად რადიო და სად ესა?! ამ პატარა ყუთში ხანდახან დუნია ხალხი ეტევა, ომობენ, ჟუჟავენ ერთმანეთსა, თითქოს ისე არ გვაკლებდეს სიკვდილტიალაი ხელსა, თითქოს აქ ვინმე დაუგდია ცოცხალი, რომ იმ ქვეყნად არ გაესტუმრებინოს, ზოგი მოხუცი და ზოგიც ისეთი ახალგაზრდა, იტყვი, ნეტავ რა დედამ გაზარდაო. ესენი კიდევ შასხამენ ამ ყუთში დუნია ხალხსა და და-და-და-და! და-და-და-და! ჟუჟავენ ერთურთსა! იმავე წუთში მოტრიალდებიან და რაღას არ აკეთებენ?! რას არ მაიგონებენ სამაიმუნოსა?! თფუი, ეშმაკსა! ქალი ქალის ფერი არ არის და კაცი კაცს არა ჰგავს, არ სცხვენიათ არაფრისა, როგორც ეზოში საქათმიდან გამოშვებული დედალ-მამლები, ისე აფრინდებიან ერთმანეთს ზედა. პეპლაობენ დღე და ღამე, ველარ გაიგებ, რომელი რომელია, ხან კაცია ძირსა და ქალი ჰპეპლავს, ხან კიდევ პირიქით. ლაპარაკობენ და თან ტუჩ-პირს აჭამენ ერთმანეთსა. ზნე-წესიდან არიან გადასულები. აბა, გაგიგონია, რომ დედალი ჰპეპლავდეს მამალსა, ეგეთ მამალს ხო იმ წუთას თავს გავაგდებინებ, იმას როგორღა გავაჩერებ საქათმეშია?!

— ხოდა, მაგას ჰქვია ტელევიზორი, დედი, გაიგე ახლა? — ვითომ აუხსნა შვილმა.

— კაცო, შენ გაიგე? — მიუბრუნდა ქალი ქმარს.

კაცმა მხრები აიჩეჩა, რაც ქალმა იწყინა:

— რა მხრებს იჩეჩავ, რომა, ვითომაო, გავიგე, მაგრამ დედაკაცს ვერ ვაწყენინებო, ჰა?! მითხარი აბა, რა გაიგე? ან რა საჭიროა ამდენი ხალხი რომ გამოუმწყვდევიათ ამ პატარა ყუთში და ჰყავთ იქა, ბალღებს მაინც რას ერჩიან, ამ პატარეებსა, ამ საწყლებსა?! პრეზიდენტს მაინც რას ერჩიან, ან უფროსი არ გაეგებათ, ან უმცროსი, რო წარამარა, როცა მოუნდებათ, ხან შააძვრენენ და ხან გამააძვრენენ მაგ ყუთიდანა. მაგ ხნის კაცია და აღარც რიდი აქვთ და აღარც ხათრი, შააძვრენენ შიგა და ხალხის გასაგონად მაგ ხნის კაცს იმდენ ტყუილებს ალაპარაკებენ, შაგეცოდება პირდაპირა. დღეს შააძვრენენ და აძახებინებენ, რუსებთან და ჩემ მეგობრებთან მოლაპარაკებული ვარ, საქართველოს გოჯი მიწა არ დააკლდებაო, გაიხედავ და ხვალ რო შააძვრენენ, საპირისპიროს ლაპარაკობს: მომატყუეს და იმიტომ დავკარგეთ აფხაზეთიო. მაგ ხნის კაცის მოტყუება იქნება? შავი მიწა დავაყარე გულზედა, ვინც მაგდროთა კაცს ატყუებს, ან ტყუილებს ალაპარაკებს. ხან ათქმევინებენ, რუსეთის ჯარს გავრეკავ საქართველოდან, წინ მე გაგიძღვებით და აფხაზეთს დავიბრუნებო, მოტრიალდება და როგორ შეიძლება რუსის ჯარის გაყვანა, ხო დაუცველები დავრჩებითო? ხან იტყვის, ჯარი გვყავს და ნურაფრისა ნუ გეშინიათო, ხან კიდევ, სადა გვყავს ჯარიო. ხან იტყვის, უკვე აყვავდა და აღორძინდა საქართველოო, მეორედ შააძვრენენ ტელევიზორში და ათქმევინებენ: რა ვქნათ, ულარიბესი, ღატაკი ქვეყანა ვართო. აბა, გაგონილა? მამაშვილობის ხათრი მაინც აღარა სწამთ?.. დაიღალა კაცი ამდენი ტყუილების ლაპარაკით, ველარ გაუგია, სად და როდის რა თქვა. იმ დღეს ჩხუბიც კი დაუწყეს, გინდა თუ არა, გადადექიო. თვითონ უნდათ მაგის სკამი და იმიტომ. ხან იმას ეჩხუბებიან — მინისტრები და მთავრობა მოხსენიო. ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევენ. იმ დღეს კი გაბრაზდა, როგორ მოვხსნა ფინანსთა მინისტრი, ამდენი ხანია სკამზე ზის და ახლაღა ისწავლა ფინანსისტობა და როცა ისწავლა, მაშინ უნდა მომახსნევინოთო? ისეთი გაბრაზებული იყო, სუ თითს იქნევდა, მაგრამ რად გინდა, მეორ-მესამე დღეს შააძვრინეს ტელევიზორში და ათქმევინეს — ფინანსთა მინისტრი არ გვივარგა, უნდა მოვხსნაო. რა ეგა და რა კიდევ სხვები, წარამარა ნიშნავს და ხსნის, ველარ გაიგო, ვინ მართალია და ვინ მტყუანი. მაგისი გულკეთილობით და გულუბრყვილობით სარგებლობენ და რაღას არ ალაპარაკებენ...

არჩევნებზე ხო ტელევიზორიდან აღარ გამოჰყავთ, ხალხისთვის ახვეწნინებენ, ხმები მოგვეცით საარჩევნოდ და მილიონ სამუშაო ადგილს მოგცემთო. ხალხს მაგისი სჯერა, განა მაგისი ტყუილებისა, თორემ მაშინაც მაგას არ ათქმევინეს ის ტყუილი: ხალხო, ვისაც რა გაქვთ, ის ფული ბანკებში შემოიტანეთ და გაგიორმაგდებათო. აე, მაგ შაძრომა-გამოძრომით და ტყუილ-ტყუილით არ გამოგვცინცლეს დასამარხი ფული და დაგვყარეს მიწის ზეზეურ ცოცხალ-მკვდრები. ვინც მაგას ის ტყუილი ათქმევინა, იმას გაუთავდეს სახლში სავსე ბანკები და იმან ვერა ნახოს კარგი დღე ამ ქვეყანაზე, თორო იმ ქვეყნად ხო წაწყდება და წაწყდება, აბა იმას ღმერთი როგორ აპატიებს, რომ ამ ხნის კაცი ტყუილის სათქმელად ამდენი ტელევიზორში შაძრომა-გამოძრომითა. დაღალეს, სიქა გააცალეს...

მაგას ტყუილებს ალაპარაკებენ და თავისი სახლიც კი არა აქვს, მგონი მთავრობის კორპუსში ცხოვრობს, თვითონ კი აიშენეს სასახლეები და ლაღობენ. ვინც მაგას ამდენ ტყუილს ალაპარაკებს ამ ტელევიზორტიალაში და ხალხს აწყევლინებს მაგის თავს, იმას მიუბრუნდეს ყველა წყევლა. რას ჩამოეკიდნენ ამ პატიოსან კაცს ამდენი ხანი, სხვა ველარავინა ნახეს, რომ ის შააძვრინონ მაგის მაგიერ ტელევიზორში და იმას ათქმევინონ ეგ ტყუილები. ვინც მაგას ასე ამწარებს, ისა ვნახე გამწარებული ადრე და მალე, აი!

— გაჩუმდი, ჰო! რა ქადაგად დავარდი! — გაუბრაზდა ქმარი ცოლს.

— რა გავჩუმდე, როგორ გავჩუმდე ამ ტელევიზორის შამხედვარე, ჰა? სად ესა და სად კიდევ ისა, შენ რომ სოფელში გოგრის ტელევიზორი გააკეთე.

— რა გოგრის ტელევიზორი? — ჰკითხა შვილმა.

— რა და, შარშან რო ბალღები დაგვიტოვე ცოტა ხნით სოფელში, უფროსმა ბალღმა ტირილით აგვიკლო: ტელევიზორი მინდა, ტელევიზორი მინდაო, აღარ იძინებდა, ტელევიზორი ჩამირთეთო. აბა, რა უნდა ჩაგვერთო, სად არის გუდამაყარში ტელევიზორი. რო აღარ მოგვასვენა, ადგა ეს კაცი, ყველაზე დიდი გოგრა ამოარჩია, გული ამოუღრუნტა, თავის შესაყოფი ამოჭრა უკან, წინ კიდევ როგორც ამ ყუთსა აქვს სანახავ-საჩვენებელი, ისე ამოუჭრა საჩვენებელი, რო გოგრის შიგნით რაც ხდებოდა, ის დაგვენახა. აანთებდა იმ გოგრის შიგნით სანთელს, ფუღუროს გაანათებდა და უკანიდან თვითონ შემოჰყოფდა ამოჭრილში თავსა. უყვებოდა და უყვებოდა ამ ბალღებს ზღაპრებს. ამ ბალღებსაც უხაროდათ, სანამ ისევ უფროსმა არ დაიწყო ტირილი: რაღაც მიკიმაუსი და ტომი-ჯერი მინდაო. ამ კაცმა თაგვი დაიჭირა ხაფანგით და ძაფით დააბა გოგრის ფუღუროში, აანთო სანთელი და შეუშვა შიგ ჩვენი ჭრელი კატა. დარბის გოგრის შიგნით თაგვი და დასდევს კატა. იცინიან ეს ბალღები და ვიცინით ჩვენცა, ისეთი სანახავი იყო, ყურნი უნდოდა ყურებასა. მთელმა სოფელმა ჩვენთან მოიყარა თავი, ჰყვებოდა და ჰყვებოდა ე კაცი გოგრაში თავშერგული წიქარასა და ასფურცელას ზღაპრებსა. მერე მთელ სოფელს მოუნდა ტელევიზორები და მოჰქონდათ გოდრისხელა გოგრები ამ კაცთანა. ესეც უკეთებდა გოგრის ტელევიზორებსა. ხანდახან მეზობლები იწვევდნენ, რომ იმათ ტელევიზორშიც მოეყოლა ზღაპრები ბალღებისთვის, ერიდებოდათ, სუ თქვენთან ხო არ ვიქნებით, სუ თქვენ ხო არ შეგაწუხებთო. იმდენს ეპატიჟებოდნენ, კინაღამ გაალოთეს. ამან კიდევ რა ზღაპარი აღარ იცის. მთელ გუდამაყარს მოედო ეს ამბავი და ყველა სოფელში გაჩნდა გოგრის ტელევიზორები.

— ესე იგი, კარგი ყოფილა ტელევიზორი, რაკი ხალხმა ეგე მოინდომა! — გაიცინა შვილმა.

— კარგი ის იყო და უწყინარი, განა ესა. ამოსწყდეს ამის მამგონი და გატიალდეს, ხალხის ესე გადარევა გადაგვარებისთვინა, აი! — ქოქოლა მიაყარა პელომ ტელევიზორს, სადაც ის-ის იყო გამოჩნდა მისი საყვარელი ნაწამები პრეზიდენტი.

...

ეგ იყო ხუთი-ექვსი წლის წინ. იმ ზამთრის მერე ქალაქში აღარ გაჰყოლიან პელო და აკმაკი შვილებს.

— უი, დადადადადააა! — ტელევიზორი და თბილისი აღარ გამაგონოთ თორომა, სულ დედაბუდიანად დაგლევთ! — ბრაზობდა პელო, მაგრამ დრომ მაინც თავისი მოიტანა, გუდამაყრის ერთ მაღალ მთაზე ტელეანძა წამოჭიმეს და გოგრის ტელევიზორებიც ისევე უცებ გადავიდა მოდიდან, როგორ უცებაც შემოვიდა. პელოს და აკმაკსაც ჩამოუტანეს შვილებმა ქალაქიდან ნამდვილი ტელევიზორი და ამ ზაფხულს ჩემი ყურით გავიგონე, როგორ გასძახოდა სახლში მოსასვლელად გორზე გადმომდგარი პელო თავის ძროხებს:

— კასანდრააა! ხულიო! იგლესიოო! ფუჩი-ფუჩი-ფუჩი, მოდით სახლშია!

— ვის ეძახი, ბებო პელო?! — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ეე, შვილო, ტელევიზორის მომგონს მოუკვდა პატრონი, თორემა ადრე მშვენიერ სახელებს ვქვივნებდით ძროხებსა: მთორიას, მესკვლიას, ნიშას, წიქარას... ახლა აგე, რა სახელებსა ვქვივნებთ. მაშ, გოგრის ტელევიზორი აღარა სჯობდა ნამდვილსა? ვითომ გოგრის ტელევიზორი რით არ იყო ნამდვილი, ჰა?! ეეჰ, შვილო, რაღა ჯანდაბა და ოხრობა არ მოაქვს ამ დროტიალასა — ფუჩი, ფუჩი, ფუჩიი! კასანდრაა! ხულიოო! იგლესიოო! — ისევ ხმამაღლა გასძახა ბებო პელომ თავის საქონელს და ზურგი შემაქცია, თითქოს მეც ვერიე მატყუარა ტელევიზორების გამომგონებელთა შორის.

ეძახდა ბებო პელო თავის ძროხებს უცნაურ სახელებს და მზე ადრინდელივით ჩვეულებრივად ჩადიოდა გუდამაყრის მთებში.

დრო კი მიდიოდა...

დრო წამალი და სენი ყველაფრისა.



## მურმან ლებანიძე

**საქართველომ თავისი საყვარელი პოეტი გააცილა უკანასკნელ გზაზე. საქართველო მურმან ლებანიძეს გამოეთხოვა.**

**„კვირის პალიტრა“ სამძიმარს უცხადებს ქართული სიტყვის მადლთან ნაზიარებ თითოეულ მკითხველს, ვისთვისაც ტკივილად ქცეულა მურმან ლებანიძის უფლისციხესთან დასაღვრელი „ყაყაჩოს წვეთი“ და პოეტისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვისაც არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გააჩნია...**

### მეშინია!

ეს სოფლები:
ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელი
ეს პარტახი საიგავო,
მეშინია,
ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ
მოვიდეს და დაიკავოს!
შქმერს სათიბზე
არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს,
ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!

ვაი თუ ვინმეს
მოეწონოს ეს სოფლები,
ვაი თუ ვინმე
მოვიდეს და დაესახლოს!
ეს სხიერი,
ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო,
არ ჩააქრო! — გაფიცებდი.
არ წააგო,
არ წააგო ეს წალკოტი! —
დამიხსომე,
ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე,
განჯღრევდი და გაღვიძებდი!

### ციცო

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო —
შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!

მე იმ ასაკში არ ვარ ახლა და
არც იმ ჭკუაზე — ცოლ-შვილს გავეყარო!
მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და
პატარა ციცოვ, უნდა დამეხმარო!

ხოლო ციცუნია ტოლებში დაჰქრის
და შენი მახრა ფეხზე ჰკიდია,
თუმცა სავსე მკერდი მიუგავს სახსნისს
და ეს შეახსენებს, რომ უკვე დიდია!

ისე ჩამოგივლის მიწაგასახეთქი,
ვითომც ქვეყანაზე მარტო ის ერთია.
როგორც ხეჭეჭური, ქვაზე დასათხლეში —
ციცო ისეთია!

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო, დაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო —
შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!

■ ■ ■

ამ ცხოვრებამ
— ბრძნულმან, რთულმან,
ამ ბრძოლებმა
— კრულმან, მტრულმან,
ამ შეკითხვამ
— გველაძუამ,
იმ პასუხმა — იქედნურმან,
ძმობამ, ყმობამ, მტრობამ, შურმან,
აქეთურმან, იქეთურმან —
ხომ არ — გამოგჭამა გული,
ხომ არ —
დაიღალე მურმან?!

— ორად ორი ნაბიჯია
სიკვდილამდე დაღალვიდან...
ღმერთო, დაძინება მინდა,
გაღვიძება აღარ მინდა!



## ჯუმბერ ტიკარაძე

*ჯუმბერ ტიკარაძე სამი წლის წინ გარდაიცვალა... იგი სამოც წელს ახალი გადაცილებული იყო...*

*ლიტერატურის მოყვარულნი კარგად იცნობენ ჯუმბერ ტიკარაძეს, როგორც თავისებურად გამორჩეულ მწერალს და ასევე გამორჩეული პროზაული ნაწარმოებების ავტორს, როგორიცაა რომანები „სასწაულები“, „აბდაუბდები“; მოთხრობები: „ბერბიჭა“, „მარადისობა“, „ტაშის მოყვარულები“ და სხვა მრავალი. ლექსების წერა, სამწუხაროდ, სტუდენტობის წლებშივე შეწყვიტა, თუმცა მაშინვე იგრძნობოდა, რომ უდავოდ ნიჭიერი პოეტი იყო!..*

*ჩემს პირად არქივს შემორჩა მისი ოციოდე ლექსი. რამდენიმე მათგანს ვთავაზობთ გაზეთ „კვირის პალიტრის“ მკითხველებს.*

***ჯემალ მჭედლიშვილი***

■ ■ ■

სალებავებით ივსებოდა ქაღალდი,
მე
აფერადებულ დღეებს ვხატავდი,
ვხატავდი...
ახლა იცი, ვინ ვარ?
ის,
ვისაც
დღეები
სურს აახავერდოს,
ის,
ვისზეც
გაფრენილი დღეები იცინიან:
— ვერ დამხატეთო.

### მეგობრებისადმი

სიჭაბუკე წავა,
მერე აღარ მოვა,
სადმე შევხვდეთ ეგებ,
გავიხსენებთ —
ამ ნაცრისფერ საღამოებს,
ფიქრს, დაკარგულს გზებზე,
გავიხსენებთ —
თვალებს, ასე რომ გვდაგავდა,
ლამაზ თვალებს —
რომ გვხიბლავდა ასე,
და სიკვდილი,
როგორც ძუნწი სოვდაგარი,
დაგვადგება თავზე.
დაგვადგება...
და ჩვენც იმ გზით წაგვიღებენ,
როგორც მიჰყავთ სხვები
და
სამარის,
თბილ სამარის
გულცივ ქვებზე
დაიღვრება ცრემლი.
...სიჭაბუკე წავა, მერე აღარ მოვა!

### ციკლიდან „ყამირული ლექსები“

■ ■ ■

ჩამობინდულ სტეპში
ცივი ღამე წვება
უეცარი ლექსი,
ქარში დაირწევა.
არსაიდან გზები
არსაიდან შველა...
სტეპი — ქერა თმებით,
ღამე — ფეხშიშველა.

■ ■ ■

კომბაინერი
ბრუნდება მინდვრიდან,
ქარი
ღრუბლების გარეკვას ლამობს,
უმთვარო ცაა,
უმთვარო ბინდია,
კომბაინერივით
გამურულა ღამე.

# მუსიკალური „მტრები“



## „იმღერეს რამე“, მაგრამ უსუპერპრიზოდ დარჩნენ...

კოკა ყანდიაშვილს საინტერესო გადაცემების მომზადების გარდა, ერთმანეთის მიმართ სიყვარულით განწყობილი ადამიანების „მტრად გადაკიდებაც“ შესძლებია. დიახ, კომპოზიტორები ნატო გელაშვილი, გია მაჭარაშვილი და მომღერალი თემურ რცხილაძე ცხოვრებაში პირველად სწორედ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პირველ სტუდიაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, სადაც კონკურენტები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ. ამ მეტად შთამბეჭდავ სანახაობას უახლოეს მომავალში თავადაც იხილავთ კოკა ყანდიაშვილის პროექტის მიხედვით მომზადებულ მუსიკალურ ვიქტორინაში „იმღერე რამე“. მანამდე კი შევეცდები ჩემი რესპონდენტების „მტრობის“ არსი აგიხსნათ. ვიქტორინის სამ ეტაპზე სიმღერების გამოცნობაში, პირველი დამარცხებული გია მაჭარაშვილი აღმოჩნდა, რომელიც „ბრძოლის ველის“ დატოვებისთანავე ვინახულე.

**— გია, თამაშის დროს ისე ხშირად იწერდით პირჯვარს, რომ ვიფიქრე, ფორტუნა თუ უღალატებს, ღმერთი არ გაწირავს-მეთქი.**

— *(იცინის)* მაგრამ მაინც დავმარცხდი *(ამ დროს გიას ვიქტორინაში მონაწილეობისათვის პრიზი — მაისური და საწერ-კალამი გადასცეს).* თუმცა, ხელმოცარული მაინც არ მივდივარ. აი, მაინც დამასაჩუქრეს. რაც შეეხება პირჯვრის წერას, ვფიქრობ, რომ რასაც ვაკეთებ, ჩემს მუსიკაში, ყველაფერი ღვთის ნებით მოდის და ამიტომაც არ შემიძლია წუთით მაინც დავივიწყო უზენაესის არსებობა.

**— იოლად დათანხმდით ვიქტორინაში მონაწილეობაზე?**

— კი, ბატონო. რუსული „უგადაი მელოდიუს“ მაგვარი ვიქტორინა რომ იყო ვიცოდი, მაგრამ „ვიქტორინის“ შინაარსი კარგად რომ მცოდნოდა, უარს ვიტყოდი ამ ეტაპზე მონაწილეობაზე და შემდეგში გაძლიერებული ვეკვეთებოდი „მეტოქეებს“, ყოველთვის მიჭირდა ტექსტების დამახსოვრება, ამიტომ თავადაც დაინახეთ, თუ რამეს ვასრულებდი, მელოდიას წავიღიღინებდი ხოლმე, ტექსტებს ვერა და ვერ ვიხსენებდი...

**— ამიტომაც სიამოვნებით მიგანიჭებდით პრიზს ყველაზე „ტექსტმავიწყი“ კომპოზიტორობისათვის. თქვენ ხომ ფონოგრამის გარეშე მღერით, როგორ ახერხებთ სიმღერის დამახსოვრებას?**

— სულ ვცდილობ როიალთან ან ინსტრუმენტთან ისე დავჯდე, რომ ტექსტი დავიდო, ამიტომაც ვერ ვახერხებ, სიმღერის პროცესში დარბაზისკენ გავიხედო და ხალხს გავუღიმო.

**— რა განცდით ტოვებთ „ბრძოლის ველს“?**

— აბსოლუტურად მშვიდად. ცხოვრება წაგება-მოგებისაა, ხან მოვიგებ, ხან წავაგებ.

*მალე ვიქტორინის კიდევ ერთი მონაწილე თემურ რცხილაძე გამოვარდა. გია კულისებში ელოდებოდა „ბედის თანაზიარს“. მანამდე მე თანავუგრძნე თემურს, რომელმაც გიას მსგავსად ნამდვილად წააგო ნატოსთან, რომელიც დიდსულოვნად განაგრძობდა თამაშს ფინალში.*

**— თემურ, განსაკუთრებულად სხარტი იყავით და ძლივს ასწრებდნენ პულტზე ხელის დაჭერას, მაინც „ჩავარდით“?**

— ჰო, ბავშვობიდან სპორტული ვარ და სხარტი, მაგრამ...

**— თამაშის დროს სულ მეოთხე ნოტს ირჩევდით გამოსაცნობად, რას გადაეკიდეთ, იქნებ ბედი სხვაგან გწეოდათ.**

— ოთხი ჩემი ციფრია. ჩემი დაბადების რიცხვია.

**— ალა პუგაჩოვას სიმღერების სექტორში კი ნამდვილად გაგიმართლათ. ალასთან რაიმე სიახლოვე გაკავშირებთ?**

— ალასთან არა. მის ქალიშვილ კრისტინასთან კი. ძალიან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. მათთან ხშირად სტუმრადაც ვყოფილვარ. ისე ალას შემოქმედებაზეც არ ვგიჟდები, მაგრამ მოსკოვში როცა ცხოვრობ და გამუდმებით ამ ქალის სიმღერები გესმის, უნებლიეთ გამახსოვრდება.

**— ნატოსთან და გიასთან შერკინება უყოყმანოდ გადაწყვიტეთ?**

— *(იცინის)* რა თქმა უნდა. შესანიშნავი შოუა „იმღერე რამე“, სიამოვნებით ვიღებ ამგვარ „გამოწვევებს“.

*ვიქტორინის ფინალში მონაწილე ნატო გელაშვილმა სამწუხაროდ თამაშის წესის თანახმად 30 წამში 7 სიმღერის მელოდია ვერ გამოიცნო და სუპერპრიზის ნაცვლად, გიას და თემურის მსგავსად, მაისური და საწერ-კალამი ერგო..*

**— ნატო, საგანგებოდ ხომ არ მოემზადეთ ვიქტორინისთვის?**

— არა. მუსიკალურ გადაცემაში მონაწილეობაზე უარს არასდროს ვამბობ.

**— ვიქტორინაში მგონი თქვენი სიმღერებიცაა შესული.**

— ჩემი 7 თუ 8 სიმღერა მოხვდა ვიქტორინის მუსიკალურ არქივში. თუმცა გამოსაცნობად არც ერთი მათგანი არ შემხვდა.

**— „სულიკოს“ სექტორზე განსაკუთრებულად გაამახვილეთ ყურადღება. უცხოურ მუსიკასთან მწყრალად ხომ არა ხართ?**

— როცა ვიქტრინაა, ქართულ სიმღერებს ვირჩევ. მართლა ძალიან კარგადა ვარ გათვითცნობიერებული, განსაკუთრებით 60-70-იანი წლების ქართული სიმღერების გამოცნობა მეადვილება. რუსული სიმღერების ტექსტი კი გიასავით მეც მავიწყდება.

**— კიდევ აპირებთ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას?**

— აუცილებლად. მონაწილეობა პირველად ასეთივე სახის გადაცემაში მივიღე „2X4“-ში, მაშინ გამოუცდელი ვიყავი და ცოტა განვიცადე. ახლა კი მომზადებული გავედი ბრძოლის ველზე.

**— ნატო, როგორც გავიგე, მალე თქვენი, როგორც ლექსების კრებულის ავტორის დებიუტი შედგება.**

— დიახ, სულ მალე გამოვა ჩემი ლექსების კრებული. ბევრი ლექსი უკვე ამღერებულია, ბევრიც ახლო მომავალში ახმიანდება.

*ეკა ლომიძე*






კვირა — 1 სექტემბერი

შაბათი — 31 აგვისტო

პარასკევი — 30 აგვისტო

ხუთშაბათი — 29 აგვისტო

ოთხშაბათი — 28 აგვისტო

სამშაბათი — 27 აგვისტო

ორშაბათი — 26 აგვისტო



# „ფავორიტს“ რეკლამა გაუკეთა ქალმა, რომელიც მორიგი პრემიერის შემდეგ მორიგ ბავშვს აჩენდა...

*სამი შვილი, თეატრი, კინო, ტელევიზია, სერიალები, რეკლამა, შოუ-თეატრი „ვერნისაჟი“, ცეკვა... არ ვიცი, კიდევ რა შეიძლება მოასწროს ერთმა ახალგაზრდა გოგომ, რომელსაც მუდამ გადატვირთული დღის რეჟიმი აქვს, მუდამ სადღაც აგვიანდება — თბილისის ქუჩებში მანქანებიც და ფეხით მოსიარულეებიც ისე წესების გარეშე მოძრაობენ. თუ ყველა საგზაო ნიშანს დაემორჩილე, შეიძლება ვერასოდეს მიხვიდე საჭირო ადგილამდე. ამიტომ ხშირად არღვევს მოძრაობის წესებს, საოცრად ნიჭიერი, თბილი და კონტაქტურია, თუმცა არც სკანდალები აკლია — „ნახეთ,* **ეკა ნიჟარაძე** *პრეზერვატივების რეკლამაში გადაიღეს...“ — აჩურჩულდა ერთ მშვენიერ დღეს ხალხი... ის კი ყურადღებას არ აქცევს უაზრო მითქმა-მოთქმას... ბავშვები იზრდებიან — ტასო ათი წლისაა, გიორგი — რვის, ნოდარიკო — ორის გახდება... ყველაფერი უნდა მოასწროს — მალე რეპეტიციები დაეწყება... ხვალ გადაღება აქვს... როგორ ენატრება ცეკვა... სახლში ძველი ლექსების შეკვრას ინახავს წარწერით:*

„ამ ლექსებს ვჩუქნი საყვარელ ეკას
შეუვსებს სულის ბიბლიოთეკას...“

*ნიკო გომელაურმა და ეკა ნიჟარაძემ ათი წელი იცხოვრეს ერთად. შემდეგ გზები გაიყო. დარჩა მეგობრობის განცდა... და ლექსი, რომელიც მხოლოდ ეკას ეკუთვნის.*



„ე-რთხელ ვიყავი მთვრალი
კ-ოკისპირულად წვიმდა.
ა-თიათასი ქალი
ნ-ეტავ, რა ჭირად მინდა.
ი-მ დღეს დაგვლოცა ღმერთმა,
ჟ-ინი გვიკურთხა წმინდა,
ა-ბა, თუ არ ხარ ჩემთან,
რ-აღა სიცოცხლე მინდა,
ა-ხდა ოცნება ძველი,
ძ-ილში რომ წარმოჩინდა,
ე-რთი ხარ, ვისაც ველი,
ს-ხვა შენც არავინ გინდა“.

**— ალბათ ძალიან ადრე გათხოვდით...**

— მეორე კურსზე ვიყავი, როცა გავთხოვდი, მეოთხეზე უკვე მეორე ბავშვს ველოდებოდი. საკურსო სპექტაკლებში სულ ორსულს ვთამაშობდი. ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი გიზო ჟორდანია გახლდათ. მეორე ორსულობა დავუმალე. საკურსო სპექტაკლს დგამდა — ნოდარ დუმბაძის „ბოშებს“. მე ფეხმძიმე ბოშა ქალის როლი მომცა. იმდენად ვცდილობდი არ შეემჩნია ჩემი ნამდვილი ორსულობა, რომ ბოლოს საავადმყოფოში მოვხვდი. გაგიჟდა, როცა შეიტყო, საშინლად ინერვიულა. იმდენად მინდოდა პრემიერის თამაში, რომ საავადმყოფოდან გამოვიპარე... მერე ყველა აღნიშნავდა, რომ როლი გამომივიდა... ინსტიტუტის შემდეგ ერთი წელი ვიმუშავე მოზარდ მაყურებელთა თეატრში — ბატონმა ოთარ ბაღათურიამ კარგი როლი შემომთავაზა სპექტაკლში „გამოსაშვები საღამოს შემდეგ“... მერე გადავწყვიტე — ერთი წელი შემესვენა, ბავშვები წამომეზარდა, მაგრამ არ გამომივიდა. დათო დოიაშვილმა სპექტაკლში „სამი და“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დადგა, ოლგას როლზე მიმიწვია. ოლგას მოჰყვა რამდენიმე როლი ქალბატონ მედეა კუჭუხიძის და ლევან წულაძის სპექტაკლებში. ბოლოს კი ისევ დათო დოიაშვილმა მანდო სალომეას საპასუხისმგებლო როლი სპექტაკლში „სალომეა“. ამ სპექტაკლის პრემიერაზეც ფეხმძიმედ ვიყავი...

**— და ამდენი ფეხმძიმობის შემდეგ, მაინც თქვენ გადაგიღეს იმ სკანდალურ „ფავორიტის“ რეკლამაში?**

— მოწვევა „ნეოსტუდიიდან“ მივიღე. ქალბატონმა ნინო ოკუჯავამ დამირეკა და სინჯებზე მიმიწვია. დიდხანს ველოდებოდი პასუხს... ბოლოს ამირჩიეს... ძალიან ნორმალურად მივიღე — მე რეკლამა გავუკეთე სიჯანსაღეს და თავის დაცვას; ვისაც ჰგონია, რომ ეს არის აღვირახსნილობა, ძალიან ცდება. თუმცა, ჩემი მეგობრები სულ მაშაყირებენ — სამი შვილის დედას, როგორ არ გრცხვენია, ამ რეკლამაზე რომ დათანხმდიო...

**— მას შემდეგ, რაც გიორგი გაჩეჩილაძემ გადაგიღოთ ფილმში „სამოთხე ჩვენი ქალაქის ქუჩებში“, ვიცი, რომ კვლავ ოცნებობდით კინოროლზე ... გავიგე, ოცნება აგხდენიათ...**

— ლევან ზაქარეიშვილმა მიმიწვია ფილმში „სტამბული-თბილისი“. მალე გადაღებები დაიწყება. ძალიან მიხარია. ჩემი პატრნიორი დათო დარჩია იქნება..

**— მარჯანიშვილის თეატრმა წინა სეზონი ახალი სპექტაკლით — ლაშა თაბუკაშვილის „ნატაძრალით“ დახურა. მაყურებლის ოვაციები თქვენც გეკუთვნოდათ...**

— ეს სპექტაკლი ბატონმა ნუკრი ქანთარიამ დადგა და ვითამაშე სოფლის ქარაფშუტა ქალის — მარეხის როლი... ძალიან ვღელავდი... საოცრად აქტუალური თემაა და ბედნიერები ვიყავით, თვალცრემლიანი მაყურებელი სცენიდან რომ არ გვიშვებდა...

**— „თეატრალურ სარდაფში“ საუბრობენ, რომ მალე იქ შეიძლება დაიდგას ფასბინდერის პიესა... არ ვიცოდი, თუ ფასბინდერი პიესებსაც წერდა... ამდენ საქმეს ერთად როგორ ასწრებთ?**

— თქვენ კიდევ ბოლომდე არ იცით ყველაფერი... შეიძლება მალე ერთ-ერთ ცნობილ ტელეარხზე ამინდის პროგნოზის წამყვანის ამპლუაში მიხილოთ... წინასწარ მეტს ვერაფერს ვიტყვი...

**— ბავშვები, სადილი, სარეცხი... ამას ყველაფერს ვინ უვლის?**

— ძალიან მეხმარება დედა. ადრე ყველაფერს ვასწრებდი — სადილს, სარეცხს, სახლის დალაგებას... რაც დედასთან გადმოვედი, საშინაო საქმეებში გავზარმაცდი. იმ დღეს ისე საშინლად შევწვი ქათამი, კინაღამ გავგიჟდი... არადა, იცით, რა სადილებს ვაკეთებდი? ამის დავიწყებაც თუ შეიძლებოდა, არ მეგონა...

**— ეკა, არაფრით არ შემიძლია არ გკითხოთ, შოუ-თეატრ „ვერნისაჟზე“... ვიცი, რომ საოცრად გიყვართ ცეკვა...**

— ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე. ვცეკვავდი კიდეც შოუ-თეატრ „ვერნისაჟში“. ახლა ათასში ერთხელ თუ მივიღებ რომელიმე შოუში მონაწილეობას. ვცეკვავდი დათო გომართელის და თამუნა ამონაშვილის კონცერტებზე. შარშან „ვერნისაჟთან“ ერთად ბაქოშიც ვიყავი გასტროლებზე. თვენახევარი ვცეკვავდით. არ დავღლილვარ — არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. მონაწილეობა მივიღეთ აზერბაიჯანში უპოპულარესი მომღერლის — ფაიკ აგაევის კონცერტში. ძალიან მომეწონა ბაქო, უამრავი მეგობარი შევიძინე... თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი მუსლიმანიც კი მოვნათლე...

**— ეს ხომ უზარმაზარი მადლია...**

— ვიცი და საოცრად მიხარია...

**— თქვენი შვილები თუ მოდიან თქვენთან, თეატრში?**

— უფროსებს ძალიან უყვართ ჩემს სპექტაკლებზე მოსვლა. ქალბატონ მედეა კუჭუხიძის დადგმაში ასეთი ეპიზოდია — ღვინოს მასმევენ და გული მიმდის. ეს რომ ნახა, ტასიკოს ისე შეეშინდა, ტირილი დაიწყო. გიორგი ნაკლებად განიცდის, უფრო სხვა გატაცებები აქვს. ტასოს და ნოდარიკოს კარგი სმენა და ხმა აქვთ, გიორგის კი — ცელქობა ეხერხება. ტასოს მსახიობობა უნდა... ვნახოთ, რა იქნება...

*ეკა მახარაშვილი*

# თქვენთვის

## ორმა უბედურებამ ერთი დიდი ბედნიერება შვა!

ლადო ალექსიძე ახლა 41 წლისაა და აწყობილი ბიზნესის წყალობით არც ოჯახის რჩენა უჭირს და არც ხელმოკლე ახლობლები ავიწყდება...

— თორმეტი წლისა ხიდან ჩამოვვარდი, ფეხი მოვიტეხე და დავკოჭლდი, — მიყვება ბატონი ლადო, — ხეიბრობის გამო საკუთარ თავში ჩაკეტილს გამიჭირდა თანატოლებთან ურთიერთობა... ინსტიტუტში დაუსწრებელზე ვსწავლობდი, თან ვმუშაობდი ერთ-ერთ ფაბრიკაში... იქ გავიცანი მაია, იგი სოფლიდან იყო ჩამოსული, ქირით ცხოვრობდა. დავახლოვდით. შემიყვარდა, მაგრამ სიყვარულში ვერ გამოვუტყდებოდი, თავად რომ არ მოეცა



საბაბი... ცოლობაც ვთხოვე. დამთანხმდა, მაგრამ მოულოდნელად ჩვენი ცვლის უფროსს გაჰყვა ცოლად, მამის ტოლ კაცს... მივხვდი, მაიას მე კი არ ვუყვარდი, ქალაქში ჩემი ბინა სჭირდებოდა და ადვილად გამიმეტა, როცა სიმდიდრეც შესთავაზეს... ამ ამბავმა თავზარი დამცა და თავის მოკვლა გადავწყვიტე.

...მარტი იყო და გიჟივით მოაგორებდა ტალღებს გადარეული მდინარე... გეფიცებით, გადავხტებოდი, შორიახლოს მდგომ მწარედ მტირალ გოგონას რომ არ მიექცია ჩემი ყურადღება... მივედი და რომ არ დამეფრთხო, თითქმის ჩურჩულით ვკითხე, — მეგონა, ამ ქვეყანაზე მარტო მე ვიყავი უბედური, შენ რაღა გაგიჭირდა-მეთქი. შემომხედა. უნდობლად და გაღიზიანებულმა მითხრა, — მოდი, ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და ერთად გადავხტეთო! კარგი-მეთქი... აუვარდა ტირილი...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, წამოვედით იქიდან, ხალხის ცნობისმოყვარე თვალს მოვერიდეთ... კაფეში დავსხედით. მე ჩემი ამბავი ვუთხარი, იმან — თავისი... ერთ გარეწარს შეუცდენია. ფეხმძიმედ იყო. იმ არაკაცს გულგრილად უთქვამს: მე ცოლობას არ დაგპირებივარ, როგორც გინდა, ისე მიხედე თავსო!..

ლია დედისერთა იყო, ექიმების შვილი, ისეთი რიდი ჰქონდა მშობლების, მათ წყენინებას თავის მოკვლა ამჯობინა... ლიას ვუთხარი: „შენ რომ არ დამენახე, ახლა წყალში ვეგდებოდი სადმე. შენ არა გაქვს სიკვდილის უფლება, რადგანაც მარტო არა ხარ და შვილზე უნდა იფიქრო... წავიდეთ შენს მშობლებთან და ვუთხრათ, რომ ჩემგან ხარ ფეხმძიმედ, ბოდიში მოვუხადოთ, იქნებ „გვაპატიონ“, თუ „კოჭლი სიძის“ დანახვა უფრო არ გადარევთ-მეთქი!.. იუარა, — შენ რა შუაში ხარო, მაგრამ დავამშვიდე: ახლა სხვა გზა არ არის და მერე, თუ ვერ შემიყვარებ, დავშორდებით... მით უმეტეს სალაპარაკოც ექნებათ — ეს ანგელოზი იმ ხეიბარს როგორ გაჰყვაო?!

მივედით მის მშობლებთან... ვუთხარით „სიმართლე“. იქ ამბავი დატრიალდა, ახლაც მზარავს მისი გახსენება. „გამომაგდეს“ სახლიდან — არ დაგვენახოო...

რა მომასვენებდა — დავურეკე ლიას. სიხარულით გაგიჟდა, ეგონა, აღარ გამოვჩნდებოდი.

ორი კვირის შემდეგ მითხრა, — მამაჩემს შენთან შეხვედრა უნდა და რა ვქნათო. მივედი. სასიმამრომ — „ნაბიჭვარს“ ხომ არ დავარქმევ ჩემს შვილიშვილს, სასწრაფოდ ხელი უნდა მოაწეროთო!..

ახლა ლია გაჯიქდა — შენგან ამდენ მსხვერპლს ვერ მივიღებო. ძლივს დავარწმუნე, რომ ასე იყო საჭირო. სექტემბრის მიწურულს დაიბადა ბიჭი, რომელსაც სიმამრის სახელი — გურამი დავარქვით. მართლა განვიცადე მამობის სიხარული, იმ წუთში არც მახსოვდა, რომ გუგა ჩემი არ იყო. ამაზე ფიქრიც არ მინდა — ჩემი მოსწრება შვილია. სხვათა შორის, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, გარეგნობითაც მგავს... ლიამ რომ მითხრა, — დროა, დავშორდეთ და შენ შენს გზას ეწიეო, ვუთხარი, — ბავშვს თუ გამატან, თორემ არსად წამსვლელი არა ვარ-მეთქი! ატირდა, — მეგონა, ხათრით ვერ მიდიოდი, როგორ ვყვარებივარ ღმერთს, შენი თავი რომ მაჩუქაო. მერე შოთიკო შეგვეძინა, შემდეგ თამუნა.

**— გურამმა იცის, რომ მისი ღვიძლი მამა არა ხართ?!**

— ათი წლის იყო, მამამისი რომ გამოჩნდა და... „მოითხოვა“ — ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ჩემიაო! ლიას დედ-მამასაც გააგებინა სიმართლე და ჩვენც იძულებულები გავხდით, გვეთქვა, რაც იყო და როგორც... ჩემი სიმამრი თოფით გამოეკიდა — თუ ჩემს სახლს გაეკარები, წირვას გამოგიყვანო. მე კი, ისედაც პატივს მცემდა. იმ ამბის შემდეგ მითხრა, — ჩემი სიძეც შენ ხარ, შვილიც და სინდისიცო...

**— მე მაინც გურამის რეაქცია მაინტერესებს...**

— მეგონა, პატარა ვერაფერს მიხვდა-მეთქი. ჩვიდმეტი წლისა პირველად დათვრა და იცით, რა მითხრა? — შენა ხარ ჩემი მამაც და მამაკაცის იდეალიც, შენ გვერდით არანაირი გაჭირვების არ მეშინიაო...

ერთი სიტყვით, ისეთი ბედნიერი ვარ, ზოგჯერ მეშინია კიდეც და გამუდმებით ვლოცულობ, — დაასრულა ბატონმა ლადომ...

***ინგა ჯაყელი***

## როგორ დავაღწიოთ თავი ავტოინსპექტორს

**— ამისთვის არსებობს ხუთი დაუწერელი, მაგრამ წყალგაუვალი წესი და გზასაც არხეინად განაგრძობთ:**

**1. მოუმატეთ ინსპექტორს წოდება.**

თუ შეამჩნევთ, რომ უმცროსი ლეიტენანტი გაჩერებთ, უმალ დაამუხრუჭეთ მანქანა, დინჯად ჩასწიეთ მინა და პატივისცემით მიმართეთ: „ბატონო კაპიტანო“. ჯერ ერთი, ასიამოვნებთ მას, მეორეც: ეგონება, ვიღაც „არიფი“ გამოვიჭირეო და უფრო მოწყალე იქნება თქვენ მიმართ.



**2. ნურასოდეს დაიჟინებთ, — მართალი ვარო.**

თუ სპეციალური ხელსაწყოთი შეიარაღებული ინსპექტორი გაგაჩერებთ და პირაქაფებული დაგიწყებთ მტკიცებას, გინდა თუ არა, სწრაფად მოდიოდითო, არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ თავის მართლება — არა, ჩემო ბატონო, ჩემი მანქანა ასეთ სიჩქარეს ვერ ავითარებს, ეტყობა, სხვისი მანქანა ჩემად მოგეჩვენათო და ა.შ. ინსპექტორებს არ უყვართ, როდესაც იდიოტებად თვლიან. სჯობს დათანხმდეთ, „აღიაროთ“ დანაშაული და საჯარიმოს გადახდა ადგილზე შესთავაზოთ...

**3. არ აჰყვეთ პროვოკაციას.**

თუ საგზაო პოლიციელი გვიან ღამით გაჩერებთ, სალონს ეჭვიანად ათვალიერებს და დაგჩხავლებთ — რა დალიეო, არ მიიღოთ ანგელოზის გამომეტყველება, არ დაიწყოთ — ჩემს სიცოცხლეში არ დავმთვრალვარ, მხოლოდ ერთი ყლუპი წითელი ღვინო დავაჭაშნიკე და დედას გეფიცები, მეტს აღარ ვიზამო. ეს ინსპექტორს გააღიზიანებს და უფრო დაეჭვდება. ამიტომ, უპასუხეთ წყნარად, თავდაჯერებულად და მტკიცედ იდექით უარზე.

**4. საჭიროა საგზაო წესების ცოდნა!**

რასაკვირველია, საგზაო პოლიციელები წესიერი და პატიოსანი ხალხია, მაგრამ მათ შორისაც ხანდახან გამოერევა ხარბი, შარიანი, უპატიოსნო... და ისეთ რამეს დაგწამებს, თმა ყალყზე დაგიდგებათ. ამისთვის საჭიროა კარგად ერკვეოდეთ მოძრაობის წესებში. მაგ. რომ უკუნეთ ღამეში სულაც არა ხართ ვალდებული, შეამჩნიოთ საგზაო ნიშნები, თუ ის კარგად განათებული არ არის.

**5. გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორი.**

თუ ინსპექტორი გაგაჩერებს და იგრძნობთ, თქვენი საქმე ცუდად არის, რაიმე გულისამაჩუყებელი ამბავი მოუყევით, მაგალითად, როგორ წააწყდით საშინელ შემთხვევას — ვიღაც უსინდისო დედაბერს დასჯახებია. ჯერ ის მიიყვანეთ საავადმყოფოში, მერე განერვიულებულმა გაზს ფეხი დააჭირეთ და გამოქანდით. ინსპექტორი ან დაგიჯერებს, ან არა, მაგრამ მასაც ხომ ჰყავს ბებია?.. იქნებ გაჭრას ხრიკმა...

**გვეკითხებიან:**

**ხშირად გვსმენია გამოთქმა, — „როგორც ლონდონელი დენდი“. რას ნიშნავს ეს?**

***ანტონ ქემოკლიძე***

კაცობრიობის ისტორიაში მამაკაცის გამორჩეული იერსახის შექმნა მოახერხეს ევროპელმა რაინდებმა, იაპონელმა სამურაებმა, ლათინურამერიკელმა მაჩოებმა, ინგლისელმა ჯენტლმენებმა და დენდებმა.

რაინდები უსაზღვრო სიმამაცით და პატიოსნებით გამოირჩეოდნენ, სამურაებსაც იგივე თვისებები ამშვენებდათ, თან ამას ემატებოდა ჰარაკირი, ჯენტლმენებს უზადო მანერები, განათლება და ღირსება წარმოაჩენდა, მაჩო იგივე რაინდია, ოღონდ მდაბიო, სიმამაცე ჭარბად აქვს, მაგრამ მაღალი მიზნებით ვერ დაიკვეხნის.



ჯორჯ ბრამელი

### ვინ არიან დენდები?

დენდი გახლავთ დახვეწილი გარეგნობით გამორჩეული მამაკაცი, ანუ აქვს გაკრიალებული ფრჩხილები, სასიამოვნო სურნელი და გაპარსული წვერი. მოკლედ, მამაკაცი გაფაციცებულია იმაზე, რომ მუდამ უზადოდ გამოიყურებოდეს და გარშემომყოფნი მოხიბლოს.

### ვინ გამოიგონა ფრაკი?

**პირველი შავი ფრაკი, თეთრი ჟილეტი და შავი ლაკის ფეხსაცმელი სწორედ პირველმა დენდმა ჯორჯ ბრამელმა შექმნა.**

**ამ ჩაცმულობის გარეშე წარმოუდგენელი იყო არისტოკრატის გამოჩენა მაღალი საზოგადოების შეკრებაზე.**

მაღალი საზოგადოების ეს წარმომადგენლები მე-19 საუკუნის ინგლისში გაჩნდნენ. თავად სიტყვა „დენდი“ წარმოიშვა ინგლისური jach-a-dandy-იდან, რაც კეკლუცს, მოდის მიმდევარს ნიშნავს.

დენდიზმის, როგორც ფენომენის ჩამოყალიბება განაპირობა:

ა) მატერიალური კეთილდღეობის სიუხვემ;
ბ) ჭარბმა თავისუფალმა დრომ;
გ) მაღალი საზოგადოების თავყრილობებმა.

დენდიზმის ფუძემდებელი გახლდათ შეუდარებელი და უბადლო ჯორჯ ბრაიან ბრამელი. იგი ესკვაიერის, ბერქშირის პირველი შერიფის ვაჟი იყო. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო და შემდეგ დრაგუნთა პოლკში მსახურობდა, რომელსაც უელსის პრინცი, მომავალი მეფე გეორგ IV მეთაურობდა.

სიყმაწვილიდან ჯორჯი განსაკუთრებული პეწიანობით და გარეგნობაზე ზრუნვით გამოირჩეოდა. ამ თვისებებით მოხიბლა კიდეც ნატიფი გემოვნებითა და უზადო მანერებით ცნობილი პრინცი. მან ჯორჯი მონათესავე სულად შეიცნო — აღფრთოვანებული იყო მისი ჩაცმულობით, ენამახვილობითა და საზრიანობით. ბრამელს მეფის წყალობა არ აკლდა, ქალებიც მის ქებადიდებაში იყვნენ. საოცარია, მაგრამ ჯორჯს დიდად არ აინტერესებდა ქალები — არც ცოლი ჰყოლია და არც საყვარელი.

ბრამელმა დრაგუნთა პოლკი მალე მიატოვა და ლონდონში დასახლდა, სადაც გაუთავებელ წვეულებებს მართავდა, მის მეჯლისებზე მოხვედრა ოცნებად ჰქონდათ ქცეული ქალიშვილებს. მაღალი საზოგადოების ყველა თავყრილობა ბრამელის გემოვნებას მისდევდა. ჯორჯი აზარტულიც იყო და ბანქოს და დოლს აღმერთებდა, სმაც უყვარდა და გადააყოლა კიდეც მას მთელი თავისი ქონება. მერე ლონდონიდან პარიზში გადასახლდა და სიღატაკეში ამოხდა სული. ასეა თუ ისე, იგი ისტორიაში აღიარებული და შეუდარებელი დენდის სახელით დარჩა. მასვე ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი ქალისა და მამაკაცის კოსტიუმის შესახებ.

ნამდვილი დენდისთვის დამახასიათებელი თვისებებია:

1. აუღელვებლობა;
2. მოულოდნელობა;
3. ელეგანტურობა;
4. გამბედაობა და საკუთარი ღირსების დაცვის უნარი;
5. ენამახვილობა, მახვილგონიერება, განათლება;
6. სურვილი იმისა, რომ გარშემომყოფნი გააოგნოს თავისი მომხიბვლელობით;
7. უნარი იმისა, რომ ყველა დაარწმუნოს თავის პირველობაში და აიძულოს ისინი, აღიარონ მისი ღირსება.

## გამოხმაურება: ვნეს ნეხილს გელას...

***წავიკითხეთ შენი წერილი („კვირის პალიტრა“ №30 — რედ.). მერე დიდხანს ვფიქრობდით, რა მოგვეწერა: დაგვემშვიდებინე თუ გაგვეკიცხე...***

### ბედისწერამ საშინელი გამოცდა მოგიწყო

გელა, ადამიანებს განსჯის უფლება არა აქვთ, ამიტომ შენი საქციელის მხოლოდ შეფასება შეგვიძლია, თანაც გვინდა გაგიგოთ. „არჩევანის საშუალება არ მქონდაო“, — ამბობ. ჩვენ კი გვგონია, რომ არჩევანი ყოველთვის აქვს ადამიანს. ვწუხვართ, რომ შენი არჩევანი სწორედ ის იყო, რაც ჩაიდინე, ის, რისი გამოსწორებაც არ შეიძლება. იქნებ ასე ახალგაზრდა რომ არ ყოფილიყავი, სხვა გზას დასდგომოდი, ვინ იცის...

ვერაფერს შეცვლი. ბედისწერამაც საშინელი გამოცდა მოგიწყო და შენც ვერ გაუძელი. ალბათ იმაზე საშინელი არაფერია, როდესაც ძვირფას ადამიანს გაჭირვებაში ვერ შველი. შენც ამან ჩაგადენინა ეს საქციელი, იფიქრე, რომ ეს იქნებოდა ერთადერთი გამოსავალი. შენც მარტო დარჩი საკუთარ სინდისთან და...

მივუბრუნდებით გულახდილობას — ძალიან რომ გიჭირს, მეგობრებთან და ახლობლებთან გულახდილი საუბარი შვებას გაგრძნობინებს. დარწმუნებული ვართ, შენც ასე მოიქცევი, მაგრამ ჭრილობა გაცილებით ღრმა აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც მიიღე გადაწყვეტილება, რომ „ვიღაც ავტორიტეტისთვის“ გეკითხა შველა — უკვე საკუთარი სინდისის წინაშე წახვედი კომპრომისზე.

ეკლესიაში დავდივარო, — ამბობ, მოძღვრისთვის აღსარება რომ გეთქვა, უთუოდ შვებას იგრძნობდი და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებდი (პატიება იმ თავგაჩეხილ მოხუცს და პატარა ბიჭსაც შესთხოვე).

წუთისოფლის ჭიდილში ჩართულ ადამიანს ტანჯვა-წამების საზღაურად ბუნებამ უდიდესი საჩუქარი და ბედნიერება არგუნა — სიყვარული, რომლის ფენომენის ახსნას თავად პლატონი მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა. როდესაც ამბობ: „ოჯახს იმიტომ არ მოვეკიდე, რომ ჩემი ცოდვები ჩემს შთამომავლობას არ მოეკითხოსო“, ცდები, ყველას მხოლოდ საკუთარი ცოდვა მიჰყვება თან. გაცემული სიყვარული სიყვარულს შობს და სიმშვიდეს ბადებს. გადაფურცლე შენი ცხოვრების წიგნი და აღარასოდეს მიუბრუნდე იმ ფურცელს, სადაც ეს საშინელი მონაკვეთია ასახული, ამოჭერი ის კოშმარი და ცხოვრება განაგრძე, იყავი გულმოწყალე, ღვთისმოშიში, უბრალოდ, კეთილი ადამიანი. ისე იცხოვრე, მომავალმა რომ გადაწონოს წარსული. სცადე...

ამ წერილს და-ძმა გწერთ.

***სიმონი (სიკო) და თამარი (თაკო)***

### მე, როგორც მკითხველმა, გაპატიე...

გელა, ბევრი ვიფიქრე და გაპატიე. მე, სრულიად უცნობმა ადამიანმა, გაპატიე და აი, რატომ: მამით ობოლი, 23 წლის ბიჭი, ოჯახის უფროსი იყავი, შესაბამისად დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებოდა. დის გადარჩენის სურვილმა, უფულობამ, გამოსავალი გაპოვნინა — „საქმეზე“ დათანხმდი. თუ რა დაგემართა მორალურად, რა განიცადე, ან რა გააკეთე იმ ღამეს, ყველაფერი შენი მონათხრობიდან შევიტყვე. ქურდი ან მკვლელი რომ ყოფილიყავი, ძარცვა სხვაგვარად დამთავრდებოდა. მიუხედავად ჩადენილისა, ვფიქრობ, რომ კარგი ადამიანი ხარ, სხვა შემთხვევაში არ შეგაშფოთებდა, თუ რა დაემართათ დაყაჩაღებულ მოხუც ქალს, ბავშვებს.

შენი დის ხანმოკლე სიცოცხლე მისი ბედისწერა იყო. ნუ იფიქრებ, რომ მისი სულის წინაშე დამნაშავე ხარ. ის აუცილებლად გრძნობს, რაც ხდება შენში და იცის, რომ დიდბუნებოვანი ძმა ჰყავს. ყაჩაღებს რომ გაჰყევი საქმეზე — გამოსავალს ეძებდი, თორემ „გასამდიდრებლად“ სხვისი დაწიოკება არც გიფიქრია. „ის ხალხი“ ააჩქარე, სასწრაფო დახმარება გამოიძახე — ეს ყველაფერი მხოლოდ შენს კარგ ადამიანობაზე მეტყველებს.

მე, როგორც მკითხველმა, გაპატიე. მართალია, იმ ოჯახისთვის, ამ უბედურების გახსენება საშინელი იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, ისინიც გაპატიებენ, რადგან შენი აღსარების შემდეგ ისეთ ადამიანად შეგიცნობენ, როგორიც სინამდვილეში ხარ.

ათი წელი გავიდა და მომხდარს ვერ ივიწყებ, პატიებას ითხოვ. იმედი იქონიე, დანარჩენებიც ჩემსავით გაგიგებენ.

გელა! შენ რაც დააშავე, იმ ღამესვე გამოასწორე. იმ ოჯახის ფიზიკური და სულიერი ტრავმა დაე მძარცველებმა ზიდონ ტვირთად.

გელა, დარწმუნებული ვარ, ბევრი გამოგეხმაურება. რაც შეეხება ოჯახის შექმნას, მჯერა, ბედნიერი ოჯახი გექნება!

***დალი, ქუთაისი***

*P.S. გელას ბევრმა მოსწერა... კარგია ადამიანები ერთმანეთის ვარამს რომ ითავისებენ... სიტყვას ბევრი ძალუძს... ეს სიტყვები (ზოგი ავტორი დაბეჭდვასაც არ ითხოვს). საქართველოს საზღვრებს გარეთიდანაც პატიობენ და ამხნევებენ გელას... ყველანი უფლისკენ უთითებენ გზას ხსნისას...*

# თხუთმეტი წლის წინ მიტოვებული გოგონა კარებში იდგა...

## და ლამის იმავე ხნისა იყო



ირმა 3 წლის იყო, როცა დაობლდა. ნათესავებმა უპატრონო ბავშვთა სახლში მიიყვანეს და იქაურ აღმზრდელებს ჩააბარეს.

ლამაზი ბავშვი იყო და ლამაზი გოგონაც დადგა. ყველას უყვარდა, ხასიათიც დამყოლი და მშვიდი ჰქონდა... მეცხრე კლასში იყო, როცა ახალგაზრდა კაცმა შეაღო მისი კლასის კარები. რეზო მასწავლებელმა ღიმილით გამოუცხადა მოსწავლეებს, რომ ამიერიდან ის იქნებოდა მათი კლასის დამრიგებელი და თან ისტორიას შეასწავლიდა. მალე გაუშინაურდნენ მოსწავლეები ახალგაზრდა პედაგოგს, მით უმეტეს, რომ იგი დღე და ღამე მათთან იყო, რადგან იქვე, ინტერნატის საერთო საცხოვრებელში მისცეს ბინა.

ცოტა ხანში ირმა მიხვდა, რომ პირველი სიყვარული ეწვია. იგი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა პედაგოგს, რომელიც მართლაც გასაოცრად მოუთხრობდა მოსწავლეებს საქართველოს გმირული წარსულის შესახებ. რეზოც ისე შეეჩვია გოგონას, მის გარეშე ვერც კი ძლებდა. ერთხელ ავად გახდა ირმა და სკოლაში ვერ წავიდა. რეზომ ბავშვებს უთხრა: მოდით, ირმა მოვინახულოთ, გავართოთ და გაკვეთილიც იქ ჩავატაროთო. ასეც მოიქცნენ.

ერთი წლის მერე, უკვე მთელმა ინტერნატმა იცოდა, რომ რეზო მასწავლებელს და ირმას „სხვანაირად“ უყვარდათ ერთმანეთი.

ერთ მშვენიერ დღეს რეზო თბილისში გამოიძახეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. გავიდა რვა, ცხრა, ათი დღე და არ გამოჩნდა. დარეკეს განათლების სამინისტროში. ოჯახური პირობების გამო ითხოვა თქვენი ინტერნატიდან წამოსვლა და დავაკმაყოფილეთ მისი მოთხოვნაო, — უპასუხეს.

ირმამ ძალიან განიცადა რეზოს გაუჩინარება. აღარაფერი უნდოდა... მოგვიანებით მიხვდნენ მისი ცვლილების მიზეზს — იგი ბავშვს ელოდა. ინტერნატის პედაგოგებმა კვლავ მოისურვეს რეზოსთან დაკავშირება, მაგრამ, თავად ირმამ აღარ მოისურვა მისი ნახვა. ექიმებმა დაასკვეს, რომ ბავშვის მოცილება საზიანო იყო ქალისთვის... რვა თვეში გოგონა დაიბადა, რომელსაც სახელად თამარი დაარქვეს.

გავიდა თხუთმეტი წელი... ირმა შვილთან ერთად უკვე თბილისში ცხოვრობდა და ერთ-ერთ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. კომუნისტების დროს სპეციალისტთა დახელოვნების მიზნით, ხშირად ტარდებოდა ხოლმე კურსები. ასეთ კურსებზე, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ირმაც გაგზავნეს ორი კვირით ბორჯომში. იქ თავმოყრილნი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მასწავლებლები. პირველსავე დღეს სალექციო დარბაზში შეამჩნია ირმამ რეზო. იგი ცოტათი მოსუქებულიყო და საფეთქლებთან ჭაღარა გასჩენოდა. რეზომ ვერ იცნო ირმა. მართლაც, ძნელი იყო ტანმაღალ, ლამაზ და თმაშეკრეჭილ ქალში 14-15 წლის პატარა, ნაწნავიანი გოგონას ამოცნობა. საღამოობით, თავისუფალ დროს უკვე დამეგობრებული მასწავლებლები ფოიეში ან კაფე-ბარში იყრიდნენ თავს. რეზო ირმას ჯგუფს დაუმეგობრდა. თვითონაც ვერ გაეგო, რითი იზიდავდა ეს ქალი. ერთხელ, სეირნობისას, უამბო თავის სიყვარულზე ირინეს (ამ სახელით გაეცნო ირმა რეზოს), ოღონდ ის არ უთქვამს, როგორ მიატოვა ფეხმძიმე, არასრულწლოვანი გოგონა. უთხრა, რომ უსიყვარულოდ მოიყვანა ცოლი და მალევე გაშორდა, რადგან ვერ დაივიწყა პირველი სიყვარული.

რახან ყოფილი მასწავლებელი ვერ სცნობდა, ირმამ ბოლომდე თამაში განაგრძო. რეზოს კი სულაც არ „ეთამაშებოდა“... მას მართლა შეჰყვარებოდა ლამაზი ირინე და სულად არ ატყუებდა ქალს, როცა ეფიცებოდა, პირველი სიყვარულის მერე ნამდვილი გრძნობა ახლა მეწვიაო.

თბილისში რამდენჯერმე სკოლაშიც მიაკითხა, თეატრშიც დაპატიჟა და რესტორანშიც, მაგრამ ქალი იმიზეზებდა — შვილს ვერ დავტოვებო. მაშინ მე მოვალ შენთან და ბავშვთან ერთად გავისეირნოთო, — არ თმობდა რეზო...

რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც იქნა, შინ მისვლის ნება დართო „ირინემ“ რეზოს. ფრთაშესხმული კაცი ყვავილებით, შამპანურებითა და შოკოლადებით ესტუმრა ქალს. ირმა იმ საღამოს გადაწყვეტილი ჰქონდა ვინაობის გამჟღავნება.

გოგონა შინ არ იყო. მუსიკაზეა და მალე მოვაო, — უთხრა „ირინემ“. მასპინძელმა მაგიდას სუფრა გადააფარა და ვახშმის სამზადისს შეუდგა, თან ფარულად უთვალთვალებდა სტუმარს. ბედნიერებისგან გაბადრულ რეზოს მოსწყინდა სავარძელში ჯდომა. ჯერ მოხმარება შესთავაზა ქალს და როცა მისგან უარი მიიღო, კედელზე ჩამოკიდებული სურათების თვალიერებას შეუდგა... უცებ მზერა შეეყინა ერთ წერტილზე და გაფითრდა. სურათიდან ახალგაზრდა რეზო და კიკინებიანი ირმა თავის კლასელებთან ერთად შეჰყურებდა. ფრთხილად ჩამოხსნა სურათი და რომ არ წაქცეულიყო, სავარძელში მოცელილივით დაეშვა...

სამზარეულოში მოფუსფუსე ირმა უკვე მიმხვდარიყო ყველაფერს და ფეხს ითრევდა, იგი თავის, უფრო სწორად, თავიანთ გოგონას ელოდა.

ოთახში კვლავ სამარისებური სიჩუმე იდგა და უცებ ზარის ხმაც გაისმა. ირმამ გამოსძახა, — დაკავებული ვარ და იქნებ შენ გაუღო კარიო. ძლივს მილასლასდა კართან რეზო. მეორე დიდი სიურპრიზი კარის ზღურბლთან ელოდა. „თქვენ ბრძანდებით, ბატონი რეზო?“ — სახეში შესცინა გოგონამ და პასუხს დაელოდა. კაცი ისეთი გაოგნებული იყო, სიტყვის თქმას კი არა, თავის დაქნევასაც ველარ ახერხებდა — მის წინ პატარა ირმა იდგა...

ირმა სამზარეულოდან გამოვიდა. „ჰო, რეზო, მე ირინე კი არა, ირმა ვარ, თამუნა კი შენი შვილია“, — უთხრა მან კაცს... რეზოს თვალთ დაუბნელდა. მერე ესღა აღმოხდა: „ირმა, თუ ღმერთი გწამს!..“

ძნელია თეთრად გათენებული ღამეების, სულიერი ტკივილის, გაჭირვებული დღეების დავიწყება, მაგრამ... ალბათ, სიყვარული ის გამოუცნობი ძალაა, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდები...

ირმამ შესძლო პატიება...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# შვილი გაკვეთილს გააცდენს და...



ინგლისელი პატრიცია ამოსი 43 წლის მანძლზე მშვიდად ცხოვრობდა ქალაქ ბენბერში, ვიდრე ერთ საშინელ დღეს პოლიციელები არ დაადგნენ თავზე — გუდა-ნაბადი აიკარით და წამოგვყევითო, — უბრძანეს. საწყალ ქალს მუხლები მოეკვეთა და — რატომ, რისთვისო, — ძლივს ამოილუღლუღა, — არავისთვის არაფერი მომიპარავს, არავინ მომიკლავს, მთელი სიცოცხლე ქრისტიანულად ვცხოვრობო...

სამართალდამცავთა პასუხმა უფრო გააოგნა ქალი, — ორი თვე ციხეში ყოფნა მოგიწევთ იმიტომ, რომ თქვენი ქალიშვილი სკოლაში გაკვეთილებს აცდენსო.

კანონი, რომელიც უდისციპლინო შვილების მშობლებს 3 თვემდე პატიმრობით სჯის, ორი წლის წინ მიიღო ინგლისმა, მაგრამ პატრისია პირველი მსხვერპლია ამ კანონისა.

ბრიტანელებმა, ბოლოს და ბოლოს, ირწმუნეს, — მთავრობა არ ხუმრობსო და შეშინდნენ. აქამდე რა ხდებოდა? „დედიკო, ტანში მაჟრიალებს, სკოლაში არ წავალ, რა“, — წაიწუწუნებდა შვილი და გულაჩუყებული დედიკო მაშინვე თბილი ლოგინისკენ მიუძღვოდა. ახლა თავად მშობლები აცილებენ სკოლის კარამდე და რომ არ გაიპარონ, დარაჯობენ კიდეც.

# „მუუშუშებელი ბაღანასავით არიენ ქართველი კაცები, ნენა...“

ქართველებს თავი მოგვაქვს საქართველოში ქალსა და კაცს შორის ოდითგანვე არსებული თანასწორობით და ამის დასტურად ხშირად ვაფრიალებთ მეცნიერულ დასკვნას, რომ ჩვენში უძველესი დროიდან არსებობდა ქალის კულტი. ძალიანაც კარგი, თუ არსებობდა, მაგრამ ეს წარსულში იყო, ახლა, რა ხდება, ახლა? — ალბათ უკვე კითხულობთ ირონიულად. რაღა დაგიმალოთ და მეც ძალიან მაინტერესებს. ამიტომაც ტრადიციულად ერთი კითხვით მივმართე სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და ასაკის რამდენიმე ქართველ ქალბატონს: — *მე-12 საუკუნეში ნათქვამი — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, 21-ე საუკუნეშიც „მუშაობს“?*

**ბებია ქეთო (67 წლის)** — ქალი დავბერდი, მარა მაი, რო მე და ჩემი ყაძახი (მეუღლეს გულისხმობს) თანაბარუფლებიანი ვართ, დღემდე არ მიგრძნია, ნენა. 5 შვილი



გავაჩინე, გავზარდე, გზაზე დავაყენე. მეექვსე თავად გერონტიე მყავს სულ მოსავლელი და მითხარი, რაფრა ვართ მე და მაი ტოლები? სამართალი რომ იყოს, თურქეთის სულთანივით ფეხმორთხმული უნდა მცემდეს მთელი საკაცეთი თაყვანს, მარა ბაზრიდან ერთი „სუმკის“ წამოღებაშიც არ შემშველებია არავინ. მიდღემჩი მუუშუშებელი ბაღანასავით არიენ ქართველი კაცები, ნენა. მათრახი უნდათ მაგენს წელზე, მარა არაქათგამოცლილებს ვისა გვაქვს ახლა მაგის თავი, რომ ეგენი ცირკის ცხენებივით ვწვრთნათ. ამასობაში დეგვენგრევა ოჯახი თავზე. ჰოდა, ქეიფისა და დროს ტარებისგან გამოფხიზლებული ყაზახები აქეთ გვისაყვედურებენ — რაი მიქენი, დამიქციე კარი, ქალო? რავა ტყვილა გეძახდი ოჯახის ბურჯსა და იმედსო. გასათხოვი ხარ ბებია? დოუკვირდი, მუუშუშარ კაცს არ წაყვე, ნენა.

**ლიანა (43 წლის):** — ეჰ, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას ხშირად მინატრია — ნეტავ იმ დროში მაცხოვრა-მეთქი. თუ რაინდები ცხოვრობდნენ მაშინ, ქალსაც რაინდულად მოექცეოდნენ. აბა, დილიდან შუადღემდე ციბრუტივით ვტრიალებ შეძახილებზე — „ჩქარა, ჩქარა, ადექი, საუზმე გამიმზადე, მაგვიანდება! ოჰ, ეს პერანგი და წინდები არ მინდა, რუხი ფერის მომეცი! გასაუთოებელია? რას აკეთებდი? 3-4 საათზე შემოვივლი, კატლეტი დამახვედრე. ხომ გახსოვს, რა თქვა ექიმმა, მხოლოდ ორთქლზე დამზადებული ჭამოსო. მე არ მეცლება, გადასახადები გადაიხადე. ჰო, საღამოსთვის მოემზადე, თამაზს და გიოს მოვიყვან. ერთ-ორ ჭიქას დავლევთ. თამაზის „აჩმა“ უყვარს, გიოს მეგრული ხაჭაპური, ხომ არ დაგავიწყდა? ჩაქაფულს მოასწრებ? თუმცა, უნდა მოასწრო. ნინიკოსაც მიაკითხე“... და ა.შ. ასე ვცხოვრობთ ჩვენს ოჯახში მე — ძუ და ჩემი საყვარელი ხვადი. მე სულ ლომი ვარ, ოღონდ უღიარებელი და ის კიდევ — თავგასული ბოკვერი. ეჰ, ამ დროში რუსთაველი სხვა აფორიზმს დაწერდა.

**ლელა (34 წლის):** — ერთ ამბავს მოგიყვებით. ჯერ კიდევ კომუნისტების დრო იყო, პოლონეთში რომ ვიმოგზაურე. იქ გავიცანი საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ქალი. აღტაცებით მიამბო საქართველოში მისი ყოფნის ამბები და აღნიშნა — არსად არ მინახავს ქალის მიმართ ამდენი სითბო და სიყვარული, რაც თქვენს ქვეყანაში ვნახე. სადაც კი მივედი, ყველგან მესმოდა — „ქალბატონია, მიიღეთ, მოეფერეთ, დაეხმარეთ“. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ქალი ამგვარი უპირატესობით არ სარგებლობს. გამაოცა სუფრაზე წარმოთქმულმა სადღეგრძელოებმა — დედის, დის, მეუღლის, ოჯახის დიასახლისების და ა.შ. თქვენ ნამდვილი მამაკაცების ქვეყანაში ცხოვრობთ, სადაც ქალს აღმერთებენ, ადედოფლებენო. პოლონელ ქალს რომ არ ეთქვა, მე ასე ვფიქრობდი ყოველთვის და დღესაც. ხშირად ქალი უფრო მეტი უფლებებით სარგებლობს ჩვენთან, ვიდრე კაცი.

**მარი (18 წლის):** — ჩემი აზრით, საქართველოში ძუ და ხვადი ყოველთვის ერთმანეთის სწორნი იყვნენ და არიან კიდეც. დედას და მამას, ჩემი და ჩემი ძმის ურთიერთობები და ჩემ ირგვლივ არსებული გარემო ამის თქმის უფლებას მაძლევს. როგორც ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს, ხშირად მიწევს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა და ამ საკითხზეც არაერთხელ მიფიქრია. რუსთაველმა ეს მაშინ თქვა, როცა საქართველოში კულტურისა და განათლების უმაღლესი დონე იყო, როდესაც ადამიანები ერთმანეთს აფასებდნენ გონებრივი მონაცემებით, კულტურის დონით და არა მხოლოდ გარეგნობით, ან სულაც — ეკონომიკური შესაძლებლობებით. იმ პერიოდში ქალი კაცისთვის მარტო დედაბოძი კი არ იყო, არამედ ქალი — მოაზროვნე, ქალი — ინტელექტუალი. ჩემი აზრით, რუსთაველი სწორედ ამგვარ თანასწორობაზე ამბობდა, რაც დღეს თვალში საცემი და, უფრო მეტიც, აშკარაა. ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე რომ გყავს, პარლამენტს რომ ქალი მეთაურობს... მგონი, ამ კითხვის დასმაც არ ღირს. ზოგჯერ ქალები მეტი უფლებებითაც სარგებლობენ.

***ეკა ლომიძე***

## კოსმეტიკის კუთხე

### მსხლის ნიღაბი

მსხალი, რომელიც მდიდარია არა მარტო ვიტამინებით, არამედ მიკროელემენტებითაც, ბრწყინვალედ კვებავს და ატენიანებს მშრალ კანს. გააცალეთ მსხალს კანი, გამოწურეთ წვენი და წაისვით სახეზე, ხოლო რბილობის ფაფა შეიძლება გამოიყენოთ ნიღბად. თუ დრო არ გაქვთ, უბრალოდ დაჭერით მსხალი ნაჭრებად და დაიდეთ სახეზე. ყველა შემთხვევაში 20-25 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ სახე თბილი წყლით.

### ვაშლის საიდუმლო

ვინც დღეში თუნდაც ერთ ვაშლს მიირთმევს, ექიმი აღარ დაჭირდება — ასე ამბობენ ინგლისელები. და ეს სიმართლეა. განა ტყუილად იამებდნენ ლამაზმანები კანს ვაშლის ნიღბებით, — იცოდნენ რომ ის წმენდდა, არბილებდა და აუმჯობესებდა სახის ფერს: ერთი მწიფე ვაშლი გავხეხოთ (ან დავჭრათ კუბებად). 2-3 ს/კ რბილობი 2-3 წთ ჩავდოთ 40 მგ მდუღარე ნაღებში ან რძეში და 30 წთ გავაჩეროთ (კუბები ხარშეთ ვიდრე არ გახდება სქელი ფაფის მსგავსი). წაისვით სახეზე, გაიჩერეთ 20-30 წთ. შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით.





ამ შემოდგომაზე ძალზე მოდური იქნება მაყვლისფერი, ალუბლის და ჟოლოსფერი. ეს ფერები მშვენივრად ეხამება ერთმანეთს, ხოლო თუ შოკოლადისფერს მუქყავისფერსა და შავსაც შეუფარდებთ, მოდურ კომბინაციას მიიღებთ.

მოდას უბრუნდება ღია და მსუყე ფერის ფეხსაცმელი, რომელიც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ხელჩანთას ან ქამარს.

მოდის უკანასკნელი ნიმუშია ჯინსისმაგვარი მასალისაგან შეკერილი წვრილქუსლიანი ჩექმა.

C M Y K





პიჯაკი და შარვალი (ზოგჯერ ჟილეტიც)

სახელმწიფო მმართველობის ფორმა

სუფთა წონა

სახის მანჭვა

„დედაენის“ პირველი სიტყვა

პირველი ჯეიმს ბონდი

გფრ-ის ყოფილი დედაქალაქი

შივას მეუღლე ინდუიზმში

ფინიკიელების მთავარი ქალღმერთი

სპილენძის სასულე საკრავი

ბორტგამცილებელი

იოჰან შტრაუსის მშობლიური ქალაქი

სახელმწიფოთა კავშირი

სამონასტრო კომპლექსი კახეთში

კლდეკარის ერისთავის სახელი

ლუდხანა ინგლისში

... და მოპასანი

შუა საუკუნეების იაპონური თეატრი

შთამომავლობის თითოეული საფეხური

რომაელების „მხნელი“ ფრინველი

რაიმე ნაკეთობის მოდელი

პუგაჩოვა

ეგვიპტის დედაქალაქი

კამბოჯის ვალუტა



ფრანგი მომღერალი

რაიმე ხელობის ადამიანთა გაერთიანება

კუბის დედაქალაქი

სიზმრის ერთეული

სასოფლო სამეურნეო მანქანა

აპულეუსი „ოქროს ...“

სოკოს ქსელი პროდუქტზე

„არაბიკა“, „პელე“, „ნესკაფე“

გიორგი სააკაძის ვაჟი

ფირნიში

სოფოკლეს მიერ უკვდავყოფილი მეფე

ქართული მონასტერი თურქეთში

ქართული ექსპრომტი

განთქმული უნგრული ღვინო

„გვადი ბიგვა“ (მწერალი)

პოპოვის გამოგონება

1905 წ. რუსეთის ესკადრის მარცხი იაპონიასთან

ვალსი, ტანგო, ლამბადა

ერთიანი კამათელზე

ურჩხული შოტლანდ.

ლომის თათი

დიდი წვეულება, ლხინი ქეიფი

სინემა

წვერმოკაუჭებული ნაჯახი

სულხან ... ორბელიანი

პერუს დედაქალაქი

„სხვისი სახე“ (... აბე)

განთქმული კანადელი ჰოკეისტი

მშრალ ხევზე გაყვანილი ხიდი

პოზიტივის ანტიპოდი

წიწვოვანთა ფისის გამონაზადი

დირიჟაბლების გერმანელი კონსტრუქტ.

მაუგლის მეგობარი

კორეული ავტომობილი

იგივეა, რაც გამოსაჩენი

სულთნის საბჭო ოსმალეთში

„პასეანის“ პერსონაჟი

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



ხელმძღვანელის თანაშემწე



ოკეანეთში შეჭმული მოგზაური

ღირსშესანიშნავი, დიდი მნიშვნელობის

ზაქარა, ვაჟას ზღაპრიდან

7 დღე

კაპასი, ანჩხლი დედაკაცი

CMYK

# პატარა ქილერები



ქალაქ მედელინს, კოლუმბიის კოკაინის დედაქალაქს, ხშირად „ომების ქალაქსაც“ უწოდებენ. აქ ყოველთვიურად სამასამდე მკვლელობა ხდება. მაგრამ ყველაზე საშინელი ამ სტატისტიკაში ის არის, რომ მკვლელობის უმეტესობას ბავშვები სჩადიან.

ყველა კრიმინალურ დაჯგუფებას ჰყავს ქილერი ბავშვები. კოლუმბიის კანონით, 18 წლამდე ასაკის ბავშვების გასამართლება აკრძალულია, რაც, რა თქმა უნდა, ნარკობიზნესმენებისთვის ძალზე ხელსაყრელია.

1989 წელს ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში საგანგებოდ შეიტანეს შესწორება, რომელიც კრძალავდა ციხეში ბავშვის ზრდასრულ პირებთან ერთად ყოფნას. ამიტომ განზრახ მკვლელობისათვის მცირეწლოვან ქილერს, ციხის ნაცვლად, სარეაბილიტაციო ცენტრში გზავნიან ან აიძულებენ, კვირაში ორჯერ მიაკითხოს ფსიქოთერაპევტს, რომელიც მათ სპეციალურ კურსს უტარებს სოციალური ადაპტაციისათვის.

მცირეწლოვანი ქილერები მედელინის ქუჩებში გამოჩნდნენ კოკაინის მეფის, მულტმილიონერ პაბლო ესკობარის ზეობის დროს. სწორედ მან, პირველმა შექმნა ბავშვების შეიარაღებული ბრიგადები, რათა თავის მეტოქეებს გასწორებოდა.

14 წლის ქილერმა, მეტსახელად „ბიჭუნამ“, უკვე იმქვეყნად ოთხი ადამიანი გაისტუმრა. პირველი მკვლელობა 12 წლის ასაკში ჩაიდინა. გარეგნულად ის 8 წლის ბავშვს ჰგავს და ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს ყმაწვილი ისე მოკლავს კაცს, რომ წარბიც არ აუტოკდება.

„ბიჭუნა“ მიიჩნევს, რომ ის სიმართლეს იცავს. მისი აზრით, სიკვდილის ღირსია ნარკოდილერი, რომელიც პარტნიორს მოატყუებს და ფულს მიითვისებს. შეკვეთილ მკვლელობას იგი ჩვეულებრივ სამუშაოდ თვლის. „ბიჭუნას“ მშობლებმა იციან, რა საქმიანობასაც ეწევა მათი შვილი, მაგრამ ხმას არ იღებენ, რადგან ბავშვი მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

ქილერი ბავშვები იშვიათად აღწევენ სრულწლოვანებას იმიტომაც, რომ მათ ხშირად თვითონ შემკვეთები კლავენ კვალის დასაფარავად.

ზოგჯერ „ბიჭუნა“ და მისი მეკავშირე, მეტსახელად „კიროსა“, შეფის მცველებადაც მუშაობენ. თვითონ ნარკობარონები იარაღს არ ატარებენ, რადგან პოლიციას ერიდებიან და კარგად იციან, რომ კანონის თანახმად პოლიცია ბავშვებს ხელს არ ახლებს.

ქილერი ბავშვები ისე მომრავლდნენ, რომ ისინი, ნარკობარონების შეკვეთების გარდა, გროშებად (250 ამერიკული დოლარი) სხვების შეკვეთებსაც ასრულებენ.

მედელინის პოლიციის სამმართველოს გამომძიებლის, კაპიტან ლუის ფლორესის აზრით, ბავშვების მიერ ჩადენილი მკვლელობები უფრო საშიშია, ვიდრე უფროსებისა: „ბავშვებმა იციან, რომ ჩვენ მათ ვერ დავიჭერთ. ხშირად გვხვდებიან თორმეტი წლის ქილერები, რომელთაც უკვე არაერთი მკვლელობა აქვთ ჩადენილი“. ფლორესმა აღიარა, რომ ერთი თვის წინ მედელინის პროკურორმა გამოწერა ხუთი ორდერი მცირეწლოვანი ქილერების დასაპატიმრებლად, მაგრამ ვერც მათი დაკავება და ვერც მათი დაკითხვა ვერ მოხერხდა. ისინი „ყოველი შემთხვევისთვის“ მოკლეს მათმა შეფებმა, რათა დაკითხვაზე რაიმე ზედმეტი არ წამოსცდენოდათ.

***ინტერპოლ-ექსპრესი №26***

# ტერორი ოჯახური საქმეა

უსამა ბინ ლადენს ოთხი ცოლი და 29 შვილი ჰყავს. მათგან ნაწილი განუყრელად მასთან ერთად არის, სადაც არ უნდა იყოს ოჯახის თავი — ავღანეთში თუ პაკისტანში. ამერიკის სპეცსამსახურების ცნობით, მისი უფროსი ვაჟები „ალ-ქაიდაში“ საკმაოდ აქტიურ როლს თამაშობენ. უსამას 21 ვაჟიშვილიდან ერთ-ერთი — საად ბინ ლადენი „ალ-ქაიდას“ ფინანსებს განაგებს. თითქმის დადასტურებულია მისი მონაწილეობა აპრილში, ტუნისის სინაგოგაში მოწყობილ აფეთქებაში. ეს აფეთქება 11 სექტემბრის შემდეგ, „ალ-ქაიდას“ მიერ მოწყობილი ყველაზე მასშტაბური ტერაქტია. მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის მეორე ვაჟი, მოჰამედი კი, ნამდვილი ტერორისტ-ბოევიკია. მას ცოლად ჰყავს მოჰამედ ატეფის ქალიშვილი. ატეფი „ალ-ქაიდას“ მთავარი სტრატეგი გახლდათ და ამერიკელმა ჯარისკაცებმა ავღანეთში მოკლეს. ზოგიერთი ცნობით, მოჰამედი უსამა ბინ ლადენის პირადი მცველის მოვალეობასაც ასრულებს. ამბობენ, კალაშნიკოვის ავტომატით შეიარაღებული მოჰამედი მამის სასთუმალთან გაუნძრევლად ზის და მის ძილს დარაჯობსო.

მაგრამ ბინ ლადენის დიდი ოჯახის ყველა წევრი არ არის მამის „ბიზნესში“ ჩართული. ბინ ლადენის ყველაზე უფროსი ვაჟიშვილები სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და საუდის არაბეთში ცხოვრობენ, სადაც საკმაოდ პატივსაცემი მდგომარეობა უკავიათ. არაბული წყაროების ცნობით, მათ ოფიციალური განცხადება გააკეთეს და მამის და მისი დანაშაულებრივი საქმიანობისგან შორს დადგნენ.

***ნიუზუიქი***

# საქმიანი კოსტიუმი — მაინც უნიფორმაა



— ამბობს HUGO BOSS-ის საქმიანი კოსტიუმის შემქმნელი, დიზაინერი ვერნერ ბალდესარინი. მისი კოსტიუმი აცვია ყველა იმ ბიზნესმენს, ვინც საკუთარ თავს პატივს სცემს. კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ თავად არ იცვამთ საქმიან კოსტიუმსო, დიზაინერი პასუხობს, — მე მიმაჩნია, რომ საქმიანი კოსტიუმი მაინც უნიფორმაა. ერთხელ DEUTSHE BANK-ში მომიწია გამოსვლა. დარბაზში თავმოყრილ მამაკაცთა თითქმის 98%-ს საქმიანი კოსტიუმი ეცვა და საშინელი გრძნობა დამეუფლა ერთნაირსამოსიანი ხალხის დანახვაზე. ყოველ თანამშრომელს უნდა შეეძლოს ისეთი ტანსაცმელი შეარჩიოს, როგორიც სურს და არა ისეთი, როგორიც მის უფროსს აცვია. საშინელებაა, როცა ყველა იმიტომ ყიდულობს, მაგალითად, ყვითელ პერანგს, რადგან მის უფროსს ძალიან უყვარს ყვითელი ფერი. მოდა კვდება! გარშემო ჯარისკაცებივით ერთნაირად ჩაცმულ ადამიანებს ვხედავ. დაჰკვირვებიხართ, რამდენ მამაკაცს აცვია ერთნაირი საქმიანი კოსტიუმი და რამდენს უჭირავს სრულიად ერთნაირი პორტფელი? პირად მე განსხვავებული ჩაცმა მიყვარს, ჰალსტუხს არასოდეს ვხმარობ, თუმცა კოლექცია მაქვს. საერთოდ, არაფორმალური სტილი მომწონს...

ჰუგო ბოსის კოსტიუმს ის უპირატესობა აქვს, რომ შესანიშნავადაა აჭრილი, იგი მამაკაცს უფრო სექსუალურს ხდის. შარვალი ისეა შეკერილი, რომ საჯდომი რაც შეიძლება ვიწრო გამოჩნდეს, პიჯაკმა კი მხრები გაშლილი უნდა გამოაჩინოს.

***დენგი №30***

# „სასიკვდილო მატჩის“ თვითმხილველის ნაამბობი




60 წლის წინ, ფაშისტთაგან ოკუპირებულ კიევში, „დინამოელებმა“ გერმანელებს ფეხბურთის მატჩი მოუგეს. ლეგენდის თანახმად, საბჭოთა ფეხბურთელები გერმანელებმა მატჩის დამთავრებისთანავე დახვრიტეს. „კომსომოლსკაია პრავდამ“ მოძებნა ამ მატჩის თვითმხილველი ვლადიმირ ნოგაჩევსკი და სთხოვა ეამბნა, სინამდვილეში რა მოხდა.

— როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ფრონტზე არ გამიწვიეს, — ჰყვება ბატონი ნოგაჩევსკი, — ოჯახს უჭირდა, ამიტომ საიუველირო ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. კიევი გერმანელებს ჰქონდათ დაპყრობილი. ომამდე „დინამოს“ დუბლებში ვთამაშობდი, ფაბრიკაში ბევრი ახალგაზრდა მუშაობდა, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ფეხბურთის გუნდი „რუხი“ — უკრაინულად — „მოძრაობა“. პურის ქარხანასაც ჰყავდა თავისი გუნდი, ქარხნის დირექტორის მოადგილემ, წარმოშობით ავსტრიელმა, თავის გუნდში ყოფილი „დინამოელებიც“ მიიწვია და ძალა რომ არ გამოგვლეოდა, ყოველდღე, მუშაობის დამთავრების შემდეგ, თითო პურს გვაძლევდა. თავის გუნდს, „სტარტს“, ხან უნგრელ და ხან გერმანელ ფეხბურთელებს ახვედრებდა.

სხვათა შორის, მატჩები ძალიან კორექტულად მიმდინარეობდა. ქალაქში ვკიდებდით ფერად აფიშებს, შესასვლელი ბილეთი 1 მარკა ღირდა. ტრიბუნაზე ისხდნენ ვერმახტის ჯარისკაცები და ოფიცრები, ტაშს უკრავდნენ თავისიანებსაც და კიეველებსაც, როცა ისინი ამას იმსახურებდნენ.

აგვისტოს მატჩი სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა. გერმანელებმა კვლავ წააგეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ პურის ქარხანაში გესტაპოელები მივიდნენ — ფქვილიან ტომრებში შუშის ნამსხვრევები აღმოაჩინეს. ბევრი მუშა, მათ შორის ფეხბურთელები, საკონცენტრაციო ბანაკ „თაგვის ხაფანგში“ წაიყვანეს. ამბობდნენ, თუ გერმანელებს საქმე კარგად წაუვიდათ, ყველას შეიწყალებენ და გაუშვებენო. მანამდე კი ტყვეებს ქალაქში ამუშავებდნენ. ერთხელ ის ჯგუფი, რომელშიც ფეხბურთელები — ტრუსევიჩი, კუზმენკო და კლიმენკო იყვნენ, გესტაპოს შენობის ეზოს მოსაასფალტებლად წაიყვანეს. დატყვევებულთა ოჯახის წევრებმა შორიახლოს დააწყვეს საჭმლიანი პარკები. ამ დროს ეზოში საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი რადომსკი შევიდა, გერმანული ნაგაზი ახლდა. ძაღლმა საჭმლის სუნი იგრძნო და პარკების ქექვა დაიწყო. რადომსკიმ ჯგუფი საკონცენტრაციო ბანაკში გააქანა. ეზოში ყველა პირქვე დააწვინეს და ყოველი მესამე დახვრიტეს. კოლია ტრუსევიჩი საბედისწერო „მესამე“ არ იყო, უბრალოდ წამოიწია იმის სანახავად, ამცდა თუ არა უბედურებაო და ამის გამო კეფაში ესროლეს... არავინ იცის, სად ჩაფლეს დახოცილები. დანარჩენი „დინამოელები“ გადარჩნენ. საბჭოთა ჯარი მაშინ კიევის მისადგომებთან იყო. გერმანელებს მხოლოდ კომაროვი გაჰყვა, გამყიდველი აღმოჩნდა...

1962 წელს საბჭოთა კავშირში გადაიღეს ფილმი „მესამე ტაიმი“. სცენარს საფუძვლად კიევის „დინამოელთა“ დახვრეტის ამბავი დაედო. როლებს თამაშობდნენ: ლ. კურავლიოვი, ვ. ნევინი, გ. სტრიჟენოვი, ი. ნაზაროვი. ფილმი 32-მა მლნ-მა ადამიანმა ნახა.

80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა ამერიკული ფილმი „გამარჯვება“, რომელიც საფრანგეთში მომხდარ მსგავს ამბავს მოუთხრობდა მაყურებელს. მთავარი როლები განასახიერეს სტალონემ, პელემ და ბობი მურომ...

***კომსომოლსკაია პრავდა №150***



# პეპლები და მზე



კინგსტონის (კანადა) სამეფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, თუ როგორ არკვევს მიმართულებას სივრცეში პეპელა-მონარქი. ყოველ შემოდგომაზე მილიონობით ასეთი პეპელა მიფრინავს კანადიდან ცენტრალური მექსიკისაკენ, გაზაფხულობით კი სამშობლოს უბრუნდება. ყველასათვის გასაოცარია სივრცეში მათი ორიენტირების უნარი. თურმე, ამ შორი მანძილის გადალახვასა და მიმართულების გარკვევაში მონარქს ეხმარება მასში თითქოს ჩამონტაჟებული ერთგვარი მზის კომპასი. ექსპერიმენტისთვის აეროდინამიკური მილი გამოიყენეს. ყველა მწერს თაფლისცვილიანი ძაფი მიაკრეს და ჰაერის ჭავლის დახმარებით აიძულეს ეფრინა მილში. თუ პეპლები მზეს ხედავდნენ, მათი გეზი მკაცრად განსაზღვრული იყო სამხრეთ-დასავლეთისკენ, ხოლო როდესაც მწერები დახურულ სათავსში გადაიყვანეს, ალალბედზე დაფრინავდნენ. სწორედ ამან მისცა შესაძლებლობა მეცნიერებს, გამოეტანათ დასკვნა, რომ პეპლები მზის მიხედვით იგნებდნენ გზას.

***იტოგი №28***


გურამ ფანჯიკიძე და მილიცა ჯაფარიძე ჰავანა

# ხუთი წელია, რაც მოგონებებში გადავიდა...

## გურამმა კუბაში აღმოაჩინა, რომ „თურმე ბაყაყის გიჟი“ ყოფილა...

უკანასკნელად გამომცემლობაში ვნახე გურამი. აგვისტო იყო. ძალიან ცხელოდა. საქმეზე შემოიარა, უფრო სწორად, შემოიქროლა. მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა. დიდხანს არ გაჩერებულა, ჩქარობდა — სხვაგანაც უნდა გავიარო, ყველაფერი მოვასწრო, ხვალ შვებულებით რაჭაში მივდივარ, ჩემი დიდი ოჯახი იქ მელოდება, შვილებსა და შვილიშვილებთან გემრიელად დავისვენებ, იქაურებმა თუ დამასვენეს, მერე ცოტა ხნით მე და დალი ზღვაზე გავიპარებითო. ჩვეული სიცილ-ხუმრობით გამოგვემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯებით ჩაათავა კიბე. აი, ასეთი ხალისიანი და მოცინარი სახით ჩამრჩა იგი მეხსიერებაში. გურამი თბილისში აღარ დაბრუნებულა... რამდენიმე დღეში ხმა გავარდა, გურამ ფანჯიკიძე დაიხრჩოო. წარმოუდგენლად ძნელი დასაჯერებელი იყო; საუბედუროდ, ეს მწარე სიმართლე გამოდგა. ასეთი ყოფილა ღვთის ნება.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. რაც გურამი მოგონებებში გადავიდა, მაგრამ დავიწყებით არავის დავიწყებია. თითქოს ისევ მოგვესმის მისი ხმამაღალი ლაპარაკი, გულიანი სიცილი, სხარტი იუმორი. საოცრად კომუნიკაბელური იყო. იოლად დაუახლოვდებოდი, მაგრამ ადამიანის შეცნობაში არ ტყუვდებოდა. ყველა თაობისა და პროფესიის ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა. ულალატო და სიტყვის კაცი გახლდათ. უზარმაზარი გულის პატრონი ყველას თავის წილ სითბოს და სიყვარულს მიაგებდა. საქმეში მეტად პრინციპული და მომთხოვნი იყო, სამეგობროში კი ჭაბუკივით ლაღი და თავისუფალი. დასვენების ყადრიც იცოდა, გარკვეული დროით განიმუხტებოდა ყველაფრისაგან და ხალისიანი ეპიზოდებით ილამაზებდა ცხოვრებას.

70-იან წლებში ტურისტული საგზურებით ერთად ვიმოგზაურეთ საზღვარგარეთ. მარშრუტი ასეთი იყო: კუბა, მაროკო, საფრანგეთი. საბედნიეროდ, თითქოსდა საგანგებოდ შერჩეული ჯგუფი აღმოჩნდა, — უმეტესობა ნაცნობ-მეგობრები, დაახლოებით ერთი თაობისანი; იყვნენ მსახიობები, ჟურნალისტები, ლიტერატორები. მწერლებიდან კი — გურამ ფანჯიკიძე, ტარიელ ჭანტურია, ემზარ კვიტაიშვილი და ჯუმბერ თითმერია. კარგი დასვენებისა და დროის ტარების გარანტი ისიც იყო, რომ ჯგუფში მამაკაცები ჭარბობდნენ. ხანგრძლივი ფრენის შემდეგ, რაც ჩვენმა რაინდებმა ქალებზე მძიმედ გადაიტანეს, ჰავანაში, სასტუმრო „ვარადეროში“ დავბინავდით. საკმაოდ კომფორტული სასტუმრო იყო, მით უმეტეს, ჩვენთვის. ორიოდ საათი დავისვენეთ და ქუჩაში გამოვეფინეთ.

პირველივე დღიდან გავშინაურდით. თვალი რომ გადავავლეთ ხასხასა მწვანე გაზონებს, ლათინურამერიკული მუსიკით გაჯერებულ ქუჩებს, სადაც დიდი თუ პატარა სხეულის ისეთი რხევით დადის, თითქოს ცეკვავენო, უნებლიეთ გადავერთეთ მათ რიტმში და მგონი, გადავაჭარბეთ კიდეც მასპინძლებს. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდნენ კუბელი ყმაწვილები და ბავშვები ჩვენი ქალებისადმი. როგორც კი დაგვიმარტოხელებდნენ, შემოგვეხვეოდნენ, სიგარეტს, ფერად ფანქრებსა თუ სუვენირს ხელიდან გვგლეჯდნენ და ფეხის გადადგმის საშუალებას არ გვაძლევდნენ. ყველაზე მეტად გურამს აღიზიანებდა ეს, მოვარდებოდა, ქართულად ლაზათიანად შეუკურთხებდა და მაშინვე შემოგვეცლებოდნენ დამფრთხალი აბეზრები.

ჩვენი დასვენება ექსკურსიებითა და ქუჩაში სეირნობით არ იფარგლებოდა. ერთხელ გურამმა შემოგვთავაზა, კარგი ბარი აღმოვაჩინე, სწორედ ჩვენს ჯიბეს რომ შეეფერება, ვისაც სურვილი აქვს, წამოვიდესო.

გურამი მასპინძელივით შეგვიძღვა. ორი-სამი პატარა მაგიდა დავიკავეთ. მართლაც, მყუდრო და სასიამოვნო ადგილი გამოდგა. ჩანთებში ყველას გვეწყო თითო ბოთლი სასმელი და სიგარეტი, ყავა იაფი იყო, მუსიკა და ცეკვა უფასო. ამიტომაც ჩვენს „ხელმოკლეობას“ დიდად არ შევუზღუდივართ, დროს სიცილ-ხუმრობაში ვატარებდით. მაგიდასთან, რა თქმა უნდა, ქართულ წესს ვიცავდით, გვყავდა თამადა და სადღეგრძელოებსაც ვამბობდით. გურამი ჩემთან უფრო მეტად იყო შეთამამებული და როცა რაიმე ისეთს ჩაიფიქრებდა, მეც ჩამრთავდა ხოლმე საქმეში. კაცები ცოტა რომ შეზარხოშდნენ, ცეკვა მოუნდათ. გურამმა მე გამიწვია საცეკვაოდ. როგორც „გამორჩეულ“ მოცეკვავეებს, ასპარეზი არ გვეყო და შუა დარბაზში აღმოვჩნდით, მუსიკოსებთან ახლოს. გული მიგრძნობდა, რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, ეშმაკურად უბრწყინავდა თვალები. თურმე, ერთ-ერთ წყვილში შესანიშნავი აღნაგობის მულატი გოგონა შეუნიშნავს, მოსვენება დაკარგა, ვერაფრით ვანუგეშე. წუთში მიიღო გადაწყვეტილება. მუსიკოსებისკენ ცეკვა-ცეკვით წამიყვანა, ჩია ტანის ზანგს უცერემონიოდ, მაგრამ თავაზიანად ჩამოართვა კასტანიეტები, ხელი ჩემს წელზე შემოაჭდობინა და ჩემი თავი ჩააბარა. თვითონ თვალში ამოღებული გოგონასკენ გაემართა, თავი მდაბლად დაუკრა, პარტნიორის მკლავებისაგან გაათავისუფლა და ყმაწვილს, გოგონას სანაცვლოდ, კასტანიეტები შეაჩეჩა ხელთ. ეს ისე ბუნებრივად და მოხდენილად გაითამაშა, დარბაზის ტაშიც დაიმსახურა. გამარჯვებულმა გურამმა ჩვენი მაგიდისაკენ მიიხედა და მთელი ხმით დასჭექა: „ვივა, საქართველო!“

სადილის შემდეგ ექსკურსია იყო დაგეგმილი, ნიანგების საშენის დათვალიერება. უნდა გითხრათ, კუბელები დიდად ვერ დაიკვეხნიან თავიანთი სამზარეულოთი. სხვა რა გზა გვქონდა, უხალისოდ მივირთმევდით ჩვენთვის უჩვეულო კერძებს — ნიანგი, ბაყაყი, ლოკოკინები, თევზი ტომატის წვენში და, როგორც წესი, ყველა ჯერზე თხლად დაჭრილი, ზეთმოსხმული მწვანე პომიდორი. გურამი ყოჩაღი ბავშვივით ყველაზე ადრე მორჩა ჭამას. ბიჭებმა ჩაუქილიკეს, გურამ, ისე, მადას ხომ არ უჩივიო. გურამმა სიცილითვე უპასუხა — როგორც იქნა, მივხვდი, თურმე მწვანე პომიდვრისა და ბაყაყის გიჟი ვყოფილვარო. ავტობუსით გავემგზავრეთ ნიანგების საშენში. უზარმაზარ ტერიტორიაზე ხელოვნურ ტბას მავთულის მაღალი ღობე ჰქონდა შემოვლებული. აქა-იქ ამოშვერილი ლოდები პატარ-პატარა ბორცვებივით მოჩანდა. უკვე დანაყრებული ნიანგები წყალში ნებივრობდნენ. ზოგი, ბებერი თუ ზარმაცი, ლოდზე გაწოლილი მზეს ეფიცხებოდა, პირგაღებული და თვალმინაბული. ვერ ვიტყვი, სიამოვნება მივიღეთ-მეთქი ნიანგების ცქერით, ამიტომ მალე გამოვეცალეთ და იქვე, ახლოს, მწვანე მდელოზე დავსხედით. ჩვენ გარდა, სხვა ტურისტული ჯგუფებიც იყვნენ იქ, ერთმანეთს შორიდან ვათვალიერებდით, ზოგი მოგვწონდა, ზოგი — არა. ერთი სიტყვით, მათზე ჭორაობით ვკლავდით დროს. ულიმღამოდ გადიოდა დღე. ქალაქში დაბრუნება გვერჩივნა. უცებ გურამი წამოდგა. სპორტული ტანსაცმელი ეცვა — ჯინსის შარვალი, წითელი მაისური და ბოტასები. ნელი ნაბიჯით გაუყვა ნიანგების საშენისაკენ. მივხვდით, მისი მოუსვენარი ხასიათის გადამკიდეს, მოსწყინდა ერთ ადგილას ჯდომა. ღობესთან ახლოს ერთი ქალიშვილი იდგა, ტბას გადაჰყურებდა. გურამმა გვერდით ჩაუარა, მისკენ არც გაუხედავს, საქმიანად შეაღო გისოსის კარი და მოზრდილი ჯოხით ხელში საკმაოდ მაღალ კიბეზე დაეშვა. ტბის პირას გაჩერდა, სადაც ორიოდ მეტრში ლოდზე გაწოლილი უზარმაზარი ნიანგი თვლემდა. გურამმა კარგა ხანს უყურა, ხან დაუყვირა, ხან დაუსტვინა, მაგრამ ნიანგს ვერაფერი შეასმინა. ბოლოს, თითქოს მოთმინების ფიალა აევსოო, მთელი ძალით გადააწნა ზურგზე ჯოხი. ცხადია, ნიანგს არ სტკენია, უბრალოდ, „ეწყინა“ და უცებ, მთელი ტანით მოტრიალდა ნაპირისკენ და დაიძრა. მაგრამ გაბოროტებული ცხოველი სანამ ხმელეთზე დაადგამდა ფეხს, გურამმა ჯოხი იქვე მოისროლა და შურდულივით ამოფრინდა კიბეზე. კარი მაგრად მიხურა და სული მოითქვა. ცოტა ნირწამხდარი ჩანდა, მაგრამ შეძახილით გავამხნევეთ: „ვივა, საქართველო! ვივა, გურამ!“ მხოლოდ ერთი რამ იყო გულდასაწყვეტი, ობიექტი, რომელიც ამ სარისკო ტრიუკის ყველაზე სასურველი მაყურებელი უნდა ყოფილიყო, სანახაობისგან ზურგშექცევით იდგა და ვიღაც პერსონასთან ერთობოდა. ეს ულიმღამო დღეც გურამის წყალობით კარგ მოგონებად დაგვრჩა...

რაც გიამბეთ, სრულად ვერ დაგვიხატავს გურამს, მის მაღალ ადამიანურ თვისებებს, მის საქმიანობას, მის დიდ შემოქმედებას. სამაგიეროდ, ამ ერთი-ორი ეპიზოდით მის მონატრებას და ხსოვნას მივაგებ პატივს.

***მილიცა ჯაფარიძე***
***გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი***



### მარწყვით, მერცხლისთვალება გოგონა, ნიყვი და...

# ასე დაიბადა სიმღერა

მამია ხატელიშვილი იმ დროს ტელევიზიის სახელგანთქმულ ოქტეტს ხელმძღვანელობდა. მეც იმხანად ავტოინსპექციაში მუშაობას ტელეკომენტატორის საქმიანობას ვუხამებდი, რომლის თავკაცი გახლდათ თვალსაჩინო ქართველი ინტელიგენტი ბატონი ზურაბ ხატელიშვილი, მამიას ალალი ბიძაშვილი. გარდა ამისა, საჩხერეში ჩვენი სოფლები ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეობს. ოდესღაც მამიას მამა, ბატონი ვანიჩკა ხატელიშვილი სიმღერასაც მასწავლიდა. მართალია, ჩემგან არაფერი გამოვიდა, მაგრამ გუნდიდან არ გამიშვა — ლამაზი ბიჭი ხარ, გუნდს უხდები, მაგრამ ხმა არ ამოიღო. სიმღერის დროს მხოლოდ პირი გააღეო და ასე „ვმღეროდი“ რამდენიმე წელს. ყველაფერი ეს საფუძვლად დაედო ჩემსა და მამიას მეგობრობას. მართალია, იგი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ იმდენად არაორდინარული კაცი გახლდათ, ხშირად მახსენდება თუნდაც თავისი უცნაურობების გამო, რომელთაც, როგორც წესი, ბოლო ყოველთვის კეთილი ჰქონდა.

თითქოს გუშინ იყო: ზაფხულის იმ ცხელ თვეს შაბათ-კვირას სოფელში გახლდით ცოლ-შვილთან. ახალგათენებული იყო, თავს რომ დამადგა — მანქანა ვერ დავქოქე და ფეხით გადმოვედი ჭორვილიდან. — რა ცეცხლი წაგეკიდა, ამ უთენია სახლიდან ხომ არ გამოუგდიხართმეთქი და ისეთი საბრალო თვალებით შემომხედა, ცოტაც და, მეც ავტირდებოდი ალბათ, — მეუღლეს ენა წაერთვა და თუ ძმა ხარ, ამ დილით ჭიათურაში ჩამაყვანინე ექიმებთან, მერე კი თუ იქ არაფერი გამოვიდა, თბილისში უნდა წავიყვანოთო. არ ვიცი, რატომ, რა ეშმაკი შემიჯდა, აბა, რა იყო სასაცილო, მაგრამ უცებ ხუმრობის გუნებაზე დავდექი: — ე, ბიჭო, ჯერ აქამდე მოვიყვანოთ, ეგებ ჩემს ცოლსაც გადაედოს ეგ ავადმყოფობა. მაგას რომ ვეღირსებოდე, ექიმსა და საავადმყოფოს სათოფეზე აღარ გავეკარები-მეთქი. ამის თქმა იყო და უცებ შუბლში იტკიცა ხელი, — ეგ როგორ ვერ მოვისაზრეო და ის იყო, უკან გავარდნას აპირებდა, მაგრამ აივანზე გადმომდგარი ჩემი მეუღლის ქოქოლამ შეაჩერა. ერთი სიტყვით, მე მეტი მომხვდა ამ ხუმრობის გამო, რომელიც მამიამ სრულიად სერიოზულად, რომ იტყვიან, უაპელაციოდ მიიღო და ძალიანაც მოეწონა. თუმცა მან ეს შეცდომა იმავე დღეს გამოასწორა და აი, როგორ:

როცა ჭორვილაში მამიას სახლში მივედით, საბედნიეროდ, მისი მეუღლე ენაამოდგმული დაგვხვდა. ჩემი ქალბატონის სიანჩხლით დაფეთებულებს ხუმრობის თავი აღარ გვქონდა და რადგან ორშაბათი იყო და თბილისში უნდა წამოვსულიყავით, გზას გავუდექით. დილა იყო და ასეთ დროს ამ გზაზე ახალდაკრეფილი ნიყვის (ეს სოკო საქართველოში ჭურათხევიდან აჯამეთამდე ხარობს. სხვაგან არსად გვხვდება) ყიდვას ვაპირებდით. მერე ამ მართლაც სამეფო სოკოთი (ამბობენ, ჩრდილო იტალიაშიც ხარობს და იქ ასე ეძახიანო — ვ. გ.) თბილისელ მეგობრებთან ვიწონებდით ხოლმე თავს. როგორც ჩანს, ადრე მოგვივიდა წამოსვლა და სოკოს გამყიდველები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ გზაზე. ბედად, გვირილებით გადაპენტილი ბექობიდან მოკლე, წითელკოპლებიან კაბაში გამოწყობილმა მერცხლისთვალება გოგონამ ჩამოირბინა კალათით ხელში, რომელიც პირამდე სავსე იყო ჩვენი სათაყვანებელი ნიყვით. თუმცა დილის ხასხასა ფერებმა და გამჭვირვალე ჰაერმა მგონი ორივეს დაგვავიწყა, რისთვის გავჩერდით და წამით ისიც კი გავიფიქრე — თუ არსებობს სამოთხე, ალბათ ასეთი იქნება-მეთქი. მერე კი გონს მოვეგე და გოგონას ვთხოვე — სოკო მოგვყიდე-მეთქი. — არაო, მითხრა, სოკოს ვერ მოგყიდი. შინ (ამ ადგილიდან საჩხერის რაიონის სოფელი ხვანია ახლოს — ვ. გ.) სტუმრები გვყავს და მამამ გამომაგზავნა, საუზმისთვის გვჭირდებაო და კისკისით განაგრძო ფერდობზე დაშვება. რა გაეწყობოდა — მაინც კარგი გოგო ხარ, ბიძი, კარგი-მეთქი, დავადევნე და მანქანა დავძარი. მამიამ ჯერ პატარა გოგოს გააყოლა თვალი, მერე ნელ-ნელა თითქოს ეპარებაო, თავისთვის წაიმღერა — კარგი ხარ, გოგო, კარგი ხარ... მერე გადააბა და გადააბა უსიტყვო მელოდია. მერე კი დაფეთებულივით მეცა — თუ ძმა ხარ, შემობრუნდი ჭიათურაში, ეთერ ჯიშკარიანს ლექსი უნდა დავაწერინო ამ მელოდიაზე, თორემ თბილისამდე ვერ ჩავაღწევო და ასეც მოვიქეცით. იმ საღამოს თბილისში ნიყვი ვერა, მაგრამ ახალი სიმღერა ჩამოვიტანეთ, რომელიც მეუღლეს უძღვნა მამიამ იმ ცოდვის მოსანანიებლად, წამიერად რომ დაიჯერა ჩემი ხუმრობა. ასე დაიბადა შესანიშნავი სიმღერა „კარგი ხარ, გოგო, კარგი ხარ“, რომელიც მჯერა, კიდევ დიდხანს დაამშვენებს ქართულ ესტრადას.

***ვაჟა გავაშელი***



# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**ჩემს შვილს დაეწყო ასთმის შეტევები. იქნებ არსებობს ბავშვთა ასთმის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები?**

*თქვენი ერთგული მკითხველი*

არსებობს ბავშვთა ბრონქული ასთმის მკურნალობის საერთაშორისო პროგრამები, შექმნილია თერაპიის ალგორითმი, რომელიც დამოკიდებულია ავადმყოფის ასაკზე, დაავადების ხანგრძლივობასა და სიმძიმის ხარისხზე. შემუშავებულია საკმაოდ ეფექტური მეთოდები ბრონქული ასთმის გასაკონტროლებლად. სწორი მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ალერგოლოგს შეუძლია. ძალზე მნიშვნელოვანია მშობლის როლი ბავშვთა ასთმის შემთხვევებში. საკმაოდ ხშირად დაავადების სიმძიმე კონკრეტულ სიტუაციაში იმაზეა დამოკიდებული, რომ მშობლებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ, როცა ბავშვი არასწორად სუნთქავს, რა არის მიზეზი შეტევის განვითარებისა. ექიმი-ალერგოლოგისაგან თქვენ ამ დაავადებაზე სრული ინფორმაცია უნდა მიიღოთ. მაგალითად, ასთმის ატოპიური ფორმის დროს არ შეიძლება ავადმყოფს ეძინოს ბუმბულის ბალიშზე, დაუშვებელია ოჯახში ცხოველებისა და ფრინველების ყოლა.

ასთმიანები მგრძნობიარენი არიან არა მხოლოდ ალერგენის მიმართ, არამედ არასპეციფიკური ზემოქმედებისადმიც. მაგალითად, სიცივის, ფიზიკური დატვირთვის, ფსიქოემოციური გადაძაბვისადმი. ცნობილია შემთხვევები, როცა ბავშვი ტირანი ხდება ხოლმე. მან იცის, რომ დაავადების შეტევისას დედას ძალიან ეშინია, ამიტომ რაღაცის მისაღწევად თავად იწვევს ასთმის შეტევის პროვოცირებას, იწყებს მძიმე სუნთქვას, რისთვისაც დიდი ფიზიკური ძალისხმევა სჭირდება. ასთმით დაავადებულისათვის მნიშვნელოვანია სპორტი, თუმცა დატვირთვა ზომიერი უნდა იყოს.

**მაინტერესებს, იკურნება თუ არა ქლამიდიოზი და ვის უნდა მივმართო. ვარ 32 წლის, ახალდაქორწინებული.**

*ს.დ.*

ქლამიდიოზი მეტად გავრცელებული დაავადებაა. პაციენტები დადიან ერთი ექიმიდან მეორესთან და სულ სხვადასხვა პასუხს იღებენ. ერთი ანალიზი აჩვენებს, რომ იგი განკურნებულია, ხოლო შემდეგ მას ისევ შეაწუხებს იგივე სიმპტომები, იკეთებს ახალ ანალიზს და აღმოჩნდება, რომ ქლამიდიები კვლავ ამოითესა. ქლამიდიოზის დიაგნოსტირების დღემდე არსებულ მეთოდთა სიზუსტე საკმაოდ დაბალია, კერძოდ, ნაცხის გამოკვლევისას მიღებული პასუხის სიზუსტის ალბათობა 20-30%-ს შეადგენს, ხოლო სისხლის ანალიზისა — 50-60%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ადამიანი იყოს დაავადებული ქლამიდიოზით და ანალიზის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდეს. ამიტომ, ექიმები გამოკვლევას იმეორებენ ხოლმე.

დიაგნოსტირების საკმაოდ დახვეწილი მეთოდია დნმ-დიაგნოსტიკა, რომლის სიზუსტე 98-99%-ს შეადგენს. თუმცა, იგი შედარებით ძვირად ღირებული გამოკვლევაა, მაგრამ ალბათ, ბევრ პაციენტს, რომლებიც დროთა განმავლობაში გაწვალდნენ გაურკვეველი სიტუაციით, ურჩევნია, ბოლოს და ბოლოს, მიიღოს სწორი და გადაწყვეტილი პასუხი და თავი დააღწიოს ამ სენს.

ზოგი ანტიბიოტიკი ეფექტურია აღნიშნული დაავადების დროს, მაგრამ მნიშვნელოვანია მკურნალობის ბოლომდე მიყვანა. ხოლო პასუხი იმის შესახებ, განიკურნა თუ არა ავადმყოფი, ისევ და ისევ დნმ-ის გამოკვლევით უნდა იქნას მიღებული.

ამრიგად, მკითხველს ვურჩევთ, მიმართოს იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც მას ჩაუტარდება დნმ-დიაგნოსტიკა, შემდეგ ჩაიტაროს ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის სრული კურსი (მეუღლესთან ერთად), მკურნალობის შედეგი უნდა შემოწმდეს დნმ-დიაგნოსტიკით.

**ვარ 64 წლის ქალი. მაწუხებს მაღალი წნევა. ეს ერთი წელია, დამჩემდა ასეთი რამ: რომ დავწვები ღამით, ვიძინებ ნორმალურად. ღამე მეღვიძება და ყელში მეწყება სტვენა-ხიხინი. თუ გავაგრძელებ წოლას, გულზე ცუდად მოქმედებს. თუ საწოლზე დავჯდები, სტვენა გამივლის ხოლმე.**

**გთხოვთ მიპასუხოთ, რა ჰქვია ამ დაავადებას, რა იწვევს და როგორ ვუმკურნალო?**

*თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვაკის რაიონიდან*

თქვენს მიერ აღწერილი მდგომარეობა ძალიან ჰგავს კარდიალური (გულის) ასთმის შეტევას, რაც გულის უკმარისობის გამო ვითარდება. ხოლო გულის უკმარისობა თავის მხრივ ჰიპერტონიული დაავადების (მაღალი წნევის) ერთ-ერთ ყველაზე ხშირ გართულებას წარმოადგენს. ღამით, როდესაც პაციენტი ლებულობს ჰორიზონტალურ მდგომარეობას, გულს მეტი დატვირვით უხდება მუშაობა, რადგან სისხლი სხეულის ზედა ნაწილში ჭარბადაა გადანაწილებული. ამ დროს ხდება სისხლის შეგუბება, სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში (ფილტვებში) და ვითარდება ასთმის მაგვარი შეტევა. როდესაც თქვენ საწოლზე წამოჯდებით ხოლმე, სისხლი ქვედა კიდურებისაკენ გადაინაცვლებს, გულს დატვირთვა ეხსნება და შეტევაც უკან იხევს. მაგრამ ეს საწყის სტადიაზე ხდება ასე. თუ თქვენ არ ჩაიტარებთ სათანადო მკურნალობას, შესაძლოა, მდგომარეობა დამძიმდეს და მაშინ წამოჯდომა საკმარისი აღარ იქნება. გირჩევთ, მიმართოთ კარდიოლოგს. მანამდე კი, ყველა ღონე იხმარეთ წნევის მოსაწესრიგებლად: რეგულარულად იკონტროლეთ წნევის ციფრები და მიიღეთ ჰიპოტენზიური (წნევის დამწევი) საშუალებები საჭიროების შემთხვევაში. როცა წნევა ნორმალურია, გულის დატვირთვაც ნაკლებია და თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

**ორიოდე თვის წინ უეცარი შემოტრიალების დროს შევიგრძენი მწვავე ტკივილი გულის არეში, მარცხენა ხელსა და ბეჭს ქვემოთ. იგივე მოვლენები გამიმეორდა 1 თვის შემდეგაც. მივმართე ექიმს, რომელმაც დამისვა ხერხემლის გულ-მკერდის ნაწილის ოსტეოქონდროზის დიაგნოზი. რამდენად რეალურია დიაგნოზი და როგორია ამ დაავადების მკურნალობა და პროფილაქტიკა?**

*კ. ტყეშელაშვილი*

ასეთი კლინიკური სურათი სულაც არ არის იშვიათი თერაპევტის, ორთოპედის, ნევროპათოლოგის პრაქტიკაში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შესაძლოა იყოს თავბრუსხვევა, ტკივილი გულის, ღვიძლისა და კუჭის არეში.

ყველა ეს სიმპტომი, პირველ რიგში, მალთაშორისი დისკის გადაგვარების, მისი ქსოვილის სტრუქტურისა და ქიმიური შემადგენლობის ცვლილების შედეგია. წარმოქმნილი ნაპრალებიდან გამოიბერება ბირთვი, რომელიც ე.წ. დისკის თიაქარს წარმოქმნის. თიაქარი ზოგჯერ მალაში იჭრება, გამოიზნიქება წინ, უკან ან გვერდით. მალთაშორისი დისკი ამ მდგომარეობაში უკვე აღარ ასრულებს ჰიდრავლიკური ამორტიზატორის როლს, რის გამოც ხერხემალზე იზრდება ზეწოლა და მასზე თანდათანობით ვრცელდება რღვევითი პროცესი, მის კიდეებზე ვითარდება ძვლოვანი წანაზარდები. ადამიანი ამ დროს უჩივის ზურგის სწრაფად დაღლას, ტკივილს ზურგისა და კისრის არეში.

მალების თიაქარი, ძვლოვანი წანაზარდები ზოგჯერ ზეწოლას ახდენს ნერვულ ფესვებზე ან სისხლძარღვებზე. ამის შედეგად ვითარდება ტკივილი შინაგან ორგანოებში, ცვლილებები სისხლძარღვებში.

ოსტეოქონდროზის განვითარებას ხელს უწყობს მალთაშორის დისკებზე ზეწოლაც. ეს შეიძლება მოხდეს ტრავმის შედეგად, ვარჯიშის დროს, დიდი სიმძიმეების აწევისას.

ოსტეოქონდროზის თავიდან ასაცილებლად საწოლი უნდა იყოს აუცილებლად მაგარი, ბალიში — მცირე ზომის, ბრტყელი. მოერიდეთ ერთსა და იმავე დაძაბულ პოზაში ყოფნას, სიმძიმეების გადატანისას ნუ მობრუნდებით მკვეთრად, ჯდომისას ფეხები ოდნავ მოხარეთ. გონებრივად მომუშავეთათვის აუცილებელია ორ საათში ერთხელ ვარჯიშის რამდენიმე ილეთის გაკეთება, რომლებიც მოხსნის ზურგის კუნთების დაძაბულობას, გააუმჯობესებს ფეხებში სისხლის მიმოქცევას. ვისაც დიდი ხნით უწევს მოგზაურობა, ორ საათში ერთხელ, 10-15 წთ შესვენებას ვურჩევთ.

ოსტეოქონდროზის ყველაზე ეფექტური პროფილაქტიკური საშუალებაა — რეგულარული ფიზიკური დატვირთვა: ცურვა, ტანვარჯიში, თხილამურებით სრიალი, დილის გამამხნევებელი ვარჯიში, კისრის, ზურგის, მუცლის კუნთების გასამაგრებელი ვარჯიშები. უმჯობესია ივარჯიშოთ წოლის დროს.

თითოეული ილეთი 8-10-ჯერ უნდა განმეორდეს, კუნთების დაძაბულობა 5-7 წმ უნდა გრძელდებოდეს, პაუზა — 7-10 წმ.

აი, რამდენიმე მათგანი:

— ზურგზე წოლისას თავქვეშ ამოიდეთ ხელის გულები. გამართული ფეხები ასწიეთ იატაკიდან 20-30 სმ-ით.

## ზურგის არეში აღმოცენებული ტკივილი



— მუცელზე წოლისას, ხელებს ნიკაპი ან შუბლი დააბჯინეთ, გამართული ფეხები 15-20 სმ-ით ასწიეთ იატაკიდან. თავი, მხრები და გულმკერდი 5-20 სმ-ით ასწიეთ იატაკიდან.

ექიმის რეკომენდაციით შეგიძლიათ შინაც ჩაიტაროთ ხერხემლის დაჭიმვა.

თუკი ზურგის ტკივილი მკვეთრია, ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები უნდა მიიღოთ და წოლითი რეჟიმი დაიცვათ. როცა ტკივილი ჩაცხრება, ეფექტის გამყარებას ხელს შეუწყობს სპეციფიკური სავარჯიშოების კომპლექსი და თვითმასაჟი. სასარგებლოა პერიოდული (3-4 თვეში ერთხელ) ზურგის მასაჟის კურსი. ხერხემალზე ზეწოლას ამცირებს შტანგისტის ქამარი ან კორსეტი, რომელიც ექიმის მიერ არის დანიშნული. თუ კონსერვატიული თერაპია არაეფექტურია, შემდგომ მკურნალობას წყვეტს ნეიროქირურგი ან ორთოპედი.

წელის არეში ხერხემლის ოსტეოქონდროზით დაავადებულ ადამიანებს ექიმები უნიშნავენ გაჭიმვას. რეგულარული დოზირებული გაჭიმვა განსაკუთრებით სასარგებლოა ოსტეოქონდროზის ადრეულ სტადიაზე. თუკი ძვლოვანი წანაზარდები მალებზე მკვეთრად არის გამოხატული ან პროცესს თან ერთვის ძვლოვანი მგრძნობელობის, ასევე მყესების რეფლექსების დარღვევა და ამავე დროს აღინიშნება მამოძრავებელი დარღვევა, გაჭიმვა არ შეიძლება. გარემოების გათვალისწინებით, დაჭიმვა შეიძლება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით ჩაიტაროთ.

*მაია მუხიგული*

## ქლიავი ძალზე სასარგებლო ხილია

### მკურნალობა

ქლიავის მთავარი სიმდიდრე მის რბილობში პექტინის სიუხვეა. ის ხელს უშლის კუჭ-ნაწლავში ლპობადობის პროცესს და თან სიცოცხლისათვის საშიში, დაბინძურებული ჰაერიდან ჩვენს ორგანიზმში მოხვედრილ მეტალებს (ვერცხლისწყალი, ტყვია, სტრონციუმი) აუვნებელყოფს. ქლიავი სასარგებლოა მათთვის, ვინც ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას ეწევა, განსაკუთრებით კარგია შავი ქლიავი. ხანდახან საკმარისია ძილის წინ 10-15 ტკბილი „შავი აზის“ მიღება, რომ კუჭ-ნაწლავი უწამლოდ ამოქმედდეს.

ხალხური მედიცინა ამტკიცებს, რომ ყველანაირი ქლიავის და შავქლიავის ჭამა აუცილებელია თირკმლების დაავადების, რევმატიზმის, წითელი ქარის დროს. შავქლიავს ორგანიზმიდან ქოლესტერინი გამოაქვს, ამიტომ მისი მიღება რეკომენდირებულია ათეროსკლეროზით, ნაღვლის ბუშტით დაავადებულთათვის. ერთი კია, რომ ეს ტკბილი წამალი მაღალკალორიულია, ამიტომ ვისაც გახდომა უნდა, ქლიავი ბევრი არ მიირთვას.

ქლიავში შემავალი $B^2$ (რიბოფლავინი) ნერვულ სისტემას ამაგრებს, P ვიტამინი — წნევას არეგულირებს და სისხლძარღვებს ამაგრებს. სამკურნალო თვისებები ქლიავის ფოთლებსაც გააჩნია, მაგრამ მათი შეგროვება აპრილ-მაისშია საჭირო. უნდა გაშრეს კარგად განიავებულ ოთახში.



### ვიტამინიზებული ჩაი

თანაბარი პროპორციის, დაფქულ ქლიავის, ასკილის და მარწყვის ფოთლებს მდუღარე დაასხით და 1 სთ გააჩერეთ, მერე გემოვნებით დაამატეთ თაფლი და მიირთვით ჩაის მაგივრად.

### ფოთლის საფენი

ქლიავის გამხმარი ფოთლები დაფშვენით და მდუღარე დაასხით. გაცივების შემდეგ დაადეთ ჩირქოვან ნაჭრილობევს ან წყლულებს — მალე შეგიხორცდებათ.


SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.


## თუ ფუტკარმა გიკბინათ...

ზაფხულში, სხვა მწერებთან ერთად, ძალიან მწარედ იკბინება ფუტკარიც, რის შედეგადაც, თუ ადამიანი ალერგიულია, შეიძლება განუვითარდეს არა მარტო ადგილობრივი რეაქცია, როგორიცაა: გაწითლება, ქავილი, კანის შესივება, ჭინჭრის ციება, ხუთვა (რაც თითქმის ყველას ემართება), არამედ ანაფილაქსიური შოკიც.

ეს რომ არ დაგვემართოს, ელემენტარული წესების დაცვას გვირჩევენ ალერგოლოგები:

1. ჩაიცვით ისეთი ტანსაცმელი, რომელიც მაქსიმალურად გიფარავთ სხეულს;
2. არ ჩაიცვათ კაშკაშა და მკვეთრი ფერის სამოსი. თავი შეიკავეთ სუნამოსა და კოსმეტიკისგან;
3. ფეხშიშველი ნუ ივლით მინდორში;
4. თავზე დაიხურეთ;
5. თუ ფუტკარი თავს დაგტრიალებთ, ნუ დაიწყებ ხელების ქნევას;
6. ბაღში მუშაობისას ისარგებლეთ ხელთათმნებით;
7. ეზოში ნუ დააგროვებთ ნაგავს;
8. ბუნებაში გასვლისას (ან ნაკვეთში მუშაობისას) თან იქონიეთ ბალონი ინსექციდებით და თუ თქვენ უკვე გქონდათ ალერგიული რეაქცია ფუტკრის ნაკბენზე, აუცილებლად მიმართეთ ალერგოლოგს და მიიღეთ მისგან ალერგიით დაავადებული ავადმყოფის პასპორტი. ღმერთმა დაგიფაროთ, და, თუ ფუტკარმა დაგკბინათ, ექიმებს შეეძლებათ ამ პასპორტის მიხედვით გაგიწიონ სასწრაფო დახმარება.

რაც შეეხება ანაფილაქსიურ შოკს, ის ვითარდება კბენიდან 15 წუთის შემდეგ. მას ახასიათებს სისხლის წნევის მკვეთრი დაცემა, აგზნებულობა, რასაც მოჰყვება ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვა, ბრონქოსპაზმი, გულის მუშაობის დარღვევა და ზოგჯერ სიკვდილი სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო. ასევე ახასიათებს მუცლის არეში სპაზმი, ფაღარათი, პირღებინება, შეციება, ჟრჟოლვა.

### ფუტკრის კბენის შემთხვევაში საჭიროა

1. ადგილობრივი რეაქციის დროს მიიღოთ 1-2 აბი ნებისმიერი ანტიალერგიული პრეპარატი (კლარიტინი, ტავეგილი, სუპრასტინი, სემპრექსი). ფუტკრის ნესტარი ამოიღეთ ბასრი დანით და არავითარ შემთხვევაში ხელით, შხამი ასე უფრო სწრაფად ხვდება სისხლში. ნაკბენზე დაიდეთ ყინული.
2. გამოხატული რეაქციის დროს (გამონაყარი, თავბრუსხვევა, გაძნელებული სუნთქვა) უნდა გაკეთდეს ადრენალინის, პრედნიზოლონის, ტავეგილის ინიექციები, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს დროულად გამოძახებულმა ექიმმა.

*კომსომოლსკაია პრავდა №130*

# პოლკოვნიკი კადაფი გამარჯვებას ზეიმობს

ლიბია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გარიყულად ითვლებოდა, იზოლაციიდან გამოდის. მისმა ლიდერმა მუამარ კადაფიმ ფარ-ხმალი დაყარა. ლიბიაში მყოფ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ო'ბრაიენთან შეხვედრის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ტრიპოლმა ცნო თავისი პასუხისმგებლობა შოტლანდიის პატარ ქალაქ ლოკერბიზე განხორციელებული ტერაქტის გამო და დათანხმდა, დაღუპულთა ნათესავებს გადაუხადოს დიდი ფულადი კომპენსაცია. დასავლეთი ამას ტრიპოლისაგან 14 წელიწადი ელოდა.

1988 წელს ტერორისტებმა ლოკერბის თავზე ააფეთქეს თვითმფრინავი. დაიღუპა 270 ადამიანი. ძიებამ დაადასტურა, რომ ეს აქცია ლიბიის სპეცსამსახურებმა განახორციელეს. მაშინ გაეროს უშიშროების საბჭომ ლიბიას მოსთხოვა ტერაქტში ეჭვმიტანილი ორი მოქალაქის გადაცემა, მაგრამ უარი მიიღო. ლიბიის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები შემოიღეს — ქვეყანას ნავთობი საერთაშორისო ბაზარზე ვეღარ გაჰქონდა და ეკონომიკა დაეცა. მაგრამ ტრიპოლი გაეროს ნებას მაინც არ დაჰყვა და ეჭვმიტანილები მხოლოდ 1999 წელს გადასცა საერთაშორისო მართლმსაჯულებას. საერთაშორისო სანქციების მოქმედება თითქოს შეჩერდა, მაგრამ დასავლეთი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა მუამარ კადაფის რეჟიმს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს ლიბია რეგულარულად შეჰყავდა ტერორიზმის ხელშემწყობ ქვეყანათა ნუსხაში, ლონდონი კი მას ექსტრემისტული ორგანიზაცია „ირას“ თანადგომაში ადანაშაულებდა. ბოლოს და ბოლოს, ბრიტანეთს დაევალა პოლკოვნიკ კადაფისთან მოლაპარაკება. ეს მისია ო'ბრაიენმა კარგად შეასრულა. კადაფიმ იგრძნო, რომ მისი დრო დადგა, მონანიების შემდეგ შესაძლოა იგი აშშ-ისათვის ნავთობის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდეს. და საუდის არაბეთი, სადაც თავი წამოჰყვეს ისლამისტებმა, გვერდზე გასწიოს.

***კომერსანტი №141***

# პაკისტანელ ქალბატონს სამშობლოში დაბრუნება სურს

ბენაზირ ბჰუტოს სამხედროებმა ორჯერ დაატოვებინეს პაკისტანის პრემიერ-მინისტრის სავარძელი. ბოლო ექვსი წელიწადია ბჰუტოს ქმარი მექრთამეობის ბრალდებით სწორედ იმ საკანში ზის, სადაც ერთ დროს ქალბატონი ბენაზირი „ისვენებდა“.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი 1997 წლიდან სამშობლოდან გაძევებულია და ხან ლონდონში ცხოვრობს და ხან დუბაიში. პაკისტანის ამჟამინდელი ლიდერი, გენერალი მუშარაფი ცდილობს, დეკრეტებითა და კანონებში შეტანილი ცვლილებებით არ დაუშვას ბჰუტოს მიერ ლეგიტიმური, არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოსვლა. მან და მისმა გარემოცვამ საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტიც კი



შეიმუშავეს, რომელიც ბჰუტოს მესამე ვადით პრემიერის პოსტზე არჩევის გზას მოუჭრის. 49 წლის ბენაზირი დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს და ამბობს, — წინ ვერავინ დამიდგებაო. ეს მართლაც ძნელია, რადგან ამ ქალბატონს პოლიტიკური მანქანის მობილიზება შორი მანძილიდანაც კი შეუძლია — ლონდონის აპარტამენტებში ის ისლამაბადში საზეიმო დაბრუნებას გეგმავს. გვიან ღამემდე არ წყდება მასთან პაკისტანელთა ვიზიტები, რომელთა შორის ოფიციალური პირები და მუშარაფზე ნაწყენი სამხედროები არიან. ბენაზირი ყოველდღიურად უამრავ სატელეფონო ზარს პასუხობს და ინტერნეტის საშუალებით პაკისტანში თავის 5 000 თანაპარტიელ ფუნქციონერს უკავშირდება. ასეთი ურთიერთობების შედეგად, მიუხედავად მრავალწლიანი დევნისა, ბჰუტოს „პაკისტანის სახალხო პარტია“ ქვეყანაში ყველაზე ორგანიზებული ძალაა. თავისუფალი და უსაფრთხო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ამ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლის ყველა პირობა აქვს, — აცხადებენ ექსპერტები. მართალია, ბოლო დროს, აშშ-ის დახმარებით მუშარაფმა ქვეყანაში თითქოს პოზიციები გაიმაგრა, მაგრამ პოლიტიკური მხარდამჭერები მაინც ცოტა ჰყავს. ასე რომ, შესაძლოა მსოფლიო პოლიტიკაში კიდევ ერთი კურიოზი მოხდეს — ბენაზირ ბჰუტომ ამჟამად ქვეყნის სათავეში მდგომი სამხედრო — გენერალი მუშარაფი შეცვალოს.

***ნიუ ზუიქი***

# ბუშს ახლობლები ღალატობენ

სამი ევროპული ქვეყნიდან, რომელთა კეთილგანწყობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ეჭვი არ ეპარებოდა, ჯორჯ ბუშს უსიამოვნო ამბავი შეატყობინეს. შვეიცარიამ და იუგოსლავიამ არ მოაწერეს ხელი აშშ-თან იმ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ამერიკის მოქალაქეებს პასუხი არ უნდა ეგოთ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. აშშ ითხოვდა — თუ ჩემს მოქალაქეებს იმუნიტეტს არ მიანიჭებთ, საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას არ ვცნობთო. შვეიცარია და იუგოსლავია ამას არ დათანხმდნენ, იმის მიუხედავად, რომ იუგოსლავიის მთავრობა აშშ-ს უნდა უმადლოდეს არსებობას, შვეიცარია კი ყველანაირად ცდილობს, შეინარჩუნოს ამ ზესახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა. ამას ისიც დაერთო, რომ ლონდონმა ბუშის სახელზე გამოაგზავნა „დეილი ტელეგრაფის“ მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტი ერაყში სამხედრო ოპერაციის ჩატარების წინააღმ-



დეგია და არ მოსწონს ტონი ბლერის მეტისმეტი სირბილე. დიდი ბრიტანეთის პრემიერს მისი მოწინააღმდეგეები „ბუშის პუდელსაც“ კი ეძახიან. ლეიბორისტთა პარტიის წევრთა უმრავლესობა იმასაც კი ამბობს, თუ ერაყის წინააღმდეგ ომი დაიწყება, ბლერს პარტიის ლიდერობიდან გადავაყენებთო.

***სობესედნიკი №34***

# „ალ-ქაიდას“ ვიდეოარქივი ეთერში გაუშვეს

კომპანია სი-ენ-ენ-მა ეთერში გაუშვა რეპორტაჟების სერია უსამა ბინ ლადენის ტერორისტულ იმპერიაზე. როგორც ჩანს, ეს კადრები „ალ-ქაიდას“ ოპერატორებმა თავისთვის გადაიღეს. 64 კასეტა აშშ-ში სი-ენ-ენ-ის საერთაშორისო მიმომხილველმა ნიკ რობერთსონმა მოიპოვა — კასეტები მისთვის ქაბულში სარწმუნო წყაროს გადაუცია. უნიკალური კადრები პირველ რიგში ექსტრემისტებს უჩვენეს. მათი აზრით, ეს ვიდეოარქივი თავად ბინ ლადენის თუ არა, მისი ორგანიზაციისა მაინც არის. რამდენიმე კასეტაზე ჩაწერილია №1 ტერორისტის ინტერვიუები, 11 სექტემბრის ტერაქტების რეპორტაჟები. ზოგი მათგანი სასწავლო ხასიათისაა — როგორ უნდა გაიტაცო მანქანა, აიყვანო მძევლები, დაამზადო ასაფეთქებელი ნივთიერება და ა.შ. ერთი კასეტა მთლიანად ბინ ლადენსა და მის დაცვას ეძღვნება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ არქივში ბოლო 10 წლის კადრებია თავმოყრილი. ჯერჯერობით, სი-ენ-ენ-ი არ ჩქარობს ბოლომდე კასეტების შინაარსის გამჟღავნებას, მაგრამ ნაჩვენები სიუჟეტებიდან ორი ყურადსაღებია. პირველი 1998 წელსაა გადაღებული. თანამზრახველებით გარშემორტყმული ბინ ლადენი აშშ-ს ჯიჰადს უცხადებს. მეორე კასეტის გადაღების თარიღი უცნობია, მაგრამ იგი აშკარად 11 სექტემბრის ტრაგედიამდეა გადაღებული. მასზე აღბეჭდილია სამი ძაღლის ლეკვის გაზით მოწამვლის ექსპერიმენტი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ბინ ლადენს ქიმიური იარაღი აქვს და მისი წარმოებაც შეუძლია.

ბუშის ადმინისტრაციას ჯერ არ გამოუთქვამს აზრი „ალ-ქაიდას“ არქივის თაობაზე.

***ნოვიე იზვესტია №145***

# ბრიტანეთის სამეფო გვირგვინს ნახევარმთვარეს დაასვამენ?




ლონდონის შრომითი კონფლიქტების სასამართლომ განიხილა სკოტლენდ-იარდის სტაჟიორის მოჰამედ აზაუის სარჩელი. იგი თავის უფროსებს დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა — ყოველ სამუშაო დღეს მაიძულებდნენ, დამეხურა ლონდონის პოლიციის ჩაფხუტი, რომლის ემბლემაზე ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარია გამოსახულიო. მისი აღშფოთება იმდენად დიდი იყო, არც კი დაუცადა სასამართლოს გადაწყვეტილებას და პოლიციიდან წამოვიდა. ლონდონელ პოლიციელთა კავშირმა განცხადება გააკეთა: როცა ადამიანს ასეთი მტკიცედ გამოხატული რელიგიური მრწამსი აქვს და შეურიგებელია სხვა რელიგიის მიმართ, ვერანაირად ვერ იქნება მომთმენი, ეს კი პოლიციელისთვის აუცილებელიაო. ყველას გასაკვირად, მოჰამედ აზაუის სკოტლენდ-იარდის ხელმძღვანელობა დაუდგა მხარში. მთავარი კომისრის იენ ბლერის მიერ ლონდონის პოლიციის უბნებში დაგზავნილ ცირკულარში ნათქვამია, — ამიერიდან პოლიციელებს უფლება აქვთ, არსებული ემბლემა მათი რელიგიური მრწამსის შესაბამისად შეცვალონო და აზაუის სამსახურში დაბრუნება შესთავაზა. აზაუიმ — ვიფიქრებო და გულმომბალმა სასამართლოდან სარჩელი გამოიტანა. ლონდონელი პოლიციელები მოუთმენლად ელიან, რას იზამს მუსლიმანთა უფლებებისთვის მებრძოლი — ბრიტანეთის გვირგვინს ნახევარმთვარეს დაადგამს თუ ნისლიანი ალბიონის სიმბოლოს საერთოდ მოხსნის ჩაფხუტიდან.

***დენგი №32***

# იაპონიის ზღვას სახელს შეუცვლიან

იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის არსებული გეოგრაფიული ხასიათის უთანხმოებას ალბათ, მსოფლიო რუკიდან... იაპონიის ზღვის გაქრობა მოჰყვება. რა თქმა უნდა, თავად ზღვა კი არ გაქრება, რომელიც კორეის ნახევარკუნძულს იაპონიისგან ჰყოფს, არამედ... სახელი. ამ გადაწყვეტილებას ემხრობა საერთაშორისო ჰიდროგეოგრაფიული ბიურო, რომელმაც დაკარგა კამათის მონაწილე მხარეთა მორიგების იმედი. იაპონიის ზღვის სახელწოდების გამო კამათი 10 წლის წინ დაიწყო, როცა გაერომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დაზუსტება გადაწყვიტა. სეულმა მაშინვე გაილაშქრა სახელწოდება „იაპონიის ზღვის“ წინააღმდეგ. ეს სახელი კორეელებს იაპონელთა მიერ ნახევარკუნძულის დაპყრობას ახსენებს. სამხრეთ კორეაში ამ ზღვას „აღმოსავლეთისას“ ეძახიან, ჩრდილოეთ კორეაში კი „აღმოსავლეთ კორეის ზღვას“. იაპონელებს არგუმენტად ტრადიცია მოჰყავთ და ითხოვენ ძველი სახელის შენარჩუნებას.

***იზვესტია №143***

# მოკლედ

**გერმანიაში**, ელბის წყლის დონე სტიქიური უბედურების ადგილებში თანდათანობით იკლებს, მაგრამ საშიშროება კვლავ არსებობს. ვერლიტცის რაიონში დატბორვის საფრთხე ემუქრება ისტორიულ ნაკრძალს.

**დრეზდენში** ქუჩების დასუფთავება დაიწყეს, საქსონიის დედაქალაქიდან ტონობით ქვიშა და ნაგავი გააქვთ. გერმანიის მთავრობა დაზარალებული მოსახლეობის დახმარების გეგმებს ამუშავებს. ათობით ათასი ადამიანი ჯერჯერობით ისევ ევაკუირებულია.

**ჩეხეთის** ქალაქ ნერატოვიცას ქიმიურ კომბინატში კვლავ გაჟონა მომწამლავმა ქლორმა და საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას, რომელსაც შესაძლოა ევაკუაცია მოუწიოს.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, **ბაღდადში** თავი მოიკლა XX საუკუნის ერთ-ერთმა ცნობილმა ტერორისტმა აბუ ნიდალმა. ერთ-ერთი ვერსიით, პალესტინის იატაკქვეშა „რევოლუციური საბჭოს“ 68 წლის ლიდერმა იმ წუთებში მოიკლა თავი, როცა ერაყის სპეცსამსახურები მის დაპატიმრებას შეეცადნენ.

**კალიფორნიაში** 16 წლის მოსწავლეს — ჩარლზ უილიამსს 50-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს — შარშან მან კოლორადოში მოკლა 2 თანასკოლელი და დაჭრა 13 ადამიანი.

2002 წლის დამლევისათვის ამერიკის შეერთებული შტატები **ლატვიაში** განალაგებს უძლიერეს მობილურ რადიოლოკაციურ სადგურს, რომელსაც უმცირესი საჰაერო სამიზნის, მათ შორის რაკეტების ქობინების შემჩნევაც კი შეუძლია.

**ჩინეთში** წყალდიდობამ უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყანას, დაიღუპა ასობით ადამიანი. რამდენიმე პროვინციაში ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

# დაბრძანდი, გენაცვალე!



პუტინმა, ბოლოს და ბოლოს, მიუკიბმოუკიბავად განაცხადა, — სლავ ძმებთან კავშირი რუსეთს იმ შემთხვევაში აძლევს ხელს, თუ ბელორუსია ფედერაციის სუბიექტი იქნებაო. მოსკოვიდან მინსკში დაბრუნებულმა ალ. ლუკაშენკომ მტკიცედ განაცხადა, — ამ პირობას ვერ დავეთანხმებით, ორივე სახელმწიფოს ერთნაირი უფლებები უნდა გვქონდესო. ამის თაობაზე ანატოლი ჩუბაისმა თქვა: — იმას, რაც მოხდა ორი პრეზიდენტის შეხვედრაზე, პუტინის ბრწყინვალე ტაქტიკურ მანევრს ვუწოდებდი. რახანია, პატივცემული ალექსანდრ ლუკაშენკო თავს სლავი ხალხის გამაერთიანებლად ასაღებდა და სარგებელიც დიდი ჰქონდა. ეს როლი ისე მოირგო, რომ ბელორუსსა და რუსეთში ბევრი დააჯერა გულწრფელობაში. პუტინმა კი, ელეგანტური მოძრაობით სკამი გამოაცალა — თუ გინდა გაერთიანება, ისე მოიქეცი, როგორც რუსეთს აძლევს ხელსო. ერთი სიტყვით, პოლიტიკური ინიციატივა იგდო ხელთ.

***არგუმენტი ი ფაქტი №44***

# რა ელის ჩეჩნეთს?

რუსეთს აღარ დაელია გლოვის დღე. მარტო წელს, აგვისტოში, ორჯერ ჩაიცვა ქვეყანამ ძაძა — ხანკალაში მომხდარ კატასტროფას 116 სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეეწირა. 1996 წლის აგვისტოში, ბოევიკების მიერ გროზნოს უკანასკნელი შტურმის დროს ასობით ჯარისკაცი დაიღუპა. მაშინ დამთავრდა „ჩეჩნეთის პირველი ომი“. მოსკოვში სახლების აფეთქების შემდეგ დაიწყო მეორე ომი. შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასიაში ომის ახალი ფაზა დაიწყოს. რა ელის ჩეჩნეთს? ამ კითხვაზე კრემლში ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერავინ იძლევა. უკვე ყველა გზა მოსინჯეს — ბოევიკების უმოწყალოდ განადგურებაც, მშვიდობიანი მოლაპარაკების მცდელობაც, მაგრამ არაფერი ეშველა. სამხედროები ითხოვენ — სასტიკად გავუსწორდეთ ბოევიკებსო (ვითომ აქამდე ამას არ სჩადიოდნენ). შესაძლოა მოსკოვი ამას დასთანხმდეს, მაგრამ რას მოიტანს ეს? შესაძლოა ჩეჩენთა მხრიდან საშინელი ტერაქტების ტალღა გამოიწვიოს. მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფლების უმოქმედობას ვაითუ ბოევიკების გააქტიურება მოჰყვეს და მოსკოვიც ჩეჩნეთიდან ჯარის გამოყვანაზე ალაპარაკდეს.

თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებამდე დიდი დრო აღარ დარჩა და ალბათ პუტინი ოპოზიციას ხელში არ ჩაუგდებს ისეთ მძლავრ კოზირს, როგორიცაა ჩეჩნეთის ოპერაციის ჩაგდება.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №186***

# ინდოეთის სახელოვანი შვილი ალბანელია

ინდოელ ნაციონალისტებს შეშფოთების ახალი საბაბი მიეცათ. ქვეყანაში ჩაატარეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ დამოუკიდებელი ინდოეთის არსებობის მანძილზე ყველაზე თვალსაჩინო ინდოელი ქალი ან მამაკაცი. გამოკითხვის შედეგებს ინდოელი ლიდერები სკანდალურს უწოდებენ. უმნიშვნელოვანეს პიროვნებად დასახელდა დედა ტერეზა.



ის კი წარმოშობით ალბანელი იყო, თანაც კათოლიკე. პოპულარობით მან აჯობა ყველა უცნობილეს პოლიტიკურ მოღვაწეს — ჯავაჰარლალ ნერუსა და მისი ქალიშვილის, ინდირა განდით დაწყებული, ცნობილი მსახიობით, რაჯ კაპურით დამთავრებული. დედა ტერეზას იქნებ თავად მაჰათმა განდისთვის ეჯობნა, მაგრამ გამოკითხვის ორგანიზატორებს „ყველა ინდოელის მამის“ ავტორიტეტის შელახვისა შეეშინდათ და ნუსხაში არ შეიტანეს.

***ვლასტი №32***



# „ნანატრი ევროპა“ ახლოდან არც ისე ნანატრი ჩანს

ზედის საძებნელად უცხოეთში გადახვეწილი მილიონზე მეტი ქართველი, ქართველი ერის დაკნინებისა და დაცემის საშიში ტენდენციის მაუწყებელი რომ არის, ფაქტია, მაგრამ არანაკლებ საგანგაშოა, როდესაც ევროპასა თუ ამერიკაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთაგან, ნებსით თუ უნებლიეთ, მოწოდებული ცრუინფორმაციები კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის დატოვების მსურველთა რიცხვს. ვინაიდან ჩვენი, ანტიეროვნული, ნეობოლშევიკური მთავრობის, პროვინციული აზროვნების მქონე უვიცი ჩინოვნიკებისგან უახლოეს მომავალში სიკეთეს არ უნდა ველოდეთ, სრულიად შესაძლებელია, საქართველოში ქართველი სანთლით საძებარი გახდეს.

ახლახან დავბრუნდი საფრანგეთიდან, სასწავლებლად წასული, ბედის ირონიით, იმ სახიფათო და საშინელ რეალობას შევეჯახე, რომელიც ევროპაში მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილის ხვედრია. სწორედ ამან გადამაწყვეტინა მოვუთხრო ის სამწუხარო სინამდვილე ყველა ქართველს, რომელთაც ერთი სული აქვთ, ტურისტული თუ სხვა სახეობის მოკლევადიანი ვიზის საშუალებით, როგორმე შეაღწიონ „ნანატრ ევროპაში“... სწორედ ამ „სანატრელ“ მიწაზე იწყება ის კოშმარი, რაც ქართულ ეროვნულ ღირსებასა და მრწამსს სრული გადაგვარებით ემუქრება. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ თითქმის ყველა ჩვენს თანამემამულეს, ჩასვლის პირველი დღიდანვე ხედავს რა ამ ამაზრზენ სინამდვილეს, უჩნდება უკან დაბრუნების სურვილი. მაგრამ საზღვარგარეთული ვიზის მისაღებად გაწეული ხარჯები იძულებულს ხდის, ჯერ მის ანაზღაურებაზე იზრუნოს და ავტომატურად უერთდება იმ პროცესებს, საიდანაც შემდგომში თავის დაღწევა საკმაოდ ძნელია, რომელიც მთლიანად ითრევს და ამახინჯებს მათ შეგნებას.

## „თავგადასავალი“ სტანდარტულად იწყება

— პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნილის სტატუსის მოთხოვნით, გამოგონილი გვარებით (საკმაოდ ხშირად არაქართული: ჩეჩნური, ქურთული), რადგან საკუთარი სახელითა და გვარით მათ ყველა წესის დაცვით დატოვეს მშობლიური ქვეყანა და გამოაშკარავების შემთხვევაში უპირობო დეპორტაცია ემუქრებათ. მოგონილი პოლიტიკური ავტობიოგრაფიებით ისინი ახერხებენ დროებითი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების მიღებას სახელისუფლებო ორგანოებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ღიმილსაც კი იწვევს მათ მიერ „მითვისებული“ გვარები და სახელები. არ ვიცი, რაში სჭირდებათ ეს, მაგრამ მე შემხვედრია „მკვდრეთით აღმდგარი“ ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, გიორგი ბაგრატიონი და ნესტორ ლაკობაც... ერთი სიტყვით, მათ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. ოსტატურად შეთხზული პოლიტიკური ავტობიოგრაფიები, ან სულაც ნაყიდი (დაახლ. 200), იგზავნება შესაბამის უწყებაში, რომელიც განიხილავს მის რეალურობას. ამ ეტაპიდანვე დიდ როლს თამაშობს ფინანსური შესაძლებლობანი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად დამაჯერებელ დოკუმენტებს დაურთავს „ლტოლვილი“ თავის „ბიოგრაფიას“. დოკუმენტებს ადგენენ როგორც ევროპაში, ისე მშობლიურ ქვეყნებში, ანუ ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში და საკმაოდ მაღალ დონეზეც. იგზავნება აქედან ყალბი გაზეთები, ვიდეომასალები, ცნობები პოლიციიდან და სამეცნიერო დაწესედან აიცილონ მშობლიურ ქვეყანაში დეპორტაცია. გადადიან მორიგ ევროპულ ქვეყანაში კვლავ ახალი მოგონილი ბიოგრაფიებითა და გვარებით. ასე უსასრულოდ გრძელდება ბედის ძიება ქვეყნიდან ქვეყანაში.

## ქართველი ქურდსა და ნარკომანთან ასოცირდება

ყველაზე ამაზრზენი მაინც ყოფილი „საბჭოელების“ საქმიანობაა, სადაც ქართველებს ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავიათ. ქურდობენ ისეთი ოჯახები, რომლებიც აქ უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდნენ. სამწუხაროდ, ამ საქმეში ჩართული ჰყავთ საკუთარი მცირეწლოვანი შვილებიც და მიედინება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოში ამ გზით ნაშოვი ფული და ძვირად ღირებული ნივთებით გატენილი ამანათები. ნაქურდლის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია ადგილზევე ხდება, რომელსაც მესამედ ფასში ყიდულობენ თურქული და არაბული მაფიოზური კლანები. ხშირია პირდაპირი, „ბარტერული“ გაცვლები ნარკოტიკებზე, რომლებსაც იგივე თურქები და არაბები აკონტროლებენ. ქართველი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი დაბალხარისხიანი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამო მძიმედ არის დაავადებული ჰეპატიტით. სამწუხარო ის არის, რომ ქურდობა და ნარკომანია იქ საკმაოდ „ღირსეულ“ საქმედ ითვლება და იმ უმცირეს ნაწილს, რომელიც შედარებით პატიოსნად ცხოვრობს, ალმაცერად უყურებენ. ბევრი ჩვენი თანამემამულე სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებისა და სექტის წევრი ხდება, მათ „დევნილის“ სტატუსის მიღებაში ვითომდა დახმარების დაპირებით იტყუებენ თავის საქმიანობაში და უარესად უმახინჯებენ ისედაც შერყეულ ქართულ აზროვნებასა და მართლმადიდებლურ რწმენას. მე ვნახე ქართველები, თუ როგორი სიძულვილით ლაპარაკობდნენ ყოველივე ქართულზე და როგორი გაშმაგებით იცავდნენ თავის „ახალ რელიგიურ და ეროვნულ“ შეხედულებებს. დიახ, ახალ ეროვნულს — მე საგანგებოდ ვუსვამ ამას ხაზს, რადგან ბევრი მათგანის ოცნებაა, რაც შეიძლება მალე შეერწყას იქაურებს და სრულიად წაშალოს თავისი წარმომავლობა.

## როგორ ხდება დაბრუნება

ახლა კი იმაზე, როგორ ხდება მათი დაბრუნება, ვინც მოასწრო გარკვეული „კაპიტალის“ დაგროვება ან უკვე აქტიურად იძებნება ევროპული სამართალდამცავების მიერ: თავდაპირველად საჭიროა საკუთარი „ვინაობის“ დაბრუნება, ამიტომ აკითხავენ საქართველოს საელჩოებს, რომ თითქოს ტურისტული მოგზაურობის ან სხვა საქმიანობის დროს დაკარგეს საბუთები და იღებენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, რა თქმა უნდა, გარკვეული საფასურის საზღაურად. შემდგომ, შეძენილი ავტომობილებით თურქეთის გავლით შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე სასაზღვრო და საბაჟო სამსახურების თანამშრომლებთან ფინანსური მორიგების სანაცვლოდ.

აი, ასეთ ჯოჯოხეთურ გზას გადის ჩვენი მოქალაქეების უდიდესი ნაწილი და წარმოიდგინეთ, რა შეხედულებებით და აზროვნებით ბრუნდებიან სამშობლოში.

რა თქმა უნდა, არიან ქართველები (სამწუხაროდ, ძალზე მცირერიცხოვანი), რომლებიც გულწრფელად განიცდიან სამშობლოდან მოწყვეტას და ბოლომდე რჩებიან ქართული ეროვნული მრწამსის მატარებლად და დამცველებად, მაგრამ თვით მათთვისაც კი ძნელია დაბრუნების გადაწყვეტილების მიღება და ჩვენდა სავალალოდ, პოტენციურად დაკარგულები არიან ერისათვის.

ფრანგული ენის ცოდნის წყალობით, მრავალ სახელმწიფო, საქველმოქმედო თუ რელიგიურ ორგანიზაციასთან მქონდა კავშირი და ხშირად ვიყავი უნებლიე მოწმე, თარჯიმანი და ხანდახან ადვოკატიც კი აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და რუსულენოვან „დევნილებს“ შორის. უნდა გამოგიტყდეთ, რომ სულიერად შემძრა იმ უმსგავსობის ხილვამ, რომელსაც კადრულობენ ჩვენი თანამემამულენი, „სანუკვარი“ ევროპული პასპორტის მისაღებად.

ჩემი წერილის მიზანი სრულებითაც არ არის ამ ისედაც გაუბედურებული ხალხის გაქილიკება და მხილება, რადგან ისინი ჩემი სისხლი და ხორცია, სწორედ მათ ესაჭიროებათ უპირველესად თანადგომა, ერისა და ღმერთისაკენ მობრუნება; მაგრამ მინდა ყველას დავანახვო ის საფრთხე და დიდი ცოდვა, რომელიც ჩვენს გაჭირვებულ თანამოძმეთა თავზე ტრიალებს; რომ ყველა ქართველი, ვისაც დიდი სურვილი აქვს თავისი მომავალი და ხსნა ქვეყნის გარეთ ეძიოს, დაფიქრდეს, რა ელოდება მიმზიდველი ევროპული კეთილდღეობის საფარველის მიღმა.

*დათო აბულაძე*

# გურული აბა, რის გურულია

## ზეცასთან და ღმერთთან ყველაზე ახლოს მათ ააგეს ეკლესია...

საქართველოში ღვთისმშობლის წილხვედრ, უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ქვეყანაში, მრავალი ეკლესიაა აგებული ფერისცვალების სახელად და სადიდებლად. მათ რიცხვს ხუთი წლის წინ კიდევ ერთი შეემატა — გურიაში, უმშვენიერესი კურორტის, ბახმაროს ისედაც ზღაპრული სილამაზე, საქართველოსთვის უნიკალურმა — ხისგან აგებულმა კოპწია ეკლესიამ დააგვირგვინა. ალბათ სიმბოლურია, რომ ეს ეკლესია, რომელიც თაბორის მთასთან, უფლის ფერისცვალებასთან იყო დაკავშირებული, სწორედ აქ — საქართველოს ყველაზე მაღალმთიან კურორტზე აიგო და, ალბათ, მსოფლიოშიც არ არსებობს ფერისცვალების ეკლესია, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მაღლა „იწონებდეს თავს“ და სულსაც ახარებდეს და თვალსაც.

სხვათა შორის, როდესაც ჩოხატაურის რაიონის გამგებელმა, გია ცინცაძემ ამ ეკლესიის აგება განიზრახა, ამაში პრაგმატულობის მარცვალიც იყო: ბახმარო ხომ საკურორტო სეზონს აგერ უკვე თითქმის მთელი საუკუნეა სწორედ 19 აგვისტოს ხურავდა ტრადიციული დოღით — თვალწარმტაცი სანახაობით, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მთელი იმიერსაქართველოდან ადიოდნენ მხედრები თავიანთი ცხენებით.

საბედნიეროდ, ეს ლამაზი ტრადიცია ბოლო წლების დიდი არეულობის დროსაც კი არ მოშლილა. ხოლო ბოლო ხუთი წელია, საერო დღესასწაულმა რელიგიური იერსახეც მიიღო და დოღსა და მარულას წინ სადღესასწაულო წირვა-ლოცვა უძღვის, რომელსაც გურია-შემოქმედის ეპისკოპოსი მეუფე იოსები აღავლენს.

წლევანდელი „ბახმაროობა“ (ასე უწოდებენ აქაურები ამ დღეს) მაინც გამორჩეული იყო — ეკლესიის გახსნის ხუთ წლისთავს დედაქალაქიდან ასულ სტუმართა და დოღში მონაწილეთა სიმრავლეც დაერთო. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავი არ შეურცხვენიათ — ხელმძღვანელობიდან დაწყებული და უბრალო გლეხით დამთავრებული, ყველა ცდილობდა, რომ სტუმრებისთვის ესიამოვნებინა, თავი მოეწონებინა და ეს მშვენივრადაც გამოუვიდათ.

ერთადერთი, რამაც „შეგვაშინა“ ამინდი იყო: ორი-სამი დღით ადრე ბახმაროში ასულებს, ისეთი სიცივე, კოკისპირული წვიმა, ნისლი და ქარი დაგვხვდა, რომ ხელი ჩავიქნიეთ — ასეთ პირობებში დოღი და ცხენით სირბილი, მით უმეტეს ღია ცის ქვეშ ამის ყურება კი არა, სადღესასწაულო სუფრასთან ჯდომაც გაჭირდებოდა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ფიცხი და „უღმერთო“ გურულები, საკვირველი სიმშვიდით გვეუბნებოდნენ: „აფერი არ უჭირს, ქვეყანაც რომ დეიქცეს, ფერცვალობას მაინც კაი ამინდი იქნება!“



ისე აგიცხადდეთ ყველაფერი კარგი — სამდღიანი „წარღვნის“ შემდეგ საოცარი იყო ფერისცვალების დილა: ალაგ-ალაგ თოვლით დალაქული და თოვლითვე „თავწაკრული“, მწვანედ აბიბინებული გოროზი მთები, სულ სხვანაირად გაბრწყინებული — ბახმაროს ფერისცვალების ეკლესია, ადიდებული მდინარე ბახვისწყალი, რომლის გარშემოც უკვე გაემზადებინათ სადოლე ტრასა და ორგანიზატორების საქმიანი ფუსფუსი. ხალხი კი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ეკლესიისკენ — სადღესასწაულო წირვაზე. ყველაფრის გვირგვინად კი, მხოლოდ მთაში რომ იცის, ისეთი დიდებული მზე, რომელიც თითქოს ისე ახლოს არის, გეგონება ხელით შევწვდებიო.

დღის პირველ საათზე დოღი დაიწყო, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსით — ზოგი ფავორიტს ასახელებდა, ზოგი ცხენების პატრონებთან თუ მხედრებთან მეგობრობით იწონებდა თავს, ზოგი „შიდასამზარეულოს“ ინტრიგებში თუ რომელიმე ცხენის „ბიოგრაფიაში“ გვათვითცნობიერებდა...

ერთი სიტყვით, ბახმაროს დოღზე კი არა, ლონდონის სტიპლ-ჩეისზე გეგონებოდა თავი. შეჯიბრებამ იმედები გაამართლა, განსაკუთრებით მასპინძლებისთვის: სპორტულ ცხენებს შორის სამივე დისტანციაზე (ორ, ოთხ და ექვს კილომეტრზე) ოზურგეთელებმა გაიმარჯვეს. მართალია, აქაურებს ცოტა გულს დააკლდათ, რომ ჩოხატაურელებმა ვერ იპირველეს, მაგრამ თავს იმშვიდებდნენ: „რა უჭირს, ძამა, ოზურგეთელიც გურული არაა?!“

გული არც ადგილობრივი ჯიშის (როგორც აქ ეძახიან — სოფლის) ცხენების პატრონებს დაწყვიტეს — მათთვის ცალკე გაიმართა ორკილომეტრიანი გარბენი, რომელშიც აჭარელმა მხედარმა იმარჯვა.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მხედრები დაჯილდოვდნენ, „სახელი, დიდება და მილოცვები“ უფრო მეტად ცხენებსა და მათ პატრონებს ერგოთ — სწორედ ისე, როგორც დოღის საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყნებშია მიღებული...

დღესასწაული საზეიმო სუფრამ დააგვირგვინა, რომელზეც თუკი სადმე გურული იყო („თლად ნომერ პირველი გურულის“ გარდა) — ჩინოსანი თუ ხელოვანი, ყოფილი თუ ახლანდელი, ყველას ნახავდით. თუმცა არც „უცხოელი“ სტუმრების სიმცირე იგრძნობოდა — დიმა ჯაიანის ცეკვამ და ოთარ ტატიშვილის სიმღერამ საყოველთაო ოვაცია დაიმსახურა.

აი ასეთი იყო ფერისცვალების დღესასწაული იქ, სადაც მთელ მსოფლიოში ყველაზე ახლოს დგას ცასთან და ღმერთთან ფერისცვალების ეკლესია.

*ზვიად გურული*

**ფიტოკოსმეტიკა — თქვენი სილამაზის გარანტი**

• ნატურალურ, მცენარეულ მყარ ზეთებზე დამზადებული უნივერსალური დღისა და ღამის მკვებავი კრემები;
• ნუშის რძეზე დამზადებული გამწმენდი რძე (გამონაყარი, ლაქები, ჭორფლი, პიგმენტური ლაქები);
• ჭარბთმიანობისაგან განკურნება უახლესი საფირმო საშუალებებით – 100%-იანი გარანტიით (ჩქარა, უმტკივნეულოდ და იაფად).

მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 „ფიტოკოსმეტიკა“
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 24 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,1446 |
| ინგლ. ფუნტი | 3,4661 |
| რუსული რუბლი | 0,0690 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3050 |

„[illegible]ფრონტის“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
**ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია**
მის: წერეთლის 141 შ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

**გახდომა (გარანტიით)**
გინდათ უპრობლემოდ გახდომა?
მაშინ მოგვმართეთ და თქვენ ყოველგვარი დიეტის გარეშე, ჩვენთან ინდივიდუალურად დამზადებული მცენარეული ფხვნილების საშუალებით, გახდებით 4-ჯერ უფრო ტანადი.
მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

**600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება**
სიღრმე (0-25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „სალამანდრის“ ფასი(!)



ერთი მეგობარი მყავს, გია დ., დიდი ოხუნჯი ვინმეა. განსაკუთრებით სპეკულანტების გაჯავრება უყვარდა. ძველ დროში კი, მოგეხსენებათ, სპეკულანტები უმეტესად ებრაელები იყვნენ. ჩვენს მეზობლადაც ცხოვრობდა ერთი გადამყიდველი მოშე და გია სწორედ მასთან მივიდა ფეხსაცმლის საყიდლად. არადა, მოშეს გერმანიიდან ახალი ჩამოტანილი ნამდვილი „სალამანდრები“ ჰქონდა, თვალს ვერ მოწყვეტდი, ისეთი.

ჰოდა, ეკითხება გია მოშეს, — რა ღირს ეს სალამანდრაო?

— 120 მანეთი, დაგენაცვლე, მაგრამ ნაცნობობით შენ 100-ად მოგცემ!..

— არა, მოშე, 100 მანეთს ვერა და, 50-ს მოგცემ! — „შეევაჭრა“ გია.

— მარჯვენა ცალს ყიდულობ, დაგენაცვლე, თუ მარცხენას?! — მოუჭრა მოშემ.

***ნ.კ., თბილისი***

## კურიოზად ქცეული ანეკდოტი




ამ ზაფხულს მე და ჩემი მეგობრები ბათუმში ვისვენებდით. ბუნებრივია, ზოგჯერ ანეკდოტებითაც ვირთობდით თავს. ჩვენ შორის ერთი სვანიც ერია, ზვიად გ., და როცა სვანებზე რაიმეს მოვყვებოდით, მთელი სერიოზულობით გვიბრაზდებოდა. ერთხელაც გოგამ ცინცხალი, ერთწინადადებიანი, ე.წ. მიკროანეკდოტი მოგვიყვა: „სვანი თევზი ზღვაში დაიხრჩო!“ ყველამ გაიცინა, ზვიადი ერთხანს ხმას არ იღებდა, არც საყვედური უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: — ეტყობა, ის თევზი კალმახი იყო!

***ზაზა გ., თბილისი***

## ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილთაქვა



— კაპიტანო, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პოლკის მეთაური კვლავ მთვრალია.
— შენ საიდან იცი?
— ისევ სარკეს პარსავს.



— საწყალი ვანო, ბოლოს და ბოლოს დაადგინა, ქრება თუ არა მაცივარში შუქი კარის დახურვის შემდეგ... მაგრამ ეს საიდუმლო საფლავში წაიღო.



2005 წელი. ბაბუას შვილიშვილი უზის კალთაში. ბავშვი ეკითხება:

— ბაბუ, ბაბუ, რა არის „რიგი“?

— ამ 30 წლის წინ, კომუნისტების დროს, ხორცი არ იყო მაღაზიაში იმდენი, რომ ყველას ჰყოფნოდა. ამიტომ ხალხი საათობით იდგა ერთმანეთის უკან, რომ ხორცის პატარა ნაჭერი შეხვედროდა.

აი, ამას ერქვა „რიგი“.

ბავშვი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ეკითხება:

— ბაბუ, ხორცი რა არის?..

## ლენინაკანი ჩვენებურად...

ეს ამბავი მართლა მოხდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. სატვირთო ავტომანქანებით ტვირთი გადაგვქონდა სომხეთში. მარნეულის რაიონში რაღაც სპეცოპერაცია ტარდებოდა და ჩვენი კოლონა გააჩერეს. რეგიონალური სამმართველოს უფროსის, ბატონი გივი კვანტალიანის ბრძანებით, ერთი დღით გაგვაჩერეს (რაღაც წესრიგში არ იყო და ტვირთი დააკავეს), მძღოლებს კი საბუთები ჩამოგვართვეს და დაიწყეს მოკვლევა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ბატონმა გივიმ გამოგვიცხადა, თქვენი საბუთები გადავეცი ლერი ნაკანს (მაშინ მარნეულში მუშაობდა) და მიაკითხეთო. ვინ არ იცნობდა ბატონ ლერის, სახელგანთქმულ სპორტსმენსა და კარგ პიროვნებას...



მეორე დღისთვის, რა თქმა უნდა, მოვძებნეთ ბატონი ლერი, რომელმაც ყველას დაგვიბრუნა საბუთები, მაგრამ ერთი მძღოლი რეზო გ., არსად ჩანდა. რას ვიზამდით, დანარჩენებმა გადავიტანეთ ტვირთი საზღვარზე (რეზოს მანქანაზეც სხვა მძღოლი დასვეს). საოცარი ის იყო, რომ რეზო კარგა ხანს არ გამოჩნდა და ის-ის იყო, მილიციაში უნდა გაგვეცხადებინა მისი გაუჩინარების ამბავი, რომ ერთ მშვენიერ დღეს (უკვე ორი კვირა იყო გასული) გაცეცხლებული მოვარდა ბირჟაზე — გამაგებინეთ რა ხდება, ორი კვირაა ლენინაკანში ვარ, ყველა განყოფილება მოვიარე და ჩემი საბუთები ვერსად მივაკვლიეო.

რეზო დავაწყნარეთ და ჩვენებური ლენინაკანი, ანუ ბატონი ლერი ნაკანიც გავაცანით...

***ტ.ჭ., თბილისი***

## ნაგაზი



ამ ამბავს ჩემი მეზობლის, ჟორჟიკას ეზოში შევესწარი.

— აუ, რა კაი ძაღლი გყავს, ბიჯო, მსოფლიო ჩემპიონი როა, სიმბა, ქართული ნაგაზი, ბევრით კი არ ჩამოუვარდება იმას!.. — უთხრა სტუმრად მოსულმა დათიკომ და იქვე ერთიანად დამრგვალებულ ნაგაზთან მივიდა. კოინდარზე წამოწოლილმა ძაღლმა ათი დღის უძინარივით დაამთქნარა.

— აბა, ბიჯო, — უპასუხა ჟორჟიკამ, — იმნაირი კაია, შენ რო სამჯერ უკბინო, თვითონ ერთხელ არ გიკბენს!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მკითხველის —— საყვარელი ანეკდოტი

ჭიჭიკია გახარებული უყვება ბიჭიკიას:

— თბილისში ვიყავი და იქანაც მიცნობენ, ბიჯო! ბოვში ზოოპარკში წევიყვანე და არაფრით ბილეთის ფული არ გამომართვეს!

— შენ და შენ ბოვშს რო შეგხედავდენ, ფულს რავა გამოგართმევდენ, მარა, მე ის მიკვირს უფრო, იქიდან რაფერ გამოგიშვეს?!

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***





კახელი ესტუმრა მეგრელს სოფელში. დატრიალდა მეგრელი, თან ბოდიშობს, ცოლი სახლში არ არისო. კახელი მშვიდად ეუბნება:

— არა უშავს, წუხელ მატარებელში მაგარ ქალთან ვიწექი და მეტი მაინც აღარ მინდაო...

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



### შავი ანეკდოტი

ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივრები — ჭიჭიკია და ბიჭიკია ერთმანეთს შეჰფიცავენ, რომელიც უფრო ადრე მოკვდება, მეორეს დაესიზმროს, რომ გააგებინოს, თამაშობენ თუ არა ფეხბურთს სამოთხეშიც.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი მოკვდება და მეგობარს ესიზმრება:

— ძმაო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: „ერთი კარგი, მეორე ცუდი!“

— კარგით დაიწყე!

— კარგი ისაა, რომ სამოთხეში მართლა თამაშობენ ფეხბურთს!

— ცუდი რაღაა?

— რაღა და, ხვალ შენს აყვანას გეგმავენ ძირითად „სასტავში“!..

***ანა გვენეტაძე, თბილისი***

## ქრისტინე და მისი მამიდა... ია ფარულავა

**— გავიგეთ, რომ ახალგაზრდა მომღერლის, ქრისტინეს მამიდა მსახიობი ია ფარულავა ყოფილა. თუ ეს სიმართლეა, მაინტერესებს რა ნათესაური კავშირია მათ შორის და რა როლი ითამაშა ამ ფაქტორმა გოგონას კარიერაზე. როგორი ურთიერთობა აქვთ მათ.**

***ნინო მამუკაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს მსახიობი **ია ფარულავა**:



— დიახ, სიმართლეა. მე გახლავართ ქრისტის მამიდა (ქრისტის მამა და ია დედით ერთნი არიან. — რ.ჟ.) და კიდეც ვამაყობ ამით. რაც შეეხება კარიერას, დამერწმუნეთ, ჩემი დახმარება არ დასჭირვებია. ქრისტი მიზანდასახული, ნიჭიერი გოგონაა და თავად მიაღწია ყველაფერს. იგი არა მარტო კარგად მღერის, ასევე მშვენივრად ცეკვავს და ახლახან არაჩვეულებრივი სამსახიობო მონაცემებითაც გაგვაოცა. ერთი სიტყვით, მე, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველი მამიდა, დიდი სიამოვნებით დავეხმარებოდი ძმისშვილს, მაგრამ საბედნიეროდ, ქრისტინემ სიძნელეებს დამოუკიდებლად გაართვა თავი. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, იგი მრავალმხრივია: ამერიკაში რომ მივემგზავრებოდი, ქრისტი მხოლოდ 5 წლის იყო. დაბრუნებულს უკვე დიდი გოგონა დამხვდა. თუმცა, მამიდისთვის იგი ისევ ის პატარა ქრისტია. აქვე დავძენ, რომ ჩვენ მეგობრებიც ვართ. მასში ბევრი ის თვისება მომწონს, რაც ქრისტის ასაკში ჩემთვის უცხო იყო. ვინაიდან ორივენი საკუთარი საქმეებით ვართ დაკავებულები, შეხვედრას ხშირად ვერ ვახერხებთ, თუმცა ეს გარემოება არანაირად არ უშლის ხელს ჩვენს მეგობრობას. ქრისტი თვითდაჯერებული და პირდაპირია. ხშირად „თინეიჯერულ“ რჩევასაც მაძლევს ხოლმე, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა. წარმოიდგინეთ, ზოგიერთ რჩევას ვიღებ და ცხოვრებაში წარმატებითაც ვიყენებ.



## ჩეჩნების დამსჯელი რუსული ორდენის ქართველი კავალერი

**— გთხოვთ გვაცნობოთ, დღეისათვის სად იმყოფება ქართველი მწყემსი, რომელმაც რუსი მესაზღვრეები შეიარაღებული ჩეჩნების ჯგუფის შესახებ გააფრთხილა? ღირსების ორდენის გარდა თუ მიიღო მან გაწეული დახმარებისთვის რუსეთის მთავრობისაგან გასამრჯელო? მართალია თუ არა, რომ ჩეჩნები მას მოკვლით ემუქრებიან?**

***თემურ გულბანი***



— ჩვენი მკითხველის ცნობისმოყვარეობა შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მხოლოდ რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რადგანაც აღნიშნულ პიროვნებას, ლევან თილიძეს რუსეთის ФСБ-ს (ფედერალური უშიშროების სამსახური) თანამშრომლები იცავენ და მისი ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვანი წვრილმანი. უნდა ითქვას, რომ მას ღირსების ორდენი კი არ გადასცეს, არამედ — ორდენი მამაცობისათვის. ჩეჩენმა ბოევიკებმა მასზე მართლაც ნადირობა გამოაცხადეს ჩაშვებისათვის და რუსული ორდენის კავალერის სახალხოდ სიკვდილით დასჯა აქვთ გამიზნული. ამის გამო რუსეთის სპეცსამსახური თილიძეს ცივ ნიავს არ აკარებს გამუდმებით უცვლის ადგილსამყოფელს (რუსეთის მთელ ტერიტორიაზე). ერთნი ამბობენ, რომ მისთვის აპირებენ ძვირადღირებული პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას. გვარისა და სახელის შეცვლას, ჰპირდებიან რუსეთის მოქალაქეობას და ამტკიცებენ, რომ მან მოსკოვის გარეუბანში უკვე მიიღო ერთოთახიანი ბინა მთავრობისაგან. ლევან თილიძე საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებს, რადგანაც თვლის, რომ ჩეჩნები აქ გაცილებით იოლად გაუსწორებენ ანგარიშს. გარდა ამისა, აფრთხობს საქართველოს მართლმსაჯულება, რომელმაც შესაძლოა საზღვრის დარღვევისათვის გაასამართლოს. თავად თილიძე კმაყოფილია თავისი პირობებით რუსეთში. დღეისათვის მას აქვს სამყოფი საჭმელი, ტანსაცმელი და ე.წ „კოიკა“. რუსეთის მთავრობა კი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიის იმედს აძლევს..

## კონტაქტური ლინზები...

**— ჩემს ქალიშვილს აქვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა. სათვალის ტარების რცხვენია. მთხოვს კონტაქტური ლინზების შეძენას. მიპასუხეთ, რამდენად უსაფრთხოა იგი თვალისთვის და თუ არ დაგვზარდებით, მოგვითხრეთ უფრო ვრცლად ლინზების შესახებ.**

***ლალი მაისაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **მიხეილ ომიაძე**, ოფთალმოლოგია-ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის ლაზერული ქირურგიის განყოფილების გენერალური დირექტორი.



— გენიალურმა მხატვარმა ლეონარდო და ვინჩიმ ჯერ კიდევ 1508 წელს შექმნა თვალის ლინზების ესკიზის მონახაზი, მაგრამ მის ჩანაფიქრს ხორცი შეესხა მხოლოდ ოთხი საუკუნის შემდგომ. ანუ, ლინზები, როგორც მხედველობის კორექციის საშუალება, მედიცინაში მხოლოდ XX საუკუნის შუა წლებიდან იკიდებს ფეხს, ელასტიკური საკონტაქტო ლინზები კი XX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია მკითხველის ინტერესი, რადგანაც წინა წლების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველოში კონტაქტური ლინზების გამოყენების პრაქტიკა საერთოდ არ არსებობდა. პაციენტების უმეტესი ნაწილი მიმართავდა მხოლოდ ნაცად ხერხს — სათვალეს, რიგ შემთხვევაში ქირურგიულ ჩარევას. დღეს კი ყველაფერი შეიცვალა. მინდა დავამშვიდო მკითხველი — მაღალი ხარისხის, მხედველობის კორექციისა თუ უბრალო კოსმეტიკური (ფერადი) ლინზები მომხმარებელთა 90-%-ში არანაირ გართულებას არ იწვევს. დანარჩენებს კი შესაძლოა უბრალოდ უცხო სხეულზე მოჭარბებული მგრძნობელობა ჰქონდეთ და ამიტომ ვერ ეგუებიან ლინზებს (ხშირად უღიზიანდებათ თვალის რქოვანა და სხვა). გარდა ამისა, კონტაქტური ლინზები არ იწვევს ტოქსიკოზს (ანთებას, ალერგიას) და უსაფრთხოა. თუ პაციენტი ვერ შეეგუა ლინზებს, ბუნებრივია, არ ღირს საკუთარი თავის წვალება.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## 29 აგვისტოს «დაგეგმილი» მიტინგი არ იქნება!..

**— მაინტერესებს, რამდენად მართალია საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბ-ნი პანტელეიმონ გიორგაძე 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის დღის საზეიმო ვითარებაში აღნიშვნას აპირებს. ამბობენ, რომ იგი სახელმწიფო კანცელარიის წინ გრანდიოზული მიტინგის მოწყობით იმუქრება და საპროტესტო აქციები დაგეგმილია საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში.**

***ერთგული მკითხველი***



კითხვაზე უპასუხებს **პანტელეიმონ გიორგაძე**

— წმინდა წყლის ჭორია. მიკვირს, რატომ სჯერა ეს სისულელე ხალხს. რა მაქვს მე ან სხვას საზეიმო! ჩემს შვილს, იგორ გიორგაძეს ეს არ ჩაუდენია, მაგრამ ვიღაცამ ხომ გაიმეტა პრეზიდენტი... და ახლა მე გეკითხებით, საზეიმოდ გვაქვს თუ არა საქმე?!

არანაირ აქციასა თუ მიტინგს 29 აგვისტოს ჩვენ არ ვგეგმავთ. თუმცა აქციები უკვე გაიმართა სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთში და სხვა რეგიონებში. ისინი საპროტესტო ხასიათისა იყო და არა საზეიმო. ვისაც სურს შემოუერთდეს ჩვენს აქციებს, მოგვმართოს ნებისმიერ დროს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში 29 აგვისტოს, რადგანაც ვთვლით, რომ ტერაქტი ძალიან ბინძური ადამიანის ჩადენილი იყო და რატომ უნდა დავუჭიროთ მას მხარი?!

კომუნისტები არასოდეს უჭერდნენ მხარს პიროვნების წინააღმდეგ ყველა ხერხით ბრძოლას, მათ შორის, ადამიანის ლიკვიდაციას, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ყველა დამნაშავე შეიწყალა, მან არ აპატია იგორ გიორგაძეს, რაც მართლაც საპროტესტოა. ამის გამო ჩემი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ, არ შეცვლილა და არც შეიცვლება.

## წინათ «კოკა-კოლა» აფთიაქში იყიდებოდა(!)

**— გთხოვთ მოგვითხროთ ყველაფერი „კოკა-კოლას“ შესახებ. სად გამოიგონეს პირველად და რატომ დაერქვა მას „კოკა-კოლა“?**

***დალი თორთლაძე***



— თავდაპირველად კოკა-კოლა არ გახლდათ გაზიანი გამაგრილებელი სასმელი. იგი ტკბილი, რუხი ფერის ბლანტი სიროფი იყო, რომელსაც ზოგჯერ ლუდის ბოთლებში ასხამდნენ და... აფთიაქებში ყიდდნენ.

კოკა-კოლას გამომგონებელი ატლანტის შტატის მკვიდრი, ფარმაცევტი ჯონ პემბერტონი თვლიდა, რომ ნაყენი — „კოკა-კოლა“ (ასე მონათლა კოკასა და კოლას ნაზავი) შველიდა ნერვულ აშლილობას, თავის ტკივილს, ნევრალგიას, მელანქოლიას და... ნაბახუსევზე ხომ არაფერი სჯობდა!

გაზიანი კი შემთხვევის წყალობით გახდა. ერთ მშვენიერ ზაფხულს, აფთიაქში „პახმელიისგან“ გაწამებულმა კლიენტმა „კოკა-კოლა“ შეიძინა და მისი წყლით გაზავება სთხოვა გამყიდველს, რომელსაც შენობის მეორე ბოლოში წყლის მოსატანად გასვლა დაეზარა და სოდიანი წყალი შესთავაზა. კლიენტმა, როცა შუშხუნა სასმელი გადაჰკრა, აღფრთოვანებულმა შესძახა — „აი, ეს მესმის, საუცხოოა! წყლით გაზავებულს ბევრად სჯობს!..“ ეს ამბავი სწრაფად მოედო ატლანტის შტატს და ამის შემდგომ „კოკა-კოლას“ სიროფს ყველა სოდიანი წყლით სვამდა.

## რამდენი და-ძმა ჰყავდა თამარ მეფეს?

**— პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ მიპასუხოთ, თამარ მეფეს ჰყავდა თუ არა და ან ძმა.**

***ლალი ღვინიანიძე***



კითხვაზე უპასუხებს **ჯაბა სამუშია**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

— თამარ მეფის ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მამამისი გახლდათ საქართველოს მეფე გიორგი , დედა — ბურდუხან დედოფალი, ოსთა მეფის ხუდდანის ასული.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ თამარს დედმამიშვილები არ ჰყავდა, რატომღაც XX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაშიც იყო გაბატონებული. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ თამარს ორი და ჰყავდა: მეფეთმეფის ღვიძლი და რუსუდანი, რომელსაც ჟამთააღმწერელი საკმაოდ დადებითად მოიხსენიებს და ნახევარდა. მისი სახელი სამწუხაროდ, უცნობია. ეს უკანასკნელი გიორგი -ის უკანონო შვილი ყოფილა. მოგვიანებით, თამარმა მამის „ხარჭთაგანის შობილი“ ცოლად შერთო არზრუმელ უფლისწულს მუტაფრადინს.

## ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

**— რას ნიშნავს გამოთქმა „აინუნში არ მომდის“. გთხოვთ, განგვიმარტოთ მისი მნიშვნელობა და ასევე იმ პოპულარული გამოთქმებისაც, რომელიც ყოველდღიურ მეტყველებაში გვხვდება.**

***ომარ დონდუა***

სიტყვა „აინუნ“ არაბულიდან მომდინარეობს და თვალს ნიშნავს. ილია ჭავჭავაძე წერს: „ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზე ცხენს, თითქოს ყაბახობაზე გამოსულა და ამდენი ქართველი აინუნშიც არ მოსდისო“. „აინუნში არ მოსდის“ ნიშნავს: თვალში არ მოსდის, არაფრად აგდებს, ყურად არ იღებს და ა.შ.

**ბლომად ჰყავს (მწყერები)** — ნორმალური არაა, სულელია, ჭკუა აკლია, „ეე, რა ბლომადა ჰყავანან მაგ ჩვენს კნიაზს და! რა უნდა აჭამოს, რით უნდა გამოჰკვებოს“ (ვაჟა).

**ბობოლა** — დიდი, გავლენიანი კაცი, მდიდარი, შეძლებული, ვისაც თავისი სიმდიდრე ეშმაკობითა და გაიძვერობით აქვს შეძენილი. „ჩვენ კოლო ვართ, თქვენ ბობოლა!.. მაშ ჩვენ ვინღა გაგვატოლა?“ (აკაკი). ქართლში ბობოლა დიდ მატლსაც ჰქვია. იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც სიტყვა ბუა, ატირებული ბავშვების შესაშინებლად და დასაყუჩებლად („იყუჩე, თორემ ბობოლა მოვა და მოგიტაცებს“).

**რა ბუზმა გიკბინა?!** — რამ გაგამწარა, რასა ცხარობ, რა გული მოგდის?! მაგ. „რას ცხარობ, ადამიანო, არ იტყვი, რა ბუზმა გიკბინა?“ ამას ეტყვიან უმიზეზოდ (ან სულ მცირე, უმნიშვნელო მიზეზის გამო) გაცხარებულს, რასაც ამსგავსებენ ბუზის კბენისგან გამოწვეულ უმნიშვნელო ტკივილს.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

## მილოცვა

**დემურ დემურიშვილს!**

შვილო! გილოცავთ დაბადების დღეს (27 აგვისტოს) და პირველ კლასში სწავლის დაწყებას. გისურვებთ: ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ოცნებისა და სამშობლოს სასახელო ვაჟკაცად გაზრდას!

*პაპო ბეჟია, ვანო პაპა, დედა, მამა.*

**ეკა აბაშიძეს, თათია და საბა ზაალიშვილებს, თეკლე თორთლაძეს, დიმა ჯალაღანიას!**

გილოცავთ სწავლის დაწყებას, პირველ კლასში შესვლას. თქვენ საქართველოს მომავალი ხართ, თქვენ უნდა მოუაროთ სამშობლოს. ღმერთი და დედაენის მადლი გწყალობდეთ.

*ახლობლები*

**ძვირფასო გია!**

მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და სიყვარულს, „იყავი ბედნიერი, გწყალობდეს ზეციერი“. კარგია, რომ იარსებ და გთხოვ მაპატიო ყველაფერი.

*„მარი“*

**თემურ ბუთხუზს!**

გილოცავ დაბადების დღეს, 24 აგვისტოს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას. შენს ახალშეძენილ ოჯახთან ერთად. გფარავდეს მაღალი ღმერთი. ძმაო, ძმათა ხარ ძლიერი!

*კეთილი სურვილებით შენი ძმა გია.*

**ლელა სულაკაურს და ლევან ხარანაულს**

ვულოცავთ მეხუთე შვილის — ელენეს შეძენას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და სიკეთეს.

*ახლობლები*

## ბინები

5-ოთახიანი მოსკოვის პროექტის ექსპერიმენტული სუფთა ბინა, რკინის კარით, ტელეფონით, დიდი სარდაფით. ს/ფ 5600$. მის: გლდანის მასივი VII/რ, კორპ. 27. ტელ: 893-35-56-36

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, ასევე 1 ოთახი პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. როგორც კერძო საოჯახო სასტუმრო რაიონიდან ჩამოსულებზე, უცხოელებზე და ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. მივიღებთ ტურისტულ ჯგუფს 15-20 კაცამდე. ფასები 1 დღე-ღამე 1 კაცი 7$; 12$; 17$; 22$; 30$; და 50$, ოთახების მიხედვით. საკ. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893-33-03-86

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს გთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, au-pair პროგრამით, დასაქმების და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა ვიზის ფულით, (ხელფასით). საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საჭიროა ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18 (თბილისში); 7-74-79 (ქუთაისში)

ვაქცინ ვაკანსიები. ვეესაჭიროება რუსულის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. ვასწავლით შეგნებულ! მის: მ. „დიდუბე“, „სამოთ ქიმიის“ ინსტიტუტი, 1 სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

განათვისუფლდნით ადგილები ოფისში, სათანამშრომლოდ მიეიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს, ანაზღაურება მზარდი, გამომუშავებით, 300$-ის ზემოთ, აშშ ბრენდის სტუდია, საუკეთესო თანამშრომლებს ყოველ 6 თვეში კომპანია სტავირებას გზავნის საზღვარგარეთ თავისი ხარჯებით, მომზადებით. მის. მ. რუსთაველი, ბელინსკის 2. IV სართ. ოთახი 415 (რედაქციაში). ტ: 93-38-46; 899-90-54-78 მენეჯერი ბ-ნი მიხეილი

მიავალპროფილიანი კორპორაციას ბიზნესში ანტერესების ალიოთი, ინტელექტუალური ადამიანები, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ახალ ეკონომიკაში. შესაძლებლობა ახალი პროფესია და პროფესიული მაღალი შემოსავალი. დაგვიკავშირდით. ტ: 34-67-71; 52-44-10; 893-33-18-86

ორგანიზაციას ესაჭიროება 2 წლის გამოცდილების მქონე ქართულ და რუსულენოვანი მდიანკლიკიერი ამერიკ (ასაკი 25-30 წლამდე) სრული დატვირთვით. მსურველებმა გთხოვთ გამოგზავნოთ CV. ფაქსი 96-30-54; e-mail dio-skuria7@hotmail.com

ორგანიზაციას ესაჭიროება 2 წლის გამოცდილების მქონე მოსმალვიდიზაინი დამკაბადონებელი-ამკრეფი გოგონა (Page maker, Photoshop, Corel) მსურველებმა გთხოვთ გამოგზავნოთ CV. ფაქსი 96-30-54; e-mail dio-skuria7@hotmail.com

## მომსახურება

გთავაზობთ ხევების და მდინარეების ნაპირსამაგრ სამუშაოების შესასრულებლად ФЗ-Ф4მ-იანი მუღლოს მანქანის ნებისმიერი ფერის დაზიანებების მქონე დემონსტრაცია „ცაბიონის“ ბადეებს. ავრეთვე ახალშენი ქინვაზასისთვის ф2,5 „ცინკოვანი“ მავთულს და შემოსაღობ მავთულბადეს. ტელ: 899 14-28-16

ვთარგმნით ინგლისურიდან, რუსულიდან და ქართულიდან. სწრაფად და ხარისხიანად (კომპიუტერზე აკრეფით). ტელ: 52-44-47

ვასწავლით ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას. სასულიერზე. ვლთავის გამოცდა-დარბაიდაზე. ტელ: 69-45-18 გიორგი

სილამაზის სალონი „მიმი“. თმის შეჭრა ქალებისა მიხედვით – 4,5 ლ; დავარცხნა – 4,5 ლ; მელირება – 15-18; ქიმიური დახვევა 16-25; სადღესასწაულო ვარცხნილობა 15-25; კომპლექსოლოგიური მომსახურება, მანიკური. მის. ზემელზე, მეტრო „რუსთაველთან“ მისასვლელი გადასასვლელში. ტელ: 99-63-14; 877-44-17-46

## ტურიზმი

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიანი ფასით, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში — ბათუმი, ქობულეთი, სარფი, გვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახოვაჟა; ასევე ბაკურიანში, ბორჯომში — კვებით და კვების გარეშე. სასტუმროებში და კერძო ბინებში. მის. ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაია) ქ. №21. ტურ. კომპანია „DILAMPUS“. http://dilampus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899-54-00-79

ზაფხულია! სეზონი ქობულეთში! აომენიანი საგ-ზურიში 80-ლარიდან საჩქაროდ კვებით ფიქსირებით კურ — „ავერიაში“. ბავშვებზე და ჯგუფებზე შეღავათიანი. მომართებით. მის: კ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №113-115 (ლიდო ეზოში, სასტუმროს ცენტრი „ვანსატურიჟენი“), კაბ. №31, ცისანა სუმბაძე. ტელ: 91-18-38; 877-41-86-16

ტურისტული ფირმა „ქართი“ გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში კერძო სექტორი და სასტუმრო კარგი პირობებით თქვენთვის მისაწვდომ ფასად (10-15 დღე), კვებას 3-ჯერადი, ზღვასთან და პარკთან ახლოს. დარჩებით კმაყოფილნი. აგრეთვე მწვანე კონცხი. მის. აღმაშენებლის №115. კაბ. 20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამ.); 96-22-89 (ბინა); 899-90-67-52 ირინა ჯანაშია, ნინა ლილუა

## მკურნალობა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უკვალოდ და უმოკლეს დროში. დაიმახსოვრეთ, არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია. ტ: 57-50-49; 899-91-46-36 მარიკა

პოლიკლინიკის დირექტორს ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკებში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის ექიმები: მკურნალობენ მანუალური თერაპიით, ჩინური ნემსებით: რადიკულიტს, სახსრების დაავადებებს, სქოლიოზს, ძვალ-სახსრების დაავადებებს, სახის პარეზს, დამბლას, ნევროზს, ბუასილს წონაში დაკლებას, ბუასილს, წითელ ქარს, ტროფიკულ წყლულს, ფრჩილების სოკოს, თმის ცვენას. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. დავით აღმაშენებლის №113. კაბ. 17. ტ; 95-74-29 (სამ.)

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით — აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით. ტ: 899-55-05-75

მეჭეჭებისა და ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიების ქვეშ, უმტკივნეულოდ და უკვალოდ. ექიმი რუსუდან საყვარელიძე პაციენტებს იღებს ახალ მისამართზე: ზურაბ ჭავჭავაძის ქ. №10, „თვალის დისპანსერი“, კაბ. №2, (ყოფილი შეროზიას ქუჩა, შესახვევი დ. აღმაშენებლის №99-თან). ტ: 95-30-26; სამსახ. 39-00-70 სახლი; 8-99 56-96-61 (461).

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერულ-წერტილოვანი დიაგნოსტიკა — ფოლის აპარატით. მეთოდი საშუალებას იძლევა მოხდეს ორგანოების დაავადებების, მათი ფუნქციური მდგომარეობის დიაგნოსტიკა, დაავადებების გამომწვევი აგენტების იდენტიფიკაცია, მკურნალობის სწორი ტაქტიკის განსაზღვრა. მის. აღმაშენებლის 112. ჩოდრიშვილის შეს. 10, ეზოში მარჯვნივ, I სართ. სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტი „კოლხი მედეა“, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 94-00-27 (სამსახ); 61-75-27 (ბინა); 897-58-29-18 ლიც. 0999

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899-14-64-95

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები! ჩიყვის, საკვერცხის კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიისა და ბუასილის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობა უოპერაციოდ, მცენარეული პრეპარატებით! მიღება წინასწარი ჩაწერით. დ. აღმაშენებლის ქ. №112 (შეს. ჩოდრიშვილის №10), სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტი „კოლხი მედეა“ ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ: 94-00-27 (სამსახ); 61-75-27 (ბინა); 897-58-29-18 ლიც. 0999

ტკივილის სინდრომის, ქვედა კიდურების სისხლძარღვების დაავადებების, ჰიპერტონიის, ტროფიკული წყლულების, კუჭ-ნაწლავის, სახსრების დაავადებების, ფსორიაზის სწრაფი და ეფექტური მკურნალობა. მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“. ხელმძღვანელი პროფ. ლუიზა მარსაგიშვილი. ბახტრიონის ქ. 18. ტ: 38-27-52

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, 1სთ — 6 ლარი, თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით), წარბების კორექცია. ვასწავლი კოსმეტიკას და ეპილაციას საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მისამართი: მეტრო 300 არაგველი, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. 15, მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, ნაწიბურების, სვირინგების და სხვა არასასურველი წარმონაქმნების სწრაფი, უნაწიბურო მოცილება, კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“. ბახტრიონის 18. ტ: 38-27-52; 877-46-82-53

## ვასწავლი

ახალგაზრდა მასწავლებელი გერმანიაში შესწავლილი მეთოდით შესასწავლის სკოლის ასაკის ბავშვებს გერმანულ სასაუბრო ენასა და გრამატიკას. ტ: 39-24-74 ანა

კომპიუტერული სტუდია — „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერებზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899-14-03-31

დაიწყო მიღება კოსმეტიკის კურსებზე, სწავლა შეიძლება დაჩქარებულად, შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, ეპილაცია, მასაჟი, რძეები, ლოსიონები, ნიღბები და სხვა. მის. დადიანის 26. მ. ვაგზლის მოედანი“. ტ: 66-53-56; 893-33-09-66

ფირმა ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი, (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილბავშვთა მასაჟი), 2. პარიკმახერი, (ქალთა და კაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა, (ეპილაცია, კოსმეტიკური მასაჟი, მალამოები), 4. ვიზაჟისტი, 5. მანიკიური, 6. პედიკიური, კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის 115. კაბ. 20. ეზოში, ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს. 96-22-89 ბინა. ირინა ჯანაშია

ინგლისური პროფილის ქართული საშუალო სკოლა 9.00-დან, IX კლასი toefel X sat XI gmat დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების სკოლა 14.00-დან. მის. გოგებაშვილის 39. ტ: 23-36-28; 79-36-66; 877-42-08-87

## იყიდება

იყიდება სმენის აპარატები შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ)

სუფთა სისხლის კავკასიური ნაგაზის ხვადი ლეკვი, გენეტიკური გარანტიით. ფ. 500$. ტ: 899-50-48-61

სამშენებლო მასალები: სიმკარი, პკუ, აგური, ბლოკი, საკედლე ფილები, მოზაიკის ფილები, ფუნდამენტის ბლოკი, კომპრესორი, ალუმინის ნაკეთობა, ჩამოსასხმელი დაზგა, ელძრავები. ტ: 899-57-53-64; 899-58-97-71

## შევიძენ

ერთფრთიან რკინის კარს 12 ცალს. ტ: 877-49-95-36; 877-41-44-13; 877-44-20-09

## ხსოვნა



**ჯემალ მელიქძის გახსენება**

27 აგვისტო შენი დაბადების დღეა, მამიკო. პირველად ვხვდებით ამ დღეს უშენოდ. ძალიან ძნელია ფიქრი იმისა, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. დარდით, ფიქრით, ცრემლით, გავატარეთ ეს ერთი წელიწადი. ჩვენ ხომ ყოველთვის მხიარულად ვხვდებოდით ამ დღეს, შენი ომახიანი სიმღერა ავსებდა სახლს. რა ძნელია უშენობა, მამიკო! არასოდეს დაგვავიწყდება შენი კეთილი თვალებიდან გადმოღვრილი უზომო სითბო და სიკეთე, ნეტავ იცოდე რა უსაშველოდ გვენატრები ძვირფასო მამიკო. ყველას აკლიხარ, ყველას ენატრები. ყველას მუდამ ემახსოვრები. ჩვენ მოვალთ შენს საფლავზე, მოგილოცავთ დაბადების დღეს და შევევედრებით უფალს, რათა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ძალიან, ძალიან გვიყვარხარ — ჩვენო მამიკო*

**გელა მათიაშვილის ხსოვნას**



ჩემო გელა, ვერ ვიჯერებ, რომ ველარასოდეს გადაიხდი დაბადების დღეს შენებური მხიარულებით. 25 აგვისტოს 34 წლის გახდებოდი, მაგრამ ყველას სამუდამოდ დაამახსოვრე თავი 30 წლისად, როგორი ფათერაკიანიც იყავი, ისევე შეწყდა შენი სიცოცხლე — მოულოდნელად და ტრაგიკულად, მაგრამ შენ მაინც უფრო ბედნიერი ხარ. ჩვენს ნატოს და ნათიას სულ 30 წლის მამა ეყოლებათ, მე კი მოხუცებულობამდე უნდა ვიცოცხლო, რომ შენს ნაადრევად დაბრძენებულ შვილებს უმამობა შევუმსუბუქო; როგორც საფლავთან აღგითქვი, გაორმაგებული ძალით ვაკეთებ ყველაფერს იმისათვის, რომ სასახელო შვილები გაგიზარდო. მაინც, როგორ მომძნდე ამხელა ტვირთი, რით ვანუგეშო დედისერთა შვილის დამკარგავი შენი მშობლები და ახლობლები, რომლებსაც განსაკუთრებულად უყვარდი სწორედ შენი მოუსვენარი ხასიათის გამო?! მე გპირდები, რომ შენი ხსოვნა არასოდეს გახუნდება ჩვენს ოჯახში, შენ კი — ილოცე შენი შვილებისა და აქ დარჩენილი საყვარელი ადამიანების დიდხანს სიცოცხლისათვის!

*შენი ირმა*

**გოჩა ჩხეიძის მონატრება**

ძმაო გოჩა, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, გულს გვიკლავს იმაზე ფიქრი, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ, აკლიხარ უბანს, ეზოს, სამეგობროს, საძმოს, დედას და ოჯახს. ცოტა ხნით გარგუნა განგებამ ცხოვრება. უშენოდ დაიქსაქსა შენი საძმო, იშვიათად გვიწევს ერთად ყოფნა, ისევ შენთან თუ მოვიყრით ხოლმე საფლავზე თავს, გვაკლია შენი მხარში დგომა, შენი კაცური სიტყვა, შენი იშვიათი ღიმილი, 24 აგვისტოს გისრულდება 31 წელი, ამოვალთ ისევ შენს საფლავზე, ჩვენი მოგონებებით, დაგინთებთ სანთლებს და შევთხოვთ ყფალს ნათელში გვიმყოფოს შენი წმინდა სული.

*დაბადების დღეს გილოცავთ*
*შენი საძმო და სამეგობრო*



**გვენატრები, დათო!**

მეხივით გავარდა შენი უეცარი სიკვდილის ამბავი. შენი ოჯახისათვის კი დაუჯერებელი. 27 აგვისტოს 40 დღე სრულდება, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები... ენატრები შენს პატარა ნიკალას, რომელიც სულ დაგეძებს და გეძახის: „დათო, დათო“-ს. მე და ნიკას მაშინ გამოგვეცალე ხელიდან, როცა ასე ძალიან გვჭირდებოდი, მაგრამ შენს შვილს, შენს კაცობას და ადამიანობას შენი ნათესავები და მეგობრები ეტყვიან, რომელთაც ასე დააკლდი. რით ვანუგეშო უბედური დედაშენი, რომელსაც ჯერ უსაყვარლესმა მეუღლემ და ახლა კი ერთადერთმა შვილმა უღალატეთ... ღმერთმა სამუდამო სასუფეველში, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. მუდამ ვილოცებთ შენთვის, ჩვენო სიცოცხლით აღსავსე დათუნა...

*შენი უბედური დედა, ქეთი და ნიკალა.*

**შალვა ზონენაშვილის ხსოვნას**



სულ ახლახან ისრაელში, ქალაქ ხაიფაში გარდაიცვალა შალვა ზონენაშვილი. კაცი განთქმული ღირსებებითა და სტუმართმოყვარეობით. იგი ქ. ქუთაისში დაიბადა. შაუმიანისა და ჯაფარიძის ქუჩების სასურველი სტუმარი იყო ყოველთვის. სანამ ქვეყანა აირეოდა, მანამდე დატოვა საქართველო. ძნელი იყო შეგუების წლები, ამიტომ ისრაელშიც ყოველგვარ ქართულს ეტრფოდა და აღმერთებდა. სრულიად ახალგაზრდა შვილთაშვილსაც მოესწრო, მაგრამ ავადმყოფობამ სიცოცხლეს გამოასალმა ეს კაცური კაცი. ნათელში ამყოფოს მისი სული ღმერთმა.

*დეიდაშვილი იზოლდა აზარიაშვილი*

**თამაზ აზარიაშვილისა და დინიკო ლემონჯავას ხსოვნას**





ეს ორი ახალგაზრდა სხვადასხვა დროს წავიდა წუთისოფლიდან, დინიკო ლემონჯავას სიკვდილიდან შვიდი წელი მიილია, მაგრამ მისი დავიწყება ვერა და ვერ შევძელით. აპრილში ეს დიდი ტკივილი თამაზ აზარიშვილის სიკვდილმა გაგვიახლა. მას არასოდეს დაუმადლებია სიკეთე და სიყვარული მოყვასისათვის. შეეძლო ყველაფრის უშურველად გაცემა და სანაცვლოდ არას ითხოვდა, მაგრამ წუთისოფელმა არ დაინდო, ტკივილებით გადაღლილი სულით საკუთარ ჯვარს მშვიდად შეეგება. იშვიათად ვინმემ შეძლოს საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანა, სხვათა სიყვარულში სიცოცხლის ჩამოღამება. დინიკო და თამაზი ისევ ჩვენს შორის ტრიალებენ. ნათელში ამყოფოს მათი სულები ღმერთმა

*დედა და დეიდა იზოლდა აზარიაშვილი*

**გივი ადამიას ხსოვნა**



ოჯახს, ქვეყანას და ადამიების საგვარეულოს გამოაკლდა საოცრად ერუდირებული, შრომისმოყვარე და პატრიოტი ადამიანი, ადამიების საგვარეულო შეკრებაზე ერთი წლის წინ თქვენმა გამოჩენამ რაოდენ დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენში, თქვენმა საოცარმა თავმდაბლობამ ქვეყნის პრობლემების ღრმა ცოდნამ, სითბომ, არნახულმა ზომიერებამ ღრმა კვალი დატოვა ჩვენს მეხსიერებაში. აფხაზეთის ტკივილმა ბუნებრივია ვერც თქვენ აგიარათ გვერდი ვინაიდან აფხაზეთში თქვენი მოღვაწეობის პერიოდი სავსე იყო ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით, სიკეთის კეთებით და გაჭირვებულისადმი გვერდით დგომით, ამიტომაც დღეს ტქვენი ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლო ნათესავები, მოგვარეები ბევრს იხსენებენ თქვენს სასიკეთო საქმეებს, რადგანაც თქვენი სიცოცხლით სავსე ცხოვრება ყოველთვის გაჯერებული იყო დასამახსოვრებელი და ლამაზი დღეებით, ვწუხვართ თქვენს დაკარგვას და თავს ვხრით თქვენი დიდი ადამიანური ღირსების წინაშე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი და ალალი სული.

*ადამიების საგვარეულო*



**სულეიმან (სულიკო) ცაგარეიშვილის ხსოვნა**

ფერიცვალების დღეს წახვედი ჩვენგან... წახვედი ვალმოხდილი და ნაცნობებს კარგი კაცის სახელი, ჩვენ კი — დიდი ტკივილი და მწუხარება დაგვიტოვე. ჯერ ორიოდე დღეა ველარ გხედავენ შენი საფიცარი შვილები, რძალი, შვილიშვილები, შენი ბასტი და შენი ბუბუ, რომლებსაც ამ სახელებს სიყვარულით ეძახდი და უკვე ძალიან დიდია მონატრება. ჩვენც გვენატრები, ჩვენო სულიკო, ცარიელია უშენოდ სახლი, რომელშიც ჩვენი ნათესაობის 7 წლის მანძილზე სიამტკბილობით და სიხარულით ვხვდებოდით მოყვრები ერთმანეთს. ძნელია უშენობასთან შეგუება, ჩვენმა ქალიშვილმა ნანამ მზრუნველი და მოსიყვარულე მამამთილი დაკარგა, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა გავუძლოთ ამ ტკივილს, რომელსაც ისევ შენი მოსახელე სულიკო და ემზარი თუ შეგვიმსუბუქებენ. კარგი ადამიანი, კარგი იურისტი, კარგი ოჯახის მამა — ასეთი სახელით დარჩება სულიკო ცაგარეიშვილი ჩვენს ხსოვნაში.

*მძახლები გულნაზ და მურმან გაბუნიები.*

**ჩემო საყვარელო ძმაო ჯემალ**



უკვე თერთმეტი თვე შესრულდა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან, როგორ გიყვარდა სიცოცხლე, როგორ ითხოვდნენ შენი თვალები შველას, ჩვენ კი გულდათუთქულები ვტრიალებდით შენს ირგვლივ, ყველაფერს ვაკეთებდით და არაფერი გამოგვივიდა შენი სიცოცხლის გადასარჩენად. 27 აგვისტოს ხომ 43 წელი შეგისრულდებოდა, ყველა შევიკრიბებით შენს საფლავთან, თვალცრემლიანები, მოგილოცავთ დაბადების დღეს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ღმერთმა სამარადისოდ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მარად მწუხარე შენი ძმა ვალიკო*



**გოჩა (ლემინის) ჩხეტიანის ხსოვნას**

მწუხარებით სავსეა 26 აგვისტო, შენი დაბადების დღე უშენოდ, საყვარელო გოჩა. შენ ხომ სიკეთისათვის, სიყვარულისათვის, ბედნიერებისათვის იყავი დაბადებული, შენმა უდროოდ წასვლამ ამქვეყნიდან დიდი ტკივილი დაუტოვა შენს ახლობლებს, თანამშრომლებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც შენ გიცნობდა. შენი გახსენება ჩვენი დიდი მონატრების გამოხატულებაა. ღმერთს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, კეთილი და ამაყი სული.

*ოპერატიული მიმართულება*
*„კოდორის ხეობის“ მმართველობა*

**თემო (ვანო) ხატიაშვილის ხსოვნას**



მე და სიკვდილი, ერთურთს შევეჯახეთ,
კარში არ ვუშვებ, მკერდით აგეფარე,
იმან იძძლავრა და თვალი დამიბნელა,
გული გამიჩერა, ველარ დაგინახე —
როგორ წაგიყვანა, შენი ცხოვრებიდან,
ანგელოზების გზას, როდის გაგიყენა,
ღმერთმა საუფლომდე როგორ მიგიყვანა.
კარში შეგიძლვა თუ იქვე დაგაყენა.
ჩემო მშვენიერო, კარგზე უკარგესო.
დედამ ასე იცის, შენი მოფერება,
ჩემო ახალგაზრდავ, ეხლაც გეფერები,
მინდა ჩემთან იყო, როგორ მენატრება.

*ოჯახი*



**ნოდარი ფეტელავა**

ჩვენო საყვარელო მამა, ორმოცი დღეა, რაც მოულოდნელად დაგვტოვე, ძალიან ძნელი ყოფილა უშენობა, თვალზე ცრემლი არ გვიშრება შენს შვილებს, ხათუნას და ზაზას, მეუღლეს ციცოს, უშენობა უჭირთ დედას, დას, ძმებს. შენ ხომ კეთილი და სიყვარულით აღსავსე პიროვნება იყავი.

*მეუღლე ციცო, შვილები ხათუნა,*
*ზაზა ფეტელავები*

**შოთა მარიამიძის გახსენება**



ჩვენო საყვარელო შოთა! წელს პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს 25 აგვისტოს, ძალიან გვენატრები. ამ დღეს, შენს საყვარელ ბაღდათში, ჯაფარიძეების კუნძულზე, ასწლოვანი წაბლის ხის ქვეშ, შენთვის ჩვეული ღიმილით ვერ შეეგებები შენს საყვარელ ადამიანებს, გადის თვეები, ჩვენი ტკივილი კი არ ქრება. სევდით გიხსენებენ არაჩვეულებრივ მეუღლეს, მამას, ძმას, მეგობარს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*მეუღლე თამუსი; შვილები: მაია, ეკა, ვატო; ძმა ნოდარი; რძალი მერი; ძმისშვილები მარინე, ქეთინო*

**ზურა ნაჟურის გახსენება**



შენი უეცარი სიკვდილი, რომელიც მეხივით გავარდა ახალგორის რაიონში, მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, 2 სექტემბერს 17 წელი სრულდება, რაც ჩვენგან წახვედი, 17 გრძელი და უსაზღვრო ტკივილით აღსავსე წელი. შენ მხოლოდ 22 წელი იცოცხლე, მაგრამ ბევრი მოასწარი, სტუდენტობა, ჯარი, ამაღლებული სიყვარული, ოჯახი. შვილო ზურა, ჩემო „პუსკა“, 8 ივლისს უშენოდ შევხვდით შენს დაბადების დღეს. 39 წლის გამხდარხარ, ბიჭო, როგორ გაზრდილხარ, ჩემო მონატრებულო ნაბოლარა შვილო, დრომ ვერ უმკურნალა ჩვენს ტკივილს, და მაინც სხვა გზა არ გამჩნია, ჩემო ლამაზო ბიჭო, შენი დავაჟკაცებული, დაცოლშვილებული ძმები ნოდარი და გია მიადვილებენ ამ მზისქვეშეთში ყოფნას. ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ და წმინდა სანთელი არ მოვაკლოთ შენს ნათელ ხსოვნას.

*შენი ოჯახი*

**ბაკურ ბაღდავაძის გახსენება**



არსებობს დიდი ტკივილი, რომელსაც დრო ვერ აყუჩებს. ჭრილობა — რომელიც არასოდეს ხორცდება. ამ უბედურებას შენი არყოფნა ჰქვია. თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი სიკვდილი, თუმცა შენ ისეთი სრულყოფილი იყავი, აქ, დედამიწაზე, კაცთა შორის ძნელი იყო შენი არსებობა, ამიტომაც მიიბარა უფალმა შენი ლამაზი სული მარადიულ სასუფეველში. 25 წლის ბიჭს ყველაფერი გქონდა ცხოვრებაში მიღწეული, აღარაფერი დაგრჩა გასაკეთებელი, წახვედი და დაგვიტოვე დიდი სევდა, ტკივილი, უზომო მონატრება, ერთი წელი გავიდა, რაც აღარა ხარ და დღე არ გასულა, რომ არ გახსენოთ, სუ-ფრაზე პირველი სადღეგრძელო შენია, გვიჭირს უშენობა. ღვთისმშობლობა დღეს გამოგვეცალე და ისღა დაგვრჩენია მას ვთხოვოთ შენი კეთილი სულის მფარველობა, ჩვენ კი კვლავაც ავან-თებთ სანთელს შენს სახელზე და ვიცხოვრებთ მოგონებებით.

*თანამშრომლები*



**მეგი ნუგზარიშვილის–ომსარიშვილის მონატრება**

მონატრება, ტკივილი, სიყვარული... მთელი წელია ვეძებთ იმ სიტყვას, რომელიც გამოხატავს ჩვენ მწუხარებას. ჩვენო მშვენიერო მეგი, გაიარე ჩუმად, მოკრძალებულად და ლამაზი სახელი დატოვე შენს მეგობრებსა და ახლობლებში, რომელთაც თურმე ასე ძლიერ ჰყვარებიხარ. შენ იმდენი ცრემლი და გულისტკივილი გაიყოლე, რომ ეს მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, შენი საფიცარი მშობლები, შვილები, მეუღლე, მაიკო, შენი სურათების წინ ცრემლად იღვენთებიან და ჩვენი წესით გიწყობენ სუფრას. ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით შენით, ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნები. ჩვენ გვჯერა, რომ შენ ილოცებ ჩვენთვის, ზეციდან, გვიყვარხართ, გეფერებით, ძალიან გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი. ...ალალი იყოს ჩვენი ცრემლი!

*ოჯახი, ნათესავები, მეგობრები*

**ზურა დურმიშხანის ძე ხრიკაძის მონატრება**



უშენოდ მიდის ცხოვრება... 23 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. ძალიან განვიცდით ჩვენს გარშემო რომ არ ტრიალებ, მწარედ დასტირის დღემდე უშენობას შენი დედა, შვილი, და. უშენობას ვერ შეცვლის დრო. როგორ საოცრად გიყვარდა სიცოცხლე რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში, მხოლოდ 32 წელი გაიმეტა შენთვის განგებამ. არ დაგაცალა ლოთმა არაკაცმა უდროოდ დაასრულა ლოთმა არაკაცმა შენი ხალისიანი სიყვარულით სავსე სიცოცხლე. წახვედი და დაგვიტოვე დიდი მწუხარება, ტკივილი, რომელსაც ვერასოდეს მოვიშუშებთ. გილოცავთ დაბადების დღეს ჩვენო ზურა, ღმერთმა გაანათლოს შენი კეთილი სული, გვახსოვხარ და გვიყვარხარ.

*დედა, მამა, შვილი, სიძე, და, დისშვილები, ნინო, დათო, ზურა, ნათია ნათენაძეები*

მცხეთის რ-ნი სოფ. ქსანში მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ხიზანიშვილი ნინო შალვას ასული** და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*მეზობლები*

# ტელევიზორი რომ არ ყოფილიყო ჩართული, ვიფიქრებდი, ვკვდები-მეთქი...

ზანდა ჩიტიშვილის შესახებ უცნობმა მიამბო. ამბავმა დამაინტერესა და ზანდასთან წავედი. იგი ვაკეში, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობს. ამ სართულზე ორი ბინაა, რატომღაც ვიფიქრე, მის ბინას ფანჯრებით გამოვიცნობ-მეთქი. გამოვიცანი. კარი ჩვეულებრივმა, მაგრამ რაღაცნაირად სხვანაირმა ქალმა გამიღო და მკრთალი ცისფერი შუქით განათებულ ოთახში შემიყვანა. ნახევარსარდაფის ტიპის ბინა ისეთი ლამაზი აღმოჩნდა, თავი ზღაპარში მეგონა. გამაოგნა ფერწერულმა ტილოებმა, რომლებიც საბოლოო ჯამში ხელით ნაქსოვი გობელენები გამოდგა... საკმაოდ უჩვეულო გარემოთი გაოცებული დიდხანს ვათვალიერებდი იქაურობას. მერე ვილაპარაკეთ. ვგრძნობდი, რომ მასპინძელი ღელავდა...

— **ქალბატონო ზანდა, თქვენზე ამბობენ, რომ ლოცვის დროს და სიზმარში რაღაცაზე მინიშნებულ მოვლენებს ხედავთ, რომლებიც დროის გასვლის შემდეგ ცხადდება. როგორ დაიწყო ეს ამბავი, რას მიანიშნებენ თქვენი ხილვები?**

ვაზისუბნის გორაზე ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილზე სამების ტაძრის ესკიზი. 1992 წლის ჩანახატი



— 19 წლის წინ მეუღლე გარდამეცვალა. საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. სახლში დედისგან ნაჩუქარი ერთადერთი ღვთისმშობლის ხატი მქონდა. ერთ დღეს მასთან მივედი და ლოცვა დავიწყე. უცებ ვიგრძენი, რომ სადღაც მაღლა, სივრცეში მივიწევდი და რაღაც საგნებსა და მოვლენებს ვხედავდი. გავოგნდი. კიდევ კარგი, ტელევიზორი მქონდა ჩართული, ხმა მესმოდა, თორემ ვიფიქრებდი, ვკვდები-მეთქი. მერე უკვე ასეთი რამ ხშირად მეორდებოდა. მე მხატვარი ვარ და მაშინ შარდენის ქუჩაზე მქონდა სახელოსნო. იმ ქუჩაზე უამრავი ხალხი მუშაობდა და მეც, ოფიციანტით დაწყებული დამლაგებლით დამთავრებული, ყველას ვუყვებოდი ამ ამბავს. დასაწყისში მისმენდნენ, მერე... მივხვდი, ყველას გიჟი ვეგონე. მოვისაზრე და რასაც ვხედავდი, ჩახატვა დავიწყე, ოღონდ, ყველაფრის არა — რაღაც აღარ მახსოვდა, რაღაცას საჭიროდ არ მივიჩნევდი. ამან ცოტა მიშველა, მაგრამ მაინც ვიტანჯებოდი. ნაცნობმა მითხრა, ჩემს მოძღვართან მიგიყვან და ყველაფერი უამბეო. კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს ტაძარში, მამა გაბრიელთან მივედით. მან მირჩია, მაგ ესკიზებით რამე გააკეთეო. გამომიტანა დაფარნა და ბაირაღი, რომლებსაც პირველად ვხედავდი და არ ვიცოდი, რა დანიშნულება ჰქონდათ... ამიხსნა ყველაფერი და მთხოვა, მოქარგეო...

დავიწყე ბაირაღით. შევარჩიე ესკიზი, მაგრამ დავხედე და დავფიქრდი იმაზე, რომელი ეკლესია იყო. იცით როგორ ჩავიხატე ეს ტაძარი? — დამესიზმრა, ვითომ სიონში ვიყავი, უცბად ზემოდან დროშასავით ქსოვილი დაეშვა, ზედ ეკლესია იყო დახატული... ვიღაცის ხმა მომესმა — ეს ამოქარგეო!.. მოკლედ, წინ ტაძრის ესკიზი მედო და თავს ვიმტვრევდი, ნეტა რომელია-მეთქი. მერე მომეჩვენა, რომ კუკიის სასაფლაოს წმინდა ნინოს ტაძარს ჰგავდა, მაგრამ, რახან მსგავსება სრულყოფილი არ იყო, გადაკეთება დავაპირე. ამ დროს ვიღაცამ ზარი დარეკა. კარის გასაღებად ჩავედი და ვხედავ ჩემი სტუდენტობის მეგობარი მხატვარი ემირ ბურჯანაძე დგას. — ზანდა, სიონში ვიყავი, სანთელი დავანთე, უცებ გამახსენდი და მოვედიო. ძალიან გამიხარდა. ვისაუბრეთ. მერე ესკიზი ვაჩვენე, ამოქარგვას ვაპირებ და უნდა გადავასწორო-მეთქი... დახედა და მითხრა: — ხელი არ ახლო, ეს ბოდბის წმინდა ნინოს ტაძარიაო! შორიდან დანახულიც არ მქონდა ეს ეკლესია. ჩემს სიზმარში მას წმინდა ნინოს ჯვარი ჰქონდა აფარებული. ასევე ჩავიხატე. ყოველთვის, როცა დავხედავ ამ ესკიზს, ვფიქრობ — ისეა ჯვარი აფარებული ალბათ მთელ საქართველოს იფარავს-მეთქი... მოკლედ, ბაირაღი მოვქარგე და მამა გაბრიელთან მივიტანე ეკლესიაში. ხელით მანიშნა რომელ კუთხეში უნდა დამედო. არ ვიცი, რატომ შემეკრა ფეხები, მაგრამ იმ ადგილამდე ვერ მივედი. უცებ თვითონ მამა გაბრიელი მოვიდა და მითხრა: „დაწყნარდი, შენ გგონია, მარტო შენ იციო?..“ არ ვიცი რატომ მითხრა ეს სიტყვები, ან მე რა უნდა მცოდნოდა, მაგრამ ბაირაღი მინიშნებულ ადგილას კი არ დადო, არამედ საკურთხეველში შეიტანა. მერე რაღაცამ არ მომასვენა. ვთხოვე კურთხევა მამა გაბრიელს და ბაირაღი ბოდბეში გადავაბრძანე. შევედი თუ არა ეკლესიაში, გავშეშდი, აღარ ვიცოდი რა მექნა, სად წამეღო ეს ბაირაღი, საჭირო იყო თუ არა აქ ჩამოსვლა. ვიდექი და ეკლესიის მარჯვენა მხარეს დახურულ კარს მივჩერებოდი. უცებ ტაძარში ბერები შემოვიდნენ და ჩუმად დასხდნენ. ერთი ასევე ჩუმად მოვიდა და დამლოცა. მერე სწორედ იმ კარისკენ წამიყვანა, რომელსაც ასე შევყურებდი. თურმე იქ წმინდა ნინოს საფლავი ყოფილა. ბაირაღი იმას გადააფარეს.

— **რაში დაგეხმარათ თქვენი ხილვები?**

— გარდამოხსნა აღვადგინე, მისი აღდგენა უწმინდესის მისაღებში მთხოვა უცნობმა მღვდელმა და გამომატანა. XVII-XVIII საუკუნეში დაწერილი იყო. სანამ აღსარება არ ვთქვი და არ ვეზიარე, თავისთან არ მიშვებდა. როგორც კი ვეზიარე, ხელად დავალაგე ყველაფერი. მაშინ ხავერდი არ იშოვებოდა, მე იოლად ვიშოვე. დავიწყე მუშაობა, მაგრამ უფლის სახესთან რომ მივედი, შევჩერდი, არ ვიცოდი როგორ აღმედგინა, ვწვალობდი. დრო ისე გაიწელა, ხელიც კი ჩავიქნიე — ამას მე ვერასოდეს გავაკეთებ-მეთქი. ერთ ღამეს სიზმრად ძალიან ლამაზი ქალი ვნახე. დილით სიზმარი არ მახსოვდა, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რატომ წავედი ალექსანდრე ნევველის ტაძარში. როცა შევედი ღვთისმშობლის ძალიან ლამაზი ხატი დავინახე. სიზმარი გამახსენდა, მის მზერას გავაყოლე თვალი და გარდამოხსნის ხატი დავინახე. გარდამოხსნა მანამდე არასოდეს მენახა. უცებ მივხვდი, რაც უნდა გამეკეთებინა, ვიყიდე საღებავები, ფუნჯები და შინ დავბრუნდი. კარგა ხანს ვერ ვიმუშავე და ისევ დილით, როცა სახლიდან უნდა გამოვსულიყავი, უცებ მივბრუნდი, მაგიდასთან მივედი და უფუნჯოდ, თითებით ვიმუშავე. არ შემისვენია. მუშაობა რომ დავამთავრე, გარდამოხსნას დავხედე და გამიკვირდა, — პირველდახატულს ჰგავდა. მხოლოდ გვერდიდან შეხედვით, გრუნტის სიმაღლით ეტყობოდა რომელი იყო ახალი საღებავი.



ბოდბის წმინდა ნინოს ტაძრის ესკიზი

— **როგორც მითხრეს, ვაზისუბნის გორაზე ღვთისმშობლის გამოცხადების ადგილიც წლების წინ გინახავთ და იმ ტაძრის ესკიზიც გქონიათ, რომელიც იქ უნდა აშენდეს.**

— კი, ასე იყო. ლოცვის დროს ამ ტაძართან ერთად სხვა ეკლესიებიც ვნახე და ჩავიხატე. ეს 1992 წელს იყო. მახსოვს, როცა ამ ტაძრებს ვხედავდი ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ როცა ესენი აშენდებოდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. რაც ვიფიქრე, მიმიწერია კიდეც, რატომღაც რუსულად. ამას წინათ ესკიზები ჩემმა ახლობელმა ნახა, თვითონ ვაზისუბანში ცხოვრობს — როგორც კი დახედა თქვა, ეს ვაზისუბნის გორაა, ამ ადგილზე ბერების ლავრაც იქნება და შენ რომ დაგიხატავს, ის ნიში უკვე ააგესო. თურმე იქ ზეთისხილის ხეც დაურგავთ, საბერძნეთიდან ჩამოტანილი. აი, ნახეთ ეს წინასწარ მაქვს დახატული. ჩემს ახლობელს უკვირდა, — საკვირველია, იმ ქვაღორღიან ადგილზე ხემ როგორ გაიხარაო. განსაკუთრებით ცისარტყელას ჩანახატმა განაცვიფრა — ჩემ თვალწინ ამ გორაზე ცისარტყელა სამჯერ გამოისახაო... რა ვიცი, ეს ადგილები ჯერ არ მინახავს.

— **რასაც მიამბობთ მჯერა, ოღონდ არ ვიცი ვისი ნებით ხდება ეს...**

— არც მე ვიცი რა რატომ ხდება, მაგრამ ერთი კია — სანამ ამ ესკიზებით რამდენიმე საეკლესიო სიწმინდე არ მოვხატე და ტაძრებს არ შევწირე, მანამდე სუნთქვაც კი მიჭირდა...

***ეთერ ერაძე***

# წინა ცხოვრებაში რადისტი ვიყავი...



მართლა არის თუ არა შესაძლებელი რეინკარნაცია, სულთა გადასახლება, მართლა ცხოვრობს ადამიანი სხვისი ცხოვრებით? ამის არც უარყოფა შეიძლება და არც მტკიცება, რადგან იმდენი თვალსაჩინო მაგალითი არსებობს, რომ ბევრ სკეპტიკოსსაც უჩენს ეჭვს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკელი ფსიქიატრი იან სტივენსონი სწორედ ამ თემით არის დაინტერესებული და 2600-მდე ოფიციალურად რეგისტრირებული შემთხვევა აქვს აღნუსხული „ძველი ცხოვრების გამოცდილებისა“. ეს შემთხვევები საკმაოდ შთამბეჭდავია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით...

მიდლსბროელი რკინიგზის თანამშრომელი კარლ ედონი ბავშვობიდან ამტკიცებდა, წინა ცხოვრებაში ჰიტლერის სამხედრო-საჰაერო ძალების მსროლელი-რადისტი ჰენრიხ რიხტერი ვიყავი. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას ჩემი თვითმფრინავი მიდლსბროს მახლობლად ჩამოაგდეს, ამ კატასტროფისას ფეხიც მომწყდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ახლა თანდაყოლილი ლაქა მაქვსო.

რამდენიმე წლის შემდეგ მიდლსბროს გარეუბანში მართლაც აღმოაჩინეს თვითმფრინავის ნამსხვრევები და რიხტერის საბუთებში მისი ფოტოც ნახეს, რომელიც თითქმის იდენტური იყო კარლის პორტრეტისა, რაც დედამისმაც აღიარა. კარლი 22 წლისა იყო, როდესაც ზუსტად კატასტროფის ადგილას ვიღაც მანიაკმა ყელი გამოსჭრა.

საოცარი ის არის, რომ ასეთ შემთხვევებში არა მარტო ადამიანის ქვეცნობიერებაში ხდება დამთხვევები (მანიის, ფობიის, სახით), არამედ მის სხეულზეც, ანუ ადამიანებს ზუსტად იმ ადგილებზე აქვთ თანდაყოლილი ლაქები — დეფექტები, რომლებიც დაკავშირებულია მათ „წინამორბედთა“ ცხოვრების დეტალებთან.

მაგალითად, ერთ ინდოელ ბიჭს იშვიათი დეფექტი დაჰყვა — მარჯვენა ხელზე თითების ნაცვლად მხოლოდ პატარა წანაზარდები. ის ამბობდა, — წინა ცხოვრებაში ხერხით მომკვეთეს თითებიო.

კიდევ უფრო უცნაურია კანზე აღმოჩენილი თანდაყოლილი ლაქები, რაც წინა ცხოვრებაში ნატყვიართან ასოცირდება.

ერთი ბრაზილიელი ასაკოვანი ქალბატონი იხსენებს წინა ცხოვრებაში ბავშვობისას საფრანგეთში გადახდენილ ამბებს. მაშინ ალექსი მერქვა და საკუთარ სახლში გერმანელმა ჯარისკაცმა მომკლაო.

საოცარია, რომ მას ზუსტად გულთან აქვს ლაქა (სწორედ გულში ესროლეს ალექსს), სადაც ტყვია შევიდა, ხოლო ზურგზე — მეორე ლაქა, გამომავალი.

ინდოეთის სოფელ ვადჰში ცხოვრობდა ტორიან პრასადა, რომელიც ამტკიცებდა, — წინა ცხოვრებაში ვიყავი სურეშ ვარმა, მაღაზიის მფლობელი და ავაზაკებმა მომკლეს, თავში მესროლესო. ამბობდა ვარმას ცოლის, ნათესავების გვარებს, სახელებს.

დაინტერესებულმა პირებმა ძველ მასალებში მართლაც მიაკვლიეს ვინმე სურეშ ვარმას საქმეს. ვარმას ცოლი და ნათესავები ბიჭს ეახლნენ. მან ყველა იცნო, ქალი კი ისე მოიკითხა, როგორც საკუთარი მეუღლე და აჩვენა სროლის შემდეგ ყურთან დარჩენილი ნაიარევი...

***ნლო №31***

# წინ ნათელი მიმიძღოდა

## მამის ნაამბობი

— სულ პირტიტველა ყმაწვილი ვიყავი, ომში რომ წამიყვანეს. იარაღის ხმარება გვასწავლეს და ცეცხლში გვიკრეს თავი. 1942 წლის საშინელი ზამთარი იდგა. სანგარში ვისხედით ყინვით დაჭირხლული ბიჭები. უკაცრიელი ადგილი იყო. ვხუმრობდით, — გერმანელები რას მოგვაგნებენ, ის კი არა, ჩვენ თუ გავაღწიეთ აქედან, ღმერთს მადლობა ვუთხრათო.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ახალგაზრდობამ თავისი ქნა, სულ დაგვავიწყდა, ომში რომ ვიყავით და სიფხიზლე დავკარგეთ...

ჩვენს მხიარულებას მალე მოეღო ბოლო... აფეთქების ხმა მოისმა. ყველანი ძირს დავცვივდით... ნელ-ნელა გავახილე თვალი, ერთს ვეცი, მეორეს... მესამეს... ყველა მკვდარი იყო. რად მინდა ასეთი სიცოცხლე-მეთქი, — ვფიქრობდი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. მოსაღამოვდა. ვგრძნობ, ხელ-ფეხი ნელ-ნელა კარგავს ძალას. მკვდრებს ვეხუტები, აღარაფრის იმედი არ მაქვს, ვიცი, აქედან ცოცხალი ვერ გავალ...

...ჩემ წინ რაღაც აციმციმდა. მერე უკვე ძილ-ბურანში წასულს ხმა ჩამესმა: „ამოდი მაქედან და პირდაპირ, ფორთხვით იარე“...

არ დავუჯერე...



„ამოდი-მეთქი“, — გამიმეორა უფრო მკაცრად. ეს ნათურის მსგავსი სინათლეც თავს დამტრიალებდა. ქვეშეცნეულად ამოვბობღდი და იქით ვიარე, საითკენაც სინათლე მიმიძღოდა... მაშინ ამაზე ლაპარაკს ვინ გაბედავდა, მე კი ვიცი, ის ჩემი გადამრჩენი უფალმა მომივლინა.

***ელდარ ფოფხაძე***

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**
კაცი შიგნით არის ჭრელი და გველი გარედანო;

**II.** ბარბი;

**III.** 1) - ბ); 2) — გ); 3) — ბ); 4) — ა); 5) — ა);

**IV.** ვირის, ჟირაფის, აქლემის, ცხენის და ლომის ნაწილებისაგან;

**V.** 1, 8, 2, 9, 3, 10, 4, 11, 5, 12, 6, 13, 7, 14.

# ტრაპიზონში „გურჯები“ შეარცხვინეს

კარგა ხანია წავიდა ის დრო, იასონი და მისი ძმაკაცები თავის ჭკუაზე რომ აბურთავებდნენ თურქებს. დღეს თურქეთის ნაკრები მთელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალაა და მესამე ადგილიც კი დაისაკუთრა ამას წინათ დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენები კი კვლავ ასი წლის წინანდელ ფეხბურთს თამაშობენ და თუ პატივცემულ იასონს დარტყმა მაინც ჰქონდა „ყუმბარისებური“ და მისი გუნდის კარს ჩინებული „გოლკიპერიც“ იცავდა, დღეს ჩვენს ნაკრებში არც ხეირიანად ბურთის დამრტყმელი მოიძებნება და არც მეკარე გვყავს მაშინდელზე უკეთესი. ხუმრობა იქით იყოს და ვინც ოთხშაბათს ტრაპიზონში გამართული მატჩი ნახა, დაგვეთანხმება, რომ სასაცილოდ არა და დასაცინად კი აქვს საქმე ჩვენს ფეხბურთს. აკი დაგვცინეს კიდეც მასპინძლებმა, 3:0 მოგვიგეს და რომ მოენდომებინათ, მეზობელ „გურჯებს“ ორ ამდენ გოლს კიდევ გაუტანდნენ.

ეშმაკობა ოდითგანვე თან სდევდათ თურქებს, ახლაც ჭკუა იხმარეს და კორეა-იაპონიიდან „ტრიუმფატორად“ დაბრუნებულ თავიანთ ნაკრებს შოუს მოსაწყობად ისეთი მეტოქე გამოუძებნეს, ამ საქმისათვის უკეთესს რომ ვერც ინატრებდნენ. ტრაპიზონის „ავნი აკერის“ გადაჭედილმა სტადიონმა შოუ მშვენიერი იხილა, თამაშისა კი რა მოგახსენოთ. ჩვენი ფეხბურთელები ისე დარბოდნენ მოედანზე, კაცი იფიქრებდა ფეხებზე გირები ჰკიდიათო. თამაშის დასაწყისში ქართველებმა ცოტა წაიფაფხურეს, ტრადიციულად რამდენიმე საგოლე მომენტი გაატანეს ქარს და დარჩენილ დროს პირდაღებულნი უყურებდნენ მეტოქის თამაშს. თურქებმაც მსოფლიოში მესამეობა შეიფერეს და სამი გოლის გატანის შემდეგ ისე იქცეოდნენ, როგორც ინგლისი, ან ბრაზილია ექცევა ხოლმე ჩვენნაირ გუნდებს — აღარც თვითონ გაიტანეს, ჩვენები ხომ თავის კარს არ გააკარეს და თამაშის დასრულებამდე ისმენდნენ ტრიბუნების ოვაციებს, ერთი სიტყვით, ჩივაძის ნაკრები ტრაპიზონში გაამაიმუნეს.

## ტრაპიზონი. 21 აგვისტო. ავნი აკერი.

თურქეთი 3:0 საქართველო

**1:0 არიფი (9), 2:0 ჯიჰანი (51), 3:0 ნიჰათი (71).**

**თურქეთი:** ომერი (12), ალფაი (5), ბიულენთი (3), დავალა უმითი (22), თუგაი (8), ჰაქან უნსალი (20), ოკანი (7), ბაშთურქი (10), ემრე ბელოზოღლუ (21), სერჰათი (25), არიფი (6).
**მწვრთნელი:** შენოლ გიუნეში

**საქართველო:** ლომაია (1), შაშიაშვილი (3), კობიაშვილი (2), საჯაია (4), გახოკიძე (5), ნემსაძე (7), ცქიტიშვილი (6), ქინქლაძე (10), ჯამარაული (8), შ. არველაძე (11), დემეტრაძე (9).
**მწვრთნელი:** ალექსანდრე ჩივაძე

**შეცვლები:** ცქიტიშვილი — 18; ბურდული (46); გახოკიძე — 15. კალაძე (46); ქინქლაძე — 13. ჯიქია (46). ომერი — 23. ზაფერი (46); ემრე — 15. ნიჰათი (46); ბიულენთი — 24. ჯიჰანი (46); დავალა უმითი — 4. ფატიჰი (62); ბაშთურქი — 11. ჰასან შაში (62); ნემსაძე — 16. დიდავა (71); საჯაია — 14. შეყილაძე (73); ალფაი — 16. უმით ოზატი (74); თუგაი — 14. ტაიფური (74); დემეტრაძე — 17. ამისულაშვილი (80); ზაფერი — 26. მეთინი (81).

**მსაჯები:** ნიკოლაოს აგულაკისი, გეორგიოს ტარპანიცისი, დიმიტრიოს ბიზატზიდისი (ყველა საბერძნეთი).

ვინმემ შეიძლება ამ თამაშის „ამხანაგურობით“ გაამართლოს ჩვენი გუნდი. ჯერ ერთი, იმ დღეს 27 მატჩი გაიმართა და მათ შორის მხოლოდ ოთხი დასრულდა დიდი ანგარიშით, ჩვენი ბედი ანდორამ, მალტამ, ფინეთმა და სლოვაკეთმა გაიზიარეს, ვითომ დანარჩენებისთვის არ იყო ეს მატჩები ამხანაგური? მეორეც — თურქეთთან თამაში შვეიცარიასთან 8 სექტემბერს გასამართი ოფიციალური მატჩის წინ გენერალური რეპეტიცია იყო, ამათ რომ ჰკითხო (თქვენ გინდათ მწვრთნელი იგულისხმეთ, გინდათ — ფეხბურთელები) შვეიცარიაში მოსაგებად მიდიან...

დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ თუ სასწაული არ მოხდა, ჩვენი ნაკრები შვეიცარიაშიც იმავე ბედს გაიზიარებს, რაც ტრაპიზონში შეემთხვა. მერე დაიწყებენ, იღბალმა გვაქცია ზურგიო, მსაჯმა დაგვჩაგრაო...

ისე, ზოგიერთი კი ამბობდა (თანაც მთელი საქართველოს გასაგონად), იღბალი რომ გვქონოდა და დემეტრაძეს ძელისთვის არ გაერტყა ბურთი, იქნებ მოგვეგო კიდეცო, მართლა იღბალი ჰქონიათ ჩვენებს, ის გოლი რომ არ გავიდა, თორემ მერე გენახათ ჩვენს კარში გოლების წვიმა...

საშა ჩივაძემ ტრაპიზონში ალბათ მწარედ ინანა ნაკრების მწვრთნელობას რომ დაუბრუნდა, თანაც ეს მარცხი ალბათ ყველაზე ნაკლებად იყო მისი ბრალი, მაგრამ მწვრთნელობის ამბავი ხომ იცით? თითქოს აქსიომაა: თამაშს მწვრთნელები აგებენ და ფეხბურთელები იგებენო: ტრაპიზონში ჩივაძესთან ერთად იმ ფეხბურთელებმაც წააგეს, 90 წუთი ტყუილუბრალოდ რომ დასდევდნენ ბურთს.

*P.S. თურქებთან გამართული მატჩის მეორე ტაიმში მინდორზე კახა კალაძე გამოჩნდა. არა, მისი ძმა ტყვეობიდან ჯერ არ გამოუხსნიათ. ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვის გატეხა ბევრად დიდი ვაჟკაცობაა, ვიდრე პირობის შესრულება, კალაძემ მის მიერვე წამოყენებული ულტიმატუმი არ შეასრულა და ეს სამშობლოს სიყვარულით გააკეთა...*



*სამშობლოს სიყვარულით გააკეთა...*

20 აგვისტოს თურქეთის ქალაქ რიზეში 6.000 მაყურებელი დაესწრო საქართველოსა და თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს. თამაში კოკისპირულ წვიმაში გაიმართა და ქართველთა გამარჯვებით — 1:0 დასრულდა. ერთადერთი გოლი შეხვედრის მესამე წუთზე მალხაზ ასათიანმა გაიტანა, კარგი იქნებოდა უმცროსებისთვის უფროსებსაც რომ მიებაძათ.

# გამარჯვებული ჟორდანია პეტრიაშვილს თანამშრომლობას სთავაზობს

### დამარცხებულის მომხრე კი გუნდის დაშლაზე ფიქრობს



ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი დაძაბული ელოდა 24 აგვისტოს. „შერატონ-მეტეხი-პალასში“ უნდა გარკვეულიყო, ვინ უთავკაცებდა ქართულ ფეხბურთს უახლოეს ოთხწლედში.

ყრილობის წინა დღეებში პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ვაჟა ჩხაიძემ პროტესტის ნიშნად მოხსნა კანდიდატურა — ფეხბურთის ფედერაციას კანონი არად მიაჩნია და დარბაზში მოწმედ ვერ დავჯდებიო.

ყრილობის მიმართ არსებული ინტერესით მშვენივრად ისარგებლეს ტოტალიზატორებმა „აჭარამ“ და „ჯეობეთმა“ და პრეზიდენტობის კანდიდატებზე ფსონები დადეს. ჟორდანიასა და პეტრიაშვილის შანსები თანაბრად — 1,65-ით შეფასდა, ჩხაიძისა კი — 30,0-ით. ჟორდანიამ კიდეც ბრძანა, ჩემზე დადეთ თანხა და წაგების შემთხვევაში, დანაკლისს აგინაზღაურებთო.

ყრილობის დაწყებისთანავე დაიწყო „ჭიდაობა“ სფფ-ის თავკაცებსა და იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის. დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა ყრილობის ორგანიზატორებისგან (ამ შემთხვევაში სფფ-ის გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია იგულისხმება) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვა. ამის თანახმად სფფ-ის ყრილობაში მონაწილეობის უფლება უნდა ჩამოერთმიათ ფედერაციის აღმასკომის წევრებისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისთვის. ზუსტად ანალოგიური პრეტენზია ჰქონდა 1994 წლის არჩევნებში ნოდარ ახალკაცის მიმართ მერაბ ჟორდანიას უმთავრეს დასაყრდენს, კახი ასათიანს: „აღმასკომის წევრები დაქირავებულები არიან და ყრილობაზე მათი მონაწილეობა უკანონოა“.

ფედერაცია არ დაემორჩილა აღმასრულებლებს და ყრილობა გააგრძელა. სწორედ ამ დროს „მეტეხის“ სიახლოვეს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები შეიკრიბნენ და დარბაზში შესვლას აპირებდნენ. აგულაშვილმა ყრილობის ორგანიზატორები გააფრთხილა, სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ დაუმორჩილებლობა სისხლის სამართლის დანაშაულია და კარგად დაფიქრდით, რას სჩადიხართო. „მეტეხის“ დაცვამაც პასუხისმგებლობა სფფ-ს დააკისრა იმ მოტივით, რომ დარბაზში შესვლა-გამოსვლის უფლებას მისი არენდატორი იძლევა.

— ყრილობა არ შეიძლება დაიწყოს აღმასრულებელთა შესვლამდე, — ეს აგულაშვილის სიტყვებია, რასაც ჟორდანიას დის, ხათუნა ჟორდანიას გაგულისება მოჰყვა:

— ეს ზღაპრები ბებიას მოუყევით.

— თქვენთან კამათს კი არა, კანონის აღსრულებას ვაპირებთ, — არ თმობდა აღმასრულებელი.

ცალკე დარბაზში მყოფი პეტრიაშვილიც ითხოვდა, პატივი ეცათ საქართველოს კანონმდებლობისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი და აღმასრულებლების მოსმენას 24 აგვისტოს არავინ აპირებდა.

დარბაზიდან გამოსული ხმების თანახმად, ჟორდანიას პრეზიდენტობის გახანგრძლივების მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე პეტრიაშვილს — არჩევისა (ახალგაზრდა კანდიდატის მომხრეები გაოცებულნი იყვნენ ზოგიერთი მომხრის ღალატით).

ამის ლოგიკური შედეგი ოთხი საათისთვის ჟორდანიას მომხრეთა ყიჟინა გახლდათ. მათ შორის ყველაზე წრფელი პატარა მომღერლის, ნინი ქარსელაძის (ჟორდანიას დისშვილის) გაბრწყინებული თვალები იყო, რომელმაც მერაბი ბიძიას მობილურით მიულოცა გამარჯვება.

მერაბ ჟორდანია კი უზომოდ გახარებული ინტერვიუებს არიგებდა და მილოცვებს იღებდა. ჩვენც, მცირე დროით მოვიხელთეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**— თუ აპირებთ პეტრიაშვილთან თანამშრომლობას?**

*— პეტრიაშვილი ისეთი პროფესიონალია, რომელთან თანამშრომლობაზეც უარს ვერც ერთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ვერ იტყვის. ასეთი პიროვნების დაკარგვის უფლება არავის აქვს.*

**— რატომ არ შემოუშვით დარბაზში აღმასრულებლები?**

*— იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთი გადარჩენილიყო და ჩვენი წესდებით გათვალისწინებული მოვალეობები შეგვესრულებინა. ფიფას მიერ საგანგებოდ მოვლენილმა დამკვირვებელმა მიგვითითა, რომ ყრილობა დღეს უნდა გამართულიყო მიღებული რეგლამენტის მიხედვით.*

*საერთოდ, ეს უკვე წარსულია და ჩემი უდიდესი სურვილია გავაერთიანო საფეხბურთო სამყარო, ამაში ორივე მხარეს ვგულისხმობ.*

**— როგორ წარმოგიდგენიათ ეს გაერთიანება?**

*— ადრე არ მიჭირდა დათო პეტრიაშვილთან საერთო ენის გამონახვა და ალბათ, არც ახლა გამიჭირდება. საუკეთესო ვარიანტი იქნება, მე და დათო ერთად დავსხდეთ და ჩვენი პროგრამები შევაჯეროთ. მერწმუნეთ, არც ის მგონია, რომ ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან ურთიერთობაში შეგვექმნას პრობლემები. პატარკაციშვილი ფეხბურთში მოვიდა და ჩვენი საერთო ახლობელ-მეგობრების დახმარებით ურთიერთობის გაგრძელებაც მოხერხდა. ჩვენი შეხვედრა დროულად რომ არ შედგა, ეს გარკვეული პიროვნებების დამსახურება ყო.*

**— პეტრიაშვილის?**

*— რასაკვირველია, არა! ისე, რომ იცოდეთ, მე პეტრიაშვილს ფედერაციაში დაბრუნებასაც შევთავაზებ.*

**გიგლა აგულაშვილი** კი სფფ-ის ხელმძღვანელთა სამართლებრივ დევნაზე ალაპარაკდა:

*— რადგან მათ არ შეასრულეს სასამართლოს გადაწყვეტილება, ალბათ, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და დაიწყება გამოძიება.*

დამდუღრული პეტრიაშვილი სასტუმროს ისე გაეცალა, კომენტარი არ ისურვა. მისმა მომხრემ, „მერანის“ პრეზიდენტმა **ანზორ მამალაძემ** კი არ გამორიცხა, რომ გუნდს დაშლის:

*— ახლა ჩვენზე ზეწოლას არ გამოვრიცხავ და რაღა აზრი აქვს ჩემპიონატში მონაწილეობას. თუმცა, არ მინდა ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება.*

გამარჯვებულმა კი ნაცნობ-მეგობრები თავისი ზეიმის აღსანიშნავად რესტორან „სარაჯიშვილში“ მიიწვია. იმედია, შაბათს წარმოთქმული ქართული ფეხბურთის სადღეგრძელოები ჭიქაში არ დარჩება და ოთხი წლის მანძილზე გაახსენდებათ საქმეში ჟორდანიასა და მის გუნდს. ეს არის ჩვენი სურვილი.

**ლაშა დუმბაძე**

# რევაზ ძოძუაშვილი „ურალანს“ გაწვრთნის



*ორწლიანი ქართული კარანტინის შემდეგ, რუსებმა ტრადიციული პარტნიორები გაიხსენეს და რუსეთის პრემიერლიგაში კვლავ გამოჩნდნენ ქართველები — დემეტრაძე, აშვეთია, აბრამიძე.*

*ახლა მათ რიცხვს მწვრთნელიც შეემატა. დავით ყიფიანისა და ვოვა გუცაევის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილი მესამე ჩვენებური მწვრთნელია, რომელსაც რუსეთის უმაღლესი დივიზიონის (აწ უკვე პრემიერლიგის) გუნდის მწვრთნელობა ანდეს. ელისტის „ურალანის“ „სატურნთან“ სტუმრად განადგურების შემდეგ (2:5) ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა, რომლის სახელსაც უკავშირდება ამ გუნდის რუსეთის უმაღლეს დივიზიონში აღზევება, რევაზ ძოძუაშვილს სთხოვა, მისი გუნდი ჩაებარებინა*

*ანატოლი ბიშოვეცი, ოლეგ დოლმატოვი და ვიქტორ შევჩენკო არიან ის სპეციალისტები, რომლებსაც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ილუმჟინოვმა ქართველი ამჯობინა.*

*რევაზ ძოძუაშვილი დიდი ხანია მეგობრობს რუსული ფეხბურთის ბომონდთან. მისი ახლო მეგობარია სლავების საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი. იგი ჯერ კიდევ ლატვიაში მყოფ ქართველ სპეციალისტს სთავაზობდა რუსეთში სამსახურს, მაგრამ ძოძუაშვილმა უარი ვერ თქვა საქართველოს ნაკრების თავკაცობაზე.*

*ფიფას რუსი ჩინოსანი ქართველ სპეციალისტს ბევრ ქართველზე უკეთ იცნობს და აფასებს. სწორედ კოლოსკოვმა ურჩია ილუმჟინოვს ძოძუაშვილის კანდიდატურაზე დაფიქრება. ისიც დაფიქრდა და 7 აგვისტოს, საფრანგეთ-ამერიკაში ვიზიტის შემდეგ შეხვდა და ესაუბრა, 19 აგვისტოს კი საკუთარი თვითმფრინავით ელისტაში გადააფრინა და კონტრაქტიც გაუფორმა.*

*ამჟამად ბატონი რევაზი მეტად დაკავებულია. როდესაც ელისტაში დავუკავშირდით, გუნდის თავკაცებთან „ურალანის“ მომავალზე საუბრობდა, მაგრამ მცირე დრო მაინც დაგვითმო:*

— აი, ახლაც ვსაუბრობთ, როგორ გადავარჩინოთ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას.

**— დავუშვათ და ასეც მოხდა, პირველ ლიგაში მუშაობა რომ მოგიწიოთ?**

— ელისტაში იმიტომაც ჩამოვედი, რომ ასეთი საფრთხე ავიცილოთ. ილუმჟინოვი ბუნებით ლიდერია და ვერ იტანს საქმის საშუალოდ ან უარესი — ცუდად კეთებას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჯერ ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ და შემდეგ სეზონში უკვე უეფას თასის საგზურისთვის ვიბრძოლოთ. სხვათა შორის, გუნდი არ არის უპერსპექტივო. აქ გაიზარდა რუსეთის ნაკრების წევრი სმერტინი და რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მეც დამხვდა. მოკლედ, „მასალა“ არის.

**— როგორც შევიტყვეთ, ჯერ ოფიციალურად არ დანიშნულხართ მთავარ მწვრთნელად.**

— მე საქმესა და ტრადიციას არ ვღალატობ. ჯერ ვზვერავ, ვსწავლობ გუნდს, მის შესაძლებლობებს, სუსტ და ძლიერ მხარეებს და მხოლოდ ამის შემდეგ დამნიშნავენ მთავარ მწვრთნელად. თუმცა, ეს უკვე საქმის ფორმალური მხარეა და თეორიულად ახლაც მთავარი მწვრთნელის უფლებამოსილებით ვსარგებლობ. თუ გახსოვთ, ასე იყო თავდაპირველად „სკონტოშიც“. მთავარი უკვე გადაწყდა — ილუმჟინოვი მენდობა და სურს, რომ ყალმუხეთს უახლოეს მომავალში საფეხბურთო ზეიმი ვაჩუქოთ. გუნდს უკვე შევხვდი და ფეხბურთელებს ვესაუბრე ჩემს გეგმებზე.

**— ალბათ, არც ქართველების აყვანის ტრადიციას დაივიწყებთ.**

— აქ უკვე დამხვდნენ მეკარე ოყროშიძე და თავდამსხმელი წიკლაური. საქართველოდან ჯერ მხოლოდ ფიზმომზადების მწვრთნელი გორგოძე დამეხმარება, შემდეგ, ვნახოთ. სელექციას „ურალანის“ სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ჩავატარებთ.

**ლაშა დუმბაძე**

# ავტოსალონი

## „ფერარის“ სასწაული



24 ოქტომბერს, ბირმინგემის მოტორ-შოუზე კორპორაცია „ფერარი“ ახალ მოდელს წარმოადგენს, რომელიც სპორტული სუპერავტომობილების ბაზარზე F50-ს უნდა ჩაენაცვლოს. ხმები იმის შესახებ, რომ „ფერარი“ თავის თაყვანისმცემლებს მორიგ სიურპრიზს უმზადებდა, ავტომოყვარულთა სამყაროში დიდი ხნის წინ გავრცელდა.

გასულ ზამთარს, იაპონიაში გამართულ საერთაშორისო ავტოსალონზე „ფერარიმ“ ახალი მოდელი, FX წარადგინა. სწორედ იგი უნდა გამხდარიყო „სერიული სასწაულის“ საფუძველი. ავტოექსპერტები საკმაოდ ლოგიკურად მიიჩნევდნენ, რომ ახალ ავტომობილს F40-ისა და F50-ის შემდეგ F60 ერქმეოდა და სტატიებში ასეც მოიხსენიებდნენ, მაგრამ იტალიელებმა ამჯერად ორიგინალობა გამოიჩინეს და „ფერარის“ ფუძემდებლის საპატივცემულოდ ახალ მოდელს „ენცო ფერარი“ დაარქვეს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ F40 და F50 მოდელები კომპანიამ შესაბამისად, თავისი დაარსების 40 და 50 წლისთავს დაამთხვია. ამჟამად კი კომპანიას 55 წელი უსრულდება (პირველი „ფერარი“ 1947 წელს გამოვიდა). თუ იტალიელი ავტომშენებლების ტემპებს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია, ქვეყნიერებას ხუთი წლის შემდეგ კიდევ ერთი ახალი მოდელი, F60-ც მოევლინოს. „ენცო ფერარის“ ტექნიკური მონაცემები კომპანია „ფორმულა 1“-ის ბოლიდისგან დიდად არ განსხვავდება. უბრალოდ, კონსტრუქტორებმა მისი დიზაინი და სავალი ნაწილი მაქსიმალურად შეუთავსეს ქალაქის პირობებს. გარდა ამისა, ფორმულისგან განსხვავებით, ახალი „ფერარი“ ორი მგზავრისთვის არის გათვალისწინებული. სუპერსპორტულ ავტომობილზე 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფია დამონტაჟებული. თუ შეიძლება „მექანიკური“ ეწოდოს საჭეზე დამონტაჟებულ ორ ღილაკს, რომელიც სამმაგი სინქრონიზატორის მეშვეობით წამის მეასედში ახდენს სიჩქარის ჩანაცვლებას. ავტომობილის ტრანსმისია ელექტრონული ამორტიზატორებით არის აღჭურვილი, რაც მანევრირების დროს მაქსიმალურად შეაფარდებს ავტომობილის სისწრაფეს გზის საფარზე მოჭიდებასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტომობილის აეროდინამიკის ბალანსისთვის „ფორმულა 1“-ის რბოლებში აკრძალული გრაუნდ ეფექტი გამოიყენეს, მაგისტრალზე მასთან შეჯიბრების სურვილი სხვა მოდელებს არც უნდა გაუჩნდეთ. გარდა ამისა, „ენცო ფერარი“ იქნება პირველი სერიულ ავტომობილებს შორის, რომელიც კერამიკული სამუხრუჭე სისტემით აღიჭურვება. ეს სისტემა არნახულად საიმედოა. დაუჯერებელია, მაგრამ მისი მწარმოებლები სამუდამო გარანტიას იძლევიან — ავტომობილის ექსპლუატაციის მანძილზე მუხრუჭების არც ერთ დეტალს შეცვლა არ დასჭირდება. სპეციალურად არის დამზადებული ავტომობილის საბურავებიც, რომლებიც „ფორმულების“ მომსახურე კომპანია Bridgestone-მა დაამზადა. რასაკვირველია, ამდენ სიახლესთან ერთად, მოდელს ძრავიც ახალი აქვს — მარანელოს კონსტრუქტორებმა („კვირის პალიტრის“ მკითხველს უკვე მოვუთხრობდით ამ ქალაქში განთავსებული „ფერარის“ ქარხნისა და მისი თავისებურებების შესახებ) 12-ცილინდრიანი ძრავი შეიმუშავეს, რომელსაც 6 ლ-ის მოცულობა ექნება და 660 ცხ.ძ-ის სიმძლავრეს წარმოშობს. „ენცო ფერარი“ გაყიდვაში უკვე ამ წლის შემოდგომიდან გამოვა. ფასი საკმაოდ „მოკრძალებულია“ — 650 ათასი დოლარი. ავტომობილის მაქსიმალური სისწრაფე 400კმ/სთ იქნება. ამასთან, 100კმ/სთ-ის განვითარებისთვის ახალ „ფერარის“ რეკორდულად მცირე დრო — 3,65 წამი სჭირდება.

## ელიტური სახელოსნო ელიტური ავტომობილებისთვის...



ალბათ, ძნელია „სახელოსნო“ უწოდო დაწესებულებას, რომელიც მხოლოდ 38 ავტომობილის მომსახურებაზეა გათვლილი და რომლის მშენებლობაც 1 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა. სახელოსნო მხოლოდ „მაზერატისა“ და „ფერარის“ ფირმის ავტომობილებისთვის არის გათვალისწინებული. საინტერესოა, რომ იგი არც ამ მოდელების სამშობლოში — იტალიაში აუგიათ და არც ამერიკაში, სადაც მათ ყველაზე ძალიან აფასებენ და ყიდულობენ. რატომღაც, ავტოფირმების მესვეურებმა ელიტარული სახელოსნოს გახსნა კონსერვატიულ ინგლისში გადაწყვიტეს.

## Aston Martin-ის ახალი მოდელი



ლეგენდარული ინგლისური ფირმა ახალ ავტომობილს ამერიკაში გამართულ საერთაშორისო ავტოსალონზე წარადგენს. მოდელს Aston Martin DB7 Zagato ეწოდება. „ზაგატო“ თავისთავად, „ასტონ მარტინის“ იღბლიანი სამარკო ნიშანია, რადგან, სწორედ ამ სახელთან არის დაკავშირებული ცნობილი სპორტული ავტომწარმოებელი ფირმის ყველა წარმატება. „ზაგატოს“ სერიით პირველი მოდელი „ასტონ მარტინიმ“ ჯერ კიდევ 1960 წელს გამოუშვა და იმდროინდელ სპორტულ მოდელებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით გაყიდა. მაშინდელი „ზაგატოს“ დიზაინი „ასტონ მარტინის“ ერთგვარ სიმბოლოდ იქცა, რის შემდეგაც მოდელი განახლებული ვარიანტით 1986-87 წლებში გამოუშვეს. ამჟამინდელი მოდელიც ძველი „ზაგატოს“ შტრიხებს იმეორებს, თუმცა დიზაინერებმა ახალი დროების მოთხოვნებიც გაითვალისწინეს. „ასტონ მარტინის“ ახალი ავტომობილი 12-ცილინდრიანი, 6 ლ-ის მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი. სპეციალურად ამ მოდელისთვის იქნა დამზადებული ახალი გადაცემათა კოლოფი — როგორც სპორტულ ავტომობილებს შეჰფერით, იგი მექანიკური, 6-საფეხურიანი იქნება.

## მშვენიერი ლედი NISSAN-ი



აგვისტოს დასაწყისში კომპანია „ნისანმა“ თავისი ახალი მოდელის Fairlady Z-ის სერიულ წარმოებაში ჩაშვების შესახებ განაცხადა. „მშვენიერი ლედის“ (ასე ითარგმნება ავტომობილის სახელწოდება) პირველი თაობა ჯერ კიდევ 1969 წელს გამოვიდა, სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა და საკმოდ დიდი ტირაჟით გაიყიდა — 1 220 ათასზე მეტი. ახალი, მე-5 თაობის Fairlady-ი პირველად 2001 წელს წარდგა დეტროიტის ავტოსალონის წინაშე. ავტომობილის ტრანსმისია ტრადიციული ხერხით არის აწყობილი — გაწევა უკანა თვლებზე აქვს. 6-ცილინდრიანი ძრავი კი 287 ცხ.ძ-ის სიმძლავრეს წარმოშობს.

## „ჯენერალ მოტორსის“ ახალი პირმშო

პარიზის ავტოსალონზე კონცერნი „ჯენერალ მოტორსი“ თავის ახალ პროექტს წარადგენს. Hy-wire-ის ტრანსმისია პრინციპულად ახალი სისტემით არის შექმნილი. მისი სავალი ნაწილი წყალბადზე მომუშავე ძრავს და ელექტრონულ სისტემაზე შექმნილ საკიდარის ჰიბრიდს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ავტომობილს არც ერთი მექანიკური კვანძი არ გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ მძღოლის ყველა ქმედება — მოხვევით დაწყებული და სიჩქარის შეცვლით თუ დამუხრუჭებით დამთავრებული, ელექტრონული სისტემების საშუალებით გადაიცემა. ძალიან ძვირად ღირებული ტექნოლოგიების გამოყენების გამო, საეჭვოა, ავტომობილი სერიულ წარმოებაში ჩაუშვან. მიუხედავად ამისა, ავტომობილში გამოყენებულმა ახალმა მეთოდოლოგიამ ავტომშენებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.



## რუსეთმაც გამოუშვა „სუპერავტომობილი“?



ყოველ შემთხვევაში, ერთი ასეთი ეგზემპლარი იქნება წარდგენილი საავტომობილო გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში უნდა გაიმართოს. ტოლიატის ქარხნის ბაზაზე არსებული ექსპერიმენტული საწარმო „ტორგმაში“ „ვაზის“ მარკის ბაზაზე სპორტული ავტომობილების წარმოებას გეგმავს. რამდენად რეალური იქნება ეს წამოწყება დღევანდელი მსოფლიო კონკურენციის პირობებში, ძნელი სათქმელია, მაგრამ მოდელს აშკარად ეტყობა, რომ რუსები საამისოდ ყველა ღონეს ხმარობენ. თუმცა, არსებობს გამონათქვამიც — თავს ზემოთ ძალა არ არისო... Lada Revolution 2-ის გარეგნულ იერზე დიზაინერმა ანდრეი რუზანოვმა იმუშავა, რაც შეეხება შიგთავსს, იგი „ტორგმაშის“ კონსტრუქტორებს ეკუთვნით. მიუხედავად შთამბეჭდავი გარეგნობისა, ყველაზე მეტ ეჭვს ავტომობილის სპორტულ შესაძლებლობებში ამ შემთხვევაში რუსებისთვის ყველაზე საამაყო ფაქტი იწვევს — ავტომობილის სავალი ნაწილი და ძრავი „ჟიგულის“ მაკომპლექტებელი დეტალებით არის აწყობილი.

## მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ავტომობილი 10 მილიონი დოლარი ღირს...

კონცერნ „ვოლვოს“ მიერ დამზადებული საჩვენებელი ავტომობილი (ე.წ. „კონცეფტ კარი“) მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხოდ არის მიჩნეული. შეიძლება იმიტომაც, რომ ამ მანქანით მართლაც არავინ დაიმტვრევა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამისთვის ჯერ მისი ყიდვა იქნება საჭირო — ავტომობილი კი 10 მილიონი დოლარი ღირს. მაგრამ, როგორც კონცერნის მესვეურები აცხადებენ, ავტომობილი მხოლოდ მოძრაობის უსაფრთხოების მეცნიერული კვლევის ტესტირებისთვის დაამზადეს. უაღრესად საინტერესოა მანქანის კონსტრუქტორის, ედვარდსონის მიდგომა საკითხისადმი. მას ახალი მოდელი ბოლო დროს პოპულარული საჰაერო ბალიშებითა და ფოლადის ძელებით არ „გაუძეძგავს“. ედვარდსონის თქმით, უკვე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგების შემსუბუქებას, სჯობია ამ კატასტროფის თავიდან აცილებაზე იფიქრო. მისი ახალი შედევრი უსაფრთხო „ვოლვოს“ სახით სწორედ ამ პრინციპის განსახიერებაა. პირველ რიგში, პასიურ ფაქტორებს რაც შეეხება — ავტომობილის დიზაინი მძღოლისთვის საუკეთესო მხედველობით არეს უზრუნველყოფს. საჭე კი ისეა განთავსებული, რომ მძღოლს ხელები არასოდეს დაელლება. ყველა ხელსაწყო, რომელსაც ჩასართავად, ან გამოსართავად ბერკეტი ან ღილაკი სჭირდება, პარალელურად ხმოვან მართვაზეც არის დაყენებული. ანუ, თუ მძღოლს მაგნიტოფონის, ან განათების ჩართვა უნდა, ამისთვის ღილაკი და ბერკეტი საჭირო არ არის — ის უბრალოდ, ამბობს რისი ჩართვაც სჭირდება და შესაბამისად, ყურადღებაც ნაკლებად ეფანტება... რაც შეეხება უსაფრთხოების აქტიურ ფაქტორებს, ასეთები ავტომობილს მრავლად აქვს — ულტრაბგერითი სენსორები გარე სამყაროსთან ავტომობილის უსაფრთხო მდებარეობაზე ზრუნავენ, თუ მანძილი თქვენსა და წინ მოძრავ ავტომობილს შორის დასაშვებზე სწრაფად მოკლდება, მოწყობილობა ავტომობილის სიჩქარეს შეამცირებს. ანალოგიური სენსორი გაზრდის ავტომობილის სიჩქარეს, ან ბორტის კომპიუტერის მეშვეობით მიგითითებთ ოპტიმალურ მანევრზე, თუ თქვენი მომდევნო ავტომობილი სწრაფად გიახლოვდებათ. გარდა ამისა, ავტომობილი სპეციალური კამერებით არის აღჭურვილი, რომელთა მეშვეობითაც დღე-ღამის განმავლობაში ანალიზდება გზის საფრის მდგომარეობა და ყოველგვარი ავტოსაგზაო სიტუაცია.

## მორიგი სიახლე „ფოლკსვაგენისგან“

კონცერნმა „ფოლკსვაგენმა“ ახალი მოდელის, Touran-ის პირველი ფოტოები გამოაქვეყნა. ფირმის მიერ წარმოებულ ავტომობილთა გამაში ეს მოდელი მინივენ „სარანზე“ შედარებით პატარა იქნება. საინტერესოა, რომ Touran-ი მე-5 სერიის გოლფის ბაზაზეა აწყობილი, რომელიც მომავალში უნდა გამოვიდეს. ახალი „ფოლკსვაგენი“ ოჯახისთვის არის განკუთვნილი. მის სალონში არც მეტი, არც ნაკლები, 39 სათავსია. ავტომობილი მისი მყიდველის სურვილის მიხედვით როგორც ბენზინის, ისე დიზელის ძრავით გამოვა.



## ჯვრისწერა — მხოლოდ ქალწულთათვის



ბრაზილიის ქალაქ პეტროპოლისში საოცარი რამ მოხდა: ადგილობრივმა კათოლიკე მღვდელმა ნათან ანტონიო მელამ განაცხადა, — ვიდრე საპატარძლო არ მომიტანს ექიმის ცნობას, რომ ქალწულია, მანამ ჯვარს არ დავწეროო.

პირად ცხოვრებაში ამგვარმა შეჭრამ აღაშფოთა არა მარტო ახალგაზრდები, არამედ შუახნის ხალხი და მოხუცებიც კი. საქმეში ეპისკოპოსი ჩაერია, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა. მღვდელი ჯიუტად იმეორებდა — ეკლესია ქალს გათხოვების უფლებას არ აძლევს, თუ მას ქალწულობა აქვს დაკარგულიო. ბოლოს, კომპრომისს მიაღწიეს: ანტონიო მელა მხოლოდ უმანკოებს დასწერს ჯვარს, დანარჩენებს კი ნაკლებად ჭირვეული მღვდლები.

***ჟენსკიე დელა №8***

## ახალი ორლეანი ჩაიძირება

ახლახან ამერიკელი გეოლოგები მეტად უსიამოვნო სენსაციურ დასკვნამდე მივიდნენ: ახალი ორლეანი არსებობის უკანასკნელ საუკუნეს ითვლის და არა უგვიანეს 2100 წლისა, ზღვის ფსკერზე აღმოჩნდება. ამის მიზეზი იქნება არა მარტო ზღვის დონის გლობალური ამაღლება, არამედ ლოკალური კატაკლიზმებიც. მაგ. წლიდან წლამდე გაძლიერებული წყალდიდობები მისისიპის შესართავში. ამასთან, ქალაქი ისედაც ზღვის დონიდან 2,6 მ-ით დაბლაა. უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში უკვე დაიტბორა ხმელეთის 1000კვმ-ზე მეტი.

***ვერსია №29***

## ცხოველთა ენის მცოდნე



მის მოსაცდელში ძაღლებს, კატებს, ზაზუნებსა და გოჭებს ნახავთ. სონია ამბობს, — ცხოველთა ენა მესმისო. ოთხ-ნახევარ წლამდე სმენა მქონდა დაქვეითებული და თითქმის არ ვლაპარაკობდი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ცხოველებისა მესმის. ცხოველები და ადამიანები ერთმანეთს ენერგეტიკულ ველებს გადასცემენ — ეს რადიოსადგურების მუშაობის მსგავსი მოვლენაა. მე ვიღებ ცხოველთა სიგნალებს — ვღრმავდები მათ მეტაფიზიკაში და ვიგებ, რისი თქმა სურთ. ეს პროცესი ძნელი ასახსნელია. მე თითქოსდა ცხოველად ვიქცევი ხოლმე. როდესაც ძაღლს ველაპარაკები, ძაღლის ფიქრებით ვფიქრობ. სამყაროს ოთხფეხთა ხედვით ვხედავ და სუნსაც მათი შეგრძნებებით შევიგრძნობ. ჯერჯერობით ერთადერთი ადამიანი ვარ პლანეტაზე, ვისაც ეს ნიჭი აქვს. მაგრამ ამის სწავლაც შეიძლება — ეს იმ ადამიანს ძალუძს, ვისაც ცხოველები გულით უყვარს და თვლის, რომ ისინი ბეწვისტანსაცმლიანი ჩვილები არიან. ყველას აინტერესებს, რას მეუბნებიან ცხოველები. ყველაფერს ვერ ვიტყვი — ეს მხოლოდ სამ არსებას — ჩემს, ცხოველსა და მეპატრონეს შორის რჩება. ერთს კი გეტყვით — ცხოველები გამუდმებით წუწუნებენ საჭმლის გამო. მაგალითად, ძაღლებს აწუხებთ ის, რომ მათ ძაღლისათვის განკუთვნილი საკვებით კვებავენ, ანალოგიური პრეტენზიები კატებსაც აქვთ. მე ჩემს ძაღლებს არ ვაჭმევ იმას, რასაც თვითონ არ ვჭამ. ისე კი, ძაღლების ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — ყველას ძალიან უყვარს ხორცით, ბრინჯითა და ბოსტნეულით დამზადებული კერძები.

***ნიუ ზუიქი***

## მოდაშია ჯუჯა ცხოველები



ამერიკაში ფართოდ გავრცელდა ჯუჯა ძროხა. ისინი 80-100 სმ სიმაღლისანი არიან და 600-650კგ-ზე მეტს არ იწონიან, ანუ სამჯერ ნაკლებნი არიან ჩვეულებრივი ჯიშის ძროხებზე.

ჯუჯა ჯიში 20-იან წლებში შემოიყვანეს სამხრეთ ინდოეთიდან და ზოოპარკებში მოათავსეს. ეს პატარა ძროხები მალე ამერიკელთა ოჯახებშიც მოხვდნენ. გარეგნულად არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი რქოსნებისგან, ძალზე თვინიერნი და მორჩილნი არიან. უყვართ მოფერება და ყურადღება. მათი შენახვა იაფი ჯდება, ადვილია მათი გამოკვება: ზამთარში თივას მიირთმევენ და ზაფხულში ბალახს ძოვენ. დღეში იძლევა 7,5 ლ რძეს და შეუძლია ოჯახის რჩენა.

პატარა ცხოველებს დიდი სიამოვნებით ამრავლებენ ჩინეთშიც. შანჰაიში ათასობით ოჯახს ჰყავთ პატარა ღორები. მათ უსიამოვნო სუნის უქონლობის გამო ხუმრობით „პარფიუმერიულს“ უწოდებენ.

***მირ ნოვოსტეი №32***

## ყოჩაღი ნეფე-დედოფალი

კლაუდია შიფერმა და მეთიუ ვონმა ჯვრისწერისთანავე გამოაცხადეს, — ბავშვს ველოდებითო — ცნობილი თოფ-მოდელი ოთხი თვის ფეხმძიმე ყოფილა. საახალწლოდ მემკვიდრეს ელოდებიან. ბიჭი იქნება თუ გოგო, ჯერ არ იციან. ერთი კია ის ძალიან მდიდარი ბავშვი იქნება — შიფერის ქონება ხომ ჯერჯერობით 50 მლნ დოლარია. ვინც ამ მშვენიერ ქალს იცნობს, იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე მისი კაპიტალი კიდევ უფრო გაიზრდება...

***პარი მატჩი***

## [illegible] შიმშილობით

იტალიური მაფიოზური დაჯგუფებების 300-მა ბოსმა, რომლებიც სასჯელს სხვადასხვა ციხეში იხდიან, კანონთან შებრძოლება გადაწყვიტეს — შიმშილობა გამოაცხადეს.

„ნათლიები“ უარს ამბობენ კვებაზე — მათი პროტესტი სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის გამკაცრების წინააღმდეგ არის მიმართული.

განახლებული კოდექსის პროექტი პარლამენტშია განსახილველად და მალე კენჭს უყრიან. კანონპროექტი განსაკუთრებით მკაცრია ბანდიტური დაჯგუფებების ლიდერების მიმართ — განაჩენი ამიერიდან „ორმაგი“ და „სამმაგიც“ კი იქნება. ამიტომაც დაიწყეს შიმშილობა პროექტით აღშფოთებულმა მაფიის ბოსებმა. როგორც პოლიცია ვარაუდობს, აქცია ეშმაკური ხრიკია. „ნათლიები“ ციხის საჭმელს არ გიახლებიან, სამაგიეროდ, სიამოვნებით მიირთმევენ ახლობლებისა და ციხიდან გასული თანამოსაქმეების შეგზავნილ ნობათს.

***ეხო პლანეტი №30***

## რუსებს და ამერიკელებს კოღოები დაერივნენ

სტავროპოლის მხარეში ექიმები ახალი, საშიში დაავადების მოლოდინში არიან. ეს არის დასავლეთ ნილოსის ციებ-ცხელება, რომელიც გადადის სისხლით, კოღოსა და ტკიპის კბენის შედეგად. ამ დაავადებას ებრძვიან არა მარტო რუსეთის დაჭაობებულ რაიონებში, არამედ ამერიკაშიც. მომაკვდინებელი სენის გადამტანი კოღოები აღმოჩენილია ვაშინგტონის ორმოცამდე წერტილში. ამერიკელები შეშფოთდნენ: უკვე ასამდე ადამიანი ავადაა, ზოგი მათგანი გარდაიცვალა. პრობლემა კი ის არის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს წამალი დასავლეთ ნილოსის ციებ-ცხელების წინააღმდეგ.

***ვერსია №31***

## ქაღალდის საცვლები



ახლა მოდაში ყოფილა... ქაღალდისგან დამზადებული საცვლები.

ტანსაცმლის მწარმოებლები უკვე ყიდიან ქალის ერთჯერად ქვედა საცვლებს, რომელიც, მათივე თქმით, „შეუცვლელია მოულოდნელ სიტუაციებში“.

მალე მამაკაცებისთვისაც დაამზადებენ იმავე მასალისგან საცვლებს, მხოლოდ სხვა მიზნით — ბევრი მამაკაცი არ იცვლის ყოველდღე ქვედა საცვალს, ამიტომ კარგი იქნებოდა ქაღალდის საცვლები ავტოგასამართ სადგურებზე გაგვეყიდა, — ამბობენ ამ სამოსის შემქმნელნი.

***ვოკრუგ სვეტა***

## ჰიპნოზიორი ქვებით ჩაქოლეს

ნიგერიაში, ისლამურმა სასამართლომ 35 წლის რაფინ გაიავის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ორი შვილის მამა ქვით ჩაქოლეს იმიტომ, რომ თავისი მეზობლის 25 წლის ორსულ ცოლთან სიამტკბილობისას მიუსწრეს. ქალი ასეთივე სასჯელს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ განაცხადა, — კაცმა დამაჰიპნოზა და ისე დაამყარა ჩემთან კავშირი, არაფერი გამიგიაო.

***ნოვოსტი №32***

## ადამიანები 200 წელს იცოცხლებენ



ფრანგი ქალები ევროპის ყველა ქალზე მეტხანს ცოცხლობენ. უფრო ზუსტად, საშუალოდ 82 წელსა და რამდენიმე თვეს. დღესდღეობით, საფრანგეთში 100 წელს გადაცილებული 10 000 ქალი ცხოვრობს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში ეს რიცხვი თხუთმეტჯერ გაიზრდება, შემდეგ კი ნამდვილი რევოლუცია მოხდება, რადგან ფრანგმა ჰერონტოლოგებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც დღეგრძელობაზეა პასუხისმგებელი. მისი გამოყენებით ადამიანის სიცოცხლის ვადა გაორმაგდება.

ამბობენ, რომ გენეტიკურ ექსპერიმენტზე უკვე რამდენიმე ფრანგი ბებია დათანხმდა, მათ შორის, ერთი 120 წლისაა და თავს ყოჩაღად გრძნობს.

***ვერსია №78***

## გამდიდრების მოიმედენი



2,5 მლრდ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ოქრო და ბრილიანტი იზიდავს მთელი მსოფლიოს განძის მაძიებლებს. უკვე 3,5 ასწლეულია, რაც ეს ურიცხვი სიმდიდრე ბრიტანეთის სანაპიროების სიახლოვეს, ზღვის ფსკერზეა და დროთა განმავლობაში იმდენი სილა დაედო, რომ ასე იოლი საპოვნელი არ არის.

ოქროს ზოდები, მონეტები, ძვირფასეულობა ოლივერ კრომველის ჯარებმა იშოვეს ქალაქ დანდში, სადაც შოტლანდიელი დიდგვაროვნები სიმდიდრეს მალავდნენ, მათ შორის, ლეგენდარულ ედინბურგის ოქროს. 60 ხომალდი დატვირთეს ინგლისელებმა ნაძარცვით, მაგრამ ცოდვამ უწიათ და სამოცივემ წყალქვეშ პოვა სავანე — გამარჯვებულებმა ვერ განსაზღვრეს, რომ ოქრო ძალზე მძიმე ტვირთი გამოდგებოდა.

განძის მაძიებლები იფიცებიან, ზუსტად აღმოვაჩინეთ ხომალდების ადგილსამყოფელიო.

ბრიტანეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ნაპოვნი ქონება ინგლისის საკუთრება გახდება, მაგრამ მპოვნელი კარგად დასაჩუქრდება. პოლიცია შიშობს, რომ ბოროტმოქმედები არ ჩაერთონ საგანძურის ძებნაში და ამოღებისას არ გაიტაცონ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №32***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | შ | ე | ნ | ი | გ | ა | გ | ე | თ | ი | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ი | გ | ლ | | მ | ქ | ი | ი | ი | ა | ი | დ | ა | მ | ს | ი | ლ | ო | ი | ლ | დ | ი | ბ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შოთა რუსთაველის აფორიზმს ამოიკითხავთ.**

**კ.** თამაში ხის ბურთით; **ვ.** ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ი.** იტალიის ნაკრების ფეხბურთელი; **რ.** ერთად აკინძული საწერი ქაღალდის ფურცლები; **ი.** ჭაობის მცენარე; **ს.** კურორტი და მინერალური წყალი საქართველოში; **პ.** ებრაელთა ყველაზე დიდი რელიგიური დღესასწაული; **ა.** სომხეთის ძველი დედაქალაქი; **ლ.** მოცულობის ერთეული, უდრის 1000 კუბურ სმ; **ი.** „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას... ჩემზე შთამომავლობა!“; **ტ.** ქიმიური ელემენტი, ლითონი; **რ.** ირანის ფულის ერთეული; **ა.** სამხედრო გემების ერთობლიობა; **შ.** ფუფალას „ვირტუალური“ შეყვარებული („ნატვრის ხე“); **ე.** ერთგვარი ნაყინი; **ნ.** მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; **ი.** გულ-სისხლძარღვთა დაავადება; **გ.** დიდი დაწნული კალათი, ზურგზე მოსაკიდებელი; **ა.** საბუღალტრო ტერმინი; **ზ.** ერთგვარი თევზი; **ე.** ძველბერძენი მწერალი; **თ.** სუფრის ხელმძღვანელი; **ი.** ავტორიტეტი, რენომე; **ა.** ცოცხალი ორგანიზმი, სულდგმული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კაუნასი; **ვ.** ვედრება; **ი.** იორი; **რ.** რიონი; **ი.** იგოეთი; **ს.** სადგისი; **პ.** პეგასი; **ა.** ანანასი; **ლ.** ლიკანი; **ი.** იმერეთი; **ტ.** ტეთისი; **რ.** რეესტრი; **ა.** ალბიონი; **პ.** პლუტოსი; **რ.** რულონი; **ე.** ელიოზი; **ს.** სოსელო; **ი.** იმამატი; **ს.** სიქა; **ლ.** ლუმიერი; **ი.** იკებანა; **დ.** დაფნა; **ე.** ერუდიტი; **რ.** რაჭა; **ი.** ილიადა; **ა.** ალალი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: უდროოდ გაკეთებული საქმე ფუჭია.**

CMYK

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №33 (307) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ათასჯერ გადაფასებული ღირებულებების ეპოქაში, ცოტა არ იყოს ძნელია ყველაზე ფასეულზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენს მკითხველებს მაინც ასეთი კითხვით მივმართეთ: **„რა არის თქვენთვის ყველაზე ღირებული?"**

შეკითხვას 506 რესპონდენტი გამოეხმაურა. მხოლოდ 2 ბარათი აღმოჩნდა არასწორად შევსებული. საკონკურსო იყო 183 ქალისა და 321 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი-რეიტინგი.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მშვიდობა რესპონდენტთა უმრავლესობისათვის უპირველესი ღირებულებაა, მკითხველთა 37-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით, მინიმალური ქულა მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,6) დაუწერა. **6,52** საშუალო ქულით „მშვიდობა" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „ოჯახური ბედნიერებაა", საშუალო ქულაა 5,82. აღსანიშნავია, რომ მინიმალური — 1 ქულა მას არც ერთმა რესპონდენტმა არ მიაკუთვნა.

ღირებულებათა სკალაზე მესამე-მეოთხე ადგილებზე ეროვნება (საშუალო ქულით 5,34) და რელიგიაა (საშუალო ქულით 5,18). მაჩვენებლებს შორის ასეთი მცირე განსხვავება ქართველთათვის ამ ორი ცნების განუყოფლობასა და ერთნაირ ღირებულებაზე მიუთითებს.

როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველებისათვის შედარებით ნაკლებად ფასეულია განათლება, კომფორტული ცხოვრება და დემოკრატიული ფასეულობები.

შედეგები შესაძლოა არაცალსახა განწყობასაც იწვევს მკითხველში, მაგრამ ჩვენი შეკითხვა ხომ დღევანდელობას ეხება. დღეს, როცა ადამიანები განათლების რეალიზაციას ველარ ახდენენ და საკუთარი ინტელექტის შესაბამისად ვერ ცხოვრობენ, „განათლების" მეექვსე ადგილი სავსებით ლოგიკურია. დღეს ყველაზე დეფიციტური მშვიდობაა, ადამიანთა უმრავლესობისათვის — ბედნიერი ოჯახური ცხოვრება; ეროვნება და რელიგია — სადავო საკითხად იქცა — არადა, თურმე რარიგ ფასეული ყოფილა ჩვენთვის.

საინტერესოა, რომ ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების პასუხთა შორის მხოლოდ ერთადერთი განსხვავება დაფიქსირდა — 30-დან 50 წლამდე ასაკის მკითხველთათვის კომფორტული ცხოვრება უფრო ფასეულია, ვიდრე განათლება.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 20 წლის **ვახტანგ ნანავა** და 61 წლის **ომარ მიძაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, 17 საათზე.

## №34 (308) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლოტერეაში*

**№34 (308) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 28 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 29 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №34 (308) — ქალები

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რისი (ვისი) ეშინიათ ქალებს** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№34(308) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ზედმეტი წონა (გასუქება) | |
| 2 | ღალატი | |
| 3 | ნაოჭები (სიბერე) | |
| 4 | მეტოქე, კონკურენტი | |
| 5 | სიღარიბე | |
| 6 | ძალადობა | |
| 7 | მარტოობა | |
| 8 | ჭორები | |

**მკითხველის ლოტერეა**

დაასახელეთ აგვისტოს თვის ადამიანი საქართველოში

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**მკითხველის ლოტერეის შედეგები**

**რომელ ქართულ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ფორტუნა | 23 % |
| 2. | ფორტუნა პლუს | 14 % |
| 3. | რადიო 2 | 13 % |
| 4. | მთავარი რადიო (I არხი) | 11% |
| 5. | რადიო 105 | 6 % |
| 6-7. | ივერია (საპატრიარქოს რადიო) | 5 % |
| 6-7. | რადიო იმედი | 5 % |
| 8. | მწვანე ტალღა | 3 % |
| 9-10. | საქართველოს ხმა | 2 % |
| 9-10. | რადიო 106,4 | 2 % |

რადიოს საერთოდ არ უსმენს მკითხველთა 10%; კონკრეტული ქართული რადიოს დასახელება 3%-ს გაუჭირდა.

ქართული რადიოების შარშანდელ რეიტინგშიც „ფორტუნა" ლიდერობდა, მას „რადიო 105" და „ფორტუნა პლუსი" მოსდევდა. „აუდიენცია" და „საქართველოს ხმა" IV-V ადგილებს ინაწილებდნენ, შარშანწინდელ რეიტინგში კი დაწინაურებული სამეული ასეთი იყო: 1. „ფორტუნა"; 2. „აუდიენცია;" 3. „საქართველოს ხმა".

როგორც ვხედავთ, ახალ რეიტინგში „საქართველოს ხმა" „რადიო 106,4"-თან ერთად ათეულის ბოლოშია.

***მკითხველის რეიტინგს 411 რესპონდენტი გამოეხმაურა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

მკითხველის პრემიის მფლობელი 387-მა მკითხველმა გამოავლინა.



1. იზო რიკაძე — „ის სიტყვები არ აპატია შევარდნაძემ გიას" — 90 ხმა
2. ნიკოლოზ იოსებიძე — „ღია წერილი ნოდარ დუმბაძეს" — 72
3. ეკა ლომიძე — „ჩვენებური ზღვა და ჩვენებურები" — 49
4. ზურაბ მჭედლიშვილი — „პანკისის ხეობაში რუსების ნებისმიერი ფორმით შეშვება გამორიცხულია" — 33
5. მარინა მამისაშვილი — „თორმეტი წელი ომში გავატარე და, თურმე ქალმა უნდა მასწავლოს, როგორ უნდა ვიომო" — 23

**თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ იზო რიკაძეს.**

# ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?" თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები", გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



**კახა კალაძე, 5 წლის**

**შემოთავაზებულ ფოტოში მკითხველებმა „ამოიცნეს": ეკა კახიანი, სოფიკო ჭიაურელი, გივი სიხარულიძე, მიხეილ სააკაშვილი, დუტა, თემურ მღებრიშვილი, უცნობი, ლადო კახაძე, მერაბ სეფაშვილი, გურანდა გაბუნია, აჩიკო მეფარიძე... როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა ფანტაზია ერთნაირად „გადასწვდა" ხელოვანებს, პოლიტიკოსებს, პოლიციელსაც კი. მაინცდამაინც სპორტულ სამყაროში არ შეიხედა არავინ. ფოტოზე გამოსახული მოცეკვავე ბიჭუნა დღეს ცნობილი ქართველი ფეხბურთელი კახა კალაძეა.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

**— ნამდვილ ტელევარსკვლავს არ ვგავარ?**

## ფოტო განწყობისთვის



— აკი მეგობრები ვართო? დამიტოვე რაა...

31/VII უკანასკნელი მეოთხედი
მაგნიტური დღეებია:
26/VII — 21-დან-23 სთ-მდე
29/VII — 20-დან - 22 სთ-მდე

## წინა სკანვორდის პასუხები



## მოცურავე სასტუმრო



ერთმა საუდელმა მილიარდერმა ცოლს, განქორწინების შემდეგ, ოღონდ არ მოინყინოო, მშვენიერი იახტა „ყოლ-ცეა" აჩუქა. მაშინ იახტა ბიზნესმენისაგან ათ მილიონ დოლარად შეიძინეს.

ქალბატონმა მაუნამ (ასე ჰქვია ცოლს) გამჭრიახობა გამოიჩინა, 75-მეტრიანი მოძრავი საოცრება ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ გადააკეთა და სოლიდური ფასიც დაადო — მოგზაურობის და პაპარაცებისგან თავდახსნის მსურველებს ერთი კვირით იახტაზე ყოფნა 250 ათასი დოლარი უჯდებათ.



ახლა ეს იახტა ერთი კვირით ტომ კრუზს (ამფსონებით) დააქროლებს ლურჯ ოკეანეში.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში ამოცნობილი სიტყვა უნდა ჩაწეროთ ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად კითხვების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ ერთ რიგსა ან სვეტში რამდენიმე კითხვაა (ამ შემთხვევაში ასოციაციური წყვილი), იმავე რაოდენობას პასუხი ჩაიწერება მათთვის განკუთვნილ უჯრათა ერთობლიობაში ასოციაციური წყვილის რიგითობის მიხედვით.

- ქალაქი, სისხლძარღვი
- კლოუნი, გლადიატორი
- გემი, რემონტი
- ბანქოს კიკო, საჰაერო ბრძოლის ოსტატი
- ბოსტნეული, ცრემლი
- კათოლიკური სამლოცველო, ანსამბლი
- საბრძე, ფრინველი; გონების დაკარგვა, წნევის დაქვეითება
- ქართული მონასტერი თურქეთში, ოქრომჭედლობა
- ახალი ვითარება, ნიავი; ფრანგი მეფე, ფეხბურთელი
- გაშლილი ადგილი, თბილისის რაიონი; ნოსტრადამუსი, ბულგარეთი
- სურათი ფერზე, დაწესებულების მუშაკი; შორისდებული — წყენა, ტირილი
- მატარებელი, ფარეხი; ძველი თვითმფრინავი, ნოტი
- დაცინვა, შენიღბვა
- ბულატ ოკუჯავა, უბანი
- სოფელი სამეგრელოში, ელიავა
- გამარჯვება, ქალღმერთი
- ხარი, ჯუჯა



„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში პეტრიაშვილის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ში, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; ლიკით ალმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ყოფილი) მოედანზე; ნაძალადევში კ. „საქართველოსთან"; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეფხვიშვილის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

## (34) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№34 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 29 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.



* * *



გზაზე გასისხლიანებული კენგურუ მიხტუნავს.

— რა მოგსვლია? — ეკითხება მეორე.

— ტროლეიბუსში ჩანთა გამიჭრეს...

ფირმა „ბერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, რეკლამის სიზუსტეზე, ფასიანი განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-64
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პოლიგრაფში".